

14
953

საქართველოს
საბავშვო
საბიბლიოთეკო

გნათობა

2

თიბეიკვალი



1953

გნათობა



საქართველოს ლიტერატურულ-მეცნიერული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი,

საქართველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო.

წელიწადი ოცდამეათე

2

★

თებერვალი



19

სახელგაში
თბილისი





ნაზიმ ჰიმმეთი — თურქეთის ამბავი, პიესა. თარგმანი ვახტანგ ჭეცელაძის მიერ	3
არჩილ სულაქაშვილი — ჩემი ქუჩის დღესასწაული. ლექსები	64
ნინო ჩიხლაძე — მარჯვენას ვიქებენ, მოთხრობა	69
ზალმა ამისულაშვილი — ბედნიერი შეხვედრა, ლექსი	78
ბრიგოლ ჩიქოვანი — მშვიდობის მეფულადე, ნარკვევი	80
ახალგაზრდა კოკატა შიმშილში: აკაკი გუჩუაძე — მოსკოვი და გორი; მუღაბა კახიძე — წამო, ბაღებს ვესტუმროთ; მუხრან შაქაველი — ვოლგა ველარ სენობს სტალინგრადს; ნაზი კილასონია — სტალინგრადელმა გოგონამ; თამაზ კილაძე — ორი სახელი; შეხედე, ძმაო; შოთა როყვა — სამგორში სტუმრად ვიყავი; სამშუელ მოძღვრისეული — ოჯახი; გიორგი გიგაური — კომბაინი სამგორის ველზე; ლადო ახოზაძე — ორი დედა; დავით კვიციანი — კორეულ მეგობარს; გიორგი წერეთელი — შორო მოდის; გურამ კლდიაშვილი — შენ ვნატრულობ, და; დავით ნოზაძე — ბათუმელი ქალი თბილისის ზღვაზე; ვახტანგ ძნელაძე — პალმები ეოლგის პირას; გივი თევზაძე — რუსთაველი მეფულადე; გივი ალადაშვილი — სამგორელი ბერი პაპა	87
იოსებ ვოლფგანგ ბოშაძე — ფაუსტი, ნაწიკეტი. ტრაგედია, თარგმანი გერმანულიდან ალ. ქუთათელისა	96
ბიორბი ჭურაშვილი — საბჭოთა არმიის 35 წლისთავი, წერილი	109
ზალმა რაჭვინი — კონსტანტინე ლორთქიფანიძის მხატვრული პროზა, წერილი	117
შოთა სულაქაძე — პოლიკარზე კაჟაბაძის დრამატურგია, წერილი	131
დ. ჩხიპიშვილი — ერების ჩამოყალიბებამდე ხალხების მიერ შექმნილი კულტურის ეთნიკური ფორმის საკითხისათვის, წერილი	145
ილ. ფიქვიშვილი — ფრანგი ხალხის ერთგული შვილი, ბიბლიოგრაფია	157
რ. მარჯანიძე — ახლის გრძობა პოეტურ შემოქმედებაში, ბიბლიოგრაფია	161
ნ. კუპრაძე — საკლემურნო სოფლის ადამიანთა პორტრეტები, ბიბლიოგრაფია	163
ვლ. ჯიბუტი — გიორგი კაჭახიძის საბავშვო ლექსები, ბიბლიოგრაფია	166
მ. თუშუშვილი — სოციალისტური რელიეზების პრობლემები, ბიბლიოგრაფია	168
ახალი წიგნები	გარეკანის მე-3 83

რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიასვილი (მასხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბენაშვილი, ნიკო კახიკაძე, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხიძე, სერგი შილაია.

ბელმოწერილია დსაბეზად 4/111-53 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 102/4.
შეკვეთის № 57. ტარაგი 5200.

საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამოცემებისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР.
Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.
რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფ. 3-23-42.

თურქეთის აზგაპი

პიესა



მოქმედი პირნი

- ბატჩე — ჟურნალისტი ქალი, ექიმი, მშვიდობის მომხრეთა საზოგადოების თავმჯდომარე
- სულეიმანი — მისი ქმარი, კერძო ბანკში მომუშავე
- ისმაილი — მუშა
- გიუზინი — სტუდენტი ქალიშვილი
- ნური — ახალგაზრდა არქიტექტორი
- მურადი — საზოგადოების ვეჟილი
- ჭუსეინ ქალიში — მწერალი
- ფათმა ნურჩანი — დიასახლისი
- ალი — მისი შვილიშვილი, სამხედრო სასწავლებლის მსმენელი
- იზრაქიში — მუშა, ისმაილის ამხანაგი
- ემრეთი — მწერალი, მთარგმნელი
- შაქენდე
- პასანი — მისი შვილი
- ქიამილი — გაზეთის რედაქტორი, ფათმას ძეძუნაწოვები
- მდივანი — ქიამილისა
- ოსმანი — გლეხი
- ქალიშვილი ოსმანისა
- სათილშიში — აშელი
- პოლიციის უფროსი
- გამფლანგველი
- ვაჭარი
- ვეჟილი
- სმიტი — ამერიკელი მრჩეველი
- ქალიშვილი საგარეო საქმეთა მინისტრისა
- ექიმი
- სამედიცინო და
- ზედამხედველი
- გუბერნატორი
- სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე
- გარსონი ყავახანისა
- გენშტაბის უფროსი, ამერიკელი სენატორი, მინისტრები, თარჯიმან-ბი, ოფიცრები, სალდათები, ჟანდარმები, პოლიციელები, გლეხები, გლეხი ქალები და სხვა.

პირველი მოქმედება

პირველი დიქტორის

ხმა

— გახსნეს ანკარაში ბაზარი დიდი, ანკარის ბაზარზე მთავრობა გეყიდის.

ხმები

— ჩვენი მარჯვენა გაყიდეს, ჩვენი თვალები გაყიდეს.

სისხლით და ხორციით გაგვიდეს;
ჩვენი მშობელი ველები,
ჩვენი თვალები, ხელები,
ჩვენი სამშობლო გაყიდეს.

მეორე დიქტორის
ხმა.

— სახელი იმათ ჩვენნაირი აქეთ
და ჩვენს ენაზე ლაპარაკობენ...

პირველი დიქტორის
ხმა

— მაგრამ ქვეყნისთვის და ხალხისათვის
მტრები არიან, სისხლისმწოველები,
ვით აბეზარი ბუზი ცხენისთვის
და როგორც ფითრი მცენარისათვის.

ხმები

— ისინი — დანა ყასბისა,
ჩვენ — უელი გამოსაჭრელი;
ისინი — ცეცხლი წყეული,
ჩვენ — სახლი აღმოდებელი;
ისინი კალიებია,
ჩვენ — მობიზინე ჯეჯილი.

მეორე დიქტორის
ხმა

— გაგვეს, გაგვიდეს.

პირველი დიქტორის
ხმა

— ლალატი მოსდგამთ დასაბამითვე.

ხმები

— გესლი აქეთ მორიელისა
და მატლებივით ცოცავენ.

მეორე დიქტორის
ხმა

— გაგვიდეს, რადგან შიში აქეთ ჩვენი!

ხმები

— ეს არის შიში ღამისა,
შიში რიყრაყის წინაშე;
ეს არის შიში შაძღრისა,
შიში შშიერის წინაშე;
ეს არის შიში ღვარძლისა,
რომელსაც ელის დაჰქნობა.

პირველი დიქტორის
ხმა

— გახსნეს ანკარაში ბაზარი დიდი,
ანკარის ბაზარზე მთავრობა გვეილის.

მეორე დიქტორის
ხმა

— ვაჭრობა გრძელდება!

პირველი დიქტორის
ხმა

— სამშობლო ჩვენი,
ქვეყანა ვრცელი,
გარემოცული სამი მხრით ზღვებით,
ხალხი მშრომელი,

პატიოსანი,

მარად ჩაგრული ღატაკი ხალხი;
თავისუფლების ერთი ნამცეცი,
უკანასკნელი მისი მისხალი,



დღეს იყიდება,

ხ მ ე ბ ი

მთლად იყიდება... სრა-სასახლეთა თაღებქვეშ. აბრიალებულ ქალებქვეშ, დღეს აბრეშუმის ნოხებზე, ღვინით, მუსიკით ყიდიან; ანკარის ბაზარი დიდია..

ანკარა, დიპლომატიური მიღება

მრეწვერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, სენატორები. თარჯიმანი. უკრავენ ვალს. სენატორი კეი ამთავრებს სიტყვას ინგლისურ ენაზე.

3 რ ე მ ი ე რ მ ი ნ ი ს ტ რ ი — (მიმართავს თარჯიმანს) — რაო, რას ამბობს? თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — მათი აღმატებულება, ბატონი სენატორი კეი ინებებს უღრმესი მადლობა მოახსენოს თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრსაც, იმ მეგობრული კოტეილ-პარტიისათვის, რაც მათ მშვენიერ ქალაქ ანკარაში მოაწყვეს სენატორის პატივისცემად. მათი აღმატებულება მიესალმება თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებას კორეაში ჯარის გაგზავნის შესახებ და ბედნიერია, რომ ერთგვარი წვლილი მასაც მიუძღვის ამ გადაწყვეტილების მიღებაში.

3 რ ე მ ი ე რ - მ ი ნ ი ს ტ რ ი — ამ გადაწყვეტილების მიღებაში მის აღმატებულებას განუზომელად დიდი დამსახურება მიუძღვის!

ს ა გ ა რ ე ო ს ა ქ მ ე თ ა მ ი ნ ი ს ტ რ ი — თავს ნებას ვაძლევ, ღრმა რწმენა გამოვთქვა, რომ კორეაში თურქეთის ჯარების გაგზავნა კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას ჩვენს სახელმწიფოებს შორის. იმედი მაქვს, რომ ამ ფაქტის შემდეგ შეერთებული შტატების მთავრობა უფრო თავგამოდებით დაგვიჭერს მხარს, რათა ჩვენი ქვეყანა ატლანტიკის პაქტს შეუერთდეს.

3 რ ე მ ი ე რ მ ი ნ ი ს ტ რ ი — (თარჯიმანს) — უთარგმნე... მოახსენე, რომ ანატოლიის სააგენტო ხვალვე ამცნობს ქვეყანას კორეაში ჩვენი ჯარების გაგზავნის ამბავს. თურქეთი და მთელი ქვეყნიერება ხვალ შეიტყობს ამას... გადაუთარგმნე.

მ უ ნ ა

(ხატჩე სკამზე ზის და ბავშვის პერანგს ქსოვს. იმ ვალსის სტენით, რომელსაც კოტეილ-პარტის დროს უკრავდნენ, გაივლის ყმაწვილი კაცი. ეშრეფი ხატჩეს მიუახლოვდება).

ე შ რ ე ფ ი — გამარჯობათ, ექიმო.
ხ ა ტ ჩ ე — გაგიმარჯოთ. თქვენ აქ რა გინდათ, სანატორიუმიდან გამოგიშვეს?
ე შ რ ე ფ ი — არც ვყოფილვარ სანატორიუმში. ოთხი თვე მანც უნდა იდგე რიგში და ელოდო. ხელს ხომ არ შეგიშლით?

(დაჯდომას აპირებს)

ხ ა ტ ჩ ე — (გაიწვეს) — სულაც არა, ხომ იცით, არ უნდა გადაიქანცოთ, თქვენთვის ეს არ შეიძლება.

ე შ რ ე ფ ი — (დაჯდება) — ეჰ, მოვეშვათ ამას. თქვენც ხომ მშვენივრად იცით, რომ ლეკმა-პურის მოსაპოვებლად ათ-ათი საათი ვჭივარ თავაუღებელივ და უხამს ინგლისურ რომანებს ვთარგმნი... გუშინ ოფიციალური სტა-

ტიტიკური ცნობა მომხდდა ხელში, და თქვენ წარმოიდგინეთ, იქაც კი წერია, რომ ჩვენი მოსახლეობის სამოცი პროცენტი ტუბერკულოზით არის დაავადებული. ყოველი ასი თურქი მოქალაქიდან — სამოცი ჩემი ამხანაგი ყოფილა. (პაუზა) თქვენც მზეზე თბებით?

ხ ა ტ ჩ ე — სულეიმანს ველოდები, ჩემს ქმარს.

ე შ რ ე ფ ი — როგორ თვალისმომჭრელად ელვარებს მზეზე თქვენი ყელსაბამი...

ხ ა ტ ჩ ე — მართლა?

(ყელსაბამზე დაიხედავს)

ე შ რ ე ფ ი — ეტყობა, ძალიან გიყვართ, თავიდან არ იშორებთ. რამდენჯერაც მოვსულვარ თქვენთან, სულ მუდამ ამ ყელსაბამით მინახავხართ.

ხ ა ტ ჩ ე — დედის სახსოვარია. ჩემს ქორწილზე მოიხსნა და შემაბა. დედაჩემსაც ბებიაჩემისგან ჰქონია დატოვებული.

ე შ რ ე ფ ი — თქვენ კი ალბათ, თქვენს ქალიშვილს უსახსოვრებთ.

ხ ა ტ ჩ ე — მე მირჩევნია რძალს ვუსახსოვრო.

(რამდენიმე ხანს ორივე დუმს).

ე შ რ ე ფ ი — ექიმო...

ხ ა ტ ჩ ე — დიახ.

ე შ რ ე ფ ი — თქვენი უკანასკნელი სტატია წავიკითხე ჟურნალ „მშვიდობაში“.

ხ ა ტ ჩ ე — კითხულობთ ჩვენს ჟურნალს?

ე შ რ ე ფ ი — დიახ. (პაუზა). მინდა მშვიდობის მომხრეთა საზოგადოების წევრი გავხდე. სწორედ ხვალ უნდა მოვსულიყავი თქვენთან, საზოგადოებაში.

ხ ა ტ ჩ ე — ჰო, მაგრამ...

ე შ რ ე ფ ი — ვიცი, რასაც იტყვით! ავადმყოფი ვარ, ჩემი გადაქანცვა ასეთი რამეებით არ შეიძლება და...

ხ ა ტ ჩ ე — სულაც არა! მაგრამ...

ე შ რ ე ფ ი — იტყვით, — სულ რაღაც ხუთი-ექვსი თვის, დიდი-დიდი ერთი წლის სიცოცხლე დაგრჩენიათო...

ხ ა ტ ჩ ე — აჰ, რას ამბობთ! არც კი მიფიქრია...

ე შ რ ე ფ ი — იცით რა, ექიმო, სულაც არ ვსაუბრობებ ნუგეშს! ახლა მოგმართავთ, როგორც მშვიდობის მომხრეთა საზოგადოების თავმჯდომარეს.

ხ ა ტ ჩ ე — კეთილი, გამოიარეთ ხვალ საზოგადოების გამგეობაში.

ე შ რ ე ფ ი — მადლობელი ვარ. იცით, მე ღრმად მჯერა, რომ სიცოცხლის გახანგრძლივება... ოღონდ ცუდად ნუ გამოიგებთ; ნურც იმას გაივლებთ გულში, თითქოს მაღალფარდოვან სიტყვებს ვლაპარაკობდე. მშვიდობისათვის ბრძოლა — სიცოცხლისათვის ბრძოლაა. მართალია... მაგრამ ჩემთვის მართო ეს კი არ არის მნიშვნელოვანი. მშვიდობის დამცველთა საზოგადოების წევრობა ჩვენში, თურქეთში, იმას ნიშნავს, მრავალწლიან ბრძოლას შეუდგე. მე რწმენა მექნება, რომ დიდხანს ვიცოცხლებ. იმედი მექნება, რომ ბრძოლას, რომელსაც ჯანმრთელი ხალხი უძლებს, მეც გავუძლებ. გამიგეთ?

ხ ა ტ ჩ ე — დიახ.



ე შ რ ე ფ ი — მადლობელი ვარ... ნახვამდის, ექიმო.
ხ ა ტ ჩ ე — ნახვამდის.

(ე შ რ ე ფ ი გადის. ისევ გაივლის ყ მ ა წ ვ ი ლ ი კ ა ც ი იშავე ვალსის სტენით)

ლილოზაბიური მიღება

ცენერალური შტაბის უფროსი, მისი მხლებლები და ამერიკული სამხედრო მისიის ხელმძღვანელი

თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — თქვენი სიტყვებით აღელვებული მათი აღმატებულება, ამერიკული სამხედრო მისიის ბატონი მეთაური დღეგრძელებას უსურვებს თურქეთის არმიის ისეთ გამოჩენილ სარდალს, როგორც თქვენა ბრძანდებით, თქვენო აღმატებულება.

გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი შ ტ ა ბ ი ს უ ფ რ ო ს ი — მეც, ჩემი მხრით, ვეცდები ღირსი ვიყო ამ მაღალი შექებისა და დიდ პატივად ჩაეთვლი, ჩვენს საერთო წითელ მტერთან მომავალი ომის დროს ვიმყოფებოდე ამერიკის სახელოვან არმიაში.

(ცივებს მიაჯახუნებენ, სვამენ)

ჭაბა

(ხ ა ტ ჩ ე კვლავ ქსოვს. შემოდინა ნ უ რ ი, ს უ ლ ე ი მ ა ნ ი და გ ი უ ზ ი ნ ი. ნ უ რ ი ზურგიდან მიეპარება)

ნ უ რ ი — გამარჯობა, ხატჩე.

ხ ა ტ ჩ ე — უი, შემაშინე...

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — რამდენჯერ მიიტყვამს, ასეთ ხუმრობას თავი დაანებე-მეთქი, საშიშია. ჰა, რას იტყვი, ხატჩე?

ნ უ რ ი — ფიქრი ნუ გაქვს, შენი ცოლი ჯანმრთელია. ასე პატარა შეშინება არაფერს ავნებს არც მას და არც ბავშვს.

გ ი უ ზ ი ნ ი — (ხატჩეს გვერდით მიუჯდება) აბა, ვნახოთ, როგორ მიდის პერანგის საქმე. ოპო, ეს უკვე ახალია...

ნ უ რ ი — ვნახოთ. ამოდენა ხელებით უნდა დაიბადოს თქვენი პრინცი?

გ ი უ ზ ი ნ ი — აბა, რას ერევი ასეთ საქმეში, ნური? ზომ ხედავ ამეებისა არაფერი გაგეგება. დაბადებისთანავე კი არ ჩაიცვამს.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — ოპ, დავილაღე. დღეს რევიზია გვქონდა ბანკში.

ხ ა ტ ჩ ე — დაჯექი, დაისვენე, გენაცვალე.

გ ი უ ზ ი ნ ი — სტამბაში ვიყავი, ხატჩე, კორექტურები უნდა წამომელო. ის ტიპი ისევ ჯორზე შეჯდა.

ხ ა ტ ჩ ე — რა მინდაო?

გ ი უ ზ ი ნ ი — წინასწარ თუ არ გადაგიხდიათ ფული, ბროშურას არა ვბეჭდავთო. უკანასკნელი ფორმის აწყობას არც კი შესდგომია.

ხ ა ტ ჩ ე — არამზადა!.. ეს რა უმსგავსობაა!

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — მეც ვიყავი. გაეიგე თუ არა, მაშინვე მივეარდი, იმის დაყოლიება შეუძლებელია, წყლის ნაყვა იქნება. იმუქრება, ზეგამდე თუ არ გადაიხდით...

ნ უ რ ი — აკი ვამბობდი, სხვა სტამბა მოვჭებნოთ-მეთქი.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — ისე ლაპარაკობ. თითქოს არ გახსოვდეს! რამდენი სტამბა

შემოვიარეთ შენთან ერთად? ყველამ უარით გამოგვისტუმრა. პა, რას იტყვი, ხატჩე?

ეროვნული
გინჯლიროთეჟე

ნ უ რ ი — იქნებ... კიდევ მივიკითხ-მოვიკითხოთ.

ხ ა ტ ჩ ე — არა. დრო აღარ ითმენს: სამ დღეში მაინც უნდა დაიბეჭდოს ბროშურა. ვინ იცის, სამი დღის შემდეგ რა მოგველის. ის კი არა და...

ნ უ რ ი — პანიკა ნუ მოგიცავს.

ხ ა ტ ჩ ე — არ მიყვარს ასე უთავებოლო ლაპარაკი. რა შეაშია აქ პანიკა?! ფული უნდა ვიშოვოთ. უსათუოდ უნდა ვიშოვოთ. ახლავე, დღესვე...

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — სად ვიშოვოთ, ვის გამოვართვათ, ხატჩე?

გ ი უ ზ ი ნ ი — ვეჭილი მურადი არ მოგვეცემს?

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — არაფერი გამოვა. რაც ლექსების წიგნი გამოსცა თავისი ფულით, მორჩა, ველარ გიცენია კაცს. პა, რას იტყვი, ხატჩე?

ხ ა ტ ჩ ე — ფული უნდა ვიშოვოთ, დაუყოვნებლივ... კარგი... რაღაც მოვიგონე...

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — რა? რა მოიგონე, ხატჩე?

ხ ა ტ ჩ ე — ასე, წავიდეთ... იმედი მაქვს, ხვალ ნასადილევს ფული გვექნება. წამოდი, გენაცვალე. ნახვამდის, მეგობრებო!
(ხ ა ტ ჩ ე და ს უ ლ ე ი მ ა ნ ი გადიან)

გ ი უ ზ ი ნ ი — რა მშვენიერი დარია!

ნ უ რ ი — მაშა...

გ ი უ ზ ი ნ ი — ვერაფრის გულისთვის ვერ შევიყვარებდი სულეიმანს. პატიოსანია, კარგი კაცია... მაგრამ რაღაც მეტისმეტად უფერულია. მიყვირს პირდაპირ, როგორ შეიყვარა ხატჩემ! შენ არ გიყვირს?

ნ უ რ ი — არა.

გ ი უ ზ ი ნ ი — ჩემი საყვარელი ყვავილი — მიხაკია.

ნ უ რ ი — მართლა?

გ ი უ ზ ი ნ ი — ერთხელაც არა ვყოფილვარ შენს ოთახში, მზიანია?

ნ უ რ ი — არა.

გ ი უ ზ ი ნ ი — მე ისევ სულეიმანზე ვფიქრობ. იცი რა გითხრა, მარტო სულეიმანი კი არა, ჩვენც, ყველა, რალაცნაირი... ჩვეულებრივი ხალხი ვართ. ერთიც კი არ გვირეცია ისეთი... გამოჩენილი... მართალს არ ვამბობ?

ნ უ რ ი — მართალი ხარ.

გ ი უ ზ ი ნ ი — სულ დაანებე თავი პაპიროსს?

ნ უ რ ი — სულ.

გ ი უ ზ ი ნ ი — მერე, გეყოფა ნებისყოფა?

ნ უ რ ი — ა რ ა.

გ ი უ ზ ი ნ ი — სტანდარტული სახლების მშენებლობის დაპროექტება დაამთავრე?

ნ უ რ ი — არა.

გ ი უ ზ ი ნ ი — არქიტექტორი რომ არ იყო, რას ინატრებდი, რა ხელობას აირჩევდი?

ნ უ რ ი — არქიტექტორობას.

გ ი უ ზ ი ნ ი — ასე ძალიან გიყვარს შენი ხელობა?

ნ უ რ ი — პო.

გიუზინი — მაისისთვის მეც დავამთავრებ უნივერსიტეტს: როგორ გგონია, ვიშოვი სამუშაოს?

ნური — არ ვიცი...

გიუზინი — სულეიმანის მარცების განთქმული კოლექცია არ გინახავს?

ნური — არა.

გიუზინი — ძალიან მაინტერესებდა ნახვა და ხატჩემ მაჩვენა. რა ახირებულ ვატაკებია! არა?

ნური — ჰო.

გიუზინი — ამერიკელ სალდათებს, — აი ჯიპებს რომ დააქროლებენ ხოლმე, — ბალიქესირაში, დღისით-მზისით სამი თურქის ქალი გაუტაცნიათ... დილის გაზეთში წავეყიოთხე... შენც წაიყიოთხე?

ნური — წავეყიოთხე.

გიუზინი — რას იზამდი, იქ რომ ყოფილიყავი იმ დროს?

ნური — ვესროდი.

გიუზინი — რას ესროდი?

ნური — რევოლვერს.

გიუზინი — არ ვიცოდი, რევოლვერი თუ გქონდა. მუდამ თან დაატარებ?

ნური — არა, ხანდახან.

გიუზინი — რა მოგივიდა, ნური, რამდენი ხანია შეგამჩნიე, სხვებთან გაუთავებლად ლაპარაკობ ცისას და ბარისას, ჩემთან კი, დავრჩებით თუ არა მარტო, მაშინვე წყალს ჩაიგუბებ პირში...

ნური — ჰო...

გიუზინი — მაინც რატომ?

ნური — ისე...

გიუზინი — თავი მოგაბეზრე?

ნური — აბა, რას სულელობ?

გიუზინი — რას ნიშნავს „სულელობ“?

ნური — არაფერს... ისე... მართლაც რომ მშვენიერი ამინდია... ხეები... ღრუბლები... გამვლელ-გამომვლელი... კაცი... კაცმა... უფრო სწორედ, კაცს გინდა ბედნიერი იყო... გამიგე? ხომ ხედავ, ორი სიტყვა ვერ გადამიბამს. ადექი, წავედეთ... გინდა, შინამდე მიგაცილებ?

გიუზინი — შენ სად მიდიხარ?

ნური — მურადთან...

გიუზინი — ძალიან საჭირო საქმე გაქვს?

ნური — არა, არც ისე...

გიუზინი — მაშინ, იქნებ ცოტა ხანს დავსხდეთ. ჰა? თუნდაც ისე, ხმას ნურც ამოვიღებთ!

ნური — დავსხდეთ.

(შემოდის ფათმა, ალი, შაჰენდეს და ხასანი)

ფათმა — აგერ, თავისუფალი სკამი.

(ალი ვარდა ველანი სხდებიან სკამზე).

ალი — ერთ საათში მოგიციოთხავ, ბები.

ფათმა — კარგი, შეილო, კარგი, გენაცვალე. წადი.

(ალი შაჰენდეს დაუარავს თავს და გავა).

შ ა ჰ ე ნ დ ე — ფათმა-ხანუმ, ფუი ეშმაქს, არ გავთვალო — და, თქვენი შვილიშვილი პირდაპირ დევია...

ფ ა თ მ ა — დევია, დევია... ახლა, რა ჰქვია? ერთი ეს ჯარი მოიხადოს, ინჯინერი გახდება.

შ ა ჰ ე ნ დ ე — (ჰასანს მიმართავს) აქ წაითამაშე. ოღონდ, იცოდე, შორს არ წახვიდე.

ჰ ა ს ა ნ ი — არა, დედი.

შ ა ჰ ე ნ დ ე — ძალიან ძნელია, ფათმა-ხანუმ შვილის გაზრდა უმამოდ. ჰასანი ერთი წლის იყო, ჩემი კაცი რომ მოკვდა.

ფ ა თ მ ა — ვიცი, ჩემო კარგო, ძნელია... ჩემი ალი, უდემამოდ მყავს გაზრდილი. შვილი რომ მომიკვდა, აღის მამა, რძალმა მომიგდო ბავშვი და გათხოვდა...

შ ა ჰ ე ნ დ ე — გამოერევა ხოლმე ამისთანა უსინდისო დედა!

ფ ა თ მ ა — უსინდისოს ვერ ვიტყვი, — ყმაწვილი ქალი იყო... ქმარმა არ ინდომა სხვისი შვილი. კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა. არც მიეცემდი. აღის ჩავაგდებდი უცხო კაცის ხელში? ღმერთმა დამიფაროს! მამამისიც ასე ობლობაში მყავს გამოზრდილი. ჩემი ქმარი ომში დაიღუპა.

შ ა ჰ ე ნ დ ე — თქვენც ბევრი უსიხარულო დღეები გამოგივლიათ, ფათმა-ხანუმ. (შვილს გასძახებს) ჰასან, შორს ნუ მიდიხარ...

ჰ ა ს ა ნ ი — არსად არ მივდივარ, დედა, აქა ვთამაშობ.

შ ა ჰ ე ნ დ ე — დაიცა, ვინ მეუბნებოდა, ღმერთო მომაგონე... ჰო, სელმა... თქვენ მგონი იმ მეგაზეთეს... თუ რა ჰქვია... აი, ცნობილ ქიამილ-ბეის, ნათესავად მოხვდებით?

ფ ა თ მ ა — ნათესავად არა, ძიმა ვარ მისი.

შ ა ჰ ე ნ დ ე — ძალიან მდიდარს ამბობენ...

ფ ა თ მ ა — რა ბედანაა ჩემთვის მისი სიმდიდრე?

შ ა ჰ ე ნ დ ე — როგორ, არ გეხმარებათ?

ფ ა თ მ ა — მისგან დახმარება... თუმცა, რომ არ მოგატყუო, ცოტა-ცოტას მეხმარებოდა, ალი მიიბარა სკოლაში.

შ ა ჰ ე ნ დ ე — თქვენ თვითონ სადაური ბრძანდებით, ფათმა-ხანუმ?

ფ ა თ მ ა — სივარსელი ვარ... შიგ სივარსიდან არა, რა თქმა უნდა, მახლობელი სოფლიდან. მიაშბია კიდევ შენთვის... ჰო, დამელუპა ქმარი და დამრჩა ძუძუთა ბავშვი, არც მიწა მქონდა, არც არაფერი... უფროსმა ძმამ სტამბოლში წამიყვანა. სწორედ იქ ვაწოვებდი ძუძუს ქიამილს. მამამისი მდიდარი სოფდავარი იყო... სხვა სახლებშიაც ვმუშაობდი — ზოგს ვურეცხავდი, ზოგს ვულაგებდი, და გამქონდა ასე თავი...

შ ა ჰ ე ნ დ ე — მადლობა ღმერთს, ისევე მხნედა ხართ.

ფ ა თ მ ა — ნუ იქნები მხნედ, თუ კაი ქალი ხარ. პურს მექთად ვინ გაქმევს?!

შ ა ჰ ე ნ დ ე — აგერ, თქვენი შვილიშვილი მოიხდის სამხედრო სამსახურს და მერე თქვენს ბედს ძალლი არ დაჰყვებს.

ფ ა თ მ ა — ღმერთმა კაი ყურით გაგიგონოს... მოსვენებული სულით შეეკამ მაგის პურს... თქვენი ბიჭი საით გაიქცა?

შ ა ჰ ე ნ დ ე — (მიიხედ-მოიხედავს) აგე, იქ არის... (ჰასანს უყვირის) მანდ რას აკეთებ, ჰასან? აქ მოდი.

ჰ ა ს ა ნ ი — (შეჰყურებს მოპირდაპირე სახლის კედელზე მიყუდებულ მოტოციკლეტს). მოტოციკლეტს ვათვალე რებ, დედა... (საყვირს დაჰქერს



ხელს).

შაკენდე — ხელი გაუშვი, თავი დაანებე... ახლავე აქ მოდი.

პასანი — (ისევ აჭერს ხელს) — არაფერს ვაფუქებ, დედა.

შაკენდე — (წამოდგება) — აქ მოდი-მეთქი! ხელი გაუშვი...

პასანი — შეხედე, რა კარგი ხმა აქვს... (ისევ აჭერს ხელს).

(გაილება მოპირდაპირე სახლის ფანჯარა და მკერდგადაღილი კაცი გაღმოეწუდება)

შაკენდე — (შვილს მიუახლოვდება) ხომ ხედავ, ძია, ახლავე... შეხედე ფანჯარაში...

(პასანი ასწევს თავს, ფანჯარაში იყურება, თან კი საყვირს აჭერს ხელს. კაცი მოშორდება ფანჯარას)

პასანი — ხომ ხედავ, არ გამიჯავრდა.

შაკენდე — (შვილთან მივა) თავი გაანებე-მეთქი...

(პასანი ისევ აჭერს ხელს. ფანჯარაში კიდევ გამოჩნდება კაცი, ხელში რევოლვერს უჭირავს. პასანს ესერის. ბავშვი დედის ხელზე ეცემა)

პასანი

დიპლომატიური მიღება

(შემოდის პოლიციის უფროსი და ერთ-ერთ მოხელესთან მივა)

უფროსი — შინაგან საქმეთა მინისტრი სადა ბრძანდება?

მოხელე — აქ გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ, საფრანგეთის ელჩის მეუღლესთან ერთად.

უფროსი — ფუი, ეშმაკსაც წაუღიხარ...

(მიღის შინაგან საქმეთა მინისტრთან)

მინისტრი — რა ამბავია?

უფროსი — ძალიან დიდი საქმე გახლავთ, ბატონო მინისტრო... დიდი საქმე.

მინისტრის ქალი — მამა, მიღიხარ?

მინისტრი — (ქალიშვილს) გადაეცი მაღამს, რომ მომიტევოს.

ხუთი წუთით მივდივარ. პოლიციის უფროსისგანაც ბოდიში გადაეცი მაღამს.

(მინისტრი და პოლიციის უფროსი გვერდზე მიდგებიან)

მინისტრი — აბა, გისმენთ.

უფროსი — ამერიკელმა უნტერ-ოფიცერმა ბავშვი მოკლა.

მინისტრი — მიზეზი?

უფროსი — ბავშვი მისი მოტოციკლეტის საყვირს ათამაშებდა.

მინისტრი — რა ზომები მიიღეთ?

უფროსი — ბავშვი საავადმყოფოში გავგზავნეთ. ვედილობთ ბრბოს გარეკვას. ამერიკელი...

მინისტრი — დააპატიმრეთ?

უფროსი — არა... შეგვეშინდა, ხალხმა არაფერი უყოს... სახლს დაცვა მიუწინეთ, ოფიცერს კი ვურჩიეთ, ქუჩაში არ გამოსულიყო...

მინისტრი — კარგად მოქცეულხართ... ამის შესახებ პირადად მოველაპარაკებ პრემიერ-მინისტრს.

უფროსი — ოღონდ... თქვენო აღმატებულებავ...

მინისტრი — რა გინდა?

უფროსი — ჩვენი გაფრთხილების მიუხედავად, ამერიკელმა არ დაგვიჯერა და თავის შტაბში დარეკა... ჯიპმა მოაქითხა და... გაემგზავრა...
მინისტრი — კეთილი, კეთილი... ხალხი გარეკეთ. თქვენ თვითონვე შეაქციეთ ყურადღება.

(მინისტრი ისევ ძველ ადგილას ბრუნდება)

მინისტრის ქალიშვილი — რა მოხდა, მამა? ქალბატონი მეუღლე ელჩისა ძალიან დაინტერესდა...

მინისტრი — დიდი არაფერი. შენც ხომ იცი, კულტურის საქმეთა ამერიკული მისია ხვალ ბალს მართავს თურქი ბავშვებისათვის... ამის თაობაზე ვუბრძანე რაღაც...

ხმები:

! ჩვენი მარჯვენა გაყიდეს,
ჩვენი თვალები გაყიდეს,
სისხლით და ხორციით გაგვეყიდეს;
ჩვენი მშობელი ველები,
ჩვენი თვალები, ხელები,
ჩვენი საშობლო გაყიდეს.

პირველი დიქტორის

ხმა

— მშობელო მზარევე, გაგვიდეს!

ხმები

— ვაჭრობა გრძელდება!..

ფარდის წინ

(გაიღიან გლეხები და გლეხი ქალები, ოთხი ენდარმისა და უფროსი სერჟანტის თანლებით. კაცებს ხელეზზე ხელბორკილები ადევთ.)

ბალილი — ბატონო უფროსო... ბატონო უფროსო...

I ეანდარმი — (პალილს) — სერჟანტს მოახსენე. (უფროს სერჟანტს) ბატონო უფროსო სერჟანტო, ამ ბერიკაცს რაღაც სათქმელი აქვს შენთან.

უფროსი სერჟანტი — რა უნდა?

ბალილი — დედაკაცებს მეტი აღარ შეუძლიათ, ბატონო უფროსო სერჟანტო, მუხლები ეკეცებათ.

უფროსი სერჟანტი — არ შეიძლება. მთავრობის წინააღმდეგ რომ გამოდიოდნენ ნაჯახებითა და კეტებით, მაშინ ვინ ფიქრობდა დასვენებაზე? არა, დასვენება არ შეიძლება, უფლება არ გვაქვს. აბა, ჰაიდა!

მემიში — შენ რა, არც დედა გყავს, არც დები?

უფროსი სერჟანტი — ჩემს დებთან შენ რა გესაქმება, არამზადავ?

I ეანდარმი — თქვენი საქმისა, თქვენ უკეთ მოგვხსენებათ, ბატონო უფროსო სერჟანტო, მაგრამ ამ დედაკაცებს მართლაც აღარ შეუძლიათ სიარული.

II ეანდარმი — კიდევ გაფშევენ ფეხს გზაში, მერე მიდი და შენ აგე პასუხი. ხომ იცი, ჩვენში როგორ იტყვიან, ბატონო უფროსო სერჟანტო: ბრმა მოკვდა და ქება მერე დაუწყეს — თვალებიც კარგი ჰქონდა და შობსაც ხედავდაო...

უფროსი სერჟანტი — ეტყობა, თქვენ თვითონვე დაილაღეთ. ჯანდაბამდის გზა გქონიათ! ათი წუთით შეისვენეთ (საათს უყურებს).

(ერთად შექუჩებული ქალები მიწაზე ჩამოსხდებიან, ისე რომ ზურგი კაცებისკენ აქვთ შექცეული, რამდენიმე ხნის შემდეგ შორიდან მოისმის მემემდის სიმღერა.)



ადანის გზები ქვით ნაფენია,
ჯიბეში გროშიც არ დამჩენია,
ო, ჩემო სელო, ო, ჩემო გულო,
კვედობა, სიციცხლე რადგან შენია.

გიულსიუმი — ჩემი ბიჭია!
ხასიბე — რაზე ატყობ?

გიულსიუმი — სიმღერაზე. ჩვენს ახლომახლო სოფლებში ამ სიმღერას მხოლოდ ის მღერის. (მემედო კულისებში უსტევენს იმავე სიმღერას. თანდათან ახლოვდება. ჰალილს) გახსოვს, ორი თვის წინ წერილი გამო- მიგზავნა: დედა, უფროსსა ვთხოვ, მოგინახულებო...

უფროსი სერჟანტი — (საათს დაჰყურებს) ექვსი წუთი დაგრჩათ. (მემოდის მემედი. მხიარულად უსტევენს. დაბნეულია).

მემედო — სალამ-ალეიქუმ?! (უფროსი სერჟანტს რომ დაინახავს, ხელს აუღებს) მეოთხე პოლკის, მეორე ბატალიონის, პირველი ოცეულის სალდათი... (შენიშნავს ჯერ დედას, მერე ჰალილს). დედა... ჰალილ-ალა...

გიულსიუმი — მემედ, შეილო!

მემედო — რა მოხდა, ბატონო უფროსო სერჟანტო, რა დაშავა ამ ხალხმა? ესენი ჩვენებურები არიან. ეს დედაჩემია. მაინც რა ჩაიდინეს? ეს რაა, დედა, სისხლი?

(დედას მივარდება).

I ეანდარმი — (შეაჩერებს) — შესდექ! უკან გაბრუნდი...

უფროსი სერჟანტი — შენ, ეი... დეზერტირი ხარ?

მემედო — არა, ბატონო სერჟანტო, შვებულებაში ვიმყოფები. აი, შვებუ- ლების ქალაღი... დედაჩემს რაღას... ან ამ ჩვენებურ ხალხს რას ერჩო- დით? ისეე მიწის თაობაზე?

ჰალილი — სოფლიდან გამოგვრეკეს, შეილო...

მემედო — ვინ გამოგვრეკათ?

ჰალილი — ჩვენს მიწებზე აეროდრომი უნდა ააგონ.

უფროსი სერჟანტი — აბა, ენა დაიმოკლეთ!

მემედო — თქვას, დააცადე, შენი ჰირიბე, დააცადე!

ჰალილი — ინჟინრები მოვიდნენ... ჩვენებიც, ამერიკელებიც...

მემედო — მერე, მერე რა მოხდა? ნუთუ დაუთმეს ჩვენი მიწა?

გიულსიუმი — არა, არ დაუთმეს... მთელი სოფელი აღდგა...

უფროსი სერჟანტი — მთავრობის წინააღმდეგ აღდგნენ! წამომწყები კი ეს გახლდათ, შენ რომ დედას ეძახი...

ჰალილი — ეანდარმებმა გვაჯობეს.

II ეანდარმი — აბა რა გეგონათ? ერთი, ორი... და დავამარცხებთ ეანდარ- მებსრა?

მემიში — შეგიპყრეს წამომწყები ხართო — ქალაქში მიგვერეკებიან სასა- მართლოში.

მემედო — სოფელს? სოფელს რაღა მოუვიდა? მიწები წაიღეს?

გიულსიუმი — წაგვართვეს...

მემედო — მაშ, უკვე აღარ არის ჩემი სოფელი?

უფროსი სერჟანტი — აღარა.

მე მე დი — ბატონო უფროსო სერჯანტო, თქვენს ყურებს თუ ესმის ის, რასაც თქვენი ენა ამბობს?

უფროსი სერჯანტი — ამით რისი თქმა გნებავს, არამზადავ?

მე მე დი — ხალხი? ხალხი სადღაა?

ჰალილი — წაეიდნენ — ვინ საით და ვინ საით.

მე მე დი — მე სადღა უნდა წაეიდე?

უფროსი სერჯანტი — ჯოჯოხეთში, ჯანდაბაში!

I ქანდარში — ციხეში წახვალ, დედაშენის მოსანახულებლად.

(მე მე დი მოულოდნელად მივარდება ქანდარში, თოფს გამოვლევს და გვერდზე გადატება. მაშინვე შეშართავს თოფს).

მე მე დი — ფეხი არ მოიცვალთ!

უფროსი სერჯანტი — რას ბედავ, ძალიწვილო?

მე მე დი — არ მომეკაროთ! სულს გაგაფრთხობინებთ! მშვიდობით, დედა. მშვიდობით, ჰალილი-ალა. მშვიდობით, ძია მეშიშ, მშვიდობით.

გიულსიუმი — საით მიდიხარ?

მე მე დი — მთებში. შენ კიდევ გაიგებ ჩემს ამბავს, დედა... (უფროს სერჯანტს) შენ კი, გესმის, თვალით აღარ დამენახო!

(გაღის)

უფროსი სერჯანტი — დაედევნეთ! ესროლეთ!

I ქანდარში — ამათთან ვილა დარჩება?

II ქანდარში — ვის უნდა ვესროლოთ? ხეებს? ტყეს?

უფროსი სერჯანტი — ჯანდაბამდე გზა გქონიათ!.. ახ, შე კუდიანო, დამაცა, ციხის სარკმელიდან გაყურებიანებ შეილის ჩამოხრჩობას.

ქიამილის კახიანები გაჯეთის რედაქციაში

(ქიამილი და მისი მდივანი)

ქიამილი — პირველ სვეტში რა ფოტო მიღის?

მდივანი — (უბის წიგნაკში იყურება) პირველ სვეტში — პრემიერ-მინისტრის პორტრეტი. შუაში — მესამე, მეოთხე, მეხუთე კოლონებში — ამერიკული იარაღის გამმოტიერთვა ისკანდერუნის ნავსადგურში. მეორე, მესამე კოლონის ქვემოთ — მკვლელობა აივანსარაში. მკვლელის პორტრეტი. მარჯვენა, ქვემოთ — კარიკატურა.

ქიამილი — არ კმარა. აგერ მესამე დღეა, პირველ გვერდზე ქალის ფოტო სულაც არ მოგვითავსებია.

მდივანი — კეთილი. შევარჩევ რამეს.

ქიამილი — რამე რას მიქვიან, — ისეთი გოგო უნდა შევარჩიოთ, რომ სულ ნერწყვი მოსდიოდეთ.

მდივანი — შევარჩევ. ტაქსინიდან სტატია მოვიდა.

ქიამილი — რა სათაურით?

მდივანი — „მთავრობის გადაწყვეტილებას კორეაში ჯარების გაგზავნის შესახებ, საშუაან წრეებში კმაყოფილებით შეხედნენ“.

ქიამილი — ორ სვეტში მიეცი.

მდივანი — კეთილი. ის ბიჭი საავადმყოფოში მოკვდა, აი, ამერიკელმა რომ ესროლა. დაებეჭდეთ?

ქიამილი — არა, ჯერ თავი შევიკავოთ, მაგრამ სხვა გაზეთებში თუ გამო-
აქვეყნეს, ჩვენც არ უნდა ჩამოვრჩეთ.

მდივანი — გასაგებია. სხვათა შორის, მკვლელი ამერიკაში გაგზავნეს
თეთმფრინავით.

ქიამილი — საინტერესო რეპორტაჟი უნდა გავაკეთოთ. იცი, როგორი?
ანკეტის მსგავსად.

მდივანი — არ იქნება ურიგო.

ქიამილი — დაიცა, რა მოვიფიქროთ? დამაცა!

(ფანჯარასთან მივა. ფიქრობს).

მდივანი — ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა.

ქიამილი — დამაცა... გაჩუმდი... აქ მოდი! ქუჩაში გაიხედე აბა, დაითვალე.
რამდენი მათხოვარი იქნება აქედან, აგერ, იმ კუთხემდე?

მდივანი — მათხოვრები? ერთი, ორი. სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი...
იმასაც თუ მივათვლით — რვა...

ქიამილი — ერთ ქუჩაში — რვა მათხოვარი!.. განა ეს არ კმარა იმის და-
სამტკიცებლად, რომ რაღაც საშინელი ორგანიზაცია არსებობს, მათხოვ-
რების ორგანიზაცია. გაიგე? დამაცა. იქ უყურე. აი იქა, ბავშვიან კაცს
შეხედე, კედელს რომ მიეყრდნო. აბა, წადი და აქ მომგვარე. პირველ
ანკეტას მე შევაფხვებ. აბა, გასწი.

მდივანი — არის!

(გაღის. ქიამილი ერთ-ერთი ტელეფონის მიღს აიღებს)

ქიამილი — ალო... მე ვარ. როგორაა საქმე, ცოლიკო? ძალიან მოუსვენრად
ვარ და იმიტომ დაგირეკე, რამდენი აქვს სიცხე ბავშვს? ოცდაჩვიდმეტი
და ხუთი? (რეკავს მეორე ტელეფონი) კარგი. ადრე მოვალ. კარგი,
კარგი... (დადებს მიღს... მეორეს აიღებს) გისმენთ. მე ვარ, ქი-
ამილი. ა-ა, გამარჯობა. როგორც ეტყობა, ზოგჯერ თქვენც დაგვეძებთ.
რაო, რაშია საქმე? ჰო, ოქროს ფასი ალბათ აიწევეს. უსათუოდ. კარ-
გი (დადებს მიღს. შემოდინ მდივანი, ოსმანი და მისი გოგონა).

მოიყვანე? ძალიან კარგი (მიიხედ-მოიხედავს. კაბინეტში მხოლოდ
ტყავის სავარძლები დგას). იქიდან გამოიტანე სკამი. (მდივანი გაღის.
ქიამილი ათვალიერებს ოსმანს და მის გოგოს. მერე საწერ მაგიდასთან
მივა. მდივანი სკამს შემოიტანს და კუთხეში დადგამს). მანდ არა, უფრო
ახლოს, ჩემს პარდაპირ. (მდივანი გადადგამს სკამს. ქიამილი ოსმანს
ანიშნებს — დაჯექიო. ოსმანი დაბნეულია. დაჯდება. გოგონა მამის
გვერდით დგას) აბა, შეხედე (პორთფელიდან ფულს ამოიღებს და მაგი-
დაზე დადებს) თუ კარგად მიპასუხებ ყველა კითხვაზე, ეს ხუთიანი შენი
იქნება, გაიგე?

ოსმანი — გაიგე.

ქიამილი — ეს გოგო საიდან ჩამოიყვანე?

ოსმანი — ჩემი შვილია.

ქიამილი — სიმართლე მითხარი. ნურაფრის გეშინია.

ოსმანი — რისი უნდა შეშინოდეს, ბატონო, ამჟებულ ფლავი არ მიჭამია,
რომ მუცელი მტკიოდეს.

ქიამილი — რამდენი ხანია, მათხოვრობ?

ოსმანი — მე არ ვმათხოვრობ.

ქიამილი — თქვი, ნუ გეშინია, სიმაართლე მითხარი. (ცოდვე იღებს ფულს და მაგიდაზე დებს). შეხედე, სიმაართლეს თუ მეტყვი, ეს ნამიანიც შენი იქნება. გაიგე?

ოსმანი — გავიგე.

ქიამილი — თქვენი მეთაური ვინ არის? რამდენს აძლევთ შემოსავლიდან?

ოსმანი — ვერაფერი გამოივია.

ქიამილი — კარგი ერთი, თავს ნუ იკატუნებ! სოფელს ხებრეს ნუ ჰბაძავ.

ოსმანი — არავისაც არ ვბაძავ.

ქიამილი — კარგი, ასე იყოს... ვნახოთ, ვინ უფრო ეშმაკია! მამ ახლა ეს მითხარი, სადაური ხარ, ძმობილო? აქ რას აკეთებ?

ოსმანი — ადენელი გახლავარ, ბეი, სოფელელი. სამუშაოს საძებნელად ჩამოვედი. მაგრამ ხომ იცი, ანკარა დიდი ქვაბია, მე კი ციციხევიით ვტრიალებ და ვტრიალებ, უფრო მსუქან ნაჭერს ვეძებ, სამუშაოს ვეძებ, ჩემო ბატონო. ვეძებ და ვერ მიპოვია.

ქიამილი — გამოდის, რომ... გამოდის, რომ სოფელში აღარ არის სამუშაო.

ოსმანი — ასეა, აღარაფერი დარჩა... მიწა, ჩემო ბატონო, იმდენი მაქვს, რამდენიც ცრემლი მკვდარს თვალებში. ადრე სელმან-ბეის მიწაზე ვმუშაობდი სანახევროდ, ახლა იმანაც ამერიკული რკინის ხარი იყიდა.

ქიამილი — რკინის ხარი რაღა?

ოსმანი — მანქანა, რკინის ხარი...

მდივანი — ტრაქტორი, ტრაქტორს გულისხმობს.

ქიამილი — კარგი. მერე?

ოსმანი — მერე-და, მიწა ბეის ეკუთვნის, მანქანაც ბეის აქვს: რაღა სანახევროდ დაიქირავოს ხალხი — ეს მანქანა ორ დღეში მოუხნავს მთელს მიწებს. მაძლარ ბატონს მშვიერი გლეხიც მაძლარი ევონაო. მთელი სოფელი უმუშევრად დარჩა. ღმერთთა მოწმე, თორმეტი დღე ისე შესრულდა, პური თვალით არ გვინახავს.

ქიამილი — ეჰ, რა ჯიუტი ყოფილხარ! არ გინდა ხომ, ეს რვა ღირა ჯიბეში იყარა? სხვებიც არიან აქ, თქვენებურები?

ოსმანი — მართო ჩვენი სოფლიდან ორმოცზე მეტი კაცია.

ქიამილი — შენ რომ გიყუროს კაცმა, ახლა იმასაც დაახეთქებ, რაც ქალაქში მათხოვრებია — სულ უმიწაწყლო გლეხებიაო. (შემოდის შიკრიკი) რა ამბავია?

შიკრიკი — თქვენი ძიძა გახლავთ, ფათმა-ხანუმი.

ქიამილი — კარგი. უთხარი, ცოტა ხანს დამელოდოს... დაიცა, აყალმაყალს ამიტეხს დედაბერი, ეწყინება, რას მალოდინებსო... შემოიყვანე.

მდივანი — იქნებ მართლაც გლეხი იყოს! ბოლოდროს მაინც განზირდა...

ქიამილი — ეგ სულერთია, ტანსაცმელი მაინც ტიპური აცვია. გადაულე სურათი. გამოგვადგება სტატიისათვის — „მათხოვრობის ახალი მეთოდები“, გაიგე? (მაგიდიდან იღებს ფულს და სამ ღირს ოსმანს აძლევს) აჰა, აიღე, სამი ღირა ნამდვილად გეკუთვნის, ჩემზე ეშმაკი გამოდგეი...

ოსმანი — ღმერთთა მოწმე, ბატონო, რომ ყველაფერი მართალი მოგახსენე.

ქიამილი — წადი, წადი...

ოსმანი — ბეი, იქნება ბალი გჭონდეს, ან ვენახი?

ქიამილი — მერე შენ რა?



ოსმანი — დაბარვის დროა. დავიმუშავებდი.

ქიამილი — მე ჩემი მებაღე მყავს. გასწი, წადი.

ოსმანი — მადლობელი ვარ, ბეი...

(ოსმანი და გოგონა გადიან. მდივანი მათ მიჰყვება. გამოჩნდებიან ფათმა და ალი).

ქიამილი — შემოდი, შემოდი, ძიძა! შემოდი, დედილო! გამარჯობა ალი! ალი — გაგიმარჯოთ, ძიძა ქიამილ...

ფათმა — ამ გლეხს აქ რა უნდოდა?

ქიამილი — გლეხი არაა, მათხოვარია.

ფათმა — მადლობა ღმერთს, ჯერ ისე არ დაებრმავებულვარ, შეილო, რომ მათხოვარი და გლეხი ვერ გავარჩიო. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდები...

ქიამილი — გლეხია თუ მათხოვარი... სულ ერთია... შენ ის მითხარო, დედი, სად დაიკარგე? რამდენი თვეა აღარ გამოჩენილხარ. არ ვარგა ასე, არ ვარგა. ხალხს ივიწყებ...

ფათმა — კარგი, შეილო, საყვედურებით ნუ ამავსე! საქმეზე ვარ მოსული.

ქიამილი — შენი ხმალი და ჩემი კისერი — მიბრძანე!

ფათმა — ალის კორეაში გზავნიან!

ქიამილი — ეს ხომ სულ ახლახან გახდა კურსანტი?

ალი — ვინც ინგლისური იცის, იმას სასწავლებლის დამთავრებამდე აგზავნიან, ძიძა ქიამილ... ორ თვეში...

ქიამილი — აჰ, ასეა? (აკაკუნებენ) შემოდით! (შემოდის მდივანი) რა ამბავია? ცოტა ხანს დაიცადე.

(მდივანი კუთხეში გაჩერდება).

ფათმა — იმ ამერიკელს რა უყვეს, ნეტავ. ჩემს თვალწინ მოკლა ბაეშეი. გარეწარი!

ქიამილი — გაასამართლებენ.

ფათმა — ჩვენს სასამართლოში?

ქიამილი — რა თქმა უნდა? (მაუზა) მაშ ასე... ალის კორეაში გზავნიან, ჰა?

ფათმა — გზავნიან.

ქიამილი — მაშ, ასე...

ალი — დიახ.

ფათმა — გამიგონე, შეილო. შენ ხომ იცი, რომ ალის მეტი ქვეყნად არავინ გამაჩნია.

ქიამილი — ოჰო, ასეა საქმე? მე რაღა ვარ?

ფათმა — მე შენ ძუძუს ვაწოვებდი, შენც ჩემი შეილი ხარ, მაგრამ კორეაში შენ კი არ გავზავნიან, ამას გზავნიან.


ქიამილი — ჰო...

ფათმა — გამიგონე, ქიამილ, ჩემო შეილო, ეს თხოვნა უნდა შემისრულო, მიდი, მინისტრს სთხოვე... შენ თვითონ უკეთ არ იცი, შეილო. ვის უნდა სთხოვო? შენც ხომ მათი კაცი ხარ. რაც გინდოდეს, ისა ქენი, ოღონდ ალი დამიტოვე.

ქიამილი — მაშ, ისე უნდა მოვაწყო საქმე, რომ ალი კორეაში არ გავზავნონ.

ფათმა — მადლობა, ალი რომ გაგზავნიან. შეილო. მიმ სთხოვე ფინქეს...

ქიამილი — ალი, გესმის, რასა მთხოვს ბებიაშენი? იცით თქმა





თარგმანები
გიორგი მთავრის

ა ლ ი — ჰო, მაგრამ, ძია ქიამილ...

ქ ი ა მ ი ლ ი — რა? დაამთავრე...

ა ლ ი — კორეაში წასვლა, ჩემი აზრით...

ქ ი ა მ ი ლ ი — (სიტყვას წაართმევს) — კორეაში წასვლა, ჩემი აზრით, ეს არის სამშობლოს წინაშე ვალის მოხდა...

ა ლ ი — არ ვიცი, კორეაში წასვლას რა კავშირი უნდა ჰქონდეს სამშობლოს წინაშე ვალის მოხდასთან... და...

ქ ი ა მ ი ლ ი — ეს რა ამბავია? როგორი მსჯელობაა?

ფ ა თ მ ა — რას უყვირი ბავშვს?

ა ლ ი — ძია ქიამილ, მე ის მინდოდა მეთქვა, რომ იქნებ მართლაც იყოს სამშობლოს წინაშე ვალის მოხდა, მაგრამ მე...

ქ ი ა მ ი ლ ი — არა! შენ ლაჩარი ყოფილხარ!

ფ ა თ მ ა — ქიამილ!

ქ ი ა მ ი ლ ი — ლაჩარია, ლაჩარი!

ა ლ ი — დიახ... მე არ მინდა სიკვდილი, არ მინდა მოკვლედე... მე ოცი წლისა ვარ...

ფ ა თ მ ა — სჯობს, ისინი მოკვდნენ, ვინც შენ იქ გაგზავნის.

ქ ი ა მ ი ლ ი — დედი!

ფ ა თ მ ა — ქიამილ, მე შენ შვილად მიმაჩნდი, ნუ დამაწყველინებ ჩემს ძუძუებს. გესმის?

ქ ი ა მ ი ლ ი — დეზერტირებს არ ვმფარველობ.

ა ლ ი — მე ხომ...

ქ ი ა მ ი ლ ი — არა გრცხვენია?

ფ ა თ მ ა — რისი უნდა რცხვენოდის? რა საშარტყინოა, რომ კაცს უპიზნო და სულელური სიკვდილი არ უნდოდეს, ცხრა მთას იჭით?

ქ ი ა მ ი ლ ი — დედი, ისეთ რამეს ნუ მთხოვ, რისი გაკეთებაც არ შემძლია.

ფ ა თ მ ა — მაშ, ასე, არა?

ქ ი ა მ ი ლ ი — ჰო... ვითომც არაფერი გეთქვას... მეც არაფერი გამიგონია... გესმის?

ფ ა თ მ ა — შენ კიდევ ძიას ეძახი ამ...

ა ლ ი — ძია ქიამილ, გათხოვთ, ცოლად ნუ გამოივებთ.

ქ ი ა მ ი ლ ი — (მდივანს) რა გინდოდა?

მ დ ი ვ ა ნ ი — ის კაცი ნამდვილად გლეხი ყოფილა.

ქ ი ა მ ი ლ ი — ვინც უნდა იყოს... მე წავედი. (კარებში შეჩერდება) ვნანობ, რომ სასწავლობოლში გააგზავნენ, ალი; ბეზიაშენს, დაღუპული გმირის ცოლს, დიდებულ ქალს, შენ...

ფ ა თ მ ა — გაჩუმდი, ქიამილ, გადი! თვალიდან დამეკარგე, აღარ დამენახო! (ქ ი ა მ ი ლ ი ვადის).

ა ლ ი — ძალიან გადააქარბე, ბები... იქნებ... ხომ იცი...

ფ ა თ მ ა — შენც ერთი...

მ დ ი ვ ა ნ ი — (დაკონივით) — უნდა მოგახსენოთ, ფათმა-ხანუშ, რომ თქვენს საქმეს ჩინებულად მოაგვარებენ კანტორაში, აი ჩვენს პირდაპირ რომ გახსნეს.

ფ ა თ მ ა — რა კანტორაა?

მ დ ი ვ ა ნ ი — მშვიდობის მომხრეთა საზოგადოება.



აღი — რას დასცინით?

ფათმა — რად უნდა დამცინოს? მაინც ვინ არიან ეს მშვიდობის (მტკბარეები?)

მდივანი — დიდი ხალხი! კარგი იქნებოდა, თქვენ თვითონვე მისტრად დასცინოთ.

აღი — სხვა ვერაფერს ნახეთ დასაცინი?

ფათმა — მივდივარ.

აღი — ხომ არ გაგაუღი, ბები!

ფათმა — შენ არაფერს გეკითხება, მივალ, ახლავე იმათთან მივალ...

(ფათმა კარებისაკენ გასწევს).

მეზიდოღის მომხატვა საზოგადოების გამგეობა

(ნური მაგიდას უზის და სტატის წერს. მეორე მაგიდასთან გიუზინი ზის და გმრეფის საზოგადოებაში წერს)

გიუზინი — პროფესია?

გმრეფი — მწერალი. უფრო სწორედ რომ ვთქვა, მთარგმნელი.

გიუზინი — ესეც ასე. მორჩა.

(მეზიდის ხატჩე. ლაბადა აცვია).

ხატჩე — გამარჯობათ.

გიუზინი — გაგიმარჯოთ, ხატჩე.

ნური — გამარჯობა, ხატჩე.

გმრეფი — უკვე მიმიღეს, ექიმო.

ხატჩე — ძალიან კარგი...

გმრეფი — ახლა დამავალეთ რამე. ოღონდ არა როგორც ექიმმა, არამედ როგორც თავმჯდომარემ.

ხატჩე — მასალებს გათარგმნინებთ ხოლმე ეურნალისათვის.

გმრეფი — ეს თქვენ ისე თქვით, როგორც სამედიცინო მუშაკს შეეფერება... ასე იყოს. კიდევ?

ხატჩე — არ ვიცი. რაც...

გმრეფი — დაივიწყეთ, რომ ჭლეჭიანი ვარ!

ხატჩე — ერთ კვირაში, ან ათ დღეში მაინც, მოწოდება უნდა გამოვაქვეყნოთ. თქვენ მის გავრცელებაში დაგვეხმარებით.

გმრეფი — აი, ასე. მადლობელი ვარ. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი ვარ. მინდა გისურვოთ, რომ თქვენც ძალიან, ძალიან ბედნიერი იყოთ... რომ თქვენი ყელსაბამი თქვენს მომავალ რძალს უსახსოვროთ... მაგრამ დღეს რატომ არ გიკეთიათ, ექიმო, ყელსაბამი?

გიუზინი — ჰო, მართლა...

ხატჩე — ახლა წავალ და ცოტას წავიმუშავებ...

გმრეფი — ნახვამდის, ექიმო, ნახვამდის, გიუზინ-ხანუმ. (ნურის თავს დაუკრავს) მშვიდობით. როდის მოვიდევ?

ხატჩე — ამ კვირია შემოიარეთ.

გმრეფი — უსათუოდ მოვალ, მადლობელი ვარ.

(ვადის)

ხატჩე — ჰო... ფული ვიშოვე, სულეიმანმა წაუღო კიდევ გამომცემელს. მოწოდებასაც დაგვიბეჭდავს.

(ვადის მეორე ოთახში)

ნური — მე ხომ ბეწვის საყვლოიანი საზამთრო პალტო მაქვს, აგერ ოქროს საათიც. ვაი, სირცხვილო, რატომ ვერ მოვიფიქრე, რომ გამეყიდა (პაუზა) სულაც არ მომგონებია. ამიტომ გეზიზღები, არა?

გ ი უ ზ ი ნ ი — არა, მეც ხომ არ მომფიქრებია.. მეც ხომ შემეძლო, გამეყიდა ეს ოქროს სამაჯურები?! (ნურის ელიმება) რა გაცინებს? რა გინდა?

ნ უ რ ი — (არაბუნებრივი პათოსით) როგორც მელოდრამებშია ხოლმე, საგვარეულო ყელსაბამი მსხვერპლად ეწირება იდეალებს... ძველ ფრანგულ რომანში წამიკითხავს ამის მსგავსი რამ.

გ ი უ ზ ი ნ ი — ახლა კი მართლაც მეზიზღები.

(გ ი უ ზ ი ნ ი მუშაობს. ნ უ რ ი წამოდგება, თავის პორტფელს გახსნის, იქიდან მიხაკს ამოიღებს და შეუმჩნევლად დადებს გ ი უ ზ ი ნ ი ს მაგილაზე. რამდენიმე წნის შემდეგ გ ი უ ზ ი ნ ი შენიშნავს ყვავილს.)

გ ი უ ზ ი ნ ი — ეს რა არის?.. საიდან გაჩნდა?

ნ უ რ ი — აკი წითელი მიხაკი მიყვარსო.

გ ი უ ზ ი ნ ი — მადლობელი ვარ.

(მიხაკს გულზე დაიბნევს. შემოდის ისმაილი.)

ი ს მ ა ი ლ ი — გამარჯობათ, ყმაწვილებო.

გ ი უ ზ ი ნ ი და ნ უ რ ი — გაგმარჯოს, ისმაილ! შენ რა, დღეს ფაბრიკაში არ წასულხარ?

ი ს მ ა ი ლ ი — გუშინდელს აქეთ, ჩვენი ფაბრიკა დღეგამოშვებით მუშაობს. ეტყობა, მალე სულაც დახურავენ.

ნ უ რ ი — ყველაფერი მარშალის გეგმით მიდის!

ი ს მ ა ი ლ ი — ალყაშემორტყმული რომ ვართ, არ შეგინიშნავთ?

(შემოდის ხ ა ტ ჩ ე)

ნ უ რ ი — რაზე ამბობ, ჯამოშები რომ მორიგეობენ კარებთან და კიბესთან?

გ ი უ ზ ი ნ ი — ჩვენც შევნიშნეთ. არა უშავს... ჩვენი საქმე განვაგრძოთ.

ხ ა ტ ჩ ე — უნდა გამოვიყვანოთ ყოველგვარი ლეგალური შესაძლებლობანი, ყოველგვარი...

(შემოდის ფ ა თ მ ა)

ფ ა თ მ ა — უკაცრავად, მომხრეების კანტორა აქ არის?

ნ უ რ ი — აქ მშვიდობის მომხრეთა საზოგადოება გახლავთ, დედი.

ფ ა თ მ ა — თქონთან რალაც საქმე მაქვს, თანაც...

ხ ა ტ ჩ ე — დაბრძანდით, დედი.

ფ ა თ მ ა — (ჯდება) შეილიშვილი მყავს... ალი. ჩემი ერთადერთი იმედი... მეტი არავენ გამაჩნია. ახლა სამხედრო სასწავლებელშია. ჰოდა, წარმოიდგინეთ, უნდა ასწიონ და ორი თვის შემდეგ კორეაში გაგზავნონ... წარმოგიდგენია?

ხ ა ტ ჩ ე — ვიცი, გავიგე, დედი.

ფ ა თ მ ა — ახლა თქვინთან მომასწავლოს, ჩემო შვილიკო, თურმე, თქვენ თუ მოინდომებთ ია ჩაარევით საქმეში, ალარ გაგზავნიან კორეაში.

ნ უ რ ი — მოუტყუებიხართ, დედი.

ი ს მ ა ი ლ ი — არა, კი არ მოუტყუებიხართ. მაგრამ...

ფ ა თ მ ა — ნუ დამაბნით, გამაგებინეთ, მართლა მომატყუეს, თუ არა?

ხ ა ტ ჩ ე — დიდა. ჩაინ მოვითხოვეთ, რომ არც ერთი თურქი ახალგაზრდა კორეაში არ გაგზავნონ...

ფ ა თ მ ა — მართალი ხარ... აბა რა ესაქმება ჩვენს ხალხს კორეაში?



- ხ ა ტ ჩ ე** — ჩვენ ომის წინააღმდეგ გამოვდივართ.
- ფ ა თ მ ა** — ეს კარგია... მეც ომში დაეკარგე ქმარი. ახლა კი, ღმერთმა, დედაც
- ლ**ოს მათი თავი, ალის წართმევაც უნდათ.
- ხ ა ტ ჩ ე** — მაგრამ თქვენი ალის გაგზავნაში ხელს ვერ შევეშლით, ვერაფერს გაეხდებით...
- ფ ა თ მ ა** — მაშ, რაღას აკეთებთ?
- ხ ა ტ ჩ ე** — ჩვენ ვეუბნებით თურქ ხალხს ომის საშინელებაზე, ვეუბნებით, რომ კორეაში ჩვენი ჯარისკაცების გაგზავნა — თურქი ხალხის გაყიდვას ნიშნავს. მოვეუწოდებთ ხალხს მშვიდობისათვის საბრძოლველად. შენც ხომ იცი, დედი, რომ ყველა ქვეყანაშია ასეთი ხალხი — ერთი და ორი კი არა, მილიონები! და ყოველ მათგანს ჰყავს თავისი ალი, თავისი შვილები, შვილიშვილები...
- ფ ა თ მ ა** — აჰა, მაშ თქვენ ცალ-ცალკე კი არა, არამედ, როგორც იტყვიან, ყველასათვის ერთბაშად იბრძვით, არა?..
- ნ უ რ ი** — (იღიმება) კარგად მიგვიხვდი, დედი, სწორედ რომ ყველასათვის ერთად!
- (შემოდის მ უ რ ა დ ი).
- მ უ რ ა დ ი** — გამარჯობათ, მეგობრებო.
- ხ მ ე ბ ი** — გაგიმარჯოთ, მურად! სალაში, მურად! სად დაიკარგე?
- ფ ა თ მ ა** — შენც საზოგადოებისა ხარ, შეილო?
- ი ს მ ა ი ლ ი** — ეს ჩვენი საზოგადოების ვეჭილია.
- ფ ა თ მ ა** — ეჰ, ვეჭილი ხარ, შეილო? რა გქვია?
- მ უ რ ა დ ი** — მურადი.
- ფ ა თ მ ა** — ყური დამიგდე, ბატონო მურად! თქვენთან მოვედი საზოგადოებაში და ვთხოვე, ჩემს ალის კორეაში ნუ გაგზავნიან-მეთქი. აქ მეუბნებიან, ჩვენაო ყველასათვის ერთბაშად ვიბრძვითო, ვცდილობთ, რომ არავინაც არ გაგზავნონო...
- მ უ რ ა დ ი** — მართალი უთქვამთ, დედი.
- ფ ა თ მ ა** — ძალიან მომეწონა თქვენი საზოგადოება; კარგი ხალხი ხართ... — სახეზედაც რომ ყველანი ასე კარგები ხართ!..
- მ უ რ ა დ ი** — მადლობელი ვართ ამ ქათინაურისთვის, დედი.
- ფ ა თ მ ა** — ეს რვეული რის მაქნისია, აი მაგიდაზე რომ გადაგიშლიათ?
- გ ი უ ზ ი ნ ი** — ესა? რეგისტრაციისაა. საზოგადოებაში ვინც შემოვა, იმას ამ რვეულში ვატარებთ ხოლმე.
- ფ ა თ მ ა** — აჰა... შემოსვლა ყველას შეუძლია, ვისაც კი სურვილი აქვს?
- ხ ა ტ ჩ ე** — ყველას, ვისაც ომი არ სურს.
- ფ ა თ მ ა** — კარგია... ძალიან კარგია... სწორედ ჩემი საქმე ყოფილა ეს საზოგადოება... თუმცა ჩემს ალის ვერაფერს ვუშველითო... მე კი ყველაზე უფრო ეს მაწუხებს ახლა. ეჰ! რა გაეწყობა. წავედი. კარგად იყავით!
- ი ს მ ა ი ლ ი, ხ ა ტ ჩ ე, მ უ რ ა დ ი** — კარგად იყავით, დედი.
- (**ფ ა თ მ ა** გადის).
- გ ი უ ზ ი ნ ი** — ვერ უყურებთ, თავისი ალის მეტი არავინ ახსოვს, არც არაფერი აწუხებს მეტი?
- ხ ა ტ ჩ ე** — ასეა, ჯერ მხოლოდ ალი ახსოვთ, მეჰმედი ახსოვთ, აჰმედი ახსოვთ, — მერე მეჰმედი მეჰმედებად იქცევა. აჰმედი — აჰმედებად.

ი ს მ ა ი ლ ი — მართალს ამბობ, ჩემო დამ.

ნ უ რ ი — მართალია, თუ არ არის მართალი, ერთი რამ ცხადია: როგორც წესი და რიგია, ისე ვერ დავარაზმეთ ხალხი მშვიდობისათვის საბრძოლველად.

ი ს მ ა ი ლ ი — თვითონ ხალხმა დაიწყო ჩვენი დარაზმვა, როგორც საქართოდ ხდება ხოლმე.

(შემოდის ფათმა ხელში გაზეთი უკირავს. მასთან ერთად შემოდის სამი გაზეთის გამყიდველი ბიჭი).

ფ ა თ მ ა — მე ვარ ისევე...

ი ს მ ა ი ლ ი — მობრძანდით, დედი.

I ბ ი ჭ ი — გამარჯობათ, დეიდა ხატჩე.

ხ ა ტ ჩ ე — გაგიმარჯოთ, ბიჭებო. (ფათმას) დაბრძანდით.

ფ ა თ მ ა — (მოდინ ფეხზე დგას) არა უშავს... ალბათ მეტყვიით: დედაბერო. ან წასვლა რა იყო შენი და ან დაბრუნება რა არისო. (გაზეთის გამყიდველზე უჩვენებს), აი... შემომეხვიენენ ქვემოთ... და ძალით მაყიდვინეს გაზეთი... მერე აქეთ წამომათრიეს... აი, როგორი დიდი საზოგადოება გქონიათ, საკუთარი ვეჭილით, თან გაზეთსაც ბეჭდავთ თურმე...

ხ ა ტ ჩ ე — დიახ, გაზეთს ვუშვებთ (ბიჭებს გადახვევს ხელს) ესენი ჩვენი თანამშრომლები არიან. გაზეთის გავრცელებაში გვშეველიან. (ბიჭებს) როგორ მიდის საქმე?

I ბ ი ჭ ი — კარგად. მოდი, ვიანგარიშოთ. მე გამოგართვით ხუთასი ცალი. სამასშვიდი ცალი ქარხნის უბანში გავყიდე. გასულ კვირას კი, ზომ გასსოვს, მხოლოდ ოთხმოცდასამი გავასაღე იმ უბანში.

ი ს მ ა ი ლ ი — ყოჩაღ!

I ბ ი ჭ ი — ორმოცდახუთი ბაზარში გავყიდე. იქაც დაატანეს კუქუს ძალა! იმ თვეში იქ სულ რაღაც სამი ცალი გავასაღე.

ნ უ რ ი — ძალიან კარგი!

I ბ ი ჭ ი — სამოცდაათოთხმეტი ცალი სტუდენტებმა იყიდეს.

მ უ რ ა დ ი — ცოტაა.

გ ი უ ზ ი ნ ი — არცაა გასაკვირი. ჯერ მარტო ჩვენს ფაკულტეტზე რამდენი ფაშისტია.

I ბ ი ჭ ი — ეს-ლა დამრჩა.

ხ ა ტ ჩ ე — ნური, შენ მიხედვე მაგას.

(გაღიან ნური და ბიჭი).

II ბ ი ჭ ი — სულ ორასი ცალი წავიდე. გავყიდე ასოცი... ერთი პოლიციელი მომწარდა... ცოტა წავინახუბეთ... ოცდახუთი ცალი დაიკარგა... დანარჩენი აქა მაქვს.

III ბ ი ჭ ი — მეც მომეცით... ერთი ასი ცალი. ნახეთ, სულ თუ არ გავყიდო.

II ბ ი ჭ ი — პატროსანი კაცია... მე ვიქნები თავლები...

ფ ა თ მ ა — ერთი ამით შეხედეთ, ეს ძუძუთა ბავშვებიც თქვენთან არიან!

I ბ ი ჭ ი — (ანგარიშის გასწორების შემდეგ) ჩვენც გავგეგება, დეიდა, ზოგ-ზოგი რამეები.

ფ ა თ მ ა — მე? შენი აზრით, მე აღარაფერი გამეგება?

II ბ ი ჭ ი — რა ვიცი, გაზეთი კი ძლივს გაყიდვინეთ და!

ფ ა თ მ ა — ჰაიტ, შე... (ხატჩეს) აი რა, უფროსო, მართალია, თქვენ ერთბაშად

აპირებთ ყველას დახმარებას, მაგრამ თქვენმა საზოგადოებამ იქნებ ჩემს ალისაც უშველოს რამე. ვინ იცის? სხვას ვის რა უნდა ვთხოვეყმეცხადე წერეთ მაგ რვეულში.

ზინკლიოთეკა

ფ ა რ დ ა .

მეორე მოქმედება

ხმები — ცა ვარსკვლავებით მოქედლილა,
ვარსკვლავთა გუნდი ეღვარებს ცაში;
ისე ახლოა ადამიანთან,
თითქოს სარკმლიდან შემოვა სახლში.

პირველი დიქტორის ხმა — ო, რა კარგია ბედნიერება,
ცხოვრობდე ისე, ვით გეტყვის გული;
როგორც წელიწადს —
შენც უნდა გქონდეს
შენი ზამთარი, შენი ზაფხული.

ხმები — სიმშვიდე სუფევს,
არა ქრის ქარი,
აღარ შრიალებს ფოთოლთა ჯარი;
სძინავს გარემოს,
ბალებსაც სძინავთ,
წყალი არ მოჰქუხს წინანდებურად,
და მიწაც თითქოს გარინდებულა.

პირველი დიქტორი — საყვარელ ხელებს ეფერებოდე,
და გწვავდეს მზერა საყვარელ თვალთა...
გრძნობდე ტუჩებზე, და გრძნობდე შუბლზე...

ხმები — ცა ვარსკვლავებით მოქედლილა...
ცხოვრობდე ისე, ვით გეტყვის გული!
როგორც წელიწადს — შენც უნდა გქონდეს
შენი ზამთარი, შენი ზაფხული.
ვარსკვლავთა გუნდი ეღვარებს ცაში;
ისე ახლოა ადამიანთან,
თითქოს სარკმლიდან შემოვა სახლში.

მეორე დიქტორი — ო, რა კარგია ბედნიერება!
ო, რა კარგია ბედნიერება.

პირველი დიქტორი — იმ ღამეს
თითქოს ჩემი თითები
ჩემი ტრფიალის თმებში ცურავდა...
ხელისგულზე ვგრძნობ ქვეყნიერებას,
მის მაჯის ცემას გრძნობს ჩემი ხელი.
ოი, იმ ღამეს.

მურადის გინა

(გ ი უ ზ ი ნ ი დ ა ნ უ რ ი)



ნ უ რ ი — მინდა სულ სიყვარულზე გელაპარაკო, გამუდმებით. როგორც სუნ-
თქვა, როგორც პურის ქამა, წყლის დაღევა, სახლის გეგმის მოხაზვა, სიმ-
ლერა, ურთულესი რამ საკითხი... აი ასე მინდა ავიხსნა სიყვარული.

გ ი უ ზ ი ნ ი — მერე რაღას უყურებ? ამიხსენი...

ნ უ რ ი — რაც ახლა გითხარი, განა ეს ახსნა არ არის?

გ ი უ ზ ი ნ ი — არ ვიცი.

ნ უ რ ი — მიყვარხარ, გიუზინ. ვიცი, რომ შენც გიყვარვარ. აჰა... მეტი რა
გინდა! (გიუზინს ეღიმება) რა იყო, რას გაგეცინა? (გიუზინს ისევ ეღი-
მება) ნუ იცინი... თავგზას ნუ ამირევ... ეშმაკმა დალახეროს! ჩვენ, მამა-
კაცებს... უფრო სწორედ, ზოგიერთი მამაკაცი, ესე იგი მე, როცა შეყვა-
რებულნი ვართ... ისეთი უმწეო ვხდებით ხოლმე...

გ ი უ ზ ი ნ ი — სხვა შეყვარებულ ქალებთან როგორ იქცეოდი, ამას ვერ
ვიტყვი, ჩემთან კი...

ნ უ რ ი — შენს გარდა, არც ერთი ქალი არა მყვარებია...

გ ი უ ზ ი ნ ი — ნუ სტყუი.

ნ უ რ ი — არა ვტყუი, მე შენ მიყვარხარ... გაგიყვებით!.. იმიტომაც ვარ ასე
უმწეო... ესე იგი, მინდა გაკოცო...

(ოთახში შემოდის ისმაილი, ხელში სინი უჭირავს, ჭიქებითა და არყის ბოთლით,
ფე უკანასკნელ ფრაზას მოკრავს ყურს)

ის მ ა ი ლ ი — თუკი რამე გამეგება, წინასწარ არავინ აცხადებს — უნდა გა-
კოცო, პირდაპირ კოცნიან ხოლმე.

გ ი უ ზ ი ნ ი — ისმაილი!

ის მ ა ი ლ ი — (სინს მაგიდაზე დადებს) სამზარეულოში უნდა გავბრუნდე, მას-
პინძელს ხელს წავაშველებ. ჩვენ იქ გვექნება ათი წუთის, ჰა, თხუთმეტი
წუთის საქმე. ნური, თუ გინდა, გადაკარი ერთი ჭიქა, ლომის რძეა, გაგა-
თამამებს.

(ისმაილი გადის).

ნ უ რ ი — (მაგიდასთან მივა და დაცინვით დაჰყურებს ბოთლს) ვითომ?

გ ი უ ზ ი ნ ი — რასა შერები? ხელი გაუშვი!..

ნ უ რ ი — (გიუზინთან მიდის და უცებ მოეხვევა, კოცნის) ბედნიერი ვარ!
ახლა, ამ წუთში, ამხელა ქალაქში, ამ უზარმაზარ ქალაქში, ჩემზე ბედ-
ნიერი კაცი არ იქნება.

გ ი უ ზ ი ნ ი — იქნება! შე ვარ!

ნ უ რ ი — ჩემო ცოლო, ჩემო ყველაფერ...

(ცდილობს კიდევ გადაეხვიოს)

გ ი უ ზ ი ნ ი — (გაუსხლტება) არავინ შემოვიდეს... ხომ ზედავ, უკვე გაიგონეს,
რომ კოცნას მიპირებდი... ნუ დაინახავენ მაინც.

ნ უ რ ი — ჩვენთვის სადა სცალიათ, თხუთმეტი წუთის კიდევ ვერ მორჩებიან
სამზარეულოში საქმეს. გემუდარები... კიდევ ერთხელ...

გ ი უ ზ ი ნ ი — არა, არ შეიძლება... გამიგონე... დედაჩემმა იცის...

ნ უ რ ი — დედაშენმა? რა იცის?

გ ი უ ზ ი ნ ი — იცის, რომ უნდა დავეპირწინდე. რა ძალიან გაგიკვირდა?



- ნ უ რ ი — ჩემო ქუეისკოლოფო, ჩემო პაწაწინა ცოლო!
- გ ი უ ზ ი ნ ი — მიხარია, ცოლს რომ მიწოდებ.
- ნ უ რ ი — ჩემო ცოლო.
- გ ი უ ზ ი ნ ი — ჯერ მომისმინე, რა ოინები გავაკეთე. შენი ოთახი ხომ ერთი ციკქნაა და ბნელი. იქ წამდვილად ვერ ვიცხოვრებთ. ჩვენთანაც მოუხერხებელია. დედაჩემი კეთილია, დიდებული ქალაა, მაგრამ ერთმანეთში მაინც ვერ მოეწყობით. მთელი კვირაა, ბინას ვეძებ ჩვენთვის... და გუშინ აღმოვაჩინე კიდეც. ორი ოთახი, სამზარეულო.
- ნ უ რ ი — ჩემო ყოჩაღო ცოლო, სად არის ეს ბინა?
- გ ი უ ზ ი ნ ი — ხატჩეს მახლობლად.
- ნ უ რ ი — აი, ეს პეწაწა!.. გიუზინ, გენაცვალე, მინდა ამ აღმოჩენისათვის მადლობა გადაგიხადო... და ეს მადლობა კოცნით გამოვხატო...
- გ ი უ ზ ი ნ ი — რამ გაგაგოცა? არ გაბედო... რასა შერები?
- (მანამ ისინი ერთმანეთს კოცნიან, ოთახში შემოდის ი ს მ ა ი ლ ი, ხელში თეფშები უკირავს, თეფშებს ჩუმად დააწუბობს მაგიდაზე და ფეხაქრფით გაიპარება.)
- ნ უ რ ი — (ხელს შეუშვებს გიუზინს) ხომ ხედავ, როგორ გადაგიხადე მადლობა... რა მოგივიდა? არავენ არ შემოსულა, არავენ არ დავუნახავართ...
- გ ი უ ზ ი ნ ი — ხომ შეიძლებოდა. შემოსულიყვენ... (მაგიდაზე თეფშებს შენიშნავს) ეს რა არის?
- ნ უ რ ი — ვერ გამიგია...
- გ ი უ ზ ი ნ ი — ეს თეფშები აქ საიდან გაჩნდა?
- ნ უ რ ი — ისმაილმა არ შემოიტანა?
- გ ი უ ზ ი ნ ი — არა, ისმაილმა მარტო ეს სინი შემოიტანა.
- ნ უ რ ი — აბა ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდა?
- გ ი უ ზ ი ნ ი — ისმაილ! (უყვირის) ისმაილ!
- ი ს მ ა ი ლ ი — (შემოდის) აქ ვარ. რითი შემიძლია გემსახუროთ?
- გ ი უ ზ ი ნ ი — ეს თეფშები შენ შემოიტანე?
- ი ს მ ა ი ლ ი — ჰო, მაგრამ არაფერი არ დამინახავს, ჩემო დაიკო. შემოვედი ჩაფიქრებული, დაბნეული... და მაშინვე უკან გაებრუნდი.
- ნ უ რ ი — აკი თხუთმეტი წუთის საქმე გქონდა სამზარეულოში!
- ი ს მ ა ი ლ ი — ჰო, მაგრამ ჩვენმა ძვირფასმა მასპინძელმა გამიცხადა, ჩქარა მოვათავოთ საქმეო. საბჭოთა კავშირში მუშაობის ასეთი მეთოდი აქეთ — სტახანოვეური; ჰოდა, ჩვენც ასე ვიმუშაოთო.
- (შემოდის მ უ რ ა დ ი, ხელში ღარჩაი უკირავს.)
- მ უ რ ა დ ი — იმედი მაქვს, არ მოიწყენდით!
- ი ს მ ა ი ლ ი — არა მგონია, რომ მოეწყინოთ, ინტელიგენტი ხალხია, წიგნებს გადაფურცლავენ, ჟურნალებს გადაათვალიერებენ.
- გ ი უ ზ ი ნ ი — აკი გითხარით, ხელს წაგაშველებთ-მეთქი, მაგრამ არ დამანებეთ, მურად.
- მ უ რ ა დ ი — ჩემს სამზარეულოში მხოლოდ მე შეედივარ.
- ი ს მ ა ი ლ ი — დამატებით მხოლოდ მე მაქვს შესვლის ნება.
- ნ უ რ ი — სამაგიეროდ, სუფრას მე და გიუზინი გავაწყოთ, თქვენ ნუ ჩაგვერევით.

(მ უ რ ა დ ი სავარძელში ჩაქდება, გიუზინი და ნ უ რ ი სუფრის ვაშლს იწყებენ. ი ს მ ა ი ლ ი წიგნებს ფურცლავს.)

ისმაილი — (მურადს) ლექსები გყვარებია, უფროსო. შეხედე, მართო ერთ თაროზე ათი ლექსების წიგნი დევს. ა-ა, ჩვენი კაბუკი პროეტის წიგნიც გიყილია. ამას შეხედე, ეს წიგნი ჯერ არც კი მინახავს. (გაღიჭურჭლავს წიგნს) ეტყობა, მისი უკანასკნელი წიგნია. ყოველ შემთხვევაში, სიკვდილის შემდეგ არის გამოქვეყნებული. კარგი პოეტი იყო, პა, რას იტყვი, უფროსო?

მურადი — მართალს ამბობ. კარგი პოეტი იყო და თან შესანიშნავი ადამიანი.

ისმაილი — არა, მაინც რატომ აქამდე არ მინახავს ეს წიგნი?

მურადი — სულ რამდენიმე დღეა, გამოვიდა.

ნური — მურადმა გამოსცა.

ისმაილი — (სერიოზულად) მადლობელი ვართ. (განაგრძობს წიგნის ფურცელას). შეხედე რასა წერს (კითხულობს):

მოკლულმა გმირებმა
ქალაქის კედლებზე
სისხლით დააწერეს
სიცოცხლის სიმღერა...

ნური — მოგწონს?

ისმაილი — მომწონს. ოღონდ ეს რითი უნდა აეხსნათ: ყველაფერს სწორად ამბობს, მაგრამ ზოგჯერ ცოტა ბუნდოვანება დაჰკრავს. ამ კედლებზე სიცოცხლის სიმღერის წერა ჩვენი სისხლით! მე მგონი, ძალიან მაღალფარდოვანი გამოდის.

მურადი — ისმაილ, მართალი ხარ და არც ხარ მართალი.

ისმაილი — დიალექტიკურად მსჯელობ, უფროსო.

(ზარის ხმა).

გიუზინი — რეკავენ.

მურადი — ამ თემაზე მერე ვიდავოთ, ისმაილ.

ნური — მოვიდნენ.

გიუზინი — მე გაეაღებ.

(ვადის)

მურადი — დავეტივით ყველანი?

ისმაილი — რამდენი სული ვართ: გიუზინი — ერთი, ნური — ორი, ხატჩე — სამი, მისი ქმარი — ოთხი, მე, შენ, უფროსი, მერე კიდევ ძალუა ფათმა... ჰუსეინიც თუ მოვიდა — რვა სული. ვერ დავეტივით.

ნური — ჩვენც ავდგეთ და ბუფეტით ვავაკეთოთ: ვისაც რა მოუნდება, მივიდეს და აილოს მაგიდიდან.

ისმაილი — კარგი, ბუფეტით იყოს. ჩვენებურად, ასე. ვისაც სურს — მიბრძანდეს და მიუჯდეს სუფრას.

ნური — მაინც ვინ უნდა მიუჯდეს სუფრას?

ისმაილი — ეს დიდი საკითხია და საქმიანად უნდა გადაიჭრეს, წარმოების წესით...

ნური — წარმოების წესით კი არა, მოთხოვნის წესით...

(შემოდინ ხატჩე, სულეიმანი, ფათმა და გიუზინი. ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ, ერთმანეთს ელაპარაკებიან).

- ხ ა ტ ჩ ე — წარმოება, მოთხოვნილება... როგორც ვატყობ, აქ ეკონომიკური ფაქტორები გაგხსნიათ.
- ი ს მ ა ი ლ ი — (ხატჩეს) კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩემო დაო.
- მ უ რ ა დ ი — მობრძანდით.
- ფ ა თ მ ა — დავილაღე, შეილებო.
- ნ უ რ ი — აქ დაბრძანდით, ძალუა ფათმა.
- გ ი უ ზ ი ნ ი — აქ დაბრძანდით, აქა სჯობს, ძალუა ფათმა.
- ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — ერთი აქ შეხედე, მურად, გზაზე ცოცხალი თევზი ვიყიდეთ. აი, ისევე ცოცხალია. ჰა, რას იტყვი, ხატჩე?
- ი ს მ ა ი ლ ი — ამოდენა სკომბერს პირველად ვხედავ. არ გავიტანოთ სამზარეულში, ჰა, მასპინძლო?
- მ უ რ ა დ ი — გავიტანოთ. მოხარშული თევზი გვექნება.
- ი ს მ ა ი ლ ი — ოხრახუში გაქვთ?
- ხ ა ტ ჩ ე — მოვიტანეთ, აჰა...

(ი ს მ ა ი ლ ს მოაქვს თევზი, ოხრახუში, ლიმონები, რომლებსაც ს უ ლ ე ი მ ა ნ ი ამოღავებს ჯიბიდან. დანარჩენები სკამებზე დასხდებიან. ს უ ლ ე ი მ ა ნ ი სუფრას ათვლიერებს, სპილენძის ჯამებს ზეფებს ახლის და ისევე დაბურავს, ლუდისა და არყის ბოთლებს ერთკეტებს ათვლიერებს. ხ ა ტ ჩ ე ჩანთიდან მათს ამოიღებს და პერანგის ქსოვს შეუდგება. ფ ა თ მ ა კარგად მოეწეობა სავარძელში და ცხვირსახოცით შუბლს იწმენდს. მ უ რ ა დ ი იმ ფანჯარას მიხურავს, რომელთანაც ფ ა თ მ ა ზის, გ ი უ ზ ი ნ ი აიღებს ლექსების წიგნს, რომელსაც ი ს მ ა ი ლ ი კითხულობდა და თავის ადგილზე დადებს. აღტაცებული ნ უ რ ი ჩემზემოდ გაღაბედავს გ ი უ ზ ი ნ ს. ამასობაში ი ს მ ა ი ლ ი დაბრუნდება და ხ ა ტ ჩ ე ს თ ა ნ მივა).

- ი ს მ ა ი ლ ი — (ბავშვის პერანგს ათვლიერებს) რა ჩქარა და რა კობტად ქსოვ, ჩემო დაო! პირდაპირ ოქროს ხელები გაქვს! ისე ქსოვ, გეგონება, სტატიას წერდე. სულაც რომ არ წამეკითხოს შენი სტატიები და მარტო ქსოვაზე მეყურებინოს, სულ ერთია, მაშინვე მივხვდებოდი, რა მადლიანი და სინდისიერი მწერალიცა ხარ.
- მ უ რ ა დ ი — ძალიან არ დაახეთქა! ქსოვაზე შეხედავს, და როგორა წერს, იმასაც მიხვდება!
- ი ს მ ა ი ლ ი — რა თქმა უნდა!
- ნ უ რ ი — სისულელეა!
- ი ს მ ა ი ლ ი — რატომ? განა ექიმი-ქალი, რომელიც სტატიებსაც წერს, დიასახლისობას ვერ გაწევს?
- ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — ძალიან იშვიათად! ჰა, რას იტყვი, ხატჩე?
- ი ს მ ა ი ლ ი — ჩვენი მუშა ქალები ავიღოთ: ფაბრიკაში ხომ მუშაობენ და მუშაობენ, ახლა სახლში ნახეთ! მამაკაცებიც კი მუშაობის შემდეგ სახლში ცოლებს ეხმარებიან. ერთი ოსტატი გვყავს ფერხადი, ცოლზე უკეთ რეცხავს.
- ფ ა თ მ ა — ყოჩაღ! ისიც ხომ შემოვიდა თქვენს საზოგადოებაში?
- ი ს მ ა ი ლ ი — არა.
- ფ ა თ მ ა — რატომ?
- ი ს მ ა ი ლ ი — ისევე ციხეში ზის და ვეღარ მოახერხა შემოსვლა.
- მ უ რ ა დ ი — სურეი-ფათას ფაბრიკაში პროკლამაციების გავრცელების თაობაზე.

ალბათ ჰუსეინია.

(გაღის).



ფ ა თ მ ა — დღეს შვილიშვილის სანახავად ვიყავი.

ნ უ რ ი — იმიტომაც გიცემციმებს თვალები, ძალუა ფათმა...

ფ ა თ მ ა — მუღამ თუ ასე კითხულობ ადამიანის თვალებს, გიუზინი მეცოდება.

ნ უ რ ი — ვერაფერი გავიგე.

ხ ა ტ ჩ ე — ვერც შენ გაიგე, გიუზინ?

გ ი უ ზ ი ნ ი — (იცინის) გავიგე, ყველაფერი თუ არა, რაც მე შემეხებოდა. ის მაინც გავიგე.

ფ ა თ მ ა — როცა ვიტყვი ხოლმე, ჩვენი და ჭკუით მამაკაცებსაც სჯობს-მეთქი, ქალებსაც არა სჯერათ. სინამდვილეში კი ასეა. ნური, შვილო, დღეს მე ყაზარმაში ვნახე ჩემი ბიჭი, და ისიც ნახევარი საათით. გული კვლავ დამესერა. ხმის ამოღებაც ვერ მოვახერხე, ცრემლებმა დამახრჩო. ვიტყრე და ვიტყრე. აბა, როგორ-ღა უნდა იცინონ თვალებმა, როცა გული სისხლის ცრემლებით ტირის?!

ნ უ რ ი — მაპატიე, ძალუა ფათმა!

ფ ა თ მ ა — რას ამბობ! არა გრცხვენია! ახლა აგისხნა, გიუზინი რად მებრალება?

გ ი უ ზ ი ნ ი — ნუ აუხსნით, რა საჭიროა.

ნ უ რ ი — შენ საიდან გაიგე?

ფ ა თ მ ა — ერთმანეთი რომ გიყვართ? დაქორწინებას რომ აპირებთ? როგორც კი გნახეთ ხატჩესთან, მაშინვე მივხვდი.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — მართალია, ყმაწვილებო? შენც იცოდი, ხატჩე?

ხ ა ტ ჩ ე — შენ გარდა, ყველამ იცოდა, ჩემო ძვირფასო. წყალი დამალევიან.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — იქნებ დაგეცადა, ახლა ხომ უნდა ვივახშმოთ.

ხ ა ტ ჩ ე — (მტკიცედ) არა, არა, მომიტანე.

ნ უ რ ი — (გიუზინს გადაუჩურჩულებს) ახლა ხომ მიხვდი, რატომ აირჩია ხატჩემ სულეიმანი? აი, ასეთი ქალია! (მუშტს აჩვენებს) ქმარი კი ასეთი უნდოდა (ჰალსტუქს აიღებს და დაქმუქნის) რბილი... აბრეშუმივით... შენც, გატყობ, ასეთი გინდა იყო (მუშტს აჩვენებს); მაგრამ, ნურას უკაცრავად, აბრეშუმად ვერ მაქცევ.

გ ი უ ზ ი ნ ი — ვნახოთ!

(მემოდიან მ უ რ ა დ ი და ჰ უ ს ე ი ნ ი).

ჰ უ ს ე ი ნ ი — სალამი, ბატონებო.

ხ მ ე ბ ი — გამარჯობა.

(ბუსეინი ხელს ართმევს. მერე ფათმასთან მივა, შეჩერდება.)

მ უ რ ა დ ი — გაიცანი, ჰუსეინ, ეს ჩვენი ძვირფასი ძალუა ფათმა. (ჰუსეინი ხელზე კოცნის ფათმას, მერე მის ხელს შუბლზე დაიდებს) ეს ყმაწვილი, ძალუა ფათმა, ცნობილი მწერალი ჰუსეინ ჰალიმი გახლავს. დღეს ჩვენ უკეთესი მწერალი არა გყავს.

ფ ა თ მ ა — ესეც ჩვენი საზოგადოების წევრია?

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — საზოგადოების წევრი არ არის, მაგრამ ჩვენი ეურნალისათვის მაინც წერს. ჰა, რას იტყვი, ხატჩე?



ფათმა — რატომ საზოგადოებაში არ შემოდის?

პუსეინი — ფათმა-ხანუმ, ყოველ ორგანიზაციას, ყოველ საზოგადოებაში თუ პარტიას, მქრნალებად, მაგრამ მაინც, თავისი დისციპლინა აქვს. შენ კი ასეთი საქმისთვის ვერ გამოვლდები...

ფათმა — მართალი გითხრათ, ვერაფერი გავიგე. ასეთი რა არის მაინც ეს დისციპლინა, რომ შიშის ზარსა სცემს ადამიანს? ჩვენს საზოგადოებაში ასეთი საშინელი არაფერი გვაქვს, შვილო...

პუსეინი — ორი სიტყვით ვერ აგიხსნით. როგორ გითხრათ, ფათმა-ხანუმ, მე ისეთი სუბიექტი ვარ, რომელიც თავისთვის არის ზოლმე...

მურადი — წინადადება შემომაქვს: მანამ ჩვენი მწვალები გაცივდებოდეს და გაქვადებოდეს, თითო ჰქონთ ძალუა ფათმას სადღეგრძელო შევსვათ.

ისმაილი — (არყით სავსე ჰქონას ფათმას აწვდის) მიირთვით, ძალუა.

ფათმა — ამ ხნის ქალი მოვიყარე და ასეთი შხამი ჯერ პირში არ ჩამიშვია...

ისმაილი — მით უკეთესი, ერთხელ მაინც გასინჯე ჩემი ხათრით.

ფათმა — არ ვიცი.

სულეიმანი — ჩვენი ხათრით.

ფათმა — არ შემიძლია.

ნური — (გიუზინს გადაუჩურჩულებს) აბა ნახე. თუ არ დავალევიანო! (ფათმას) ძალუა ფათმა, ჩვენი საზოგადოების სადღეგრძელო შესვით.

ფათმა — აჰ. მე ეშმაკო! ეს რა მიყავი? აბა რა გული მომიტემს, რომ ჩვენი საზოგადოების სადღეგრძელო არ შევსვა! ასე იყოს. აბა მომწოდე ეს საწამლაევი, ისმაილ... (ერთბაშად შესვამს) ფუი, ღმერთმა დასწყევლოს.

ისმაილი — (წყლით სავსე ჰქონას აწვდის) წყალი დაატანე, წყალი დააყოლე, ძალუა.

ფათმა — (წყალს სვამს) ოი, ღმერთო, ასე მგონია, ნაკვერჩხალი გადამეყლაპოს. არ მესმის, რა ასმევთ ამ საწამლავს? თითქოს კანონით იყოს დაწესებული.

(იციხიან).

პუსეინი — (ხატჩეს) თქვენც არ დაგილევიათ...

ხატჩე — ჩემთვის არ შეიძლება.

პუსეინი — ა?.. მართალი ხართ. სულ დამავიწყდა. საცაა, გამოჩნდება სტუმარი, ჰა?

ხატჩე — ასე ხუთი თვის შემდეგ.

გიუზინი — ხატჩე, როგორი თვალეები გინდა ჰქონდეს?

ხატჩე — ცისფერი თვალეები მიყვარს.

ფათმა — (სულეიმანს შეხედავს თვალეებში) აბა დამანახე, შენ როგორი-ღა თვალეები გაქვს, შვილო? ცისფერი? მეც მიყვარს ცისფერი თვალეები. ჩემს განსვენებულ ქმარსაც ცისფერი თვალეები ჰქონდა. შვილიშვილსაც ცისფერი აქვს.

ნური — გიუზინსაც ცისფერი თვალეები აქვს.

პუსეინი — მაშ, ცისფერ თვალეებს გაუმარჯოს.

(მისვამს).

მურადი — რას იტყვით, როგორი მწვალია?

ხატჩე — ჩინებული!

ის მ ა ი ლ ი — (სკამიდან ეურნალს აიღებს) ეს ეურნალი — „პარალელი“
ფრანგულია?

მ უ რ ა დ ი — ჰო, წინ მიდის შენი ფრანგულის საქმე?

ის მ ა ი ლ ი — კი, აბა, ამ სათაურს გითარგმნი: „ბულგარეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხმა“... დამაცა, დამაცა, ნუ მიშლი, მე თვითონ გადაეთარგმნი, — „ხალხმა... ხალხი იბრძვის მშვიდობისათვის...“

მ უ რ ა დ ი — სწორია.

ფ ა თ მ ა — რაო, რა თქვი? ვინ იბრძვის? ბულგარელები? ყოჩაღ!

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — (მაგიდაზე ქალღმერთებს გადაარჩევს) აი, სასწაული!

მ უ რ ა დ ი — რა მოხდა?

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — ვერ დამითმობ?

მ უ რ ა დ ი — რასა?

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — კონვერტს! (ლუპით ათვალიერებს კონვერტს) ეგვიპტური მარკაა — იშვიათი ეგზემპლარი.

მ უ რ ა დ ი — ინებე, სიამოვნებით.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — ოღონდ, ვერ დაგიმაღავ, — ჰა, რას იტყვი, ხატჩე? — რომ ეს ოქრო ღირს.

მ უ რ ა დ ი — ჩემთვის ერთი გროშიც არა ღირს.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — მაღლობელი ვარ!

ნ უ რ ი — გამიგონე, სულეიმან, საზოგადოებას რომ ფული დასჭირდეს უცებ, ვთქვათ, ბროშურის დასაბეჭდად, — რას იზამ, არ გაყიდი შენს კოლექციას?

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — სიცოცხლე რომ მთხოვოთ — სიამოვნებით მზადა ვარ, კოლექციას კი, რა ვქნა, ვერ შეველევი.

ხ ა ტ ჩ ე — რომელი საათია?

ნ უ რ ი — ათის ოცი წუთია.

ხ ა ტ ჩ ე — ეჰ, დავიგვიანეთ.

მ უ რ ა დ ი — ფუ, ეშმაკმა დალაზეროს! აბა, დაკეტე. ისმაილ...

(მანამ ისმაილ ფანჯარას დაკეტავდა, მ უ რ ა დ ი რადიომიმღებს ჩართავს, ატრიალებს. ყველა მის ირგვლივ შეგროვდება)

ფ ა თ მ ა — ეს რა არის?

გ ი უ ზ ი ნ ი — გადმოცემას უნდა მოვეუსმინოთ, ძალუა ფათმა, მოსკოვიდან, თურქულ ენაზე, კომენტატორი ერდემი ილაპარაკებს.

მ უ რ ა დ ი — ჩემდა! ნუ ლაპარაკობთ...

ბოლოს მოვეუსწარიტ...

(ისმის რადიოგადმოცემა).

ის მ ა ი ლ ი — ცოტათი დაუწიე.

(რადიოში კვლავ ისმის ლაპარაკი).

ჰ უ ს ე ი ნ ი — მორჩით, მოგვასმენინეთ.

(რადიოში კვლავ ისმის ლაპარაკი).

ე რ დ ე მ ი — (რადიოთი) — ... უწმინდურ საქმეზე. თურქეთის მუშებსა და გლეხებს არ სურთ, რომ თავიანთი შეილება კორეაში გაემგზავრონ და იქ კორეელი გლეხების ყანები თელონ, კორეელი ბავშვები, ქალები და მოხუცები ამოწყვიტონ. თურქ ხალხს არა სურს, თავისი შეილები დასა-



ლუპავდ გაწიროს, და ამით ამერიკელ ბანკირებს შეუწყოს ხელი კორეის ოქროს საბადოების დაპატრონებაში. თურქ ხალხს არასტრას თავისი შვილების სისხლის დაღვრა და ამით თურქი მილიონერების ჯიბეების გასქელება.

დიქტორი — (ქალის ხმა) ლაპარაკობს მოსკოვი. თქვენ მოისმინეთ ჩვენი მიმომხილველის ერთდემის გამოსვლა. ახლა მოისმინეთ საბჭოთა კომპოზიტორ ხაჩატურიანის მუსიკა...

(მუსიკა).

ისმაილი — რას იტყვი, ძალუა ფათმა?

ფათმა — ვინც არ უნდა იყოს ის კაცი, ის ერთდემი, მართალს ლაპარაკობს. ეტყობა, გული ეწვის, ღმერთსა ვთხოვ, მალე ასრულდებოდეს, რაზედაც სტკივა გული.

(რამდენიმე ხანს დემან, მუსიკას უსმენენ).

ნური — მე მინდა ლექსები წაგიკითხოთ. წაგიკითხო?

ხატჩე — წაიკითხე... რა ლექსები იცი?

ჰო, „მიწაზე ვზივარ“ წაიკითხე.

ნური — კარგი.

ისმაილი — რადიო გამოვთიშო?

მურადი — არა, ასე სჯობს.

(ყველა დემს. ისმის მუსიკა, შერე ნური დაიწყებს)

მიწაზე ვზივარ —

მიწას დავეურებ,

ბალახს დავეურებ,

ფუტკრებს გავეურებ,

ცისდრად გადაშლილ ყვავილს დავეურებ,

შენ, გაზაფხულის მიწასავით აფეთქებულს,

ჩემო ტრფილო, შენ შემოგვეურებ.

გულაღმა ვწევარ —

ზეცას შევეურებ,

ატობს შევეურებ,

ყანებს შევეურებ,

შენ, გაზაფხულის ზეკასავით ნაზო და ტყბილო,

ჩემო ტრფილო, შენ შემოგვეურებ.

ღამით მინდორში ცეცხლი ავარდა —

ცეცხლს შევეებო,

წყალს შევეებო,

ვერცხლს შევეებო,

შენ, ვარსკვლავთა ჩემ კოცონით გაჩაღებულო,

ჩემო ტრფილო, შენ შევეებო.

მე ხალხთან ვარ —

მე ხალხი მიყვარს,

მე ფიქრი მიყვარს,

მე ბრძოლა მიყვარს,

და ჩემს ბრძოლაში, შენ, მცველო ადამიანად,

ჩემო ტრფილო, მე შენ მიყვარხარ.

(მანამ ნური ლექსს კითხულობს, გიუზინი შეუმჩველად მოახლოვდება. მცირე ხანს სინემე ჩამოვარდება, მუსიკა წუდება. სულეიმანი სათვალეს მიუხსნის და ცხვირსახოკით წმენდს. უცებ იატაკზე კონფეტის ქაღალდს შენიშნავს — დღეებზე დაუხელო მოსინჯავს).

ხატჩე — კონფეტია, ჩემო კარგო, მარკა არ გეგონოს, გადააგდე.
მურადი — მეგობრებო! ძალიან სასიამოვნოა თქვენი გამასპინძლება, მაგრამ ჩვენ შევიკრიბეთ მოწოდების წასაკითხავად. აბა, მოიტანეთ, წაიციოთ-ხოთ!

ხატჩე — აჰა, ზეგიდან გაივარცილებო.

ჰუსეინი — ხვალ გაზეთში უშვებთ?

ხატჩე — დიახ.

მურადი — აბა, პატივცემულო თავმჯდომარე, მომეცით ეს მოწოდება.

(**ხატჩე** ვადასცემს მოწოდებას).

ჰუსეინი — ერთი რამ უნდა გითხვით! თუ აუცილებლობამ ასე მოითხოვა, ხომ შეიძლება. არ გამოაქვეყნოთ ეს მოწოდება?

ხატჩე — არ შესმის.

ჰუსეინი — გინდათ გამოაქვეყნებთ ამ მოწოდებას, გინდათ არ გამოაქვეყნებთ. თქვენს ხელთ არის, ხომ ასეა?

ნური — ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელმა კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო. რომ გამოაქვეყნოთ. რა თქმა უნდა, თუ საჭიროდ ვცნობთ, ახალი გადაწყვეტილების მიღებაც შეიძლება.

ხატჩე — რატომ ლაპარაკობთ ამას?

ჰუსეინი — ისე.

მურადი — (კითხულობს) „მოწოდება თურქი ხალხისადმი. ჩვენო პატივცემულო ხალხო! თურქეთის მთავრობამ, მიიღო რა გადაწყვეტილება ჩვენი ჯარისკაცების კორეაში გაგზავნის შესახებ, ამით დაამტკიცა, რომ მან ეროვნული დამოუკიდებლობა ამერიკელებს მიჰყიდა...“ ოჰო, მაგრად იწყება... ნებას თუ მომცემთ, ჩემთვის წავერიოთაჲ, ასე აღჩქარებლად და ჩემთვის რომ ვითხულობ დოკუმენტს. უფრო ვიმახსოვრებ.

გიუზინი — როგორც გინდოდეს, ისე წაიციოთზე.

ხატჩე — შეიძლება ჩვენ ვილაპარაკოთ?

მურადი — რა თქმა უნდა, როცა დოკუმენტს ვეცნობი ხოლმე, ზარბაზანიც რომ დამიცალოთ ყურთან, მაინც ვერ გავიგებ.

(საწერ შავიდას მიუჭდება და თავისთვის კითხულობს).

ჰუსეინი — ბედნიერი კაცია!.. როცა ვწერ, საკმარისია რამემ გაიფხაქუნოს, რომ მორჩა! თქვენ, ხატჩე-ხანუმ?

ხატჩე — გააჩნია, რასა ვწერ.

ფათმა — აბა ჩემი ალი, ოღნავი ხმაურობაც რომ ყოფილიყო ოთახში, გავეთილებს ვარ დაამზადებდა.

ნური — ჩვენ თქვენს უბანში უნდა გადმოვსახლდეთ, ხატჩე.

ხატჩე — ჩვენს გვერდით სწორედ ერთი ცარიელი სახლია, იმ სახლში ხომ არა?

გიუზინი — იმ სახლში!

ხატჩე — რა კარგია! ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მიხარია. მყუდრო უბანია, ქორები არ იციან.

- სულეიმანი — ოღონდ სახურავში წვიმა ჩამოდის, ჰა, რას იტყვი ხატჩე?
 გიუზინი — წვიმა ჩამოდის?
- სულეიმანი — იმიტომაც გადავიდნენ ძველი მცხოვრებლები
 ფათმა — ჯერ გააკეთებინეთ სახურავი, და მერე გადადიეთ.
- სულეიმანი — ამას თუ მოახერხებთ, სხვა მხრივ ძალიან კარგია. გაზი
 აქვს მგონი. ჰა რას იტყვი, ხატჩე?
- ნური — არ ვიცი, ღმერთმანი, არც მინახავს.
- გიუზინი — არის...
- ფათმა — ღმერთმა გადღეგრძელოთ, გაბედნიეროთ.
- მურადი — წავიკითხე თქვენი მოწოდება.
- ხატჩე — მერე?
- მურადი — მეორე დღესვე, ამას რომ გამოაქვეყნებთ, გამგეობის ყველა
 წევრს დააპატიმრებენ — ხატჩეს, ისმაილს, გიუზინს, ნურის და სულეიმანს.
- ხატჩე — ჰო.
- მურადი — გადაგემენ სამხედრო ტრიბუნალს. მართალია ნება არა აქვთ
 არც დაპატიმრებისა და არც ტრიბუნალისთვის გადაცემისა, მაგრამ ისინი
 პირველად თქვენზე გამოიყენებენ ფაშისტურ იტალიის კოდექსიდან ნა-
 სესხებ სტატიას, რამე საბაბს მოძებნიან. ამაში დარწმუნებული ვარ
 მთელი ასი პროცენტით. თუ ასით არა, ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით
 მაინც. გთხოვთ, თქვენც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.
- ისმაილი — მერე?
- მურადი — მერე ამ არაკანონიერი კანონით ან ჩამოგახრჩობენ... ამაში
 ოცდაათი პროცენტით ვარ დარწმუნებული...
- ხატჩე — ან...
- მურადი — ან მოგისჯიან თხუთმეტ-თხუთმეტი წლის პატიმრობას — ამაში
 სამოცდაათი პროცენტით. ასეთი ბედი გელით, ეს მოწოდება თუ გამო-
 ქვეყნდა. გასასწორებელი ამაში არაფერია. მე თქვენს ვეჭილად მიგუ-
 ლეთ. მზადა ვარ, ბოლომდე დავიცვა თქვენი უფლებები.
- ხატჩე — მადლობელი ვართ.
- ჰუსეინი — ეს სიგიჟეა! ამ მოწოდების გამოქვეყნება თვითმკვლელობას
 ნიშნავს. შენ უნდა დაუშალო. შენ ამთი ვეჭილი ხარ. გიუზინ. ხატჩე, მე-
 გობრებო! ამ მოწოდების გამოქვეყნება — სიკვდილის მომასწავებელია.
 იქნებ არ ჩამოგახრჩონ, მაგრამ ციხეში გამოგალპობენ! რა მოგივიდათ,
 გაგიჟდით? ნუთუ აუცილებელია ამის გამოქვეყნება. ჩასახვისთანა-
 ნავე გასაწირავად იმეტებთ იმ მოძრაობას, რომელიც ახლა ასე სა-
 კიროა ჩვენი ქვეყნისათვის. დიახ. ეს პროვოკაციაა! დაგაპატიმრებენ თუ
 არა თქვენ, ყველაფერი დაიღუპება, ყველა დაფრთხება. (ფათმას მი-
 მართავს) ძალუა ფათმა. თქვენც უთხარით რამე...
- ფათმა — მე რა უნდა ვუთხრა! თვითონვე გაკვირვებული ვარ. თავისი საქ-
 მისა, თვითონ უკეთ იციან. მადლობა ღმერთს, უწლოვანი ხალხი არაა:
 ზოგი შეილებს ელოდება. ზოგი ახლა უნდა დაჭორწინდეს...
- ჰუსეინი — მართლაც. პატარები არა ხართ. შეგნებული ხალხი ხართ. როცა
 ამ მოწოდებას იღებდით, ალბათ, გათვალისწინებული გქონდათ, რაც მო-
 გელით.
- მურადი — რა თქმა უნდა, ჰქონდათ...

პუ ს ე ი ნ ი — ყური დამიგდეთ! იქნებ ეს დიდი გმირობა გგონიათ? ჰა, გინდათ გმირებად აჩვენოთ თავი?

მ უ რ ა დ ი — არა, ასეთი რამ გულშიაც კი არ გაუვლიათ... გარბენ, გმირობაზე ესენი არ ფიქრობენ. (ხატჩეს მოწოდებას აძლევს) გამომართვი.

პუ ს ე ი ნ ი — ვერა გამიგია რა! კაცი შეიძლება გაგიფდეს!..

(სიზმე).

მ უ რ ა დ ი — მაშ ასე, მე სამზარეულოში მივდივარ სკომბერის მოსახარშად. ათ წუთში მზად იქნება. აბა, წავედეთ, ისმაილ, მომეხმარე.

ი ს მ ა ი ლ ი — (სახეში შეჰყურებს მურადს) გთხოვთ, გამომრიცხოთ მშვიდობის მომხრეთა საზოგადოებიდან.

ხ ა ტ ჩ ე — რაო?

გ ი უ ზ ი ნ ი — გამოგრიცხოთ?

ი ს მ ა ი ლ ი — (ყლავ მურადს შეჰყურებს) გთხოვ, ოფიციალურად დამიმოწმო, რომ ამ წუთიდან მშვიდობის მომხრეთა საზოგადოებასთან და მის გამგეობასთან საერთო არაფერი მაქვს.

(უხერხული ღემილი).

მ უ რ ა დ ი — კეთილი... მაგრამ საზოგადოებიდან გასვლა სულაც არ გიშლის ხელს, ახლა სამზარეულოში მომეშვილო... მეგობრებო, ზეითუნის ზეთი მე დაგასხა, თუ თქვენ თვითონ დაასხამთ?

ხ ა ტ ჩ ე — მე თვითონ.

გ ი უ ზ ი ნ ი — მეც.

ფარდის წიხ

(ვაილიან მედიცინის და და ოფიცერი).

ო ფ ი ც ე რ ი — სრულ ხუთ საათზე? კაფე „ყარისში“?

მ ე დ ი ც ი ნ ი ს და — არ ვიცი... უხერხულია... დაგვინახავენ.

ო ფ ი ც ე რ ი — მერე რა მოხა?.. გთხოვ, აბა, შევთანხმდით? ჰოსპიტლიდან ჩემი გამოსვლის აღსანიშნავად.

(შემოდის ექიმი).

ე ქ ი მ ი — სალამი, კაპიტანო.

ო ფ ი ც ე რ ი — სალამი, ექიმო. თქვენი წყალობით, სამთვიანი შვებულება მივიღე.

ე ქ ი მ ი — თქვენი ავადმყოფობის წყალობით.

ო ფ ი ც ე რ ი — ექიმო, ჩვენს შორის დარჩეს და მართლა ისე ავად კი არა ვარ...

ე ქ ი მ ი — კაპიტან... ამასთან მაინც ნუ ლაპარაკობთ ასეთ რამეს...

ო ფ ი ც ე რ ი — ამასთან შეიძლება.

ე ქ ი მ ი — აბ, ასეა საქმე? მცოდნოდა საქმე ასე წაველოდა... მაშინ.

(ლოთით ემუქრება გაღიან. შემოდის ყავარჯნებიანი ჯარისკაცი, კუთხეში ჩაცუცქდება. მათთან შუა ხელშეხვეული ჯარისკაცი და ისიც ჩაცუცქდება. მორე მზრიდან გამოწდება რამდენიმე ჯარისკაცი, სერჯანტის თანხლებით. შეჩერდებიან. სერჯანტი მიუახლოვდება ჩაცუცქულ ჯარისკაცებს).

ს ე რ ჯ ა ნ ტ ი — ჩვენებურო, შინაგანი სად იქნება, ზომ არ იცი?



- ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — (რომელსაც შეხვეული ხელი აქვს) მე ქირურგი მქირდება.
 (შემოდის სანიტარი) იმას ჰკითხე.
 ს ე რ ქ ა ნ ტ ი — შინაგანი ექიმი მინდა...
 ს ა ნ ი ტ ა რ ი — რად გინდა?
 ს ე რ ქ ა ნ ტ ი — კორეის პოლკის დანაყოფიდან ვართ, უნდა გავესინჯოთ.
 ს ა ნ ი ტ ა რ ი — კეთილი... დაიცადეთ. ოღონდ ნუ იხმაურებთ! ახლაც მო-
 ვახსენებ ბატონ ექიმს.
 ს ე რ ქ ა ნ ტ ი — აქეთ?
 ს ა ნ ი ტ ა რ ი — (აჩვენებს) არა, აქეთ.

(სანიტარი იქითვე გასწევს, საითაც თვითონვე აჩვენებდა თითო. დანაყოფის ქა-
 რისკაცები ცალ-ცალკე ჩვეულებად შეგროვდებიან).

(პირველ ჩვეულებაში).

- ფ ე რ ხ ა დ ი — გასინჯვის შემდეგ პირდაპირ გვიკრავენ თავს?
 ჰ ა ი დ ა რ ი — ალბათ.
 ფ ე რ ხ ა დ ი — ერთი საათით მაინც გავეთავისუფლებინე!..
 ბ ე ქ ი რ ი — რა გინდოდა?
 ფ ე რ ხ ა დ ი — სოფელში გავიქცეოდი...
 ს ი ტ კ ი — რას ამბობ, ერთ საათში გინდა სოფელში ჩახვიდე?
 ფ ე რ ხ ა დ ი — არა, ეს ისე... სიტყვაზე...
 ბ ე ქ ი რ ი — ვთქვით ჩახვედი, მერე?
 ფ ე რ ხ ა დ ი — წარმოგიდგენიათ, სულ ერთი კვირის შერთული მყავდა
 ცოლი... გამქაჩეს და პირდაპირ ჯარში მიკრეს თავი. (ელიმება) ეჰ, ერთი
 სოფელში ჩასვლის ნება მომცენ და მერე თუნდაც ჯოჯოხეთში გამ-
 გზავნონ!
 ჰ ა ი დ ა რ ი — შენ ხომ ქალაქელი კაცი ხარ, ბექირ-უსტა, ფაბრიკაშიაც გიმუ-
 შავია, ალბათ, კარგად იცი ქვეყნის ასავალ-დასავალი. ეს კორეა რა არის?
 სად არის?
 ბ ე ქ ი რ ი — ჩინეთის მახლობლად... იაპონიის პირდაპირ.
 ფ ე რ ხ ა დ ი — აქედან ძალიან შორსაა?
 ბ ე ქ ი რ ი — ძალიან.
 ფ ე რ ხ ა დ ი — დავლუბლვართ და ეს არის: წახვალ — ვერ ჩააღწევ, ჩააღ-
 წევ — ვერ დაბრუნდები.
 ბ ე ქ ი რ ი — მაშ რა გეგონა? მუსიკით დახვედრას ელოდი?
 ს ი ტ კ ი — ჰო, მაგრამ, იმ კორეელებმა რაო... რაზე გაავლისეს ჩენი მთაე-
 რობა?
 ბ ე ქ ი რ ი — კორეელებს არავინაც არ გაუგულისებიათ...
 ჰ ა ი დ ა რ ი — რა, ჩეინს მიწას ხომ არ ეპოტინებიათ?
 ბ ე ქ ი რ ი — ჩენი მიწა რად უნდათ? თავისი იქ არა აქეთ!

(მეორე ჩვეულებაში)

- I ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — დაიკა. ეს კორეელები გიპურები არიან. სერქანტო?
 ს ე რ ქ ა ნ ტ ი — სულ გიპურები არ არიან... სწორედ გუშინ ვუსმენდი ხოჯას
 შეჩეთში... ინე გამოდის, რომ კარბსა სცემენ თავყანს.
 II ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — მუსულმანებად უნდა მოვაქციოთ ხომ? იმიტომ მიე-
 დივართ?

სერჯანტი — არა, კაცო... ისინი ორად გაიყვნენ. ერთი ნაწილი ამერიკას ემხრობა, მეორე — წინააღმდეგა. რა, გაზეთს არ კითხულობ, შენ ზეპირე? ამერიკის წინააღმდეგ ვინც არის, იმათ კედელზე მიკვეყყეს ამერიკის მომხრეები. ახლა ამერიკელი სალათები, ინგლისელებიც, ფრანგებიც — ჩაეარდნენ, და მისაშველებლად ჩვენ გვგზავნიან.

I ჯარისკაცი — მისაშველებლად თუ გვგზავნიან... ეს იმას ნიშნავს, რომ... შორჩა...

II ჯარისკაცი — თუ გეშინია — შინ დაუგეი.

(მირველ ჯგუფში)

ფერხადი — იქნებ იმ კორეის მთებში ამოვწყდეთ და სახლში მისვლას ველარ უნდა ველირსო!

ჭაიღარი — შენც ადექი და ბედრის მიბაძე, აი მეორე დანაყოფში რომ იყო.

ფერხადი — იმას რა მოუვიდა?

ჭაიღარი — იმასაც უბრებდნენ გაგზავნას. ადგა, აიღო ბოთლი, გატეხა, დაფშენა და გადაყლაპა. სულ დაეჭრა ნაწლავები. აქ მოიყვანეს, პოსპიტალში.

სიტკი — ფექმა კიდე, აი მეორე ბატალიონის სალდათმა, სულ დაისერა მარჯვენა ხელი.

ჭაიღარი — ტრიბუნალს გადასცემენ.

ფერხადი — გადასცენ მერე. კორეაში არ გაგზავნიან და...

ბექირი — რაღა გამოვიდა...

ფერხადი — აბა შენ გეასწავლე უყეთესი გამოსავალი და თვალებს დაგიკოცნი.

ბექირი — არის ერთადერთი გამოსავალი, რომ კორეაში არ გაგვაგზავნონ...

ჭაიღარი — აბა?

ბექირი — სალამოს გეტყვი, ყაზარმაში.

(მემოდის სანიტარი).

სანიტარი — წავიდეთ, სერჯანტო, ბატონი ექიმი გელოდებათ.

სერჯანტი — აბა, წავიდეთ, ბიჭებო.

(ჯარისკაცები გადიან).

ფერხადი — (ჩანორჩება და ბექირს მიმართავს) ნეტა შენი ერთადერთი გამოსავალი არ მიშველის, რომ სოფელში მოვხვედ? თუნდაც ერთი საათით?

ბექირი — იქ ვნახავთ.

პოლიციის უფროსის კაბინეტი

პოლიციის უფროსი, მისი ამერიკელი მრჩეველი მისტერ სმიტი, თარჯიმანი, პოლიციელები. რეკავს ტელეფონი. პოლიციის უფროსი მიღს ბილბს.

პოლიციის უფროსი — ალო... ბატონი ქიამილი?... დიახ... პოლიციის უფროსი, დიახ, თქვენ გეძებდით, ამ დილით თქვენი ძიძა დავაპატრომეთ, ფათმა-ხანუმი, ფიქრი ნუ გაქვთ... მშვიდობის მომხრეებთან ერთად. დიახ,

მოწოდებაზე არ აწერს ხელს. ნურა გეფიქრებით რა. თუ მოისურვებთ, ყველაფერს ავიხსნით. ერთი სათხოვარი. ფათმა-ხანუმის შექცევა... დიახ, დიახ, ალი-ბეი... მასთან შეხვედრა გვინდა... მეტად მინდა შეხვედრა... საქმე გვაქვს... გვინდა, ერთ საქმეში დავიხმაროთ. თქვენ ნუ ლეღავთ. ოღონდ კარგი იქნებოდა, ალი-ბეისთვის გერჩიათ, რომ დაგეხმარებოდა. აბა, გელოდებით. მიიღეთ ჩემი პატივისცემა. (მიღს დადებს. თარჯიმანს მიმართავს) მოახსენე ბატონ სმიტს, რომ ქიამილ-ბეი ექვს საათზე აქ იქნება...

თარჯიმანი — მესმის. მისტერ სმიტსა სურს, აშული დაეთხოვთ.

პოლიციის უფროსი — ხომ არ აჯობებდა, მშვიდობის მომხრეთა დაკითხვა გაგვეგრძელებინა?

თარჯიმანი — მოვახსენე, მაგრამ დაუყინია, ჯერ აშული დაეთხოვთო. ასე ამბობს, ცოტათი გაგვართობსო, თანაც გამოვარკვევთ, რაიმე კავშირი ხომ არა აქვთ სხვა პატიმრებს და ამასო.

უფროსი — არა მგონია. მაგრამ რა გაეწყობა? რაკი ასე სურს, მისი ნებაა. (პოლიციელებს) შემოიყვანეთ აშული. (პოლიციელი გადის) ახლა ასე მოვიქცეთ: შენ ბატონ სმიტს უთარგმნე საქმის მთავარი არსი; დაკითხვის დროს თუ ექნება რაიმე შენიშვნა, ქალაღზე დამწერე და გადმოვიცი. (პოლიციელს შემოყავს მოხუცი აშული სათილშიში) აქეთ მოიწი, ძია კაცო, შენი სახელი?

სათილშიში — ალი ოღლი სათილშიში მქვია, ბეი... გვარი — ბაქრი იანიკი. ხოლო გლეხები ხიჯრაანს მეძახიან.

უფროსი — რომელი ერთი გქვია — სათილშიში, ბაქრი იანიკი თუ ხიჯრაანი?

სათილშიში — რომელიც გვინებოთ, ის დამიძახეთ, ბეი, სულ ერთია სამარისგან მაინც არ მიხსნის.

უფროსი — თვალზე რა მოგივიდა?

სათილშიში — თქვენივე ხალხმა მიყო, ბეი, ასე შემამკეს.

უფროსი — კარგად მოქცეულან. სამშობლოს მოღალატეებისათვის სიკვდილიც კი ცოტაა!

სათილშიში — მართალს ბრძანებ, ბეი, სამშობლოს მოღალატისთვის სიკვდილიც ცოტაა...

უფროსი — ვითომ რაო, ამითი რისი თქმა გინდა?

სათილშიში — შენ დიდი კაცი ბრძანდები, ბეი. თქვენი სიტყვები საქმით უნდა დავადასტუროთ.

უფროსი — სადაური ხარ?

სათილშიში — ერზინჯანელი ვახლავარ, ბეი.

უფროსი — მერე, ფეხით ჩამოხვედი ერზინჯანიდან?

სათილშიში — ფეხით, ბეი. მოვდივარ ასე, სოფლიდან — სოფელში, ვუკრავ საზანდარზე, ვმღერი. მანამ ფეხებმა გამოძლეს, ვიარე, ამინდიც კარგი იდგა. საცა დამიღამდებოდა, იქ გამითენდებოდა — მთაში, ბარში. აქ ისე ჩამოვედი, რომ არავისგან ნამკეცი წყენაც არ მიგრძენია.

(ამ ხნის განმავლობაში თარჯიმანი ამერიკელ მრჩევლს უთარგმნის. ისიც რაღაცას ამბობს. თარჯიმანი ქალაღზე წერს და პოლიციის უფროსს გადასცემს.)

უფროსი — (წაიკითხავს) გეკითხებიან, ერზინჯანიდან რამდენ თვეში ჩამოხვედიო.

სათილმიში — ეინ მეკითხება, ბეი?

უფროსი — როგორ თუ ეინ გეკითხება? ეინ უნდა გეკითხებოდეს რა თქმა უნდა, მე.

სათილმიში — სამ თვეში, ბეი. არა, ოთხ თვეში.

უფროსი — ველარ გავიგე — სამში თუ ოთხში?

სათილმიში — თქვენს სიტყვაზე იყოს, ბეი, რამდენსაც თქვენ იტყვი.

უფროსი — ბიკოს, ეს რასა ჰგავს? ვის ამასხარავებ?

სათილმიში — თქვენი ფეხის მტვერი ვიყო, ბეი! თქვენი ბრწყინვალეების გამასხარავებას აბა როგორ გავბედავ?

უფროსი — სამი თუ ოთხი? მართალი მითხარი!

სათილმიში — ცოტა მადროვე, მოვიფიქრო, ბეი... სამნახევარზე ცოტა მეტი.

(თარჯიმანი კიდევ გადასცემს ქალაღს პოლიციის უფროსს).

უფროსი — (კითხულობს) ახლა აი რა, ოღონდ არ დაფიქრდე, ისე მითხარი — კომუნისტებიდან ვის იცნობ?

სათილმიში — არაფერი ვიცი... ვერ გავიგე, რას მეუბნები...

უფროსი — სტყუი...

სათილმიში — ღმერთმა დამითაროს... როგორ გავბედავ?

(თარჯიმანი კიდევ გადასცემს ქალაღს პოლიციის უფროსს).

უფროსი — (კითხულობს) მომიტანეთ მაგისი საზანდარი.

სათილმიში — საზანდარი შენმა ხალხმა გაიპიტება, ბეი... ვაი ჩემს თავს.

უფროსი — ძალიან კარგად მოქცეულან. (პოლიციელს) ხუთ წუთში! გაიგე? გაიქეცი და ხუთ წუთში საზანდარი გააჩინე.

(პოლიციელი გადის).

სათილმიში — ჩემთვის თუ გინდა, ბეი, სხვის საზანდარზე მე ვერ დავუკრავ.

უფროსი — დაუკრავ! როცა გიბრძანებენ, დაუკრავ. ასე სურთ.

სათილმიში — ვის სურს, ბეი?

უფროსი — როგორ თუ ვის სურს? მე მსურს.

სათილმიში — რა უნდა დაუკრა, ბეი?

უფროსი — რა დაუკრას?

თარჯიმანი — მე მეკითხებით? შევეკითხო?

უფროსი — ა-არა, შენ არ გეკითხები... ამ მაწანწალას ვეკითხები (სათილმიშს) გეტყვი, რაც უნდა დაუკრა, გაიგე?

სათილმიში — გავიგე, ბეი?

(ამერიკელი რაღაცას ეუბნება თარჯიმანს. თარჯიმანი პოლიციის უფროსს გადაუზღოვრებს)

უფროსი — ძალიან კარგი (სათილმიშს), მამ შენ ერზინჯანელი ყოფილხარ, ჰა?

სათილმიში — ერზინჯანელი ვარ, ბეი.

უფროსი — ფეხზე რას დგახარ? დაჯექი!

სათილმიში — როგორ იქნება, ბეი? თქვენი ბრწყინვალეების წინ აბა როგორ უნდა დაჯდე?

უფროსი — გეუბნებიან, დაჯექი! ამ საეარქელზე დაჯექი.



სათილმიში — თქვენი ფეხის მტვერი ვიყო, ბეი.

უფროსი — დაჯექი. (სათილმიში საეარძელში ჩაჯდება) ადექი (სათილმიში მიდბნეულად წამოდგება) კომუნისტებიდან ვის იცნობ?

სათილმიში — ღმერთმა დამწყველოს...

უფროსი — ჩქარა, თქვი! კომუნისტებიდან ვის იცნობ? ფული ვინ მოგცა? მიბასუხე.

სათილმიში — არაფერი გამეგება... ვისზე მეკითხები, ბეი? არავისაც არ მოუცია ფული...

უფროსი — შვიდობის მომხრეებიდან ვის იცნობ?

სათილმიში — არ ვიცი, ბეი...

უფროსი — ისმაილს იცნობ? ხატჩეს იცნობ? ნურის იცნობ?

სათილმიში — ნურის ვიცნობ, ბეი...

უფროსი — საიდან? როდის ხედებოდით ერთმანეთს?

სათილმიში — ერთი წლის წინათ... ერზინჯანში...

უფროსი — ერზინჯანში? აჰა, მაშ იმან ჩავითრია ამ საქმეში? ფული რამდენი მოგცა?

სათილმიში — ფული რომ ჰქონოდა გალატაკებულ ნურის, ბეი, რაღა უჭირდა, ხარს იყიდდა... კავში თავის ბებრუხანას აღარ შეაბამდა...

უფროსი — რას მივდ-მოვედები?

სათილმიში — იმას მოგახსენებდით, ბეი, რომ ჩვენს საწყალ ნურის შარშან ხარი მოუკვდა... როგორ-ღა იყიდდა. ადგა და ხენის დროს კავში თავის ბებრუხანა ცოლი შეაბა...

უფროსი — რომელ ნურიზე ლაპარაკობ?

სათილმიში — ჩვენს მეზობელ სოფელში ცხოვრობს. ბეი, სარიჯაში... ჩემი ბიძაშვილი... ბნელი კაცია. შარშან იმას...

(მოლიციელს საზანდარი შემოაქვს).

უფროსი — ხმა ჩაიკმინდე! აილე ეს საზანდარი და დაუკარი. რაც გინდა, ის დაუკარი. დაუკარი და იმლერე. აბა, ცოცხლად, ჩვენ გისმენთ.

სათილმიში — თქვენი ფეხის მტვერი ვიყო, ბეი... ფეხზე დგომელა დაკვრა არ შეიძლება.

უფროსი — დაჯექი.

სათილმიში — დაჯვდებოდი, ბეი, მაგრამ მაშინვე რომ მომახლი, ადექი!

უფროსი — აბა, აბა, ნუ გააბი... დაჯექი და დაიწყე.

(სათილმიში ჯერ მომართავს საზანდარს. მერე დაუკრავს და დამლერებს ერზინჯანულ სიმღერას. თარჯიმანი ქალაღს გაღასცემს მოლიციის უფროსის სოხებლობს):

ერზინჯანში ჩიტია,

ფრთაზე ვერცხლი ჰკიღია,

წახველი და არ დაბრუნდი,

ჩემი ცოდვა გკიღია.

უფროსი — (წაიკითხავს ქალაღს). არა... რაღაც ანატოლიურ სიმღერას მღერის. მეც არ ვიცი, რა არის, ახლავე ვამღერებ იმას. (სათილმიშს) ბერიკაცო...

სათილმიში — (შეწყვეტს სიმღერას) მიბრძანე, ბეი.



საქართველოს
წიგნიერების
კავშირები

უფროსი — ეს არ გვინდა. ის გვიმღერე, მეორე...

სათილმიში — რომელი, ბეი?

უფროსი — აი, რისთვისაც დაგაბატიმრეს ყავახანაში.

სათილმიში — ახლავე, ბეი.

(დაიწეებს საზანდარის მომართვას და ცოტა ხნის შემდეგ სიმღერას წამოიწყებს)

სტალინის სიბრძნემ გაანათა ქვეყნიერება,
ის ხალხზე ზრუნავს, ხალხებს უქმნის ბედნიერებას;
ჩაგროლი ხალხი, ლატაკები, მას ებრალება,
საწყალ ხიჯრანს მისი ნახვა სურს, ენატრება.

მთელი მსოფლიო გაიძახის იმის დიდებას,
იმედის ცეცხლი მისგან ყველას წაეიღება.
მისი წამალით ჩაგრულები განიკურნება,
საწყალ ხიჯრანს მისი ნახვა სურს, ენატრება.

უფროსი — სულ ეს იყო?

სათილმიში — სულ ეს იყო, ბეი.

უფროსი — გესმის მერე, რახა მღერი? ეს რა სიმღერაა?

სათილმიში — სიმღერის კილო ძველი გახლავთ, სიტყვები კი მე თვითონ შეეთხზე.

უფროსი — ამ ბრიყვს შეხედე! (თარჯიმანი რაღაცას გადაუჩურჩულებს პოლიციის უფროსს) მართალი თქვი, ვინ შეთხზა ეს ლექსი?

სათილმიში — მე თვითონ, ბეი.

უფროსი — სიმართლე მითხარი-მეთქი... შენ როგორ შეთხზავდი ასეთ სიტყვებს!

სათილმიში — რატომაც არა, ბეი, რაც თორმეტი წლისა გავხდი, სულ მე ვთხზავ ლექსებს. თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ჩემმა განსვენებულმა ოსტატმა ხიჯაბმა ხიჯრანი შემარქვა...

უფროსი — ჯანდაბას შენცა და შენი ოსტატიც! ვერა ხედავ, რომ აშკარა კომუნისტურ პროპაგანდას ეწევი? ნუთუ არ იცი, რომ ეს საქმე სახრჩობელამდე მიგიყვანს?!

სათილმიში — შენი ფეხის ბტვერი ვიყო, ბეი... კაცი არ მომიკლავს, არავისთვის არაფერი წამირთმევია, არავინ შემიბლაღავს...

უფროსი — ისა სჯობდა, მოგეკლა ვინმე.

სათილმიში — ღმერთმა დამიფაროს, ბეი...

უფროსი — მაშ, ერზინჯანიდან მოკიდებული, მთელს გზაზე, ამ პროპაგანდას ეწევი, არა?

სათილმიში — ღმერთმა დამიფაროს, ბეი... არაფერი მაგის მსგავსი არ გამიკეთებია...

უფროსი — მაშ სოფლის ყავახანაში სულ ამ სიმღერას მღეროდი, არა? დილიდან საღამომდე?

სათილმიში — სხვა სიმღერებსაც ვმღეროდი, ბეი... ამასაც ვმღეროდი.

უფროსი — სამნახევარი თვე დაწინწალებდი სოფელ-სოფელ, და ჩვენთვის არავის არაფერი მოუხსენებია! არავის არ გადაუციხარ თანდარმერიისათვის?

სათილმიში — რას მერჩოდნენ, ბეი? არ მომიპარავს, არ მომიკლავს...

უფროსი — ხმა ჩაიკმინდე! მიწა გაგისკდეს, ბრიყვო! ხებრეე! წარმოუდგე-



ნელი ამბავია — მთელი ანატოლია შემოიარა და სულ ამას გაიძახის —
სტალინი! სტალინი!

ს ა თ ი ლ მ ი შ ი — მთელი ანატოლია არ შემომივლია, ბეი...

უ ფ რ ო ს ი — ხმა ჩაიკმინდე! (უფროსი კიდევ მიიღებს თარჯიმანისგან ქა-
ლალს, კითხულობს) თუ იცი მაინც, ვინ არის სტალინი?

ს ა თ ი ლ მ ი შ ი — გამიგონია...

უ ფ რ ო ს ი — ვისგან გაგიგონია?

ს ა თ ი ლ მ ი შ ი — ღმერთი გამირისხდეს, ბეი, თუ მახსოვდეს, ვისგან... აბა,
შენ თვითონ რას უპასუხებ, ვინმემ რომ გკითხოს, მაშინ სახელი პირ-
ველად ვისგან გაგიგონიაო? გაგახსენდება განა?

უ ფ რ ო ს ი — მაშ, სტალინი ჩვენი მამა ყოფილა!

ს ა თ ი ლ მ ი შ ი — შენი რა მოგახსენო, და ჩვენთვის კი მართლაც მამაა...

უ ფ რ ო ს ი — შენ ხომ მუსულმანი ხარ!

ს ა თ ი ლ მ ი შ ი — ნუ ცხარობ, ბეი... შენი ფეხის მტვერი ვიყო, სტალინი
ჩვენი მამაა. მე რომ მკითხოთ, ბეი, ის არის ნამდვილი ხიზირ ალეიხუსე-
ლიამი.

თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — უკაცრავად, მაგრამ როგორ ვუთარგმნო ამერიკელს ხიზირ
ალეიხუსელიამი?

უ ფ რ ო ს ი — მე საიდან უნდა გითხრა? მაგათ იქნება არც კი ჰქონდეთ ამის-
თანა რამე! ასე აუხსენი — ხიზირი... ხიზირი... ჩვენი ხალხის ლეგენდური
გმირია... მუდამ გაკირვების დროს შველის ხალხს.

თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — სწორედ ასე აუხსენი.

უ ფ რ ო ს ი — რას გაშტერებულხარ?

ს ა თ ი ლ მ ი შ ი — ისე, ფიქრმა გამიტაცა... იმას ვფიქრობდი, ვინ არის ეს
უცხოელი, თურქული რომ არ ესმის.

უ ფ რ ო ს ი — შენმა სტალინმა იცის თურქული?

ს ა თ ი ლ მ ი შ ი — (დაბეჯითებით) ისეთი ენა არ არსებობს, სტალინმა რომ
არ იცოდეს. სამოცდათორმეტი ენა იცის.

უ ფ რ ო ს ი — ოჰო, ახლა მე მიწევ აგიტაცო?

ს ა თ ი ლ მ ი შ ი — ღმერთმა დამიფაროს, ბეი...

უ ფ რ ო ს ი — დაცა! მე შენ გაჩვენებ! (თარჯიმანი რალაცას წასტურჩუ-
ლებს უფროსს) კარგი. (პოლიციელს) გაიყვანეთ და კამერა-აკლდამაში
შეაგდეთ. (სათილმის) იცი შენ, რა არის ეს აკლდამა?

ს ა თ ი ლ მ ი შ ი — ერზინჯანში, ბეი, მეჩეთშია აკლდამა.

უ ფ რ ო ს ი — ეს იმას არა ჰგავს. ცხვირწინ აგინთებენ ათასსანთლიან ნათუ-
რას. ვერ დაჯდები, ვერ გაინძრევი — უნდა იდგე სვეტივით, არც პური,
არც წყალი. გაიგე?

ს ა თ ი ლ მ ი შ ი — გავიგე, ბეი.

უ ფ რ ო ს ი — გაიყვანეთ.

მ ო ლ ი ც ი ე ლ ი ზ ე ლ ს კ რ ი თ ვ ა ა გ დ ე ბ ს ს ა თ ი ლ მ ი შ ს .

თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — მისტერ სმიტი ბრძანებს, მაგის გასამართლება არ ღირსო.
ამით ჩვენ თვითონვე შევეუწყობთ ზელს მაგის პროპაგანდას. ჩვენთვის ვე-
რაფერი ზელსაყრელი იქნება, რომ ეს უვეცი გლახუქა კომუნისტების
აგენტად გამოვაცხადოთო.

უფროსი — აბა რა ვუყოთ? ორმოც წელიწადს ხომ არ გვეყოლება აკლდამაში?!

თარჯიშანი — მისტერ სმიტი გირჩევთ, საგიეში გაგზავნეთო! ყველაზე უფრო მახვილგონიერული ეს იქნებაო.

უფროსი — საგიეში? ასე იყოს, რა მენადვლება! ეგდოს იქ, მანამ ჩაძალღებოდეს. (შემოდის პოლიციელი) აბა ჩვენი სახელგანთქმული მწერალი შემოიყვანე.

პოლიციელი — ბატონი ჰუსეინ ჰალიმ-ბეი?

უფროსი — ჰო, იმედი მაქვს კარგად მოეპყრობოდით!

პოლიციელი — როგორც გვიბრძანეთ...

უფროსი — კარგი, წადი...

(პოლიციელი გადის).

თარჯიშანი — მისტერ სმიტის აზრით, ამ აშულს რაღაც კავშირი აქვს გლებთა აჯანყებასთან... აი, მემამულეებს რომ მიწები დასტაცეს — იმას გულისხმობს. ასე ბრძანებს, ეს ყველაფერი პოხიერი ნიადაგია კომუნისმის გასაფრცვლებლადო, ასე ბრძანებს, კომუნისტების წინააღმდეგ ყველაზე მკაცრი ზომები უნდა მივიღოთო.

უფროსი — სხვათაშორის, მეჯლისში უკვე გამოჩნდნენ კომუნისტების სიკვდილით დასჯის კანონის მომხრეები.

თარჯიშანი — მისტერ სმიტი ბრძანებს, ამ დაკითხვას ნუ მითარგმნიოთ. მას სურს პროკურორის თანაშემწედ გამოაცხადოთ.

უფროსი — კეთილი. (პოლიციელს შემოყავს ჰუსეინი. წამოდგება) მობრძანდით, ბატონო ჰუსეინ. გვაპატიე შეწუხებისთვის, მაგრამ, რა გაეწყობა. სამსახურებრივი მოვალეობაა.

ჰუსეინი — ჰო, გასაგებია.

უფროსი — (სმიტზე მიუთითებს) ჩვენს საუბარს პროკურორის თანაშემწე რეჯიბ-ბეიცი დაესწრება... (ჰუსეინი და სმიტი თავს უკრავენ ერთმანეთს. თარჯიშანზე მიუთითებს) ეს ბატონი დაკითხვის ოქმს შეადგენს. დაბრძანდით, გთხოვთ. (ჰუსეინი პოლიციის უფროსის პირდაპირ დაუდგება). თუ მგხსიერება არ მალატობს, თქვენ ერთხელ ბალზე გაგიცანით.

ჰუსეინი — დიახ.

უფროსი — დიდი თაყვანისმცემელი ვარ თქვენი ტალანტისა. უდიდესი სიამოვნებით ვკითხულობ თქვენს სტატიებს და, განსაკუთრებით, მოთხრობებს. მარტო მე კი არა, — ჩემი ცოლიც, ჩემი ქალიშვილიც — მთელი ოჯახი აღტაცებული ვართ თქვენით.

ჰუსეინი — აჰ, ზედმეტად მაქვთ, ბატონო.

უფროსი — სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. ჰუსეინ-ბეი, სწორედ ასეა. ისეთი ადამიანი არ შეგულება თურქეთში, რომ დიდად არ აფასებდეს იმ სიახლეს, რაც თქვენ ჩვენს ლიტერატურაში შეიტანეთ.

ჰუსეინი — ნუ გამაწითლებთ, ბატონო.

უფროსი — ოჰ, რასა ბრძანებთ. ეს არის სრული ქეშმარიტება. მთელი ჩვენი ხალხი თქვენით ამოყობს, თქვენით — როგორც მწერალით, როგორც პატრიოტით, როგორც ერის ქეშმარიტი შვილით. ამიტომაც თქვენი ბინის გაჩხრეკა დღეს... ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვწუხვარო მაგრამ რას იზამ, თავზეთ ძალა არ არის! ხომ იცით, სამსახური ჩვენი ხელობა



- ისეთია, რომ... იმედი მაქვს, უკადრისად მოპყრობას ვერ გაგიბედავდნენ.
 მე თვითონ გავეცი ბრძანება.
- ჰუსეინი — თქვენი ხალხი ძალიან თავაზიანად მომექცა.
- უფროსი — დიდად მიხარია. მაპატიეთ, რომ იმჟღერებული გავხდით, რამდენიმე საათს გაგვეჩერებინეთ აქ.
- ჰუსეინი — რა გაეწყობა, ასეთია თქვენი მოვალეობა.
- უფროსი — ოო, ნამდვილს ბრძანებთ! მოვალეობა, ჰუსეინ-ბეი! ზოგი რამ უნდა გკითხოთ, და შემდეგ თავისუფალი იქნებით. როგორც ვიცი, თქვენი სტატიები იბეჭდებოდა მშვიდობის მომხრეთა საზოგადოების ჟურნალში?
- ჰუსეინი — სრული სიმართლეა.
- უფროსი — ძვირფასო ჰუსეინ-ბეი, ბოლშევიკების აგენტებს, ამ კომუნისტებს, შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ ისეთი ღირსეული შვილი სამშობლოსი, ისეთი პატივცემული მწერალი, როგორც ბრძანდებით...
- ჰუსეინი — ბავშვი ხომ არ გგონივართ. არავისაც არ შევეუყვანივარ შეცდომაში. საზოგადოების ორგანიზატორები ჩემი ძველი მეგობრები არიან. პატიოსანი, სამშობლოს ერთგული შვილები. ხოლო იმათგან კომუნისტი...
- უფროსი — ჰო, ვინ? ვინ არის იმათგან კომუნისტი? ხატჩე? ნური? გიუზინი? სულიმანი?
- ჰუსეინი — არ ვიცი, ვინ არის იმათგან კომუნისტი.
- უფროსი — მაგას ვერ დაგიჯერებთ, ჰუსეინ-ბეი. შეუძლებელია, რომ არ იცოდეთ. რა თქმა უნდა, იცით.
- ჰუსეინი — არ ვიცი.
- უფროსი — სამაგიეროდ, ჩვენ ვიცით. თვითონვე გამოტყდნენ. საღ ლებულობდნენ ფულს, ღირებულებებს...
- ჰუსეინი — არსადაც არ ლებულობდნენ არც ფულს, არც ღირებულებებს. შეუძლებელია, რომ, ეს ეთქვას.
- უფროსი — მოუტყუებინებთ. მაშ, არა გასურთ მართლმსაჯულებას დაეხმაროთ?
- ჰუსეინი — მზადა ვარ ყველაფერი გითხრათ, რაც კი ვიცი.
- უფროსი — იმათგან რომელია დაკავშირებული იატაკქვეშეთა კომუნისტურ პარტიასთან?
- ჰუსეინი — აკი გითხარით, არ ვიცი-მეთქი!
- უფროსი — რომ იცოდეთ, იტყოდით?
- ჰუსეინი — არა.
- უფროსი — ყოჩაღ, ჰუსეინ-ბეი, მაგარი კაცი ყოფილხართ! აი, ეს მომწონს, იქნებ ეს მაინც გვითხრათ, ჰუსეინ-ბეი, ისმიალი საღ იმყოფება?
- ჰუსეინი — წარმოდგენაც კი არა მაქვს. მე მხოლოდ ის ვიცი...
- უფროსი — ასე? თქვენ მხოლოდ ის იცით, რომ...
- ჰუსეინი — მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მოწოდების გამოქვეყნებამდე ისმიალმა მოითხოვა გამგეობიდან გასვლა და საზოგადოებასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა.
- უფროსი — ესე იგი, გუმანითაც კი ვერ გვეტყვით, საღ იმალება ისმიალი?
- ჰუსეინი — ვერა. წარმოდგენა არა მაქვს!
- უფროსი — ძალიან კარგი. (პოლიციელს შემოაქვს ჩაი. პოლიციის უფროსი სინიდან ჭიქას აიღებს და ჰუსეინთან მივა) სულ ეს იყო, ამაზე შეგაწუ-

ხეთ, ჰუსეინ-ბეი, კიდევ და კიდევ ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის, ჩაის რომ არ მიირთმევთ?

ჰუსეინი — მაღლობელი ვარ.

(წამოდგება და ხელს გაიწეღის ჩაის ჩამოსართმევად).

უფროსი — (ცხვირპირში შეასხამს ჩაის) ძალიწვილო! „თქვენობით“ დაუწყეს ლაპარაკი და მართლაც კაცად წარმოიდგინა თავი (დათუთქულ სახეზე ჰუსეინი ხელს მიიფარებს) თავისი ხელით მიართვეს ჩაი ამ ჩვენს ბატონს! (სახეში შემოჰკრავს ჰუსეინს. წიხლს ამოკრავს. ჰუსეინი გამოერკვევა, თავდასაცავად ემზადება, მაგრამ ამ დროს მეორედაც ამოკრავენ წიხლს ფერდში. ამოიკვნესებს და დაეპარება) მე შენ ბულბულივით აგაქვიკვიებ! (უფროსი მაგიდასთან მივა და ელექტრონის ლილს ხელს დააჭერს, შემოდის საში პოლიციელი) გაათრიეთ ეს მძორი! აკლდამაში შეაგდეთ!

(პოლიციელებს გაყავთ ჰუსეინი, რომელიც ტოვებულისაგან იგრიხება. სმიტი რაღაცას გადაულაპარაკებს თარჯიმანს).

თარჯიმანი — მისტერ სმიტი ბრძანებს — ცოტა არ იყოს, აჩქარდითო. ჰუსეინი — (კარგუბან დაუსხლტება პოლიციელებს) — გარეწარი განა არ ვიცოდი, რომ ეგ შენი ბატონი იყო!

ფარდა.

მესამე მოქმედება

ციხე. ნაჰილზის ოთახი

(კარებთან დგანან ვეჯილი ქერიმი და გამფლანგველი — ყოფილი სამხედრო მოხელე. ხმადამლა საუბრობენ. მაგიდასთან სხედან მეორე ვეჯილი და ვაჭარი. ვაჭარი შეთანხმების ქალაღს ათვალაფრებს. ციხეში შესასვლელ დერეფნის კარებთან დგას ზედამხედველი).

ქერიმი — ფიქრი ნურაფრისა გაქვთ, ყველაფერს ვიღონებთ, რომ სტატია შეგიმსუბუქოთ.

გამფლანგველი — ესე იგი წელიწადნახევარს მაინც მივიღებ?

ქერიმი — ჰო, მაგრამ მეორე სტატიით ოთხი წლის მოცემა შეუძლიათ.

გამფლანგველი — ვიცი... უკვე თვე სრულდება, ციხეში ვარ, როდის-ღა ნახავთ საინტენდანტო სამსახურის უფროსს? ყველაზე კარგად იმას მოეხსენება, ამ სამასი ათასი ლირიდან, მე რომ კისერზე მაწევს, ასიათასი ვის ჯიბეში ჩავიდა!

ქერიმი — აკი შევთანხმდით. გირჩევენიათ, წვრილმანების ჩხრეკას ნუ დაიწყებთ.

გამფლანგველი — არა, უნდა დავიწყო! მეხუთე მოტოდივიზიის ბენზინი ვიღამ...

ქერიმი — ბავშვივით ლაპარაკობთ! ასე რომ დავაყენოთ საკითხი, სამხედრო სამინისტრო ყველა ზომებს მივიღებს პოლიტიკური სკანდალის თა-

ვიდან ასაშორებლად. დამოჯერეთ, სულ არ არის საჭირო ბენზინის გაყიდვისა და დივიზიის ხსენება. რად გპირდებით?

გამფლანგველი — ამერიკელ ინსტრუქტორთან რომ სანახევროდ გაქვს კერიმი — თავი დაანებეთ. ბენზინი გაიყიდა. ამ საქმეში ამერიკელსაც უღვევს წილი, თუ არ უღვევს — ეგ რა ჩვენი საქმეა? ჩვენ უნდა გამოვძებნოთ ოფიციალური, კანონიერი დაცვის გზები. ნუ ნერვიულობთ...

გამფლანგველი — ადვილი სათქმელია — ნუ ნერვიულობთ!

კერიმი — იმ კვირაში კიდე გამოვივლი. იმედი მაქვს, კარგ ამბებს მოგიტანთ. ახლა ნება მომეცით, წავიდე.

(ხელს ჩამოართმევს გამფლანგველს. გადის).

გამფლანგველი — (პაკეტს გაუწვდის კარებში მდგომ ზედამხედველს) ხომ დაინახე? ჩემმა ვეჟილმა მომიტანა. გასინჯე, თუ გინდა!

ზედამხედველი — აბა, რას ბრძანებთ, ბეი! მომეცით მხოლოდ კანადი გავხსნა, რომ მერე არ დაიწყონ... (ხსნის პაკეტს) პახლავა ხაჯი ბექირისაგან! ხელად მიეხვედი განა! მის პახლავას სუნით იცნობ!

გამფლანგველი — შენთვის დაიტოვე, არ მიყვარს პახლავა.

ზედამხედველი — დიდი მადლობა.

(გამფლანგველს სხვა შეხვეულები მიჰქვს და გადის).

ვაჰარი — (ქალაღღებს მოშორდება) ერთი ბეწო სინდისი არ შერჩენია ამ ვეჟილებს. ოთხი ათასს წინდაწინ თხოულობს, ოთხი ათასს კიდეც — გამართლების შემდეგ...

ვეჟილი — შენ გგონია, ეს რვა ათასი სულ ჩემს ჯიბეში ჩადის?

ვაჰარი — აბა ვის უნაწილებ? მოსამართლეს თუ პროკურორს?

ვეჟილი — ერთსაც და მეორესაც.

ვაჰარი — შენი მუშაობა რაღაში გამოიხატება?

ვეჟილი — ამას გაძრომ-გამოძრომა არ უნდა? ჩემ გარდა, ერთ გროშსაც კი არავესგან არ აიღებენ.

ვაჰარი — კარგი ახლა, ნუ მოჰყვიბი! თქვენ ყველანი ერთი წყლისა ხართ! ექვსი ათასიც გეყოფა. ვადაწერე შეთანხმება. ორი ათასს წინდაწინ მიიღებ, ოთხასს. — გამართლების შემდეგ. ღმერთო ჩემო! კაცი შეიძლება ჭკილდან შეიშალოს! სამი ოვე ნესტიან სარდაფში იტანჯები, დადიხარ ცემით. დაღურავებული, ვეჟილს ექვსი ათასი მიეცი, ქრთამები აძლიე... მერე რისთვის? რა დავაშავე მაინც.

ვეჟილი — კომუნისტურ პროპაგანდას ეწეოდით.

ვაჰარი — შენც მაგას ამბობ? ათასჯერ მითქვამს, ამიხსნია: რად მპირდებოდა მე. ვაჰარს, კომუნისტური პროპაგანდის გაწევა?!

ვეჟილი — მოწმეები უჩვენებენ.

ვაჰარი — ეშპაკსაც წაუღია, ჯანდაბაში წასულან ის შენი მოწმეები! რატომ არ გესმის, რომ ერთი მოწმე ჩემი კონკურენტია, გვერდით ვაჭრობს... მეორე... მეორე ხომ ძალიანვიღია... სტუდენტი მნახა, თუ ახლგაზრდათა ორგანიზაციის წევრი... მოწმე კი არა, კირი და დოზანა! აკი აგიხსენი — ჩემი დოქნის წინ ფორთოხალს ვჭამდი. სკამზე ჩამოეჯექი და ჭამა დავიწყე. რა მოხდა?

ვეჟილი — მერე ჩირქს რა უყავი?

ვაჰარი — ვაჰ, ქერქიანად ხომ არ შეეჭამდი?! რა ბევრი წილადობილა

უნდა — ქერკს ვაცლიდი! რამდენჯერ უნდა გავიმეორო ერთი და იგივე! დანით ვფცქენიდი და მიწაზე ვყრიდი...

ვექილი — მერე, რა ფიგურა გამოვიდა იმ ქერკიდან? ჩაქტა-ნაწმკალი!
ვაქარი — მაინც თავისას გაიძახის! ქერკები რა ფორმას მიიღებდა, ეს მე საიდან უნდა დამსიზმრებოდა? მოკლედ — ექვსი ათასი! ერთ გროშსაც არ მოგიმატებ.

ვექილი — შვიდი ათასი...

ვაქარი — არც ერთი გროში...

ვექილი — ექვსი ათას ხუთასი...

ვაქარი — არა.

ვექილი — ექვსიათას ასი.

ვაქარი — არა, არა, არა.

ვექილი — დამაცა, მოვიფიქრო...

ვაქარი — იფიქრე.

(შემოდის მურადი.)

მურადი — მე ხატჩე-ხანუმის და მისი ამხანაგების ვექილი ვარ. მათ სანახავად მოვედი.

ზედამხედველი — ახლავე. (კარებიდან გასძახებს) მომხრეები გამოიყვანეთ! (ახლა მეორე კარებში გასძახებს) ქალების ციხიდან ხატჩე და მთელი ჯგუფი გამოიყვანე! (მურადთან მივა და შეხვეულს სინჯავს) უნდა გადასცეთ?

მურადი — დიახ.

ზედამხედველი — უნდა გავსინჯო.

მურადი — გასინჯეთ.

(ზედამხედველი ხსნის ქაღალდის პარკებს ზეეს.)

ვაქარი — დილაშდე ხომ არ უნდა გიცადო? ველარ მოიფიქრე?

ვექილი — მოვიფიქრე. სინდისის იდუმალ ხმას მივეუბნარ ყური.

ვაქარი — რა გითხრა მერე?

ვექილი — ვექილობის მაღალი მოვალეობა მიკარნახებს...

ვაქარი — რაო, რას გიკარნახებს?

ვექილი — რომ დაგთანხმდე.

ვაქარი — ორი ათასი წინდაწინ, ოთხი — გამართლების შემდეგ. სულ ექვსი ათასი.

ვექილი — ჰო, ექვსი ათასი. ოღონდ სამი ათასი წინასწარ და სამი ათასი...

ვაქარი — არა, წინასწარ ორი ათასი.

ვექილი — ორიათას ხუთასი...

ვაქარი — ორი ათასი.

ვექილი — ორიათას სამასი...

ვაქარი — მრგვალი ციფრი — ორი ათასი. ო-რი ა-ათასი თურქული ღირა.

ვექილი — დამაცა, ჯერ მოვიფიქრო.

ვაქარი — იფიქრე.

ზედამხედველი — ეს რა არის, წიგნები?

მურადი — როგორც ხედავთ.

ზედამხედველი — ბრძა არა ვარ, ვხედავ, რომ წიგნებია. მადლობა ღმერთს, წერა-კითხვა ვიცი. ვერ გადაეცემ.

- მურადი — ოფიციალურად დაბეჭდილი წიგნებია. იყიდება ყველა წიგნის
მალაზიაში. რომანები, ისტორია...
- ზედამხედველი — რაც არ უნდა იყოს! ათათურქის მოხსენებას
იყოს! არა, ვერ გადაეცემთ.
- მურადი — რატომ?
- ზედამხედველი — პროკურატურის ახალი ბრძანებაა. მომხრეებს წიგ-
ნები არ გადაეცემთ.
- (შემოდიან ნური, ჰუსეინი, სულეიმანი).
- ყველანი — გამარჯობა, მურად! გამარჯობა მეგობარო, ძლივს არ ველირსეთ
შენს ნახვას! (გადაეხვევიან).
- ვაჰარი — რა ქენი, არ მოიფიქრე?
- ვექილი — მოვიფიქრე, თანახმა ვარ.
- ვაჰარი — მაშ. პირველივე სხდომაზე გამათავისუფლებენ?
- ვექილი — კარგი, წადი, წადი.
- (ვექილი და ვაჰარი სხვადასხვა კარებში გადიან. შემოდიან ფათმა, ხატჩე,
გუზინი. სალამს აძლევენ მურადსა და ამხანაგებს)
- ყველანი — გამარჯობა, მურად, გამარჯობა. შეილო! რა მომიტანე, მურად?
ზედამხედველი — გაფრთხილებთ, თქვენს განკარგულებაშია ნახევარი
საათი!
- მურადი — კიდევ ერთი ახალი ამბავი! მე ამათი ვექილი ვარ. აქამდე არ ყო-
ფილა ასეთი წესები!
- ზედამხედველი — პროკურატურის ახალი ბრძანებაა.
- ჰუსეინი — უხამსობაა!
- ზედამხედველი — ცოტა ფრთხილად, ბატონო. ნუ გავიწყდებათ, რომ
ციხეში იმყოფებით.
- ფათმა — ძალიანაც რომ გვინდოდეს, ამას რა დაგვაფიწყებს. არც კია სა-
ჭირო ციხის სარკმელებს შეხედო — შენი სიფათის დანახვაც კმარა.
- ზედამხედველი — ნუ შესტობავ, ბებია!
- ფათმა — რა შენი ბებია მნახე? შენისთანა შეილიშვილი რომ მყავდეს, ჰაში
ჩავაყუდებდი.
- ზედამხედველი — მე შენ გაჩვენებდი სეირს, მაგრამ ხელი როგორ გა-
ვისვარო!
- მურადი — ძალუა ფათმა, გთხოვ დამშვიდდე... საქმეზე უნდა მოვილაპა-
რაყოთ.
- ზედამხედველი — ოღონდ ჩურჩული არ იყოს! ხმამაღლა ილაპარაკეთ.
ყველა სიტყვა უნდა გავიგონო.
- სულეიმანი — მურად, შენ გენაცვალე, ერთი საქმე გამიკეთე. ვერ მოვა-
ხერხე, რომ აქამდე მეთქვა... ჩხრეკის დროს ჩემი კოლექციაც წაიღეს...
არაფრით არ შეიძლება, როგორმე უკანვე დავიბრუნოთ? იმით რაში ვსა-
ჭიროებთ? ჰა, რას იტყვი, ხატჩე?
- მურადი — შევეცდები, ჩემო სულეიმან.
- სულეიმანი — ეცადე, შენი ქირიმე.
- ნური — იცი, მურად, მე ისევ დავიწყე ჰაპიროსის წევა, გუშინ დავიწყე.
- გიუზინი — ციხეში უკვე თავისი გააკეთა.
- ხატჩე — (მურადს) საბრალოდებლო დასკვნა თუ მიღე? ჩვენ გამოგიგზავნეთ.

მ უ რ ა დ ი — მივიღე.

გ ი უ ზ ი ნ ი — ოცდაათი პროცენტით შეცდით, მურად, პროკურორი ჩამოხრჩობას არ გვიპირებს.

მ უ რ ა დ ი — პო. პროკურორი თხუთმეტ წელს მოითხოვს.

ფ ა თ მ ა — აკი ხუთიდან-თხუთმეტამდეო... ხატჩემ წამიკითხა ეს ქალაღი.

ხ ა ტ ჩ ე — პო. მაგრამ პროკურორი უმაღლესს მოითხოვს, ძალუა ფათმა...

პ უ ს ე ი ნ ი — ნუთუ არ არის გამართლების იმედი?

მ უ რ ა დ ი — ჩვენ ჩვენი ვცადოთ, ბოლომდე ვიბრძოლოთ.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი — სად უნდა იბრძოლოთ?

პ უ ს ე ი ნ ი — სად ვიბრძოლებთ? რა თქმა უნდა, სასამართლოში.

ხ ა ტ ჩ ე — ჯერ სასამართლოში.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი — ეს რაღას ნიშნავს?

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — ნუ უპასუხებ, ხატჩე. მაგის საქმეა მიყურადება. მოგვაცურადოს, სანამ მოსწყინდება.

მ უ რ ა დ ი — უკვე დაეპაზადე პროტესტი, და თქვენთვის საჩვენებლად მოვიტანე. იქნებ რამე დაუმატოთ. თითო ეგზემპლარს მოგცემთ.

(ჩამოარიგებს თითო ფურცელს).

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი — (მიუახლოვდება) ეს რა არის?

მ უ რ ა დ ი — პროტესტი.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი — მერე საიდან ჩანს, რომ პროტესტია?

მ უ რ ა დ ი — წაიკითხეთ.

(ძღვეს ერთ ცალს. ახელი ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი გამოართმევს ქალაღს და კითხულობს: სხევიც კითხულობენ, ხ ა ტ ჩ ე, ს უ ლ ე ი მ ა ნ ი, ნ უ რ ი და გ ი უ ზ ი ნ ი ჩვეუ-ჩვეუდა მსჯელობენ. მ უ რ ა დ ი პესენს ელაპარაკება).

ნ უ რ ი — (ხმადაბლა კითხულობს. გიუზინი უსმენს) პროკურატურა... მიუხედავად ამისა... ეს მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს... ამრიგად... გიუზინ, როგორ მომენატრე! მიყვარხარ, გიუზინ... მურადი რომ არ მოსულიყო... ეს არის კანონი? ათ დღეში ერთგვარად ვერ განხავდი...

გ ი უ ზ ი ნ ი — იქნებ წლობითაც ვერ ვნახოთ ერთმანეთი... უნდა შევეჩვიოთ.

ნ უ რ ი — ათი წელი რომ ვიჯდე ციხეში, შენთან განშორებას მაინც ვერ შევეჩვევი... ხომ არ დამივიწყებ? ხომ დამელოდები?

გ ი უ ზ ი ნ ი — არა, ზედამხედველს მივთხოვდები!

ნ უ რ ი — ასე ნუ ხუმრობ...

გ ი უ ზ ი ნ ი — „ცოლს“ რატომ აღარ მეძახი?

ნ უ რ ი — ხომ ვეღარ გახდი ჩემი ცოლი?

გ ი უ ზ ი ნ ი — შენი ცოლი ვარ. ჩვენ ოროთახიანი ბინა გვაქვს... ჩვენს უბანში ცხოვრობს ხატჩე... ის არის, რომ სახურავიდან წყალი ჩამოდის, მაგრამ...

ნ უ რ ი — ჩემო ცოლო... ჩემო ყველაფერ...

(ხ ა ტ ჩ ე და ს უ ლ ე ი მ ა ნ ი პირველ პლანზე არიან, ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი მათგან ზურგმჯექით დგას).

ხ ა ტ ჩ ე — აპ... გაინძრა... ხელი მომეცი (სულეიმანის ხელს მუცელზე იღებს) ვერა გრძნობ?

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — ჩემი ბიჭი...

გ ი უ ზ ი ნ ი — ზედამხედველი გვიყურებს...

ნუ რ ი — (ხმამალა კითხულობს) პროკურატურის საბრალმდებლო დასკვნაში საგანგებოდ... მაგრამ პროკურორის მიყენებული სტატია... ამიტომ (ჩემი მად) ჩემი ცოლი.. გიუზინ!.. (ხმამალა) მკაცრი ზომა... (ჩემი მად) ჩემი ცოლი.. გიუზინ!.. მინდა, სულ შენს სახელს ვიმეორებდე, დაუსრულებლად... მიყვარხარ!

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი — (ნურის და გიუზინს) მანდ რას ჩურჩულებთ?

ნუ რ ი — თურქეთზე ვლაპარაკობთ, ისეთ თურქეთზე, სადაც არც შენ და არც შენი ბატონები არ იქნებით.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი — ეს რას ნიშნავს?

ფ ა თ მ ა — შენ რა, ციხის ზედამხედველობა შემკვიდრებოდ ხომ არ მიგილია? ბრმა ხარ? ყრუ ხარ? ვერ ხედავ, რომ კანონის ქალაქს კითხულობენ? ესეც აკრძალეს?

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი — ხმა ჩაიკმდე, ბებრუხანა!

მუ რ ა დ ი — მატყლი მოგიტანე, ხატჩე... (გადასცემს შეხვეულ მატყლს) — ძალიან ღია ფერისა ხომ არ არის.

ხ ა ტ ჩ ე — არა, მშვენიერია... მადლობელი ვარ, მურად.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — (მურადს) — მეორედ რომ მოხვალ, ლუპა მომიტანე.

მუ რ ა დ ი — როგორი ლუპა?

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — ჩვეულებრივი. ჩვენს საკანში ვილაც პატიმარს კოლექცია აქვს, და შენ წარმოიდგინე იმ სულელმა არც კი იცის, რომ ლუპით უნდა ათვალდნენ.

მუ რ ა დ ი — კარგი, მოვიტან.

(შეშლიან ალი, ქიამილი და ციხის უფროსი).

ა ლ ი — ბები!

ფ ა თ მ ა — ალი! შენ გენაცვალე! შენა ხარ, ალი?

(ღელში ჩაიკრავს).

ქ ი ა მ ი ლ ი — ჩვენ აღარ უნდა მოგვესალმო, დედი?

ფ ა თ მ ა — გამარჯობა, გამარჯობა, შვილო; შენზე გულმოსული ვარ...

ქ ი ა მ ი ლ ი — შევრიგდეთ...

ფ ა თ მ ა — მოდი, ალი, საზოგადოების გამგეობას გაგაცნობ. ეს არის ხატჩე-ხანუმი, ძალიან კარგი ქალია, შენც გაიცანი, ქიამილი.

ქ ი ა მ ი ლ ი — მე ჰუსეინ-ბეის ვიცნობ, მაგრამ თვითონ, რატომღაც, არა მცნობს.

ფ ა თ მ ა — ალბათ რაიმე ოინი უყავი.

ქ ი ა მ ი ლ ი — მე? ჰუსეინს? ჰუსეინ-ბეი, მე თქვენ რაიმე?..

ჰ უ ს ე ი ნ ი — აქამდე ვერ ვამჩნევდი, პოლიციის უფროსთან თუ გქონდათ საერთო... აი იმასთან... მე რომ ცხელი ჩაი შემასხა ცხვირ-პირში, მაგრამ ბევრი საერთო გქონიათ... თვალბეჭდი... ხმაში... ხელის მოძრაობაშიაც კი.

ქ ი ა მ ი ლ ი — (შეწუხებული უყურებს თავის ხელს) ხელის მოძრაობაში?

ჰ უ ს ე ი ნ ი — მე მგონი, თქვენც შეგიძლიათ... ასე, ხელით შემომთავაზოთ სკამი (ისეთ ეფესტს აკეთებს, თითქოს სთხოვდეს, დაბრძანდითო), მერე კი... სახეში შემომკრათ.

ქ ი ა მ ი ლ ი — აბა რას ბრძანებთ?!

ჰ უ ს ე ი ნ ი — არაფერს... ისე... ყველაფერი თავის რიგზეა... მშვიდობით, ძალუა ფათმა.

ხ ა ტ ჩ ე — მივდივართ, ძალუა ფათმა. თქვენ შვილიშვილთან დარჩით.
 ფ ა თ მ ა — რათა? ერთად ვილაპარაკოთ...
 ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — არა, ჩვენ წავალთ. ჰა, რას იტყვი, ხატჩე?
 ხ ა ტ ჩ ე — მატყლისთვის კიდევ მადლობას გიხდის.
 მ უ რ ა დ ი — მადლობადაც არ ღირს. ნახვამდის, ამხანაგებო.

(ერთმანეთს ემშვიდობებიან, გადიან).

ც ი ხ ი ს უ ფ რ ო ს ი — (ზედამხედველს) შეგიძლია წახვიდე. (ფათმას) ფათმა-
 ხანუმ, პატივცემულ ქიაშილ-ბეის ნათესავეი თუ ბრძანდებოდი, ეგ როლი
 ვიციოდი. დღეიდან ჩემზე იყოს, კარგად მოგასვენებთ.

ფ ა თ მ ა — მე ისედაც მოსვენებული ვარ.

ქ ი ა მ ი ლ ი — ბატონი უფროსი უკეთეს საკანში გადაგიყვანს.

ფ ა თ მ ა — არსადაც არ გადავალ. ჩვენ მშვენიერად ეგრძნობთ თავს, სამი-
 ვენი — მე, ხატჩე და გიუზინი.

ა ლ ი — ცალკე საკანში უკეთესად მოეწყობი, ბები.

ფ ა თ მ ა — არ გადავალ! ვთქვი და გავათავე.

ქ ი ა მ ი ლ ი — რას ეჩხუბები, მაგისი ხასიათი არ იცი? შენ რომ უთხრა, შა-
 ვიანო, ის მაინც თავისას დაიყინებს, — არა თეთრიაო.

ფ ა თ მ ა — შენ მაინც რა გეთქმის, ჩემზე უარესი ხარ.

ა ლ ი — ბები, ძია ქიაშილი მართალი ყოფილა.

ქ ი ა მ ი ლ ი — იმ დროს სწორედ ისე უნდა მოექცეულიყავი.

ფ ა თ მ ა — ახლა შეიცვალა რაიმე?

ა ლ ი — მაშა? შეიცვალა.

ც ი ხ ი ს უ ფ რ ო ს ი — ბოდიშს ვიხდის, უნდა დაგტოვოთ.

ქ ი ა მ ი ლ ი — მეც უნდა წამოვიდე.

ფ ა თ მ ა — (ქიაშილს) ალი მართალს მეუბნება, შვილო?

ქ ი ა მ ი ლ ი — მართალს ამბობს. ზეგ კიდევ მოვალ. ხომ შევრიგდით, ჰა?

ფ ა თ მ ა — ეს შენ მოაწყე? (ალიზე უჩვენებს).

ა ლ ი — რა თქმა უნდა, მაგან!

ფ ა თ მ ა — მაშ, შევრიგებულვართ და ეს არის. ხელზე მაკოცე. (ქიაშილი ხელ-
 ზე კოცნის ფათმას. ფათმა გულში ჩაიკრავს) მშვიდობით, შვილო, კარგად
 იყავი! (ციხის უფროსი და ქიაშილი გადიან). მაშ აღარ გგზავნიან? მაინც
 როგორ მოაწყო, რანაირად? მაშინაც ხომ შეძლებდა, რომ მოენდომებია?
 აბა, ერთი სინათლეზე გამოდი, კარგად შეგხედო. (ფანჯარასთან მიიყვანს)
 ვაიმე, შვილო, შენ გენაცვალე, როგორ გამხდარხარ!

ა ლ ი — ხომ იცი, სალდათობა...

ფ ა თ მ ა — მართალი ხარ, აბა, მიაბზე...

ა ლ ი — ხომ ხედავ, ბები... ცოცხალი ვიქნები!

ფ ა თ მ ა — ღმერთო, შენ გმადლობ!

ა ლ ი — ბები...

ფ ა თ მ ა — რა, შვილო, რა შენ გენაცვალე?

ა ლ ი — ჩემს გვერდს ტყვია აღარ გახვრეტს... ხიშტზე აღარ ამაცვამენ მუც-
 ლით... ზარბაზნის ყუმბარები აღარ დამფლეთენ...

ფ ა თ მ ა — ჩუ, გაჩუმდი... რას ლაპარაკობ?

ა ლ ი — მექნება სახლი, ოჯახი, მდგომარეობა.

ფ ა თ მ ა — მაშა, მაშა, შენ გენაცვალე...



ა ლ ი — შენც გამოგიშვებენ... შენ ხომ არავითარი დანაშაული არ მიგიძღვის!
ფ ა თ მ ა — საცა სამართალია, ჩვენ არაფერში გვედება ბრალი, — განიხილეთ
უკვე ვერკვევი.

ა ლ ი — შენ არავითარი დანაშაული არ მიგიძღვის.
ფ ა თ მ ა — ჩვენებიც ამას ამბობენ. ასე შეუბნებთან: ჩვენ, კარგი, მოწოდებაზე
ხელი მოვაწერეთ, სტატიებსა ვწერდით... შენთან რაღა უნდოდათო?...
ვერაფრით ვერ მივმხედარვართო... მეუბნებთან... ხომ ასეთი გამოცდილი
გექილია მურადი, და იმასაც კი უკვირს...

ა ლ ი — შენ გამოგიშვებენ, ოღონდ, რასაც გეტყვი, ჩვენ შორის უნდა დარ-
ჩეს. არაეინ არ უნდა გაიგოს. მაგათაც კი არ უნდა გაიგონ... ხომ იცი,
კედლებსაც კი ყურები აბია. დაიწყება მითქმა-მოთქმა... მერე აიღებენ და
პირდაპირ გამგზავნიან... კარგად მომისმინე, ბები. მხოლოდ ერთი პირო-
ბით დამტოვებენ...

ფ ა თ მ ა — პირობით?
ა ლ ი — ნუ აფორიაქდი, ბები... მხოლოდ იმ შემთხვევაში დამტოვებენ, შენ თუ
გამართლდები. ასეთი დანაშაული რომ დაგიმტკიცონ, მაშინ ვინ დამტო-
ვებს!.. რაღაც არ უნდა დაჯდეს, უნდა გაგამართლონ. გაგამართლებენ
კიდეც!

ფ ა თ მ ა — მეც ასე მგონია, ბოლოსდაბოლოს რა დამიშვებია?

ა ლ ი — გაიგე, რა გითხარი?

ფ ა თ მ ა — გავიგე, ალი; ჩემო შვილო, ჩემო საყვარელო, ჩემო სიცოცხლეც...
შენა ხარ ქვეყნად ჩემი ერთადერთი იმედი.

ა ლ ი — ბები!

(მოხვევა).

ფარდის წინ

(ცოცხს შემოუსხდებიან ბექირი, ჰაიდარი, სიტკი და ფერხადი, ხელში
თოფები უჭირავთ).

ფერხადი — ორი საათი ასე უნდა იარო, აღმოსაელეთით, მერე თავქვე
დაეშვები, ველზე, ივლი ასე ერთ საათს და პირდაპირ ჩვენს სოფელს
შიადგები.

ბექირი — არც ისე შორს ყოფილა.

ფერხადი — აქვე არის, ყურის ძირში.

ჰაიდარი — შენ რა, საით უმიზნებ?

ფერხადი — შეჭყევეთ ამ მთას. ტყეს რომ შიადგებით... დამელოდეთ, დი-
ლაძე მეც დაებრუნდები.

ბექირი — არ შეიძლება, ფერხად. სოფელში უკვე შეატყობინებდნენ შენი
გაქცევის ამბავს. ჩახვალ თუ არა, გაგჭაჩავენ.

ფერხადი — არა, ვერ დამიჭერენ. ალაჰსა ვფიცავ, ვერ დამიჭერენ.

სიტკი — არ შეიძლებაო. გაიგონე.

ფერხადი — ვინ იცის, კიდეც როდის მოვხვდები ამ ადგილებში.

ბექირი — ეს მთები ჩვენია — შენს სოფელს ბევრჯერ ჩაუვლით...

სიტკი — მთები, ჩვენი მთები...

ჰაიდარი — ბექირ-უსტა, შენ უნდა გიშადლოდეთ, თორემ ნამდვილად
ჩაგვაძალღებდნენ იმ კორეაში...

სიტკი — ეჰ, რამდენი ჩვენი მოძმე გარეკეს ცხვრებივით იმ სასაკლაოზე...

ბ ე ქ ი რ ი — ჩვენს ფაბრიკაში ერთი კაცი მუშაობდა... ისმაილი ერქვა... ცოტათი ჩემზე უფროსი იყო. ის იტყოდა ხოლმე: ყველაზე საშინელო ციხე ის არის, რაც შენს თავში ააგესო. ეს სიმართლეა. მშვიდობის მომხრეთა საზოგადოებაში იყო ის კაცი, საზოგადოებას ყურნალებს მძღლევედა ხოლმე წასაკითხად. დაემეგობრდებოდით კიდევ... მაგრამ ჯარში მიკრეს თავი.

ს ი ტ კ ი — ვერაფრით ვერ ვნახავთ იმ ისმაილს?

ბ ე ქ ი რ ი — რატომ, ვნახავთ, როცა იქნება. ახლა მთავარია, როგორმე ჩვენი კვალი წავშალოთ.

ფ ე რ ხ ა დ ი — მართალი ხარ... მაგრამ ჩემი სოფელი აქვეა, ყურის ძირში... თქვენც მოგიტანდით ცოტა რამეს დასანაყრებლად...

ბ ე ქ ი რ ი — არ შეიძლება, ძმობილო.

(წორიდან მოისმის მ ე მ ე დ ის სიმღერა):

აღანის გზები ქვით ნაფენია
ჯიბეში გროშიც არ დამჩენია,
ო, ჩემო სულო, ო, ჩემო გულო,
კვდები, სიცოცხლე რადგან შენია.

ბ ე ქ ი რ ი — აი, ნამდვილი გოცი! მოდის შუალამისას და ღრიალებს.

ჰ ა ი დ ა რ ი — ენდარში არ იყოს!

ბ ე ქ ი რ ი — ცეცხლი ჩააქრეთ, ბიჭებო. დაწეეთ!

(მემედის ხმა ახლოვდება. ჯარისკაცები ცეცხლს აქობენ და მიწაზე წვებიანი მემედს ხელში თოფი უჭირავს).

ბ ე ქ ი რ ი — (წამოხტება) — შესდექი! ხელები მაღლა!

(ჯარისკაცები მ ე მ ე დ ს შემოერთყვიან).

მ ე მ ე დ ი — ეჰ, მახეში გაეები, უფროსო სერჟანტო!

ჰ ა ი დ ა რ ი — არ გაინძრე!

მ ე მ ე დ ი — შენ ეუბნებოდით დედაჩემს, მემედს ჩამოვახრჩობო, ციხის სარკმლიდან დაგანახებ სახრჩობელაზეო...

ბ ე ქ ი რ ი — უფროსი სერჟანტი აქ არავინ არის, ყველანი რიგითი არიან.

მ ე მ ე დ ი — ენდარმები ხართ?

ჰ ა ი დ ა რ ი — არა, კაცო!

ბ ე ქ ი რ ი — შენა ხარ ენდარში?

მ ე მ ე დ ი — არა, კაცო.

ს ი ტ კ ი — აბა, ერთი გასინჯე.

(ჰ ა ი დ ა რ ი ხელის ფარანს ანთებს და მ ე მ ე დ ს შიანთებს სახეში)

ბ ე ქ ი რ ი — გამარჯობა, ჰაბუკო! დეზერტირი ხარ?

მ ე მ ე დ ი — გამარჯობა. დეზერტირი ვარ!

ბ ე ქ ი რ ი — ჩვენც.

ჰ ა ი დ ა რ ი — კორეის პოლკიდან?

მ ე მ ე დ ი — არა. სოფელა დამინგრიეს. მიწა წამართვეს. აეროდრომი უნდა ააშენონ.

ბ ე ქ ი რ ი — ჩვენ კი კორეის პოლკიდან ვართ...

მ ე მ ე დ ი — შენა ხარ აქ მეთაური?

ბ ე ქ ი რ ი — მე?

ჰ ა ი დ ა რ ი — ჰო, ბექირ-უსტა ჩვენი მეთაურია.



მე მე დ ი — მეც თქვენთან მიმიღეთ, ბექირ-უსტა.

(ერთმანეთს ხელს მიცემენ).

ბ ე ქ ი რ ი — ახლო-მახლო მოხერხებული ადგილი ხომ არ გეგულება ღამის
გასათევად?

მ ე მე დ ი — მეგულება. აქედან ერთი საათის საეაღზეა, ჩამლიბელის მთაზე.

პ ა ი დ ა რ ი — მართალს ამბობს.

ბ ე ქ ი რ ი — აბა, ბიჭებო, ჰაიდა! ჩამლიბელისკენ!

(გადაან. ფერხადი დარჩება, და როგორც კი ამხანაგები თვალს მიეფარებიან, მეორე
მხარეს გარბის)

მურადის ოთახი

(წახევრად ბნელა. მავიდის აბაჯურიანი ღამა ანთია. ფანჯარა ღიაა. დიდხანს ისმის მხო-
ლოდ წვიმის ხმა. შემოდის მურადი. ხალათი აცვია. წინ იბრაჰიმის გაუშვებს.
იბრაჰიმს ქელი უქირავს ხელში. თავითფეხებამდე დასველებულია, ფესაიკელები
ტალახში აქვს ამოსერილი).

მ უ რ ა დ ი — მობრძანდით.

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — იატაკს გავსვრი...

მ უ რ ა დ ი — არაფერია, არა უშავს... მაშ, ჩვენი ისმაილის ამხანაგი ხართ?

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — დიახ.

მ უ რ ა დ ი — ჩემი მისამართი ისმაილმა მოგცათ?

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — მან მომცა.

მ უ რ ა დ ი — აქაური ხართ?

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — არა, ისკანდერუნელი. ნავსადგურის მუშა ვარ.

მ უ რ ა დ ი — კმ... როდის ჩამოხვედით?

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — დღეს დილით.

მ უ რ ა დ ი — ისმაილიც ისკანდერუნში იყო?

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — დიახ...

მ უ რ ა დ ი — კეთილი...

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — ექვი ხომ არ გეპარებათ ჩემში? რა თქმა უნდა! შულამისას
ვიღაც გიკაყუნებთ და შემოდის... იქნებ პოლიციის აგენტი იყოს!

მ უ რ ა დ ი — მართალი ხართ.

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — რითი უნდა შემატყოთ, რომ ნამდვილად ისმაილის გამოგზავ-
ნილი ვარ?

მ უ რ ა დ ი — სწორი ხართ.

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — უკანასკნელად თქვენ ამ ოთახში მოიყარეთ თავი. ისმაილმა
წაგიკითხათ ეს ლექსი:

მოკლულმა გმირებმა
ქალაქის კედლებზე
სისხლით დაწერეს
სიცოცხლის სიმღერა...

მ უ რ ა დ ი — სწორია... მართალია.

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — მან თქვა, ეს ლექსი ცოტა არ იყოს მაღალფარდოვანიაო.
თქვენ უპასუხეთ — მართალიც ხარ და არც ხარ მართალიო.

მ უ რ ა დ ი — მისათალია, სწორედ ასე იყო.

- ი ბ რ ა ჰ ი მ ი — ისმაილი ხომ მხოლოდ და მხოლოდ თავისი ნებით შეტყუდა ამას, ძალით ვინ ათქმევინებდა?
- მ უ რ ა დ ი — მართალი ხართ...
- ი ბ რ ა ჰ ი მ ი — ახლა თუ გვერათ, რომ ისმაილის ამხანაგი ვარ?
- მ უ რ ა დ ი — შეგერა.
- ი ბ რ ა ჰ ი მ ი — არ გაგიგიათ, რა მოხდა ამ ერთი კვირის წინათ ისკანდერუნის ნავსადგურში?
- მ უ რ ა დ ი — გაზეთებში წაეკითხეთ... გაფიცვა მოუწყვიათ ნავსადგურის მუშებს... ხელფასის მომატებას თხოულობენ...
- ი ბ რ ა ჰ ი მ ი — გინდათ, სიმართლე იცოდეთ?
- მ უ რ ა დ ი — რასაკვირველია!
- ი ბ რ ა ჰ ი მ ი — იმ ღამეს, საზოგადოებიდან გამოსვლის შემდეგ, ისმაილი პირდაპირ ჩემთან მოვიდა ისკანდერუნში. განმიცხადა — ლეგალური ბრძოლის განგრძობა მშვიდობისათვის შეუძლებელია... აუცილებლად უნდა შეიქნეს ფარული კომიტეტები და იატაკქვეშა სტამბა მოვაწყუთო. საზოგადოებიდან იმიტომ გამოვიდა, რომ ბრძოლა განეგრძო.
- მ უ რ ა დ ი — რატომ მაშინვე არ გვითხრა ეს?
- ი ბ რ ა ჰ ი მ ი — კონსპირაცია!
- მ უ რ ა დ ი — იმათაც ხომ იცოდნენ, რომ შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ, მაგრამ მაინც გამოუშვეს მოწოდება, რჩევაც კი არ უკითხავთ ჩემთვის. მაშინ რატომ არ გავიდა ისმაილი?
- ი ბ რ ა ჰ ი მ ი — ამის კითხვა მე არ მომთქვამია და თვითონაც არაფერი უთქვამს.
- მ უ რ ა დ ი — მე კი მგონია, ცოტა უფრო სხვაგვარადაა საქმე. შეგიძლიათ გულახდილი იყოთ. მართალია, თქვენ შეგვეკითხეთ ეს, მაგრამ პასუხი თვითონ შემიძლია გავცე.
- ი ბ რ ა ჰ ი მ ი — (არეულად) — როგორი პასუხი?
- მ უ რ ა დ ი — ისმაილი ასე მოიქცა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ უნდოდა ბოლო წუთამდე დარჩენილიყო ჩვენთან, უნდოდა დარწმუნებულყოფიყო, რომ ჩემი გაფრთხილების შედეგად ამხანაგები პანიკას არ მოუტაცეს. მეორე... მას უნდოდა დროის მოგება, რათა ისკანდერუნში ჩასვლა მოესწრო და პოლიციისთვის თვალი აეხვია. აკი ყველა დაპატიმრებულს სჯეროდა, და ამტკიცებდნენ კიდევ, რომ იგი ნამდვილად გავიდა საზოგადოებიდან... მაგრამ პოლიციამ მაინც არ დაუჯერა... მესამე...
- ი ბ რ ა ჰ ი მ ი — მესამე... მე არ გითხარით ყველაფერი ეს, რათა არ მოგჩვენებოდათ... თითქოს ისმაილს მეგობრების ნდობა არ ჰქონდა... ნამდვილად კი...
- მ უ რ ა დ ი — ეს იყო კონსპირაცია!.. მაგრამ მე მესმის... მას ჩემი მეგობრების რწმენა ჰქონდა, და მათ წინაშე ლაჩრად გამოჩენა თავისა, ალბათ ძალიან უმძიმდა.
- ი ბ რ ა ჰ ი მ ი — არანაკლებ უმძიმდა მას იატაკქვეშეთში წასვლა და თქვენი მეგობრების — ჩვენი მეგობრების, მტრის ხელში მიტოვება... ისკანდერუნში მან ვილაც ავადმყოფი ჩამოიყვანა. ეშრეფი ჰქვია. ეშინოდა, მოწოდების გაფრცხლებისათვის არ დაპატიმრონ და ციხეში არ მოკლდესო. ერთ ჩვენს ამხანაგთან დავაწვინეთ იგი. თვალ-ყურს ვადევნებთ. თითქოს ცოტათი მოიკეთა კიდევ... ჰო, გაფიცვაზე ვლაპარაკობდით...



მ უ რ ა დ ი — დიახ...

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — ისკანდერუნში შეიქმნა მშვიდობის მომხრეთა პარტიული რელი კომიტეტი. ეს კომიტეტი ახლა ნავსადგურის მუშებში ყოფილხართ ისკანდერუნში?

მ უ რ ა დ ი — არა.

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — იცით, რომ კორეაში გასაგზავნად გამზადებული თურქეთის ჯარი, ისკანდერუნში ნავსადგურში უნდა ჩასხან ამერიკულ გემებში?

მ უ რ ა დ ი — ამერიკული იარაღის გადმოტვირთვა სადღა წარმოებს?

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — გავიგეთ, რომ ნავსადგურში უნდა შემოვიდეს იარაღით დატვირთული ამერიკული გემი. მაშინვე კომიტეტი შეიკრიბა. ქალაქგარეთ, ღამით, ბაღში, ღია ცის ქვეშ. ვითომ სასეირნოდ გავედით. იქვე ახლოს ერთი საზაფხულო ყავახანაა. შეუჩერებლად უკრავდა პატეფონი ერთსა და იმავე მოტივს. ახლაც კი ყურში მიწივის ის მუსიკა. (ისმის პატეფონის ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდება და ძლიერდება. კომიტეტის სხდომის დამთავრებამდე მუსიკა უკრავს) სულ ათნი ვიყავით, ექვსი ნავსადგურის მუშა. სიტყვა აიღო ისმაილმა.

ი ს მ ა ი ლ ის ხ მ ა — ამხანაგებო!

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — თქვა ისმაილმა.

ი ს მ ა ი ლ ის ხ მ ა — ნავსადგურის მუშებმა არ უნდა გადმოტვირთონ ამერიკული იარაღი.

I ხ მ ა — მართალია! მაგრამ როგორ მოვიქცეთ?

II ხ მ ა — ცოტა დრო დაგვრჩა.

I ხ მ ა — ახლავ უნდა გავაერცელოთ პროკლამაციები!

ი ს მ ა ი ლ ის ხ მ ა — პროკლამაციებს ბოლო დღეს გავაერცელებთ. მანამდე აქ დამსწრეებმა, განსაკუთრებით კი ნავსადგურის მუშებმა, ათ კაცს უნდა გააგებინონ ეს. რა თქმა უნდა, ვისაც ენდობიან. ის ათიც, თავის მხრივ, სხვა ათ კაცს გააგებინებს.

I ხ მ ა — სიფრთხილე გემართებს.

ი ს მ ა ი ლ ის ხ მ ა — მაგრამ სიფრთხილე ფეხებში ბორკილებად არ უნდა გავებლანდოს, არც ზედმეტმა ფაციფუცმა დაგვიბინდოს თვალები.

(მუსიკა მიწყდება)

მ უ რ ა დ ი — მერე, მერე?

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — ნავსადგურის მუშების შემზადება ბრძოლისათვის არც ისე ძნელი გამოდგა, როგორც გეგონა. აქაური მუშების ცხოვრების პირობები იმდენად მძიმეა, რომ...

მ უ რ ა დ ი — გასაგებია.

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — მშვიდობისათვის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეუერთდა. და როცა ამერიკული გემი ნაპირს მოადგა, ნავსადგურში მუშის ჭაჭანებაც კი არ იყო. მუშათა ყავახანაში მოიყარა ყველამ თავი. ვინც ყავახანაში ვერ დაეტია, კარებთან იდგა. ქალები და ბავშვებიც იქ მოგროვდნენ.

(მორიდან მოისმის გემის საფერის ხმა, შემდეგ ხალხის ჩოჩქოლი).

I ქ ა ლ ის ხ მ ა — არც შენი კაცი გავიდა სამუშაოდ?

II ქ ა ლ ის ხ მ ა — არ გასულა.

I ქ ა ლ ის ხ მ ა — აქ არის, ყავახანაში?



II ქალის ხმა — აქ არის.

ბავშვის ხმა — დედილო, შშია.

III ქალის ხმა — რა მოგივიდა... დილით არ შექამე მთელი ნაკვეთი ბურბუნი?

ბავშვის ხმა — ახლა შეადლეა.

IV ქალის ხმა — ნეტავ კი რამე უბედურება არ მოხდეს...

V ქალის ხმა — ხელისუფლების წინააღმდეგ მიდიან...

I ქალის ხმა — ძალიანაც კარგი...

ბავშვის ხმა — დედი, პური შშია...

II ქალის ხმა — მეზობელო, მომეცალე... მეც მინდა ფანჯარაში შეხედვა...

I ქალის ხმა — შენი კაცი ლაპარაკობს...

მამაკაცის ხმა — აი, ასე, ამხანაგებო...

მამაკაცთა ხმა — მართალს ამბობს, გვეყო! გაგვიდეს! გაგვიდეს! ჩვენ იარაღი არ გვინდა — პური გვინდა!

იბრაჰიმში — რამდენიმე ხნის შემდეგ თავს დაგვესხნენ გუბერნატორი, პოლიციის უფროსი, დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, პროკურორი და ამერიკელი სმიტი.

მურადი — რა ბრძანა გუბერნატორმა?

შაჰახანა

(ფანჯრიდან ხალხით გაჭედილი ქუჩა მოჩანს. ისმის ხალხის ჩოჩქოლი. გუბერნატორი, პოლიციის უფროსი, სმიტი, პოლიციელები, ქანდარმეზი)

გუბერნატორი — მეგობრებო! კომინფორმის აგენტების ბრმა იარაღად ნუ გადაიქცევი!

გარსონი — ერთი შაქრით! ორი ახალდაყენებული ჩაი!

პოლიციის უფროსი — ხმა ჩაიკმინდე!

გარსონი — რა იყო, ყავაც ველარ გაგვიყიდა?

(გუბერნატორთან მოვარდება აღღევებული პოლიციის ოფიცერი).

პოლიციის ოფიცერი — ბატონო გუბერნატორო, ხელოსნებიც კეტავენ თავიანთ დუქნებს...

გუბერნატორი — რატომ?

პოლიციის ოფიცერი — აქეთ მოდიან, ნავსადგურისკენ.

გუბერნატორი — მერე რა გაყვირებს, ბრიყვო! (ქანდარმერიის ოფიცერს) ახლავე პოლიციელები გაგზავნე, გზები შექარით. ერთი კაციც არ გამოუშვა!

(ქანდარმერიის ოფიცერი გადის).

იბრაჰიმში — (ისმაილს) გაიგონე?

ისმაილი — გავიგონე. სხეებსაც გააგებინე.

იბრაჰიმში — (აღგლიდანვე) ამხანაგებო! ქალაქის ხელოსნები ჩვენ გვიქერენ მხარს! დუქნები დაუქეტავთ და ჩვენთან მოდიან!

ხმები — ყოჩაღ!

პოლიციის ოფიცერი — ხმა ჩაიკმინდეთ!

გუბერნატორი — დამშვიდდით, მეგობრებო! დამშვიდდით!

იბრაჰიმში — (ისმაილს) გესმის? გუბერნატორი მეგობრებს გვიწოდებს.

(მასობაში სმიტი რაღაცას ეუბნება თარჯიმანს. თარჯიმანი პოლიციის ოფიცერთან მიდის. ხალხის გუგუნია).



თარჯიმანი — მისტერ სმიტი კითხულობს, გლეხებს როგორ-ღა უჭირავთ თავიო. დღეს ხომ საბაზრო დღეა!

პოლიციის უფროსი — ერთი ნაწილი ხელოსნებს შეუქრთდა და გაპყვირიან: მუშები ამერიკულ ზარბაზნებს ზღვაში ყრიანო.

თარჯიმანი — ამერიკულ ზარბაზნებს?

პოლიციის ოფიცერი — ჯანდაბას მაგათი თავი, ამერიკიდან შემოტანილ იარაღზე ამბობენ.

გუბერნატორი — თურქეთის მუშებო, პატრიოტებო, ნაციონალისტებო! ნუ მაიძულებთ, უკიდურესი ზომები მივიღო. მე შემიძლია ყველანი შეგიპყროთ და სამხედრო ტრიბუნალს გადაგცეთ. მე თქვენ...

ისმაილი — (მაგიდაზე შეხტება) ბატონო გუბერნატორო! მგელს რად უნდა ეშინოდეს დაჩაჩანაკებული ვირისა? ნუ გვემუქრებთო. სამშობლო ჩვენ შენზე უფრო გვიყვარს! ეს მიწა ჩვენი ოფლით არის მოწყვლილი!..

იბრაჰიმი — არ გადმოტვირთავთ!

I ხმა — თქვენ თვითონ გადმოტვირთეთ! მთელმა კომპანიამ!

ხმები — თვითონვე გადმოტვირთეთ!

(სიცილი).

გარსონი — ერთი შეჭრით! ხუთი ქადა!..

მუშა — ალყა შემოგვარტყეს! ხალხს სცემენ!..

ისმაილი — ბატონო გუბერნატორო, უბრაძანეთ რომ ცემა-ტყემა შეწყვიტონ!

მუშა — ახლავე გაჩვენებთ!..

გუბერნატორი — დამშვიდდით, მეგობრებო! ჩვენ წესრიგს ვამყარებთ!

ისმაილი — წესრიგს თუ უწესრიგობას?!

პოლიციელი — აბა, დაიშალეთ, დაიშალეთ!

ქალი — რას იკვრევენები!

პოლიციელი — უკან დაიწი!

მუშა — პირუტყვი! ასე უნდა მოექცე ქალს?!

ბავშვის ხმა — დედა!

ინანუ მურადის ოთახი

მურადი — მერე?

იბრაჰიმი — გადავწყვიტეთ გაფიცვის გაგრძელება. იმ ღამეს მე და ისმაილი ბნელი ქუჩებით დავბრუნდით შინ. ერთ ყრუ შუკაში შევეუხეეთ. ირგვლივ ჰაჭანება არ იყო, სრული სიჩუმე გამეფებულიყო... მხოლოდ შორიდან მოისმოდა ევროპული მუსიკა... რადიოთი გადმოცემდნენ... ბნელოდა... თვალში თითს ვერ მიიტანდი... მივდიოდით უხმოდ.

ისმაილის ხმა — ა-ა-ა!

(ისმის გაქცეული კაცის ნაბიჯის ხმა).

იბრაჰიმი — ამოცენესა-ღა მოასწრო და შეკრდზე მომეყარნო. ხ-ჩალო ბეჭებში ჩასცა მკვლელმა და მოსახვევში მიიმალა. ვერ გამოვეციდე, ვეღარ მივატოვე დაპრილი...

მურადი — ისმაილი... ცოცხალია?

იბრაჰიმი — საავადმყოფოში მოკვდა. სული ისე ამოხდა, რომ გრძნობა

არ დაუქარგავს... ერთი წუთითაც არ მიმიტოვებია... მთხოვა, თქვენ მომენახეთ... გადმომცა, რომ შშვიდობის მომხრეთა ფარულად კომიტეტი მომეწყო აქ. თქვენვე უნდა იყოთ მისი ხელმძღვანელი... (დამწვავალი ისმაილმა და აი, მოვედი, გითხარით.

მ უ რ ა დ ი — მე შევასრულებ ისმაილის ანდერძს. მკვლედი თუ შეიპყრეს? ი ბ რ ა ჰ ი მ ი — არა.

მ უ რ ა დ ი — არც შეიპყრობენ, რა თქმა უნდა.

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — ისინი არ შეიპყრობენ, მაგრამ ჩვენ შევიპყრობთ, როცა იქნება.

ფარდის წიგნ

(სასამართლოს დერეფანი. ერთ სკამზე სხედან საზოგადოების გამგეობის წევრები. მამაკაცებს ხელბორკილები ადევთ, ქალებს — არა. მათ პირდაპირ — კაპიტანის ჩინიანი ოფიცერი და თოფიანი ჯარისკაცები, თოფებზე ხიშტები აქვთ ჩამოცმული, გვერდით სკამებზე — პასუხისმგებანი მიცემული სამხედრო პირები და მათი გუშაგები).

მ ს ჯ ა ვ რ დ ე ბ უ ლ ი — (ფერხადს) შენც კორპუსის სასამართლოს ელოდები, მეზობელო?

ფ ე რ ხ ა დ ი — ჰო.

მ ს ჯ ა ვ რ დ ე ბ უ ლ ი — რაზე ჩავარდი?

ფ ე რ ხ ა დ ი — დეზერტირობაზე.

მ ს ჯ ა ვ რ დ ე ბ უ ლ ი — ავად ყოფილა შენი საქმე, მეზობელო.

ფ ე რ ხ ა დ ი — კორეაში გვგზავნიდნენ. მე და ჩემი სამი ამხანაგი გავიქეციით.

მ ს ჯ ა ვ რ დ ე ბ უ ლ ი — ეტყობა, შენ ერთი დაგიპირეს!

ფ ე რ ხ ა დ ი — მარტო მე. სხვებმა კეჟა იხმარეს, მთებს შეეფარნენ. მე კი ვირივით ავალირე თავი და სოფელში წავედი, ჩვენებს დავხედე. ახალგაზრდა ცოლი მოვიჩახულე, ფარულად დავეშვი მთიდან. შინაც ღამით მივედი. მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, მამასახლისმა თითქოს სუნი იქრა... გამქაჩეს.

მ ს ჯ ა ვ რ დ ე ბ უ ლ ი — ავად ყოფილა შენი საქმე, მეზობელო.

ფ ე რ ხ ა დ ი — ჩემი საქმეა ავად და შავად, შენ რალა გინდა? (პაუზა) თუთუნი გეკნება?

მ ს ჯ ა ვ რ დ ე ბ უ ლ ი — მაქვს. ოლონდ... ახლავე, დამაცა... გუშაგს დავუძახებ. მეზობელო, ერთი ჯიბეში ხელი ჩამიყავი. პაპიროსი უნდა იყოს. შეგობაწის მოვაწვეინოთ.

(გ უ შ ა გ ი ხელს ჩაუყოფს ჯიბეში, ვეძებს).

გ უ შ ა გ ი — არაფერი არა გაქვს.

მ ს ჯ ა ვ რ დ ე ბ უ ლ ი — აბა, ხათრი დამდე და მეორეში ნახე.

(გ უ შ ა გ ი მეორე ჯიბეში ჩაუძვრება. ამოიღებს პაპიროსის კოლოფს, კოლოფიდან პაპიროსის ამოაძრობს, ფ ე რ ხ ა დ ს ჩაუღებს პირში და სანთითი ცეცხლს მოუკიდებს)

ფ ე რ ხ ა დ ი — მაღლობელი ვარ, მეზობელო.

(ბორკილებიანი ხელით გაისწორებს პაპიროსს. მოსწვეს).

მ ს ჯ ა ვ რ დ ე ბ უ ლ ი — (მიმართავს გუშაგს, რომელიც ჯიბეში უღებს პაპიროსს) ბარემ შენთვისაც ამოიღე, მერე მოსწვე...

(გ უ შ ა გ ი ამოიღებს კოლოფიდან პაპიროსს, ჯიბეში ჩაიღებს. მერე კოლოფს ჩაუღებს ჯიბეში მსჯავრდებულს. შემოდის მ უ რ ა დ ი. ოფიცერთან მივა).



მურადი — კლიენტებთან გამოლაპარაკება შეიძლება?

ოფიცერი — გამოელაპარაკეთ.

მურადი — გამარჯობათ, მეგობრებო.

ხმები — გამარჯობა, მურად.

მურადი — თუთხმეტ წუთში დაიწყება სასამართლო.

(სათს დახედავს).

სულეიმანი — ჩემი კოლექცია თუ გადაარჩინე?

მურადი — არა, მაგრამ იმედი მაქვს.

ჰუსეინი — მურად, ვერაფრით ვერ მოვიგონებთ ისეთ რამეს, რომ ქალე-
ბისთვისაც დავაღებინოთ ხელბორკილები?

მურადი — როგორ?

ჰუსეინი — ზომ ხედავ, ძალუა ფათმას ვერ მოუსვენია. პირდაპირ იტანჯება,
რომ ჩვენ ბორკილები გვაქვს, იმას კი არა.

ნური — უნდა გამოვტყდე, სულეიმანთან ასე საერთო ხელბორკილით ყოფ-
ნას მერჩია გიუზინთან ვყოფილიყავი...

სულეიმანი — გიუზინიც რომ არ ერიოს საქმეში, ავიღებდი ამ ხელბორ-
კილს და თავში ჩაგარტყამდი. ახი იქნებოდა შენზე. ჰა, რას იტყვი, ხატჩე?

მურადი — ხატჩე, იუველირმა, აი შენ რომ ყელსაბამი დააგირავე...

ხატჩე — არა უშავს...

მურადი — ... მომიტანა შენი ყელსაბამი და გამოცხადა, ხატჩე-ხანუმი რომ
გამოვა ციხიდან, ანგარიში მერე გავასწოროთო...

ხატჩე — კარგი, მაგრამ...

მურადი — ერთი სიტყვით, მომიტანა... ახალი ამბავი უნდა გადმოგცეთ.
(ჰუსეინს) ვიდრე მე ვლაპარაკობ, ჰუსეინ, შენ იხითხითე შეუჩერებლივ-
მიხვდი?

ჰუსეინი — მივხვდი.

მურადი — თქვენც იცინეთ, ერთად. იქმნება ფარული მშვიდობის კომი-
ტეტი, არალეგალური გამოცემები გამოდის...

ჰუსეინი — ახირებული კაცი ხარ, მურად... ოხუნჯი... სასაცილოდ მაქვს
ახლა საქმე? მაგრამ...

(იციინს, სხვებიც იციინან)

მურადი — ისკანდერუნში მუშებმა უარი განაცხადეს იარაღის გადმოტვირ-
თვაზე.

ჰუსეინი — კარგია, ერთი, გავიფხბრიწე და ეს არის...

(იციინს, სხვებიც იციინან).

მურადი — პირველი კომიტეტი ისკანდერუნში ისმაილმა ჩამოაყალიბა...

ფათმა — ისმაილმა?

ხატჩე — მე კი მეგონა...

ჰუსეინი — აჰ, მურად, მე კი მომკალი და...

(იციინს, სხვები ილიმებთან).

მურადი — დაჭრეს იგი... გარდაიცვალა...

(იციინს).

ხატჩე — ა-ა?



გ ი უ ზ ი ნ ი — რაო?

ფ ა თ მ ა — ვაიმე, შვილო...

ჰ უ ს ე ი ნ ი — ჰო, გამოდის, რომ...

(იციანს).

1

ო ფ ი ც ე რ ი — (მიუახლოვდება) ეტყობა, ძალიან სასაცილო ანეგდოტს ჰყვება მურად-ბეი.

ჰ უ ს ე ი ნ ი — (იციანს) ნეტავ მოგესმინათ, სიცილით მოკვდებოდით...

ხ ა ტ რ ე — მართლაც, ძალიან სასაცილო იყო.

(ცდილობს გაიციანს).

ო ფ ი ც ე რ ი — მთავარია, მოყოლა უნდა იცოდე, როგორი ანეგდოტიც არ უნდა იყოს, მოყოლა თუ არ იცი...

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — მართალი ხართ.

(შემოდის ა. ლ. ო ფ ი ც ე რ ს ხელს აუღებს. ო ფ ი ც ე რ ი ც უპასუხებს).

ო ფ ი ც ე რ ი — (აღის) იმედი გაქვთ?

ა ლ ი — ბებიაჩემი უბრალო ქალია, მაგრამ ჰყვიაანი. თანაც ჩემი თავი ქვეყანას ურჩევნია!

ო ფ ი ც ე რ ი — ღმერთმა ქნას!

ა ლ ი — (ფათმას) ბები...

(ხელზე აკოცებს).

ო ფ ი ც ე რ ი — (აღი) თუ გნებავთ, აქ შეგიძლიათ ბებიათქვენთან საუბარი... მანდ ადგილი არ არის...

ა ლ ი — წამოდი, ბები... (აღი ხელს შეაშველებს გაშეშებულ დაღვრემილ ფათმას და იქვე თავისუფალ სკამზე დასვაამს. ოფიცერი რალაცას ეუბნება ჯარისკაცს. სხვები ერთმანეთს ელაპარაკებიან) რა მოგივიდა, ბები?

ფ ა თ მ ა — არაფერი... აი... ისმაილი...

ა ლ ი — ისმაილი? ისმაილი ვინლაა?

ფ ა თ მ ა — არაფერია... ცოტათი ვლეღავ.

ა ლ ი — ნუ ლეღავ. დღეს გადაწყდება ყველაფერი... საღამოზე თავისუფალი იქნები... თავისუფალი... მეც ნებართვა მაქვს... ბებია და შვილიშვილი კვლავ ერთად იქნებიან დღეს, საღამოზე.

ფ ა თ მ ა — ღმერთმა გაგიგონოს...

გ ი უ ზ ი ნ ი — ახლაც თვალწინ მიდგას მისი თეთრი-თეთრი კბილები. როცა გაიციანებდა ხოლმე...

ჰ უ ს ე ი ნ ი — რა მინდა გკითხო... უცნაურად არ გეჩვენება, რომ ტრიბუნალის სხდომა საჯაროდ მიმდინარეობს?..

ნ უ რ ი — განსაკუთრებით დღეს, როცა ჩვენ გამოვალთ სიტყვით!

ა ლ ი — ძია ქიაშილმა ვეჭილი დაგიჭირა...

ფ ა თ მ ა — მე ხომ მყავს ვეჭილი, ჩვენი მურადი!

ა ლ ი — მერე რა... ეს ახალი ვეჭილი დიდი იურისტია. სახლში შენი ბეჭედი ვნახე და ნლობის ფურცელს დაეარტყი. ყველაფერი თავის რიგზეა.

ფ ა თ მ ა — სად არის მერე ის ვეჭილი?

ა ლ ი — სასამართლოში მოვა. პირველი ის უნდა გამოვიდეს... და, ჰერი, თავისუფლება... ბები, გენაცვალე. არ დაგავიწყდეს, რომ ყველაფერი შენზეა

დამოკიდებული... წავალ კორეაში, მოეკედები თუ ცოცხალი დავრჩები...
 თუ გაგამართლეს, მაშინ... ის ვეჭილი უსათუოდ, უსათუოდ მარტორტებს
 შენს გამართლებას...

ფ ა თ მ ა — ღმერთმა გაგიგონოს, ღმერთმა გაგიგონოს, შეილო...

(ერთ-ერთი ჯარისკაცი ოფიცერთან მივა და რაღაცას ეუბნება. ღვრეფანი შეუშინველად
 ფესება ხალხით, ი ბ რ ა პ ი მ ი ც მოდის).

ო ფ ი ც ე რ ი — ხალხი დარბაზში გაატარეთ პრესის ლოფა გაღებულია?

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — არის! გაღებულია.

ფ ა თ მ ა — უკვე იწყება?

ო ფ ი ც ე რ ი — (მიმართავს დანარჩენ მსჯავრდებულებს) მოემზადეთ, ბატონებო. ერთ მწკრივში მოეწყვეთ. (მსჯავრდებულები მოეწყობიან) აბა, გასწით...

(ღუშაგების ხიშტებით გარშემორტყმული მსჯავრდებულები სხდომის დარბაზისკენ მიდიან).

სამხედრო ტრიბუნალის სხდომათა დარბაზი

(ქ ე რ ი მ ი სასამართლოს კოლეგიისკენ მიემართება, ზღში ქალაღები უჭირავს. ქ ე რ ი მ ი ის ვეჭილია, რომელიც 'გ ა მ ფ ლ ა ნ გ ე ე ლ თ ა ნ სუბრობდა ცხეში).

ქ ე რ ი მ ი — თქვენი მონა-მორჩილი ქალბატონ ფათმა ნურჰანის ინტერესებს იცავს. აი მისი ნდობის ფურცელი...

(ტ რ ი ბ უ ნ ა ლ ი ს მ დ ი ვ ა ნ ს ქალაღს აწვდის).

მ უ რ ა დ ი — ბატონო თავმჯდომარე, ქალბატონ ფათმა ნურჰანის დამცველი მე გახლავართ. პირველად მესმის, რომ მას კიდევ სხვა დამცველი აეყვანოს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე — რას იზამ? ეტყობა, არ შეგატყობინათ...

მ უ რ ა დ ი — არა მგონია, რომ...

ქ ე რ ი მ ი — ამ საკითხის გასარკვევად პირადად ქალბატონ ფათმას უნდა მივმართოთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე — ფათმა ნურჰან, აღეჭი, ეს ბატონი შენ აიყვანე დამცველად?

ფ ა თ მ ა — ესა? პირველად ეხედავ...

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე — მე შენთვის არ მიკითხავს, მერამდენედ ხედავ. (აიღებს მდოენის მიერ მიწოდებულ ნდობის ფურცელს) შეხედე, შენი ნდობის ფურცელია, შენივე ბეჭდით, გამოდის, რომ ეს ყოფილა შენი ვეჭილი. რამდენიც გინდა, იმდენ ვეჭილს აიყვან, ამას არავეინ გიშლის.

ფ ა თ მ ა — ეს ბატონი ქიაძილს აუყვანია ჩემთვის.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე — ძალიან კარგი. სულ ერთია, ვინ აიყვანა. ეს არის შენი ვეჭილი. საკითხი გარკვეულია. (ფათმას) დაჯეჭი. (ქერიმს) აბა, შეგიძლიათ დაიწყეთ.

მ უ რ ა დ ი — ეს ზომ...

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე — გთხოვთ... თქვენთვის არ მომიცია სიტყვა. (ქერიმს) შეგიძლიათ დაიწყეთ.

ქ ე რ ი მ ი — პატივცემულო მოსამართლე, პატივცემულო კოლეგიის წევრებო. ვიწყებ რა სიტყვას, შემთხვევით ესარგებლობ, რათა კიდევ ერთხელ გამოვთქვა ჩემი უსაზღვრო პატივისცემა და ნდობა ჩვენი რესპუბლიკის

მართლმსაჯულების მიმართ!.. ჩემი კლიენტი — ქალბატონი ფათმა — წმინდა სისხლის თურქი ქალია. იგი აღიზარდა ანატოლიის მარჯვენა კლიმატში და მასაც ასევე მძაფრი და პირდაპირი ხასიათი განოპყვა. მისი ქმარი გმირული სიკვდილით დაეცა სამშობლოსათვის ბრძოლაში, შვილიც მისი სამხედრო სამსახურში გარდაიცვალა. ის არის გმირის მეუღლე და გმირის დედა. ამის შემდეგ, აბა როგორ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამ შესანიშნავ ქალს, რომელსაც დედის რძესთან ერთად შეუწოვია სამშობლოს სიყვარული, მონაწილეობა მიეღოს სამშობლოს წინააღმდეგ მიმართულ რაიმე მოძრაობაში?! უფალო მოსამართლენო, აბა, შეხედეთ, როგორი დამშვიდებით ელოდება თქვენს მართლმსაჯულებას ეს დარბაისელი მანდილოსანი! განა შეიძლება ასე მშვიდად იჯდეს სამშობლოს ღალატით სიხდისშებლალული ადამიანი? განა შეიძლება, ანატოლიის მიწასავეთ დაღარული, დანაოკებული და სპეტაკი შუბლის ქვეშ სამშობლოსა და მთაერობის საწინააღმდეგო აზრი იმალეოდეს? იგი ამჟამად თქვენს წინაშე დგას, როგორც ბრალდებული. მაგრამ, პატივცემულო ბატონო მოსამართლენო, ჩემი კლიენტი მსხვერპლი გახდა საშინელი ბანდისა, საშინელი ადამიანებისა, რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი პატრიოტული გრძობა, დაკარგული აქვთ თურქი ადამიანის ეროვნული შეგრძნება. ეს დიდებული თურქი დედა ბოლშევიკების აგენტების მახეში გაება. იგი მოატყუეს; შველას შეპირდნენ და შანტაჟი მოუწყვეს. აი, ისინი, მის გვერდით მსხდომნი, სამშობლოს მოღალატენი! სწორედ ამათ მოაწყვეს, რომ იგი ახლა, თქვენ წინაშე საბრალმდებლო სკამზე მჯდარიყო! სწორედ ამათ საბრალო ქალი...

ფ ა თ მ ა — ბატონო მოსამართლე! ბატონო მოსამართლე!

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე — რა ამბავია?

ფ ა თ მ ა — მეცა მაქვს სათქმელი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე — დაჯექი. ჯერ შენი ვეჟილი დაამთავრებს და მერე მოგცემთ სიტყვას. (ვეჟილს) განაგრძეთ!

ქ ე რ ი მ ი — დიახ, საბრალო ქალი ამათ...

ფ ა თ მ ა — ბატონო მოსამართლე!

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე — რა გინდა?

ფ ა თ მ ა — სიტყვა მათქმევეინეთ!

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე — ხომ გითხარით, მერე იტყვი...

ფ ა თ მ ა — ნუ გამახელებ! ახლავე მომისმინე. ამ ტიპს, ამ ვეჟილს, მე უფლებას ვართმევ ჩემზე ილაპარაკოს, ხომ გაიგონე? ეს გარეწარი ჩემი ვეჟილი არ არის! ვერ გაიგე?

ქ ე რ ი მ ი — ქალბატონო ფათმა...

ფ ა თ მ ა — ხმა ჩაიწყვიტე, უსინდისო! აქედან გაეთრიე!

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე — ნუ გაეიწყდება, სადა ხარ...

ფ ა თ მ ა — არ მავიწყდება... საზოგადოებაში მე ჩემივე ნებით შევედი. ხომ გესმის, ჩემივე ნებით! არავის არ მოვუტყუებია, გესმის? ეს ყმაწვილები, გვერდით რომ მისხედან, ქვეყნად ყველაზე კარგი, ყველაზე კეთილი ხალხია... მეც თუ იმავე სასჯელს არ დამადებ, რითაც ესენი უნდა დასაჯო, მაშინ ეშმაკებმა დაგწვან და დაგხრტონ იმქვეყნად. გესმის? ამათ თუ ჩამოაზრებ — მეც ჩამომხრჩე; თხუთმეტ წელიწადს მისცემ — მეც მომეცა...



ა ლ ი — ბები...

ფ ა თ მ ა — გაჩემდი. შენ მე მომატყუე. შენ მე შემარცხვინე, ჩემო ალი! ჩემო სულო, ჩემო ერთადერთო იმედო... ბატონო მოსამართლე, ჩვენ ჩემს წინააღმდეგი ვართ, რომ ხალხი კორეის მთებში ილუპებოდეს, — ჩვენ არც ის გვინდა, რომ იქაური ღარიბები ამოწყვიტონ... ალი! ჩემო ალი! შენ... შენ...

თ ა ე მ ჯ ღ ო მ ა რ ე — იმასთან დაკავშირებით, რომ გასარჩევი საქმე უშუალოდ ენება მთავრობის საშინაო და საგარეო საკითხებს... მშვიდობისა და წესრიგის დაცვის მიზნით... საქმე გარჩეული იქნება დახურულ სხდომაზე.

მ ე რ ა დ ი — არაკანონიერია ეს გადაწყვეტილება.

ხ მ ე ბ ი დ ა რ ბ ა ზ შ ი — სწორია! რატომ დახურულ სხდომაზე? ბატონო თავმჯდომარე! ესეც შენი მართლმსაჯულება!

ი ბ რ ა ჰ ი მ ი — სასამართლო ხალხს სიმართლეს უმაღლეს!

ხ ა ტ ჩ ე — ხალხმა უნდა გაიგოს, რისთვის ვიბრძვით.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი — ჩვენ მზადა ვართ პასუხი ვაგოთ ხალხის წინაშე!

თ ა ე მ ჯ ღ ო მ ა რ ე — დაჩემდით! ეს სასამართლოს შეურაცხყოფა!

გ ი უ ზ ი ნ ი — ეს მართალია!

თ ა ე მ ჯ ღ ო მ ა რ ე — (უანდარმებს) — გაათავისუფლეთ სხდომის დარბაზი!

I ხ მ ა — მართალია, ბატონო თავმჯდომარე. ეს სუბიექტები სასამართლოშიაც პროპაგანდას ეწევიან.

II ხ მ ა — ჩამოახრჩეთ ეს ძალღიშვილები!

ჰ უ ს ე ი ნ ი — თქვენ ადამიანები არა ხართ, თქვენ ამერიკელი ლაქიების ლაქიები ხართ.

ფ ა თ მ ა — (წამოდგება) არ ვიცი, რა გქვიათ. (თავმჯდომარეს) იქნებ ჩემო განსვენებული ქმრის სეხნიაც იყო. მაგრამ თურქები კი ნამდვილად არა ხართ!

თ ა ე მ ჯ ღ ო მ ა რ ე — ხმა ჩაიკმინდე! ჩუმად!

(უანდარმები გარეთ ერეკებიან ხალხს.)

ხ მ ე ბ ი — ეს უმსგავსოებაა! ხელს ნუ მკრავ! ხელი აიღე!

IV ხ მ ა — რა, შენც კომუნისტი ხარ?

თ ა ე მ ჯ ღ ო მ ა რ ე — კარები დაკეტეთ! ჩაკეტეთ კარები!

ნ უ რ ი — ვით ყველა გამცემი, თქვენა ხართ ლაჩრები, მლიქვნელი, უგულო, ლაჩრები დარჩებით.

I დ ი ქ ტ ო რ ი ს ხ მ ა — საკუთარ თავს გარდა თქვენს დღეში არაფერს, და არაფერი არ გყვარებით.

II დ ი ქ ტ ო რ ი ს ხ მ ა — არცა თვალები, არცა სახე, არცა ხელები, არც ნაირფერად მოხატული ჩვენი ველები.

ხ მ ე ბ ი — თქვენს სიცოცხლეში ბავშვსაც კი არ მოფერებიხართ...

I დ ი ქ ტ ო რ ი ს ხ მ ა — გაყიდეთ მხარე, გარემოცული სამი მხრით ზღვითა; მაგრამ თქვენც მათთან, მათთან ერთად მოსპობა გელით.

II დ ი ქ ტ ო რ ი ს ხ მ ა — იმათთან ერთად, ვინც მოგვადგა სიკვდილის გემით.

ხ მ ე ბ ი — თქვენ მოისპობით, მათთან ერთად, ვინც ოპროს მონებს.

თარგმანი შახბანზ ზეილიძისა.

ჩემი ქაჩის დღესასწაული

★

ომი, დედა და ბავშვები

არ სძინებია დედას იმ ღამით,
სახეზე უცხო ჩრდილი ეფინა.
ჩვენც საბნების ქვეშ
ჩუმად ვიყავით
და ვატყუებდით, თითქოს გვეძინა,

გაუჩინებულნი ვიწეკით ასე
და ჩაგვდგომოდა შიში თვალებში.
საკუთარ დედას ვერ ვცნობდით
ხმაზე, —
ხმას დაჰკარგოდა სითბო ალერსის.

მოულოდნელად შეინძრა სახლი,
ისმოდა მძლავრი გუგუნნი გარეთ.
სადღაც აყეფდა მეზობლის ძალი,
წინა თათებით ფხაჭნიდა კარებს.

წამოვხტით.
დედა სარკმელთან იდგა.
ქუჩით ჩვენამდე აღწევდა ბოლი.
მშობელს არ უთქვამს არცერთი
სიტყვა,
თმებში უკრთოდა ქალარა ზოლი.

ფანჯრის რაფასთან მივედით უმალ
შიშველ ფეხებით და პერანგებით
და დიდხანს,
დიდხანს ვუშვებდით ჩუმად,
როგორ მოჰროდნენ ჩვენი
ტანკები...

უეცრად ომის ცეცხლმა იელვა,
უცებ დაიწყო მკაცრი დღეები.
ქუჩა საოცრად დაცალიერდა,
ქუჩაში მხოლოდ იდგნენ ხეები.

სახლიც სიჩუმით იყო მოცული,
თუმც ვხმაურობდით ბავშვები მაინც.
დედა, ქარხნიდან გვიან მოსული,
დაღლილ ხელებით გვისხამდა ჩაის.

შვექტეოდით ღარიბულ ვახშამს,
ვერ გვისწორებდა მშობელი
თვალებს
გვეუბნებოდა, რომ ჩვენს ქუჩაზეც
დღესასწაული დადგება მალე.

მეხსოვრებათ



★

კარგად არ მახსოვს, მაგიდის ირგვლივ
 ბავშვები ვთვლემდით, თუ ძილსა
 ვძლიეთ,
 და ფუჭად იღო გაშლილი წიგნი,
 რადგან ოთახში ციოდა ძლიერ.

იმპლავრა ქარმა,
 იმატა თოვლმა,
 თითქმის მიწამდე იწვნენ ღრუბლები.
 მუზობლის ქალმა ასწავლა ქსოვა
 და დედაც ქსოვდა დაუსრულებლივ.

ქარი კარებთან ყეფდა ძალივით,
 გადაირია,

თითქოს გახელდა
 დედა საშინლად იყო დაღლილი,
 ქსოვდა და თვალებს ძლივს-და ახელდა.

მოთავდა ერთი...
 ახლა მეორე...
 და მას, ვინც თოვლში იკვლევდა
 ბილიც...
 საშობლოს დამცველ მამაც მეომრებს
 ემახსოვრებათ წინდები თბილი.

და მათ იციან, რა სიხარულით,
 და სიყვარულით ქსოვდნენ დედები...
 შიგ ჩააქსოვეს ცრემლი ფარული,
 დიადი სითბო და იმედები.

ჩემი მეგობრები მიქნებით მალე

★

უეცრად მითხრა —
 დღეს ჩამოსულა —
 მუზობლის ბიჭმა აღტაცებულმა.
 შეეხვდი.
 ვიციანი.
 არ გამოცვლილა,
 ისე საოცრად დაკაცებულა.
 მას შემდეგ თითქმის ყოველდღე
 ვხედავ.
 ვერძოთ მიბყვება ცისფერთვალება.
 რომ მივესალმო, მე ვერა ვბედავ.
 მას არ ვახსოვარ,
 არც მესალმება...
 როდესაც ატყდა ომის გრიგალი,
 წავიდა,
 სხვებთან ერთად რომობდა.

მე მაშინ ერთი ციდა ვიყავი
 და აბა როგორ დამიხსოვებდა.
 მახსოვს, ხალისი მზიბლაედა მუდამ
 მისი სიცოცხლის და არსებობის
 და კარგად მახსოვს, ყოველთვის
 მსურდა,
 რომ მას რითიმე დაემსგავსებოდი.
 მე ახლაც მინდა მისდარი ვიყო,
 გაეხედავ.
 მერე ჩემი გზით წავალ.
 ეგავარ თუ არა? — გზადაგზა ვფიქრობ.
 და მე მეონია, ცოტათი ეგავარ...
 მაისი აღებს ბუნების კარებს,
 და გაზაფხული სივრცეებს იპყრობს.
 — ჩვენ მეგობრები ვიქნებით მალე —
 გზადაგზა ვფიქრობ.

გაზაფხულის სიმღერა



★

მე ღლეს არ მინდოდა რაიმე მეთქვა
და ასე მეგონა, არც მქონდა სათქმელი.
უეცრად ვიგრძენი აპრილის ფეთქვა,
უეცრად გავაღე ოთახის სარკმელი.

გავხედე:
ნათლება,
ნათლება,
ნათლება,
გაზაფხულს სიმღერა გულიდან ამოაქვს.
ცა არსად იწყება,
ცა არსად თავდება,
ცა სიცოცხლესავით დაუსაბამოა!

გავხედე:
ქუჩაში მოსულა აპრილი
და გამოუღია მეზობლის ფანჯარა.
მოსულა უთვალავ ფერებად
დაღერილი
და სახემზიანი კვირტებში ჩამჯდარა.

გავხედე:
სარკმელზე ვაყვაცი გადმოღდა,
მისურვა მშვიდობის დილა გაღიმებით.
და იმავ ხელებით, ფოლადს რომ
აღნობდა,
რაფაზე სიფრთხილით მორწყა
ყვავილები.

გავხედე:
ნათლება,
ნათლება,
ნათლება,
გაზაფხულს სიმღერა გულიდან
ამოაქვს.
ცა არსად იწყება,
ცა არსად თავდება,
სიცოცხლეც ცასავით დაუსაბამოა!

ამ გაუშვლია

★

ახლა ქუჩაში გაზაფხულია
და ცისარტყელა მშვიდად ანთია.
ამ ხეებს ახსოვთ: აქ გაუღლია
დიდი ხნის წინათ ქვეყნის განთიადს.

ამ ხეებს ახსოვთ მისი ღიმილი
და დიად ჭაბუკს უმზერდნენ რიდით.
აქ გაატარა ქვეყნის ტკივილი
და ქვეყნის დახსნის იმედი დიდი.

ლამაზო ქუჩავ, საწყალო წინათ,
შენ ახლა მზეზე ათასფრად ბრწყინავ,

რადგანაც დიდმა ადამიანმა
დაფიქრებულმა აქ გაიარა.

აშენდა, რასაც შეახო ხელი,
აყვავდა, რასაც შეავლო თვალი.
უღაბნოებში ხარობენ ხენი,
უღაბნოებში მოვარდა წყალი.

აი, ამ გზაზე ვიდოდა იგი,
ელოდებოდა ავლაბრის სტამბა.
დიადი მოყმერ ნათელი ფიქრით
კრემლის ვარსკვლავებს უმზერდა
აღბათ.



მაისის წვიმა და ბავშვები



ცა წმინდა იყო ცოტა ხნის წინათ,
უცებ მოვიდა შხაპუნა წვიმა.

მე მოვეუხადე შხაპუნას ქული,
ვთქვი: მასველებდეს, მოვიდეს კიდევ.
მაგრამ შეენიშნე ბავშვების გუნდი,
გაუცდი,
ერთხანს უსიტყვოდ ვიდექ.

და გამახსენდა: დიდი ხნის წინათ
ასე მოვიდა შხაპუნა წვიმა.

საოცარია, როგორც ისინი,
ჩვენც ვბრუნდებოდით სკოლიდან
მღერით,
ასე ვიკლებდით ქუჩას სიცილით,
ფხსაძემელები მოგვეჩონდა ხელით.

ჩვენც გვიხაროდა შიშველ ფეხებით
სველ ფილაქნებზე სირბილი,
ხტომა.
წვეთებს გვესროდნენ სველი ვერხვები,
მერე ფოთლებით იწყებდნენ კრთობას.

და, აჰა, როგორც დიდი ხნის წინათ,
ისევ მოვიდა შხაპუნა წვიმა.

მე ამნაირი ვიყავი თვითონ,
რა მშვენიერი დამღვარა წამი,
ისე შემხედეს ბავშვებმა, ვითომ
არ განმეცადოს ასეთი რამე.

გამშორდნენ მღერით და ქრიამულით
და მიეფარნენ გაწუწულ ხეებს.
თვალეზმუნიანი,
თმებდანამული
ბავშვები ჰგვანან მაისი დღეებს.

ავლელდი,
თითქოს ჩემს უნებურად
მათ სიხარულში მეც მქონდა წილი,
თითქოს ბეშვობა დაბრუნებულა
თავისი თბილი, შხაპუნა წვიმით...

მე სიხარულის მიზეზი მქონდა,
სიცოცხლის ნერგმა ისევ იხარა...
— ჰეი, ბავშვებო. მოიკათ ცოტა, —
მე თქვენ მიყვარხართ!

ომი და პატარა გოგონა



პატარა ბავშვი მოვიდა,
მკითხა:
— რანაირია, რა არის ომი.
გაოცებული ვფიქრობდი დიდხანს,
ვერძნობდი: მიმხერდნენ თვალები
კრთომით.

გოგონას მზარზე დავადე ხელი,
მაგრამ უცრად შემეკრა სუნთქვა.
მეტად ძნელია,

საოცრად ძნელი
პატარას — ომი რა არის — უთხრა.
იგი მზეს უმზერს მესამე წელი,
წინ კი გზები აქვს სიცოცხლის შორა.
მეტად ძნელია,
საოცრად ძნელი,
პატარას უთხრა — რა არის ომი.
რა არის ომი?
ვწუხდი ძალიან,

პასუხისათვის ვფიქრობდი დიდხანს...
ო, პარი ტრუმენ, თქვენი ბრალია,
რომ დაეზადა ასეთი კითხვა.

სიცოცხლისათვის არა გცალიათ,
ომის განგაშით მსოფლიოს იკლებთ.
ო, პარი ტრუმენ, თქვენი ბრალია,
ეს ბავშვი წედან თქვენ ჩააფიქრეთ.

მე ვღვავარ ბავშვთან სრულიად
მშვიდი
და ზომიერად ძვერს ჩემი მკერდი.

აი, გოგონა შინისკენ მიდის
და გზის გადაკრა გაბედვით ერთი!

ბავშვს მე ვუთხარი:
— გოგონა, წადი,
შენ გელის სითბო, ალერსი დედის.
მიდის და სუფთა, ლამაზი ბანტი
მას მხრებზე აზის, ვით თეთრი მტრედი.

ცაზე ეღვარებს ლურჯი ფერები
სადლაე მერცხლების ჭიკჭიკი ისმის...
— წაიღეთ, პარი ტრუმენ, ხელები
არ დაინახოს ამ ბავშვმა სისხლი.

უშბის დამპყრობი

★

მას უწოდებენ გულადს და მამაცს, —
მაგრამ რატომღაც არ მჯერა, თამაზ.

პატარა არის, როგორც ჩიორა
და მეღიმეზა, როდესაც ვხედავ.
არ მჯერა, თითქოს მთებზე იარა,
დაიპყრო უშბა, დაიპყრო შხელდა.

შენ ამბობ: კლდიდან მოწყდა ვაეკაცი,
თითქოს და ზევემა წაიღო ალვა,
და ცოცხალმკვდარი სადლაე ნაპრალში
იგი მონახა პატარა ქალმა.

მას შენც უწოდებ გულადს და
მამაცს, —
მაგრამ რატომღაც არ მჯერა, თამაზ.

მას, როგორც ფოთოლს, მოწყვეტდა
ქარი,
სადლაე ხეებში გადაკარგავდა.

მე დღესაც ვნახე პატარა ქალი
და უშბის დამპყრობს არა, არ ჰგავდა.

ის მიდიოდა ფერმკრთალი, ნაზი
და მთელი ქუჩა მიბრუნდა უცბად:
მან დაიპყრო მწვერვალი მკაცრი,
მან დაიპყრო ზვიადი უშბა.

რომ უწოდებდნენ გულადს და მამაცს
არა მჯეროდა რატომღაც, თამაზ.

ასეთი ნაზი, ფერმკრთალი ოღნავ,
პატარა,
გიშრისთვალა გოგონა
შხელდას და უშბას თუ დაიპყრობდა.
მე არ მეგონა.

თამაზ, მე ვიცი, ამბობენ მართალს,
ნამდვილად ვიცი.
და, როდენი გმირობა მმართვეს,
რომ მართლა გავხლე სწორფერი მისი.

მარჯვენას მიქაბენ

★

— ხა, ხა, ხა! — გაისმა ხარხარი კიშკართან.

კესარიამ კეცებზე მკადები შეატრიალა და კიშკართან თავმოყრილ ახალგაზრდებს გასძახა:

— შინ შემოიყვანე, პაპუნა, ამხანაგები!

პაპუნამ რამდენჯერმე სცადა ამხანაგების სახლში შემოყვანა, მაგრამ დაღლილ ყმაწვილებს შინ მიეჩქარებოდათ.

— რაო, დედა, არ წამოგყვინენ სტუმრები? — შეეკითხა კესარია სამზადში შემოსულ პაპუნას.

— დასვენება გვირჩევნიანო, დედაჩემო, — მიუგო პაპუნამ. — გავიმარჯვეო, დედა, ჩვენ დაგვრჩა გარდამავალი დროშა, — თვალუბი სიხარულით უელავდა პაპუნას და დედას სიყვარულით შესტკეროდა.

— ყოველთვის გამარჯვებით გველოს, შვილო, მამაშენი არ გინახავს?

პაპუნა შეერთა, სახე მოედრებლა. კარებში ზაქარია გამოჩნდა, პირქუშად შეხედა შვილს.

— უსახელებიხარ, ზაქარია, შვილს, — უთხრა კესარიამ ქმარს.

— ძაან სახელია, დედაკაცო, უკანონო შვილთან თუ იცეკვა შენმა ვაჟმა!

პაპუნა გაფითრდა, კარში გასვლა დააპირა.

— ეახშობის დროა, სად მიდიხარ, ბიჭო? — უთხრა ზაქარიამ.

— მე შენი ურჩი არასოდეს ვყოფილვარ, მამაჩემო, — დინჯად მიუგო პაპუნამ.

— ძაან სახელია, შენ ნუ მომიკვდები, სახელოვანი ბიჭი იყო და გლახუს გოგოს გაუყადრო თავი...

— გეყოფა, მამაჩემო!

— როგორ, გიყვარს ის გოგო თუ? — აღშფოთებული კილოთი კითხა ზაქარიამ.

— რა დაგემართა კაცო? ძლივს შეიღლის დაბრუნებას მოვესწარი ფრონტიდან და ახლა უნდა გადამირიო? ველარ გაიგე, ამათი დრო სხვაა და ჩვენი სხვა იყო. ვინც უნდა, ის შეიყვაროს, ბავშვი აღარაა პაპუნა.

— რამ გადაგვრია, ქალო, ნაბუშარის შვილი შევართოთ პაპუნას?! რაგინდ სახელიანი უნდა იყოს მე იმ გოგოს ოჯახში არ შემოვუშვებ...

პაპუნამ იცოდა მამის ჯიუტი ხასიათი, ისევე მშვიდი ლაპარაკი სცადა.

— დარწმუნდი, მამაჩემო, არც ისეა საქმე, როგორც შენ გეჩვენება, რა მოხდა ისეთი, თავი დაუკარი გოგოს, წრეში დავტრიალდი, დანაშაულად მითვლი ამას? კოლექტივში სულ ერთად ვმუშაობთ...

— კოლექტივში არც დაგიშლი, საერთო საქმე ერთად უნდა კეთდებოდეს, მაგრამ გახსოვდეს, გლახუს შვილს რძლად არ გაეიხდო.

ქალის ხელმეორედ ავად ხსენება ტყვიასავით მოხვდა გულზე პაპუნას, კარებს ხელი ჰკრა და გარეთ გავიდა.

— დამიკარგავ ამ ბიჭს შენი ავიენით, მაგის მეტი არაფერი გამაჩნია, — გადმოყარა ცრემლები კესარიამ.

— გამიგონე, დედაკაცო, მთელი კოლმეურნეობა ლაპარაკობს. მაგენი

რაღაც სხვანაირად ექიციკებიან თურმე ერთმანეთს, ახლაც არ დაიჯერებ? — ნიშნისმოგებით უპასუხა ზაქარიამ.

კესარიამ შალი წამოისხა მხრებზე, გაწყობილ სუფრას გაზეთი გადააფარა, ქმარს საყვედურით გადახედა, რომ შეილს ვახშამი გაუმწარა, და გარეთ გავიდა.

ოჯახში შექმნილ მდგომარეობას განსაკუთრებით განიცდიდა კესარია. როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეო, — ეკითხებოდა თავის თავს და ვერც შეილისათვის და ვერც ქმრისათვის გაებედა, ლაპარაკი ჩამოეგდო შერიგებაზე, იყოდა ზაქარიას ახირებული ხასიათი, ჩიტს რომ არ აფერენდა თავზე, თორემ ზაქარია შეილს კარების მობრახუნებას ასე ადვილად არ აპატიებდა.

„ნამდვილად სწყინს ზაქარიას, რომ გლახუა შრომის გმირობაზეა წარდგენილი. ნაბუშარმა მაჯობაო,“ — ისკვნებოდა ათასნაირი ფიქრები კესარიას გონებაში.

კესარიამ რამდენჯერმე სცადა მიემართათა კოლმეურნეობის თავმჯდომარისათვის, რჩევა-დარიგება მიეღო. თავმჯდომარე განსაკუთრებულ პატივს სცემდა მამასაც და შეილსაც, როგორც კოლმეურნეობის საუკეთესო წევრებს, მაგრამ ოჯახის საიდუმლოება რომ გაეტანა, ეს აჩქარებულ ნაბიჯად მიაჩნდა კესარიას, ამიტომ გულში იცლავდა დარდსა და სხვა გზას ეძებდა, რომ ამ საქმისათვის მოეცლა.

ის იყო კესარიამ ხბო მიუგდო ძროხას და წველისათვის მოემზადა, რომ მოესმა:

— მასპინძლო!

კესარიამ ხბო საბელით ხეს მიაბა და სტუმარს მიეგება.

— აქა მშვიდობა! — გაისმა ახალგაზრდა ქალის ხმა. დიდი ჩალის ქუდის ქვეშ ლოყებდებარაწული ქალი მოუთ-

მენლად ერთმანეთზე აყრიდა სიტყვებს:

— პაპუნამ შემოგითვალა, ვახშამზე ნუ მელოდებით, დიდხანს დაგვაგვიანდება კოლმეურნეობაშიო, — დაამთავრა თუ არა სიტყვა გოგონამ, თოხი კოხტად შეიგდო მხარზე და ქიშკრისაკენ გატრიალდა. კესარიამ ხელი ჩააყოლო.

— ნანი ხარ, გლახუას შეილი? — ისე გაიკვირვა კესარიამ, თითქოს ახლა იცნო იგი. — რაშხელა გაზრდილხარ, გოგო? დამშვენებულხარ, — გაუღიმა კესარიამ და ხელი ჩამოუსვა მაჯის სიმსხო ნაწნავებზე.

ნანიმ დიდრონი თაფლისფერი თვალები შეანათა კესარიას.

— სამუშაოდან მოდიხარ, შეილო? — არ ეშვებოდა კესარიამ. — რას მუშაობდით დღეს კოლეგტევში?

— სიმინდს ემარგლავდით, — მორცხვად გასცა პასუხი ქალმა.

— რას ამბობს მამაშენი, შეილო, ყანებს როგორი პირი უჩანსო?

— წელს სიმინდი ხალხს თავზე საყრელად ექნებო!

— შენს პირს შაქარი, ჩემო ნანი, — დაუყვავა გახარებულმა კესარიამ და ნიკაპქვეშ ხელი მოუთათუნა.

— რამდენი მუშაობთ, შეილო, კოლმეურნეობაში? — ცნობისმოყვარეობით შეეკითხა კესარიამ.

— სამი ქალიშვილი და მეოთხე მამაჩემი!

— მაშ კარგად წავა წელს თქვენი საქმე, ბევრი შრომადლე გექნებათ გამოუმუშავებელი. გაიხარე შეილო, ბევრი კარგი მესმის შენს ქალობაზე.

გოგონამ მორცხვად დაუშვა გრძელი წამწამები, გამოემშვიდობა მეზობელს და რაღაც უსაზღვრო კმაყოფილებით ფრთებშესხმული დაეშვა დაღმართზე.

კესარიამ მოიხურა ქიშკარი და დაუყვავა აშვებულ ძაღლს, რომელიც ყვეფით გამოუდგა გოგონას.

კარგი გოგო და კარგი ბიჭი, სხვა რა-
ლა უნდა სიყვარულსო, ფიქრობდა კე-
სარია.

— დედაჩემო, — მიმართა გვიან დაბ-
რუნებულმა პაპუნამ მშობელს, — სა-
ნადიროდ მივდივარ ამაღამ, იქნებ
მგელს გადავეყარო სადმე.

— მგელზე ნადირობას გამოცდილე-
ბა უნდა, შვილო!

— ეჰ, დედაჩემო, ისე მელაპარაკე-
ბი, თითქოს ტუჩზე რძე არ შემშრო-
ბოდეს, — გაიცინა პაპუნამ. — მგელი
შეგვჩვევია, მისი შიშით ბავშვებს სა-
ჭონელი ვერ გაურეკავთ საძოვარზე, —
კედლიდან თოფი ჩამოხსნა.

კესარია თვალს არ აშორებდა შვილს.
ელვის სისწრაფით გაირბინა მის თვალ-
წინ პაპუნას ბავშვობის წლებმა. თით-
ქოს გუშინ ეჯდა პაპუნა კალთაში და
ნანას უმღეროდა. ახლა კი მხარბეჭკაშ-
ლილი, ასხლტლილი ვაჟაკი ედგა წინ.
სიხარულის ცრემლი მოადგა თვალზე.

— რა გატირებს, დედაჩემო? — მიუ-
ბრუნდა პაპუნა დედას.

— არა შვილო, სატირალი რა მქირს.

— მიგიხვდი, დედაჩემო, — დაარღ-
ვია სინულზე პაპუნამ. — ჩემს ბავშვობას
ახლა ჩემი შვილები მოგაგონებენ, ჩე-
მი შვილებით გაიხარებ. — პაპუნამ
თავის ცხვირსახოკით მოსწმინდა მშო-
ბელს ცრემლი და რამდენჯერმე აკოცა
ჭალარაშეპარულ თმებზე.

• • •
მთვარის შუქზე სიმინდის ჩრდილები
გრძლად გაწოლილიყო. შემოდგომის
გრილი სიო ჭროდა. მშვიდ ღამეს სასი-
მღეროდ განეწყო პაპუნა. „თუ მომკ-
ლავ, ისევ შენ მომკლავ, ჭალო, თავდა-
ხრით მკინარე“... — ზღერის პაპუნა და
თვალწინ უდგას ნანის თაფლისფერი
თვალები. მაგრამ რატომ ეპარება მის
სიყვარულს რაღაც გამოყოვნობი სიყ-
და? ნუთუ მართლა დააშორებს მამა

ნანის? — ფიქრობს პაპუნა, მაგრამ
ერთი წუთითაც არ უნდა აკვეციანამ
აზრს. „არა, ეს არ მოხდება, ეს არ იქ-
ნება“, — არწმუნებს თავის თავს, და
განაგრძობს სიმღერას.

სიმინდების შრიალმა მიიპყრო პაპუ-
ნას ყურადღება. სმენად გადაიქცა. კა-
ცის ფეხის ხმა მოესმა. „ვინ უნდა იყოს
ამ დროს აქ“. გაიფიქრა.

— მაგ ხმით მოგიხიბლავს ვლახუას
ქალი.

პაპუნამ სიმინდები გადაწია, მთვარის
შუქზე მეზობელი იცნო.

— მარჯვენას დამიწუნებ, სილოვან,
თუ? — იწყინა პაპუნამ.

— მარჯვენასაც გიქებენ, — დაატა-
ნა სილოვანმა.

— დამკინი? — შუბლი შეიკრა პა-
პუნამ.

— დასაციანი რა გაქვს, პაპუნა, ვი-
საც შენი მუშაობა უნახავს ყანაში... —
მეტე არაფერი უთქვამს, გვერდი უქცია
და გზა მისცა.

„რა დროს გადამეყარა? თვითონაც
არ ვიცი, რატომ არ მიყვარს ეს კაცი?“

— გაიფიქრა პაპუნამ და აჩქარებით
გასცილდა სილოვანს.

გათენებულყო, როდესაც გოგო-
ბიჭებმა ერთმანეთი ატეხეს სოფელში,
პაპუნას მგელი მოუკლავსო. კოლმეურ-
ნეობის თავმჯდომარის ეზოში ძუ
მგელს გარს შემოხვეოდნენ კოლმეურ-
ნიები, გახარებული ბავშვები ნადირს
ჭკობს ისროდნენ, ჯობით უსინჯავდნენ
ჭრილობას.

— რამოდენაა, ამის მსგავსი არაფე-
რი გვიანხავს! — ამბობდნენ გამოცდი-
ლი მონადირეები.

იმ დღეს მთელი სოფელი ლაპარაკო-
ბდა მოკლული მგლის ამბავს.

• • •
— შენს დღეში ვერ ეღირსებოდა.
ვლახუა, გაზეთში დახატვას, — ხუმ-

რობით გაკრა კბილი ზაქარიამ კლუბის წინ ხალხის წრეში მდგარ გლახუას.

გლახუამ ზაქარიას გესლიან სიტყვას ყურადღება არ მიაქცია და ხელის ჩამორთმევით მადლობა გადაუხადა.

სიხარული ვერ შეეკავებინა ალექსანდრე მაჩიტაძეს, თავი გადაუწია გლახუას და აკოცა. გარშემო სიცილი ატყდა. ალექსანდრე მაჩიტაძემ უცმაყოფილო სახით გადახედა ახალგაზრდებს.

— თქვენ გაიცინეთ და გადაწყვეტილი მაქვს, მომავალში მეც მოვიყვანო ერთ პექტარზე 100 ცენტნერი სიმონდი, — უთხრა ყმაწვილებს მაჩიტაძემ და ხელი უღვაწზე გადაისვა.

საუბარში გართულ გლეხებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე სიმონიც შემოუერთდა.

— ასეთი გადაწყვეტილება რომ ყველას გექონდეს, შორს წავიდოდით მაშინ, — მიმართა სიმონმა კოლმეურნეებს. — თუ გლახუამ მოიწია 100 ცენტნერი, რატომ ზაქარიასაც არ შეუძლია მოიწიოს ასეთი უხვი მოსავალი, ან პეტრეს, ივანეს...

— ასეთი ფიქრი ბევრს გვიტრიალებს თავში, ჩემო სიმონ, — უთხრა შუახნის კოლმეურნემ ივანე ჩხაიძემ თავმჯდომარეს. — შენ ოღონდ სასუქით და მანქანით მოაგაპარაჟი, და ჩვენ სირცხვილს არ ვაქმევთ. ხომ ასეა, ზაქარია?

— ამინდმა არ შეგვიწყო ხელი, თორემ ჩვენ წელსაც მიიღობდით უხვ მოსავალს, — თქვა ზაქარიამ.

— წლებიანდელმა წელმა ბევრს უმტყუნა, მაგრამ გაისად არაფერი დაგვიდგება წინ, — უთხრა სიმონმა ზაქარიას და მკლავში ხელი გაუყარა, ნელი ნაბიჯით გაემართნენ გამგეობის კანტორისაკენ. თავმჯდომარემ საუკეთესო დრო შეარჩია ზაქარიასთან სალაპარაკოდ.

— ცუდი ხმები მოდის ჩემამდე, ჩემო ზაქარია. შენს კაცობას არ ვკადრებ, ჩამორჩენილი ადამიანის აზრე-

ბით დადიოდე სოფელში. საუკეთესო კოლმეურნე ხარ, ქვეყნის და გამომცდილი, — დაიწყო სიმონმა ლიწობით.

— არაფერი მესმის, სიმონ, რა ჩავიდინე ისეთი, ასე რომ მაქვობ!

სიმონმა აღელვება შეატყო ზაქარიას, საუბარი ხუმრობაში გადაიტანა.

— აღელდი? მინდოდა შენი მძახლისთვის სოციალისტური შრომის გმირობა მომელოცა. ქორწილში დამპატივებ ალბათ, შენი პურმარილი განთქმულია სოფელში!

— მე ვინ მკითხავს, ჩემო სიმონ, ახლანდელი ახალგაზრდების ქორწინებას!

— როგორ! — გაიკვირვა სიმონმა. — ერთადერთი ვაჟის პატრონი ხარ, ქორწილს შენი ვაჟი შენს უკითხავად არ გადაიხდის. პაპუნას მთელი სოფელი იცნობს, როგორც საუკეთესო კომკავშირელს. ყური დამიგდე. კოლმეურნეობის ყოველი წვერის ბედნიერება ჩემი ბედნიერებაა, მათი ჯანსაღი ოჯახი ჩვენი მომავლის ქვეყნობაა. ახალგაზრდებს ერთმანეთი უყვართ, შენ ხელი გიკრავს, მაგათ ცოდვაში ჩამდგარხარ, უკანონო შევილიაო, დაგიჩემებია. ეს როგორ დაგემართა, ზაქარია! ხომ ხედავ ქვეყანა მუშა კაცისაა. შეხედე ჩვენს ცხოვრებას, რა შორს წავედით. არავინ გაიგოს შენი აზრი, თორემ თავი მოგუკრება.

მიწა რომ გამსკდარიყო და ჩაეტანა, ის ერჩია ზაქარიას. სიმონის სიტყვებმა ისე ჩააფიქრა, რომ ვერც გაიგო, როგორ მიატოვა ის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და კანტორის აივანზე ავიდა, როცა ფიქრებიდან გამოერკვა და ჩაკიდული თავი მალა ასწია, ოთახში შემავალ სიმონის ზურგს-ლა მოკრა თვალი.

— მმ.. მმ.. მმ... — დაიყენესა ზაქარიას გულმა. — უშენოდ ერთ დღის ნუ მაცოცხლა, შევილო, — წამოიძახა თავისდაუნებურად და ნაბიჯი პაპუნასკენ გადადგა.

პაპუნამ, რომელიც აქამდე აჩქარებული გულისცემით ადევნებდა თვალს მამისა და სიმონის ლაპარაკს, ზაქარიას ხახეს თვალი მოჰკრა თუ არა, მიხედა, საქმე მის სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი.

— პაპუნა!

— რა იყო, მამა?

— სახლში წადი, ბიჭო, კესარიას უთხარი, სადილი მოგვიშადე-თქო.

პაპუნა მოსხლტა ადგილიდან.

მთვარე ვახშობას გადასული იყო, როცა გლახუამ ჭიშკარი შეაღო. პატრონი იცნო თუ არა ძაღლმა, გამოექანა. ჯაჭვი ხმაურით გასრიალდა მიწაზე.

— მშიერი ხარ, მერა! — მიუღერსა გლახუამ ძაღლს.

ნანი აივანზე გადმოდგა და ლამპით გზა გაუნათა მამას.

მამის შინ მოსვლამ ფეხზე დააყენა ოჯახის ყველა წევრი. ნანიმ კოკით წყალი შეურბენინა ხელპირის დასაბანად.

— მექუსქუსები, გოგოვ, იცი, უნდა გამოიფრინდე! — გაეხუმრა გლახუა ქალიშვილს და მოსიყვარულე თვალებში შეაჩერა ნანის სიცოცხლით საესე სახეზე. — ოჰ, ყველაფერს თურმე თავის დრო აქვს. ქალი რომ მომწიფდება, თოკითაც რომ დააბა, ვერ გააჩერებ, — გაიქნია თავი გლახუამ და სამფეხა სკამზე ჩამოჯდა. — ძან კი გამიჭირდება, გოგო, შენი სახლიდან გასტუმრება! ჯარასავით ტრიალებ ოჯახში. ამ უმცროს გოგოებს რა ეშველებათ, თორემ ჩემს თავს აღარ დავეძებ, — თქვა გლახუამ.

— შორს ხომ არ მიფიქვარ, მამაჩემო, გადამთიელს ხომ არ ატან ჩემს თავს? მეზობლად ვიქნები, აქვე, — გაეხუმრა ნანი და მამის შეკრული შუბლი რომ გაეხსნა, სიყვარულით ხელი მოუცაცუნა წვერზე.

სიზმარით გაირბინეს გლახუას წინ წარსული ცხოვრების სურათებმა: მთელი დღის შრომით წელში გაწყვეტილი რომ შევიდოდა ჭვარტლიან ქონში, მიუჯდებოდა კერიას და შავი ფიქრები აიშლებოდნენ, სად და როგორ ეშოვია ლუკმაპური. რა სასაცილოდ ეჩვენება ეს ახლა.

ფიქრებში წასულ გლახუას ვახშობი შესთავაზეს ქალიშვილებმა. კარგად შეზავებულმა საქმლის სურნელებამ მაღაზე მოიყვანა მოხუცი.

„ჩემო ციციანთელა“... — გაისმა შარაგზაზე ახალგაზრდების სიმღერა. ნანიმ იცნო პაპუნას ხმა, ცახცახმა აიტანა.

— ნანი! — გაისმა ჭიშკართან ძახილი.

— გოგო, ძაღლი აშვებულია, სტუმარი არ დაგვიგლოჯოს, — უთხრა გლახუამ შეილს. მაგრამ ნანი უკვე გარეთ გასულიყო.

— მობრძანდი, ქუეყნა, — მიაგება ხმა ნანიმ ამხანაგს და ეზოში შემოსულ ქალიშვილს სახლში შეუძღვა.

გლახუამ სუფრაზე მიიპატიჟა მეზობელი.

— მადლობთ, ბიძია. ამხანაგები გვიციდიან.

ნანი მოირთო.

— მე მალე დავბრუნდები, მამა, — უთხრა მამას და ქალიშვილები ჩიტბივით გაფრინდნენ ოთახიდან.

— მიყვარს მამაშენი, ნანი, ასეთი კაცი მეორე არ არის სოფელში, — უთხრა ქუეყნამ ნანის, ეზოში რომ გავიდნენ. — იცი, როგორ აფასებენ მას ჩვენი პარტორგანიზაციის მდივანი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე? ბედნიერი გოგო ხარ, მეგობარიც სახელმწიფო ამოირჩიე, ბევრს არ ეღირსება ასეთი ბედნიერება.

— რატომ, გოგო? შენ კი არა ხარ ბედნიერი? რატომ მიმაღაე, ჩვენს მიჩურინელს რომ მოსწონხარ.

— რას ამბობ, ნანი?! არაეინ გაგვი-
გონოს... ვინ გახდება მისი ღირსი.

— ადამიანმა იმედი არასოდეს არ
უნდა დაკარგოს, — დინჯად მიუგო
ნანიმ.

— მაგაზე ლაპარაკს თავი დავანე-
ბოთ, ნანი. შენ ეს მითხარი, რა ეშვე-
ლება სილოვანს? — გაეხუმრა ქუეყენა.

ნანიმ ისე ხმამაღლა გადაიციკისა,
რომ თავისივე ხმამ შეაკრთო.

— რა დაგემართა, ნანი, მას დღემდე
იმედი არ დაუკარგავს, დარწმუნებუ-
ლია, ზაქარია გლახუას ქალის მოყვანის
ნებას არ მისცემს პაპუნას.

— მერე, ახლა ხომ გაიგო, რომ ზა-
ქარია თანახმაა. საკვირველი კაცია,
სილოვანი, — ცოტა ჩაფიქრების შემ-
დეგ წარმოთქვა ნანიმ.

ამ ლაპარაკით ისინი ამხანაგებს მიუ-
ახლოვდნენ.

— ჩვენი სოფლის მთვარე მოვიდა, —
უთხრა ნანის ერთ-ერთმა ყმაწვილმა.

— შენი დასაციინი სახლში გეყო-
ლება, ბიჭო, — მოტყრა სიტყვა ნანიმ.

— რატომ გეწყინა, ნანი? კარგი რომ
ხარ, იმიტომ უყვარხარ ყველას, —
წასჩურჩულა ვილაყამ.

ნანი შეკრთა. მის გვერდით პაპუნა
იღგა, მხარზე აკორდეონი ჰქონდა გადა-
ვიღული.

— ნანი, აქ ახლა ჩვენ ყველაზე
ბედნიერები ვართ, არა, ნანი? — ხელი
ჩაეღო ნანის ხელს პაპუნამ.

აინთო ნანი, თმები გაისწორა და
უქმაყოფილო თვალებით შეხედა.

— მაპატიე, ნანი, — შეკრთა პაპუნა.
— მუხასთან ჩამოდი, გესმის? სიტყვა
მაქვს შენთან, — უჩურჩულა ნანის და
აკორდეონი მოიმარჯვა.

ახალგაზრდების სიცილ-კისკისი აკო-
რდეონის ხმამ დაფარა. დიდხანს ისმო-
და სოფელში ახალგაზრდების სიმღე-
რა, სიცილი და ხმაური. პაპუნამ, რო-
გორც კი დრო იხელთა, აკორდეონი

ამხანაგს გადასცა და ახალგაზრდების
ჯგუფს გამოეყო.

— აღარ დაგვაძინეს! — შეჩივრებუ-
ლმა გოგო-ბიჭებმა! — მოესმა გზაზე მი-
მავალ პაპუნას მერზობელი ქალის ხმა.

„ეჰ, ავიწყდებათ თავისი ახალგაზრ-
დობა“, — გაიფიქრა პაპუნამ და გზა გა-
ნაგრო. არ ახსოვდა, როგორ მიაღწია
მუხამდე. ნანი არსად ჩანდა. ქალის სა-
ხელის დაძახება ვერ გაეხედა. ზურგიით
მიეყრდნო მუხას, სხეული შეასვენა.
ვილაყამ თვალეზე ხელები დააფარა.
შეკრთა პაპუნა, იცნო ნანის ნაწი ბე-
ლები.

— ნანი, ისე მომეპარე, ვერ შეგამ-
ჩნიე, — შემოტრიალდა ნანისაკენ პა-
პუნა. თავისკენ მიიზიდა ქალი. მაგრამ
ნანი დაუსხლტა, მინდორზე გაიქრა
სიცილ-კისკისით.

— ჩუმაღ, ნანი, სოფელს ძინავს! —
გამოუდგა პაპუნა, ლელესთან დაიწია,
ზურგში სწედა და თავისკენ მოაბ-
რუნა. მთვარის შუქი ვერცხლის სირ-
მებივით აბრწყვიალებდა ნანის ხვეულ
თმას. პაპუნამ ხელი გადაუსვა ქალის
კულულებს.

— მითხარი, ნანი, ხომ ყველაზე
ბედნიერები ვართ ჩვენ.

— რატომ ჩვენ? სხვებს ვინ წაარ-
თვა ბედნიერება, — სიცილით უთხრა
ნანიმ და კვლავ დასხლტომა დააპირა,
მაგრამ ვაჟის მკლავებში მოექცა უცებ.

— არა, ნანი, ჩემისთანა ბედნიერი
სხვა არავინაა ქვეყნად, — ბუტბუტებ-
და პაპუნა.

ნანი ალტაცებით შეჰყურებდა პაპუ-
ნას, — არც ჩემსავით ბედნიერიო სხვა,
— ეუბნებოდნენ მისი თვალები პაპუ-
ნას.

— მითხარი, მითხარი ნანი, რასაც
შენი თვალები მიუბნებიათ, — უთხრა
ჩურჩულით პაპუნამ ნანის და ტუჩი
ტუჩთან მიიტანა.

— პაპუნა!...

ვაგი თვდავიწყებით დაეკონა ქალის
ბაგეს, მაგრამ ნანი კვლავ დაუსხლტა

ხელიდან. მისი კაბა შრიალით გასრი-
აღდა ბუჩქნარში. ერთი გაიღვრა მთვა-
რის შუქზე და უმალ მიიმაღა.



— პა, პა, პა, ცეცხლი ხარ, შე შეჩ-
ვენებულო, ცეცხლი! — შეუძახა ალექ-
სანდრე მაჩიტაძემ პაპუნას და ზურგზე
სიმიინდის ტაროებით სავსე გოდორი
შეუგლო.

— შეგცვლი, ბიჭო, ახლა მე ვზიდავ,
— უთხრა ალექსანდრემ პაპუნას.

— არა, ალექსანდრე, მძიმეა გოდო-
რი, წელში ვაგტეხს, — უპასუხა პაპუ-
ნამ და მანქანისაკენ გატრიალდა გოდ-
რის დასაცლელად.

ერთმანეთს ცვლიდნენ ბაჭები, იც-
ლებოდა გოდრები.

— ზღვად მოსკდა მოსავალი, რომ
იტყვიან, სწორედ ასეა, ავთვალს არ
ენახვება ჩვენი ყანები, — განაგრძობდა
მოსავლით კმაყოფილი სიმონი და ამა-
ყად გასტკეროდა კოლმეურნეებს, რო-
მელნიც კალიბრით შისეოდნენ ყანას.

— დღეს ჩვენი ფრონტი ყანაა, ძმე-
ბო, — დაიძახა პაპუნამ და ორივე ხელ-
ში მოგროვილი სიმიინდის ტაროები
ხხრიალით ჩაუშვა გოდორში.

ქაბუახი გაქჷონდა გამხმარ ტაროებს.
მთელი სოფელი გამოსულიყო მო-
სავლის ასაღებად, ბრიგადირი თავს
დასტრიალებდა თავის ბრიგადის გაც-
ხარებულ მუშაობას.

— აქეთ გლახუა, აქეთ ალექსანდრე,
დაუჩქარეთ! — ისმოდა ბიჭების შეძა-
ხილები. ახალგაზრდების სიცილ-კისკი-
სი აყრუებდა გარემოს.

ზაქარიას თავზე ნარმის ნახვეი წაე-
კრა, პერანგის სახელოები აეკრია, მუ-
შაობაში ეჯიბრებოდა გვერდში მდგომ
ახალგაზრდებს.

— ნანი, თავშიშველი რად მუშაობ,
შვილო! — დაუძახა ზაქარიამ ნანის
როცა შეამჩნია, რომ გვერდზე გადაეგ-

და მას ჩალის ქუდი. — მზე დაგა-
ხობს, ისე აქერს, ლამის შეტყობა — გა-
დაწვას.



— ხელს მიშლის, სწრაფად ვერ
ვმუშაობ.

ნანის და ზაქარიას ლაპარაკს ყური
მოჰკრა სილოვანმა, თავი ასწია, შუბლ-
ზე ოფლი მოიწმინდა და თვალი ქალე-
ბის რიგში ჩამდგარ ნანის მიაპყრო.

ნანის უკვე აევსო გოდორი სიმიინ-
დით, გოდორი დაცლას ითხოვდა. სი-
ლოვანი ნანისკენ გაეშარათა. ის იყო
გოდორის ზურგზე მოვლებას აპირებდა,
რომ პაპუნაც გაჩნდა. სილოვანმა გო-
დორი ცივად დაუშვა. ნანის ლოყები
შეუწითლდა და სადღაც გულის სიღრ-
მეში გამოუყნობი ტკივილი იგრძნო.



ნანი ამხანაგებს ჩამორჩენოდა, დაღ-
ლილი, ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა ორ-
ლობეს. უცებ იგრძნო, ვიღაც მოჰყვე-
ბოდა უკან. შეეშინდა. ნაბიჯს აუჩქარა.

— მარტო რად მიდიხარ, ნანი ამ
ვიწრო შუკამდე მიგაცილებ.

ქალმა სილოვანი იცნო.

— გამადლობთ, რატომ წუხხდები.

— რა შეწუხებდა, ამხანაგი ქალი სახ-
ლამდე მიგაცილო.

ასეთ პასუხს არ მოელოდა ნანი,
თავი ასწია, გაკვირვებით შეხედა სი-
ლოვანს.

— როგორ შემამჩნიე ამდენ ხალხში,
რომ მარტო წამოვედი?

— მე დიდი ხანია შეგამჩნიე, ნანი,
მაგრამ... რაცა მჭირს, ჩემი თავითა
მჭირს, — ხელი ჩაიქნია სილოვანმა და
ამოიოხრა.

— არ მესმის?! — გაიკვირვა ნანიმ.

— არც არის საჭირო გაიგო, თუ
დღემდე არ გაგიგია.

— მაინც რა იყო, სილოვან? — ქა-
ლური ცნობისმოყვარეობით ჰკითხა
ნანიმ.

— არაფერი, არ მეგონა, თუ ასე მალე გამიფრინდებოდი. როგორც ბავშვს, ისე გიყურებდი, შეგხაროდი, — მეტის თქმა ვერ მოახერხა საილოვანმა.

— სულ ბავშვი ხომ არ ვიქნებოდი, სილოვანი!..

— ესეც მართალია, ნანი, ბავშვი გაიზრდება, დაქალდება და მეგობარს მოქებნის, — კიდევ რალაციის თქმა უნდოდა, მაგრამ ეს ყმაწვილი კაცი, რომელსაც დიდი ცეცხლი ენთო გულში, ერთბაშად დადუმდა. ქალი უსიამოვნო ყრვოლამ აიტანა.

— უნდა გამოგეთხოვო, ნანი, რუსთავში მივდივარ სამუშაოდ, დღეს უკანასკნელად ვიმუშავეთ ერთად. გული მტკივა, რომ თქვენს ქორწილს ვერ დავისწრები... დარწმუნებული ხომ ხარ, რომ მინდა ბედნიერი იყო?

სახტად დარჩენილი ქალი უსიტყვოდ მოსცილდა სილოვანს.



თუმცა სექტემბრის ნახევარი იყო, მაგრამ ბუნება ისევე მშვენიერ იყო შემოსილი, მხოლოდ ვაზის ფოთლებს შეჰპაროდა სიყვითლე. მდიდარ შემოდგომას უხვად აევსო კოლმეურნეთა ბელლები. საერთო სიხარული იდგა სოფელში.

მოსავლით კმაყოფილი ზაქარიაც ამაყად გასტეკროდა თავის ოჯახში მოთოფოფსე მეზობლის დედაცაცებს. ჭიანჭვილასავით რომ ირეოდნენ შინ და გართ.

ბედნიერი კესარია, თავზე ხილაბანდ-წაკრული, გახარებული დარბოდა წინ და უკან, განკარგულებას აძლევდა დასახმარებლად მოსულ ქალებს. დედაცეები სახაჭაპურე ცომს ამზადებდნენ. ცომის გულში ატირებულ ყველს ჩუხ-ჩუხი გაჰქონდა. ეზოში დანთობულ ცეცხლზე ოიდი ქვაბებიდან ცხვრის ხორცს ოხშივარი ასდიოდა. ახლად-

გამოხდილი არყის სასიამოვნო სუნითრიალედა.

— პაპუნა, ბიჭო, იტი, რამდენი წლის ლენო მაქვს შენთვის შენახული? ექვსი წელია ამ ქურისათვის თავი არ მომიხდია, ჯერ ჯარიდან შენს ჩამოსვლას ველოდი, მერე შენს ქორწილს, და აა, მოვესწარი კიდევ ამ ბედნიერ დღეს, — უთხრა ზაქარიამ შეილს — ორშიმითი ლენო ამოიღო და პაპუნას გაუწოდა.

— დალიე, ბიჭო, და დაილოცე!

— შენ უნდა დამლოცო, მამაჩემო.

— ყველგან სახელი და დიდება გენახოს, შეილო. გესახელებინოს შენი კუთხე და შენი ქვეყანა. სიკვდილამდე შეებერებოდეთ ერთმანეთს.

ქურის თავზე მამაშვილმა ტებილად გადაკოცნეს ერთმანეთი.

— ეჰ, ნულარ მეტყვი, ანიკო, ისეთი საჩუქრები მოუშადა კესარიამ სარდლოს... შენ მეტყვი ახლა, ყველა დედამთილი დედამთილიაო, — გულდაწყვეტით ეუბნებოდა ქალიშვილი ანიკოს.

— არ მიკვირს, წელში გამართული ოჯახია, ზაქარიას ოჯახი, მშრომელი მამა და კარგი მარჯვენის მქონე შეილი, — დასცა დასტური ანიკომ და ისევე განაგრძო დანა-ჩანგლის წმენდა.

— ახლა შენ უნდა ნახო, მანქანით რომ მოადგება პაპუნას კარებს ნანის ნიეთები, ერთი კვირა ყოფილა ნანი სავაჭროდ ქალაქში.

— ეგვე არ მიკვირს. იმდენი შრომადღეები არავის გამოუმუშავებია წელს, რამდენიც პაპუნას და ნანის.

— კარგად დაასუფთავეთ, კარგად, ჩემო კეთილებო, — ჩამოტქროლა კესარიამ ქალიშვილებს.

— ჩვენი აგრონომი თუ იქნება ქორწილში, მიჩურინელს რომ ეძახიან სოფელში? — იკითხა ცნობისმოყვარობით ერთ-ერთმა ქალიშვილმა.

— თავი დაანებეთ იმ კაცს, ყველას რომ თვალი გიჭირავთ იმაზე, — დაუბაკუნა ფეხები ანიკომ ამხანაგებს.

შებინდა. გამოჩნდნენ სტუმრები. ეზოში ასი კაცისათვის გაშლილი სუფრა ელექტრონის ნათურებით იყო გაკაშაშებული.



მზე ემშვიდობებოდა ქვეყანას. სითბოს ძალა ეკარგებოდა, როცა მგზავრები რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დათვალეურებას შეუდგნენ.

ცის წიაღამდე აწვდილ ვეებერთელა კორპუსებს ისე მოეხიბლა პაპუნა, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ ჩამორჩა ამხანაგებს. ხოლო, როცა თვალი მოსწყვიტა რკინის კონსტრუქციის ჩონჩხებს, რომელსაც ისე გაეტაცა, რომ სუნთქვაც კი შეეკრა მისთვის, ვიღაც უცნობის ხმა გაიგონა.

— ამხანაგო, თქვენ რატომ ჩამოგვრჩით!

პაპუნა მიხვდა, რომ მას ეკითხებოდნენ, შერცხვა და ნაბიჯს აუჩქარა.

გამყოლი ინჟინერი მხიარული სახით მიჰყვებოდა რაიონიდან ჩამოსულ სტუმრებს. პარტორგანიზაციის მდივანი, გიორგი, წინ სწევდა ხანში შესულ კოლმეურნეებს, რომ უკეთ გაეგოთ გამოყლის სიტყვები. ცნობისმოყვარე კომკავშირელი სტუმრები ერთმანეთზე აყრიდნენ კითხვებს, გაფართოებული თვალებით შესცქეროდნენ მარტენის ღუმელებს.

სადილობის დრომაც მოაწია.

სახელდახელო მიტინგი გაიმართა. დარბაზი ჩამოსული სტუმრებით და ადგილობრივი მუშებით გაივსო.

რაიონიდან ჩამოსულ კოლმეურნე გლეხებს თბილი სიტყვებით ესალმებოდნენ რუსთავის მშენებელნი.

უცებ დარბაზის კარი გაიღო, კუნ-

თებმაგარმა ახალგაზრდამ მიიხურა საზოგადოების ყურადღებამდე.

„ეს მაღალი შებლი, ეს თბილი თვალები ხომ...“ უნდოდა რაღაც ეთქვა პაპუნას, ხელი ნანის მაჯას წააელო და ანიშნა—კარგად დააკვირდი, ხომ იცანი, ვინ არისო.

ნანის წინ მორიდებული, გულჩათხრობილი სილოვანის ნაცვლად ღინჯი და ღონიერი ახალგაზრდა მუშა იდგა. ქალმა მორცხვად დაუშვა წამწამები. ერთი წლის მანძილზე სილოვანი საგრძნობლად გამოცვლილიყო. ჩამოსულმა სტუმრებმა, იცნეს თუ არა მეზობელი, გარს შემოებხვივნენ.

— აი, ამხანაგებო, ეს გახლავთ ჩვენი სტახანოველი მეფოლადე. უამბე შენი რაიონიდან ჩამოსულ ამხანაგებს შენი მუშაობის შესახებ, — უთხრა სილოვანს ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანმა.

სილოვანი ანთებული თვლებით უამბობდა ამხანაგებს, თუ როგორ დაეუფლა იგი რთულ ღუმელს.

სილოვანის სიტყვებმა აღანთო პაპუნა, სკამიდან წამოიჭრა, პირდაპირ სცენისკენ გაემართა და თავისდაუნებურად ისეთი ხმით დაიწყო სიტყვა, რომ დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ვამაყობთ ჩვენი ამხანაგო, სილოვანის საქმე სასახელოა ჩვენი რაიონისათვის, მისი თავდადებული შრომა საუკეთესო მაგალითი იქნება ჩვენი კოლმეურნეობისათვის, — აღარ დაასრულა სიტყვა პაპუნამ, სილოვანისა, იცნა გაიწია, გადაეხვიო და აკოცა ისე, როგორც ძმა კოცნის ძმას.

— მარჯვენას გიქმენ შენც, ახალგაზრდაც, — მიმართა პარტორგანიზაციის მდივანმა პაპუნას, იგი პაპუნას მკერდზე სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავს მისჩერებოდა.

ბელნიარი მახედა

★

ქალი იყო ტანლატანა,
 ქალი ფერად მკრთალი;
 ყაითნიან თუშურ ქულზე
 დამაშტერა თვალი.
 თან ღიმილი დამანათა
 ყინულივით ცივი;
 გავიფიქრე: რას დამცინის,
 რა მაქვს დასაციანი?!
 იქნებ ქული დამიწუნა,
 შავი ნაბდის ქული;
 სადაური ფრინველია,
 ან რომელი ბუდის?!
 მართალია: არც ყინვისგან,
 არც სიცხისგან მიცავს,
 მაგრამ რა ვქნა,
 თვით ჩემს თავსაც
 მირჩევნია, ვფიცავ! —
 და ერეკლეს სასახლეში
 შევაბიჯე კრძალვით,
 ჩეროსავით დამიმშვიდდა
 მოშვილდული წარბი...
 თვალი მოვკარ
 ჯაჭვის ბეგთარს,
 ჯაჭვისავე ჩაფხუტს
 და ჩაფხუტში ჩატანებულ
 ყაითნიან შავ ქულსა,
 ქულს, რომელიც ანელებდა
 თავზე დაშნის დახლას,
 ქულს, რომელსაც ატარებენ
 ქართველები ახლაც...
 და ვთქვი:
 — რაა! მეც მეხუროს
 ვაეკაცობის ნიშნად,
 წარსულ დღეთა მოგონებით
 იმჩქიფაროს სისხლმა!
 შევტრიალდი, —

გვერდით მედგა
 ის უცნობი ქალი,
 ჩანს, კვალდაკვალ მომყვებოდა
 ქალი ფერად მკრთალი.
 აღარ იყო მისი მზერა
 ყინულივით ცივი,
 წამწამებზე უელავდა
 ასხლეტილი სხივი...
 ვხედავ, ხელეზგამოწვდილი
 წამოვიდა ჩემსკენ,
 წამსვე ჩრდილი გადეფარათ
 შემორჩენილ ფრესკებს...
 — გახსოვს, გახსოვს რიაზანი,
 ნაბომბარი სახლი?
 გახსოვს შუქი ძველ სარდაფში
 მოკიაფე სანთლის?
 გახსოვს რუსი ქალიშვილი
 დარჩენილი ობლად,
 მისი ძმა და ძმისწულები
 რომ იმსხვერპლა ომმა?!
 ვერ მიცანი?
 მე ზომ ის ვარ!
 გამარჯვება შენი!
 ო, ეს ქული, გეფიცები,
 ისევე ისე გშვეენის...
 მაგონდება, როს პირველად
 შემოხვედი ჩვენსა,
 ნატყვიარი იყავ, მაგრამ
 არ ჰყარგავდი ფერსა...
 მე მოგხადე მუზარადი
 ნაშხეთარი წითლად;
 შავ ქოჩორზე
 ქული შეგრჩა
 ვაეკაცობის ნიშნად.
 ალბათ ეს ის ქული არი,
 გიყვარდა და გიყვარს, —



ტანლატანა რუსის ქალმა
 ასე მოჰკრა სიტყვა...
 გამოვდივარ სასახლიდან,
 ღამე არი ღურჯი;
 ჩვენს წინაშე დგება დინჯად
 სათვალთვლო ბურჯი.
 რიაზანელ ალპინისტებს
 წრე დაურტყამთ ზედა;
 წრეში ცეცხლი ბრიალებს და,—
 ზეცას ალი სწვდება.
 ყვარლისაკენ გაიხედავ,
 იქაც ცეცხლი ელავს;
 — ყვარლის მთები გადმოვლახეთ, —
 ანიშნებენ თელავს...
 და მე წამით მახსენებდა

წლები გარდასული,
 როცა ბრძოლებს გვიმართავდა
 მტერი თავგასული.
 მაშინაც ხომ ცეცხლს ანთებდნენ
 ჩვენი წინაპრები,
 მტერს რომ ხელში არ ჩაეგდო
 ძველი სიმაგრენი...
 იბრიალეთ, იბრიალეთ
 კოცონებო, ასე!
 დაე, ჩვენი ელვარება
 ცის დასაეღეთს დასცდეს!...
 ძველი დროის ძველ კაეშანს
 აქ რა უნდა ახლა!
 თქვენი ცეცხლის ამ შუქნათელს
 სიხარული ახლავს!...

მევილოზის მეუოლადე ნაკჳჳჳჳ

★

ბრვე ჳაბუკი სერგეი შეხავცოვი ცვლის ათჳუთიან შეკრებაზე დავალებას აძლედა მეფოლადეებს. იგი ვრცელ დარბაზში პატარა მაგიდასთან იჯდა. ექვსი მეფოლადე და მათი ოცდაათი დამხმარე ყურადღებით უსმენდნენ ცვლის უფროსს. მტკიცე და ლაკონიური იყო მისი სიტყვა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მეფოლადეებს სერგეი შეხავცოვის დიდი რიდი და პატივისცემა ჳქონდათ, მის ყოველ სიტყვას აფასებდნენ. ოცდათექვსმეტ მეფოლადედან ყველა ჳაბუკი იყო აქ.

ესენი ნორჩი ქალაქის, ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეები იყვნენ.

— მეფოლადე, ივანე მეტრეველის № 6 ლუმელში, — ლაპარაკობდა ცვლის უფროსი და მისი მკვეთრი ხმა გარკვევით ისმოდა მთელ დარბაზში, — თუჯის ჩატვირთვა მთავრდება, — სერგეი შეხავცოვმა მეფოლადეთა დაფიქრებულ სახეებს შეხედა, — დღემდე ჩვენს მუშაობაში სუსტ მხარედ ცვლავ ჯართის ჩატვირთვა რჩება, მაგრამ დღეს უკვე ტრანსპორტი და ამჳიები თითქმის შეუფერხებლად მუშაობენ. არ შეფერხებულა ციკლების და არხების გამზადება. ახლა საქმე თქვენზეა, ყოველ თქვენგანს ერთი წუთითაც არ უნდა დაავიწყდეს, რომ წინასაარჩევნო ვახტაზე დგას, — ცვლის უფროსმა საათს დახედა, სწრაფად წამოიღია, — გისურვებთ წარმატებას, ამხანაგებო!

თექვსმეტ საათზე ცვლასთან ერთად შევდივარ მარტენის საამქროში. ექვსი მეფოლადე იბარებს ლუმელებს, —

ზოგი ჩატვირთულს, ზოგი მდნობარე ფოლადით სავსეს. ერთში ჩატვირთვა ახლა იწყება, მეორედან ფოლადს უშვებენ, აქ კოქსს ყრიან ლუმელებში, იქ თუჯს. ისმის ჩამტვირთავი მანქანის, ამჳეების გაბმული ხმაური, ორთქლმავლის კივილი. გუგუნებენ და ვარვარებენ ლუმელები. იხარშება მშვილობის ფოლადი, რომლისაგან გაკეთდება ჰიდროელსადგურების ტურბინები, მალალი წნევის ქვაბები, მილები, რკინიგზის ლიანდაგები, ხიდები, ტრაქტორები, კომბაინები...

ექვსივე ლუმელი ჩქაროსნულ დნობას აწარმოებს. ჩქაროსნული დნობა — ეს სარეკორდო მიღწევა, მარტო ერთ მეფოლადეს არ ეკუთვნის, როცა მეფოლადე ცვლაში გამოდის, წინა ცვლის მეფოლადეს უკვე მიღწეული უნდა ჳქონდეს დროის ეკონომია. დღეს წინა ცვლის მეფოლადეებს ყველა ლუმელზე შეემჳიდროვებინათ დრო, ზოგს ჩატვირთვის დრო შეემციკებინა, ზოგს ფოლადის დნობის პროცესის, რაფინირებისა და გაკრიალებისა.

— აბა, ივანე, — მიეგება ივანე მეტრეველს ჯმუხი, ფართოსახიანი დნობროძერეინსკელი მეფოლადე — ივანე ფილიპეს-ძე სამცოვი და ლუმელ № 6-ის ეურნალი გაუწოდა. — მიიღე ესტაფეტა. ჩატვირთვა 40 წუთით ადრე მოვათავე. ფოლადი უკვე დნება.

— ეხედავ, ივანე ფილიპოვიჩ, — მკვირცხლად მიუგო ივანე მეტრეველმა სამცოვს, ჳედო, რომლის წინაფრაზე ლურჯი სათვალე ჳქონდა გაკეთებული, ჳევით აიწია და გაუღიმა. მისმა ცოც-

ხალმა თვალბმა თითქოს ცეცხლი გად-
მოაფრქვიათ. ივანე მეტრეველმა უკვე
შეასწრო ღუმელის მდგომარეობის გა-
სინჯვა, ხუთივე კარის საჭერებში შე-
ხედვა. შეამოწმა თალი, ღუმელის გვერ-
დები. ფოლადი დნებოდა და ვარჯარებ-
და. სწრაფად ჩამოართვა ქურნალი სამ-
ცოვს, ხელი მოუწერა ღუმელის ჩაბა-
რებაზე და არ დაუყოვნებია, გრძელი
და ესერგიული ნაბიჯით სამართავ
პულტისაკენ გაეშურა, დააკირა თითი
პულტზე პირველ შავ ლილს, გაიღო ღუ-
მელის კარა და იმავე წამს მეფოლადის
დამხმარებებმა, რომლებსაც უკვე მომ-
ხადებული ეჭირათ დოლამიტით სავსე
ნიჩბები, კარის ზღურბლის აკეთება
იწყეს.

ივანე ფილიპეს-ძე სამცოვი იღმა და
ლიმილით შეჰყურებდა ახალგაზრდა მე-
ფოლადს. ივანე მეტრეველს სამცოვის
მიერ კარგად აღებული სტარტი არ
უნდა შეენელებინა და მეტი სისწრა-
ფით უნდა განეფიქრებინა იგი. ივანე
შშვენივრად ფლობდა ტემპერატურის
რეჟიმის რეგულირების საქმეს, და
უმთავრესად ხომ ამზეა დამოკიდებუ-
ლი დნობის სიჩქარე?! ივანე ფილი-
პეს-ძე სამცოვი კარგად იცნობდა 24
წლის ყმაწვილის მუშაობის ყველა კარგ
შხარეს, მან იცოდა, რომ იგი ერთი
საათით მაინც შეამჭიდროებდა დნობის
სიჩქარეს და გამოცდილი რუსი მეფო-
ლადე ისე უღიმოდა ქართველ ახალ-
გაზრდა მეფოლადეს, როგორც მამა გა-
ულიმებს თავის შვილს.

რამ აიძულა ივანე ფილიპეს-ძე სამ-
ცოვი მიეტოვებინა დნებროძერტინსკის
სახელგანთქმული მეტალურგიული
ქარხანა და საქართველოში წამოსული-
ყო, წამოსულიყო ქარხანაში, რომელიც
ჯერ კიდევ ზარაზობებში იყო ჩამჯდარი,
ქარხანაში, რომელიც ქარების სათარე-
შო ველზე შენდებოდა?

როცა ივანე ფილიპეს-ძე ოთხი წლის
ბრძოლის შემდეგ სამამულო ომიდან
თავის ქარხანაში დაბრუნდა, მას თავის

მარტენის ღუმელთან ქართველი შევირ-
დები დაუხვდნენ. საიდან, როგორ? — გა-
უვირდა სამცოვს. მან უთხარეს, როგორ
საქართველოში მეტალურგიული ქარხა-
ნა შენდებოდა, რომ ქართველი ახალ-
გაზრდები აქ ფოლადის დნობის საქმის
შესასწავლად იყვნენ ჩამოსული. სამ-
ცოვის სიხარულს საზღვარი არა ჰქონ-
და.

— გადავწყვიტე საქართველოში გავ-
მგზავრებულყოფი, — იგონებს ივანე
ფილიპეს-ძე. — გაგონილი მქონდა, რომ
ქართველებს ერთ დროს ლითონის დნო-
ბის საქმეში ბადალი არა ჰყავდათ. რომ
ძველი ბერძნები ქართველ მელითო-
ნეებს საუკეთესო ლითონის დნობისა-
თვის „რკინის ადამიანებს“ ეძახდნენ.
ისიც ვიცოდი, რომ ქართველებს ლი-
თონის წარმოება მრავალი ჯურის
დამპყრობლებმა მოუშალეს და დაურ-
ბიეს. მეფოლადეებს ხოცავდნენ, ტყვედ
მიჰყავდათ, — ივანე ფილიპეს-ძე ისე
ჰყვება ამ ამბავს, თითქოს ბარბაროს
ურდოებს მისი წინაპართა სისხლი
ელვარათ, მათი საქმე და ქვეყანა და-
ერბიათ. — როცა გავიგე, დიდი სტალინის
შეთითებით ვვლავ აღორძინდებოდა სა-
ქართველოში ლითონის წარმოების საქ-
მე, რომ ჩვენი დიდი ქვეყნის ლითო-
ნებს, სულ მალე ქართული ფოლადი
და თუჯი შეემატებოდა, რომ კომუნი-
ზმის ასაშენებლად მეტი გვექონდეს იგი,
გადავწყვიტე წავსულიყოფი საქართვე-
ლოში, მინდოდა ადგილზე დავხმარე-
ბოდი ქართველ ძმებს.

ივანე სამცოვთან ერთად რუსთავეში
ჩამოვიდნენ ცნობილი რუსი მეფოლა-
დები ნ. გრეჩინი, ვ. ბულგაკოვი,
ვ. პივნიკოვი და სხვები, ისინი ჩამო-
ვიდნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ
მარტენის ღუმელების მონტაჟში. ღუ-
მელების, რომელსაც ვერავითარი,
უწმინდური ძალა ვერ დაარბევდა ვე-
რასოდეს.

იმავე გრძნობამ, რომელმაც რუსი

და უკრაინელი მეფოლადეები საქართველოში ჩამოიყვანა, მიატოვებინა მშობლიური სოფელი კომკავშირელ ივანე მეტრეველს და სხვა ქართველ კოლმეურნე ახალგაზრდასთან ერთად წაიყვანა სტალინოს, მაკევეკის, ტაგანროგის და ურალის მეტალურგიულ ქარხნებში.

1944 წელი იყო სამამულო ომი მძინეარებდა. ყოველი მარცვალი ხორბალი ძვირფასი იყო ქვეყნისათვის. ეს კარგად იცოდა 16 წლის ივანე მეტრეველმა. იგი საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობდა. მუშაობდა მისთვის ბავშვობიდანვე თანდაყოლილი შრომის სიყვარულით.

ერთხელ, როცა ივანე ანეულს ხნავდა, ამბავი მოიტანეს: რუსთავში მეტალურგიულ ქარხანას აშენებენ, ქართველ ახალგაზრდებს საბჭოთა ქვეყნის მეტალურგიულ ქარხნებში გზავნიან მეფოლადეობის შესასწავლადო. ერთი სული ჰქონდა ივანეს, სანამ დღე მიიწურებოდა და საბჭოში მივიდოდა. საბჭოდან იგი შინ გამოეშურა.

— დედა, მე სტალინოში მივიდივარ, უთხრა შინ მისვლისთანავე ივანემ დედას — ელენე მეტრეველს.

— რას ამბობ, შვილო?!

ივანემ ყველაფერი დაწვრილებით უამბო დედას. ელენე ერთხანს ხმას არ იღებდა, ფარული აღელვებით შესცქეროდა სახეანთებულ შვილს.

— ეს როგორ, შვილო — დაარღვია ბოლოს სიჩუმე დედამ, — სამკდრო-სასიცოცხლო ომია, ცა და მიწა იქცევა და ნუთუ ახლა სტალინი ქარხნის აშენებაზე ფიქრობს?!..

— კომუნიზმის აშენებაზე ფიქრობს, დედა!

ელენე დიდხანს შესცქეროდა შვილს. და ისევ დუმდა, რომ მღელვარება დაეფარა.

— და შინ სასწავლობლად მიდიხარ, რომ კომუნიზმი აშენო?

— ხო, დედა, — დინჯად მიუგო ივანემ.

— წადი, შვილო, ^{მეტრეველს} ~~მეტრეველს~~ დედამ. ელენე ოდნელაც რუსეთში ცხოვრობდა, გაგონილი ჰქონდა, რომ რუსი მეტალურგები ძველთაგანვე ზარბაზნებისათვის ყველაზე უკეთეს ფოლადს ადნობდნენ. — სიარცხელი არ ჰამო რუს და უკრაინელ ოსტატებთან. სახელოვანი დამიბრუნდი. კომუნიზმს ჩვეულებრივი ადამიანები არ აშენებენ, შვილო.

„კომუნიზმს ჩვეულებრივი ადამიანები არ აშენებენ“, — დედის ეს სიტყვები ღრმად ჩაიჭედა გულში ივანემ და, როცა სტალინოში ჩავიდა და სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ადამიანების მუშაობას შეხედა, გაოცდა: „რა კარგად თქვა დედამ, განა ამათ შეიძლება ჩვეულებრივი ადამიანები უწოდო?!“

მძიმე წელი იყო 1944 წელი. ფაშისტთა მიერ დანგრეული ქალაქი, დანგრეული ქარხანა! ფრონტი კი სულ უფრო მეტ ლითონს თხოულობდა. ადამიანთა შრომით სიმამაცეს საზღვარი არა ჰქონდა. ივანე მეტრეველი ხედავდა, თუ რა შეუძლია გააკეთოს საბჭოთა ადამიანს სამშობლოსათვის, ხალხისათვის. „არა, მე ასე არ ვმუშაობდი საკოლმეურნეო მინდვრებზე. აი როგორ უნდა მუშაობდეს ადამიანი ახლა!“ — ფიქრობდა ივანე.

„ახლა მარტო სწავლა ცოტაა. უნდა ვიმუშაო ისე, როგორც ესენი“. და ივანე მეტრეველი ცდილობდა ემუშავა ისე, როგორც სტალინოს მეფოლადეები მუშაობდნენ, „როგორც ეს არაჩვეულებრივი ადამიანები“, ფიქრობდა გულში ჰაბუკი და ოცნებობდა, როდის დადგებოდა ღუმელთან, როდის გაზღებოდა ფოლადის გამოდნობის მონაწილე.

თავისი სწავლით და ბეჯითი შრომით მან მალე შიყვარა თავი საამქროს, მიიქცია ოსტატ ივანე პეტროვის

ვურადღებდა. ეს შენიშნა მეტრეველმა, გამბედაობა მოიკრიფა და ერთხელ ოსტატის ოთახის კარი შეაღო. ქუდი ხელში ეჭირა, სახე გაფითრებული ჰქონდა. პეტროვმა შეატყო, რომ შეგიძრდი აღელვებული იყო, იფიქრა, სახლიდან ცუდი ამბავი თუ მოუვიდაო.

— დაჯექი, ივანე.

ივანე არ დაჯდა.

— რას მეტყვი?

— ამხანაგო, ოსტატო... გთხოვთ დამხმარედ გადამიყვანოთ... მე შევძლებ...

— უყურეთ, რა თვითდაჯერებული ყოფილა, — გაიღიმა ივანე პეტროვმა. ჰაბუკს სახეზე ახლა ციცილი წაკიდებოდა, თვალები უბრწყინავდა.

ამას თვითონაც გრძნობდა ივანე მეტრეველი. ასე დაემართა მამანაც, დედას სტალინოში წასვლის სურვილი რომ გაანდო. სახე სად წაეღო, არ იცოდა.

— ჩქარობ, ივანე, — უთხრა დემილის შემდეგ ოსტატმა. — შენ აქ სასწავლებლად ჩამოხვედი...

— მე შევძლებ სწავლასაც და მუშაობასაც... მინდა ვადნო ფოლადი.

— მოესწრები...

— მინდა ვიყო ისეთი, — ივანე ფანჯრისაკენ მიბრუნდა, — როგორც ისინი, — მარტენის ლუმელებისაკენ გაიშვირა ხელი. გავარჯერებულ ლუმელებთან მუშაობდნენ მეფოლადეები. მათმა თავდადებულმა შრომამ აღაფრთოვანა ყმაწვილი და მოიყვანა ოსტატთან. ისინი დღე და ღამეს ასწორებდნენ, თავს არ ზოგავდნენ, რომ ფრონტისათვის მეტი ფოლადი მიეცათ: ივანემ შეატყო, რომ ოსტატს ღიმილმა გადაჰკრა, გათამამდა. სახეზე აღმური შეუწედა. მინდა ჩემი გამოდნობილი ფოლადიც ეროს იმ ყუმბარებში და ტანკებში... რომლითაც მტერს ვსპობთ!..

მეორე დღეს ივანე მეტრეველი დამხმარედ გადაიყვანეს. თავისდაშეუძმინველად იგი „არაჩვეულებრივი ადამიანი“ გახდა. რამდენიმე თვეში ლაგოდებელი მიწისმუშა მეტალურგთა სახელგანთქ-

მული ქალაქის — სტალინოს ურთულესი მარტენის ლუმელის მეტროლოდის დამხმარე გახდა. იგი მუშაობდა სუსტად, ენერგიულად, როგორც სპორტსმენი იარაღებზე. მუშაობდა და სწავლობდა.

ჩვენი ჯარი დღითიდღე უფრო შორს ერეკებოდა ფაშისტთა ურდოებს. „დედა, ფაშისტებს ერეკება ჩემი გამოდნობილი ფოლადიც“, — წერდა დედას ივანე მეტრეველი. დედა კოცნიდა შვილის წერილს, ორი კაცის საქმეს აკეთებდა, შვილისას და თავისას, მიჰყავდა და გუთანს, მკიდა, ლეწავდა პურს, თოხნიდა სიმიდს, ბარავდა ვენახს.

ივანე მეტრეველმა ერთხელ ოსტატს გაანდო დედის ნათქვამი — „კომუნისმს ჩვეულებრივი ადამიანები არ ამეწებენ“.

— შენ უკვე გახდი ისეთი, — უთხრა ივანე მეტრეველს ოსტატმა, — როგორც უნდა იყოს კომუნისმის მშენებელი.

მაღე ივანე მეტრეველის დედის სიტყვები მთელმა საამქრომ გაიგო და ივანეს „არაჩვეულებრივი ადამიანი“ ეძახდნენ ხუმრობით. ჰაბუკი წითლდებოდა, ირცხვინდა, მაგრამ არ სწყინდა, იცოდა ამხანაგებიც და მეფოლადეებიც ამას წრფელი გულით ეუბნებოდნენ, და წახალისებელი, უთრო მეტი მონდომებით სწავლობდა და მუშაობდა.

ივანე მეტრეველი სტალინოში ზემობდა მტერზე გამარჯვებას. ახლა იგი სწავლას მეტ ყურადღებას აქცევდა. სტალინოდან მაკევეკაში წავიდა, იპიონ ტაგანროგში, რომ ტაგანროგის ქარხნის ლუმელებს გასცნობოდა. სტალინოს და მაკევეკის ლუმელები აირით მუშაობდნენ, ტაგანროგისა მაზუთით. რუსთავის ლუმელებსაც მაზუთზე უნდა ემუშავნათ. საქირი იყო ამ საქმის შესწავლა.

ივანეს მუშაობისა და სწავლის შესახებ რუსი და უკრაინელი ოსტატები, მეფოლადეები აღფრთოვანებულ წერილებს უგზავნიდნენ ივანე მეტრევე-

ლის დედას და რუსთავის ქარხნის მშენებლებს. როდესაც რუსთავის მარტენის ლუმელების მონტაჟი დაიწყო, ივანე მეტრეველი პირველი გამოიძახეს ტაგანროგიდან. იგი მონაწილეობას იღებდა ლუმელის აგებაში.

ყველაზე სასიხარულო დღე ივანე მეტრეველისათვის 1950 წლის 27 აპრილი იყო. ამ დღეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის ლუმელმა პირველი ქართული ფოლადი მისცა ჩვენს ქვეყანას. მეფოლადედ ივანე ფილიბეს-ძე სამცოვი მუშაობდა პირველ ლუმელზე, პირველ დამხმარედ — ივანე მეტრეველი, დამხმარეებად — ა. ფანცულია, გ. ურუენაშვილი, შ. ყავლიშვილი და ი. ლაზარიაშვილი.

ივანე მეტრეველი ამაყობდა იმით, რომ პირველი ქართული ფოლადის გამოდნობაში იღებდა მონაწილეობას და ცდილობდა, მთელი თავისი ცოდნა და ენერჯია გამოეჩინა...

გადიოდა დღეები. ივანე ფილიბეს-ძე სამცოვი ავირდებოდა ივანე მეტრეველის მუშაობას და ზედავდა, რა კარგად ატყობდა ყმაწვილი თვალთ, ხელსაწყოს გარეშე, ლუმელის თაღის სიმბურვალეს, რა საოცარი სისწრაფით ხსნიდა ფოლადის გამოსაშვებ ზერელს.

— ივანე მეტრეველს შეუძლია დამოუკიდებლად ადნოს ფოლადი, — უთხრა ხუთი თვის შემდეგ ივანე ფილიბეს-ძე სამცოვმა საამქროს უფროსს — სერგეი შეხავეცოვს.

გაეხარდა საამქროს უფროსს, ვეი ღიღი ხანია აკვირდებოდა მეტრეველის მუშაობას. ისიც იმავე აზრისა იყო ყმაწვილზე. რამდენიმე დღის შემდეგ ივანე მეტრეველს ლუმელი ჩააბარეს.

აღფრთოვანებულმა ჰაბუკმა გადაწყვიტა რითიმე ეპასუხა ასეთი დიდი ნდობისათვის. იგი ცვლის მიოიბაზე ერთი საათით აღრი მიიოთა საამქროში, ნახა ლუმელი, გაეცნო მის მდგომარეობს.

— რატომ მოხვედნი ასე აღრე? — ჰკითხა სამცოვმა.

— ივანე მეტრეველმა ვერ გაბედა გაედნო ჩანაფიჭრი. „იქნებ არ გამოვიკლდე“, — შიშობდა ახალგაზრდა მეფოლადე.

აი, სამცოვმა ფოლადის გამოშვება დაამთავრა, ჩააბარა ლუმელი მეტრეველს, ჩამოართვა ხელი.

— აბა, შენ იცი... ვაიხსენე, რას გეძახდნენ სტალინოში, — ძველი მეფოლადე სიტყვაძვირი კაცი იყო. მეტი არაფერი უთქვამს, შერჩიალდა და საამქროდან გავიდა. თავისი ბედის ანაბარა დატოვა მეტრეველი. „ასე უფრო გულდაჯერებულად იმუშავენ“, ფიჭრობობა მიფოლადე.

მუშაობის დაწყებისთანავე პირველ წარმატებას მიიღწია მეტრეველმა: ლუმელის ქვედის გაწყობაში 5 წუთი მოიგო, ჯართისა და ფოლადის ჩატვირთვაში — 25 წუთი. ეს დიდი გამარჯვება იყო.

ელვის სისწრაფით მოედო ქარხანას მეტრეველის ამბავი. მოვიდა საამქროს უფროსი, ქარხნის მთავარი ინჟინერი, საამქროს ოსტატი სერგეი შეხავეცოვი ერთი წუთით არ შორდებოდა მეტრეველს. მთელი ქარხანა ადევნებდა თვალს ახალგაზრდა მეფოლადის მუშაობას.

ივანე მეტრეველი მეტი დაჯერებით განაგრძობდა მუშაობას. იგი დააწმუნებულ იყო, რომ ფოლადის რაფინირებასა და გაკრიალებაში 30 წუთს მაინც მოიგებდა...

მან იმ დღეს ერთი საათით აღრე გამოადნო ფოლადი.

ივანე ფილიბეს-ძე სამცოვი სახლში არ წასულა. ივანე მეტრეველს ცვლა რომ ჩააბარა, კანტორაში წავიდა, იქ იჯდა და იქიდან ათევნებდა თიალს თავის შეგირდის მუშაობას. მასწავლებელი შეგირდზე უფრო მეტად ლილედა. საამქროში მამინ შემოვიოთა, როცა ვანო ცვლას ნიკოლოზ გრეჩინის აბარებდა. სარყვაძვირმა კაცმა მთელი საამქროს წინ გადაკოცნა შეგირდი.

— მას ჯერ კიდევ სტალინოში „არა-ჩვეულებრივ ადამიანს“ უწოდებდნენ, — უთხრა სამკოვმა მთავარ ინჟინერს.

— ეს ხომ ჩქაროსნული დნობაა!

— მეორე ჩქაროსნული დნობა ჩვენს ახალგაზრდა ქარხანაში. ერთი საათით შექვიდრობული დროით — ეს ნიშნავს 15 ტონა ზეგეგმით ფოლადს. ამისგან შეიძლება რამდენიმე კომბაინი ან ტრაქტორი გაეყოფოს.

ამიერკავკასიის ინდუსტრიის პირმშოს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში იმ დღეს ჩატარებული ჩქაროსნული დნობა აღარ შეწყვეტილა. ქარხანაში ზედღირდ დგებოდა მწყობრში მარტენის ღუმელები. 1952 წლისთვის მარტენის ჩქაროვანი ღუმელი მუშაობდა. ივანე მეტრეველი და მისი ამხანაგები — მეფთხადეები შ. კუხალიაშვილი, ვ. გვიგბერია, ვ. მორთხოვი, შ. ბანდურაშვილი, ვ. ლეინი და ი. ლაზარიაშვილი ყოველ წელიწადს ასეულ ჩქაროსნულ დნობას აწარმოებენ და ასეულ ტონა ზეგეგმით ფოლადს აძლევენ სამშობლოს.

შარშან ხშირად დროზე ვერ აწოდებდნენ მეფთხადეებს ჯართს, არც ციციხეებისა და არხების დროულად გამზადება იყო მოწესრიგებული. ამის გამო ხშირი იყო ჩქაროსნული დნობის ჩაშლა. ქარხანამ 1952 წელს სახელმწიფო გეგმა ვერ შეასრულა.

წელს ყველა ზომებია მიღებული ამწეებისა და ტრანსპორტის რიტმული მუშაობისათვის, მაგრამ ჯერჯერობით ქარხანამ მინც ვერ მიაღწია ამ საქმეში სრულ წარმატებას.

მიუხედავად ამისა ივანე მეტრეველს იანერის თვეში 10-მდე ჩქაროსნული დნობა აქვს. გუშინწინ მან ფოლადი რვა საათსა და 35 წუთში გამოაღწია. დღეს, მიიღო რა სამკოვისაგან 40 წუთით აღრე ჩატვირთული ღუმელი, გადაწყვიტა გაესწრო გუშინდელი წარმატებისათვის, სამი საათით აღრე გამოედნო ფო-

ლადი და შემცველ მეფთხადისათვის ღუმელი ჩატვირთული გადამამუშავდა.

ეს ამბავი მთელმა საამქროში გასმოხდა. ყველა დაინტერესებული იყო შესაძლებდა თუ არა მეტრეველი ასეთ სარეკორდო დროში ფოლადის გამოშვებას? მეფთხადე ხან მართვის პულტთან არის, ხან სითბოს რეჟიმის ონკანებთან. საამქროში თითქმის ყველა საწარმოო პროცესები მექანიზირებულია, მაგრამ ივანე მეტრეველისათვის ეს ცოტაა. ის არ კმაყოფილდება მანქანის საწარმოო სიმძლავრის შესაძლებლობით, აიძულებს მას იმუშაოს უფრო სწრაფად. გააკეთოს უფრო მეტი.

ასეთია მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე მეტალურგის — საბჭოთა მეტალურგის შემოქმედებათი შრომა. იგი აუმაჯობეს მანქანას და თავის მოთხოვნილებას კარანახობს. ივანე მეტრეველი თბობის რეჟიმის რეგულირებას ვირტუოზია. ტემპერატურის რეჟიმის ზუსტი რეგულირებით მან დნობის პროცესი 50 წუთით შეამკვიდროვა. წინ კიდევ სამი პროცესია: ფოლადის რაფინირება, გაკრიალება და მისი გამოშვება. აქაც ბევრ ძვირფას წუთს მოიგებს...

ივანე მეტრეველის შევეგრძემან სახეზე ოფლის წინწკლები ბრწყინავს. ეს ყმაწვილი თავისი ასხლეტილი და შვილივით მოქნილი ტანით სპორტსმენს მოგაგონებთ. ორბის თვალბევით ცოცხალ და სწრაფ თვალებს ღურჯი სათვალე უჩრდილავს, აი, იგი ღუმელის კარის საჭერეტელში იხედება. მძვინვარებს მოვარავარე ფოლადი. იქ კამიტალისტურ ქვეყნებში მარტენისა და ბრძმედის ყოველი ღუმელი ომისათვის მუშაობს, პირსისხლიან ურდოთა შესაიარალებლად მუშაობს. აქ კი ეს ოქროსფერად მოლავლივე ფოლადი იქცევა მანქანად, რომელიც ადამიანის ბედნიერებისათვის იმუშავებს, კომუნისმისათვის იმუშავებს, და ივანე მეტრეველი ღურჯ სათვალეში ხედავს თუ რო-

გორ გარბიან ამ ფოლადიდან ჩამოსხმულ ლიანდაგებზე კომუნისმის მშენებლობისათვის დატვირთული ეშელონები, ხედავს, როგორ გადმოადის ქუთაისის ავტოქარხნის კონვეიერიდან ქართული მანქანა, როგორ მიედინება ბაქოს ნავთის საარწებზე ამ ფოლადისაგან ჩამოსხმულ მილებში „შვიი ოქრო“, ხედავს მინგჩაურის და სევან-პრაუნდანის ჰიდროელსადგურების ტურბინებს, მაღალი წნევის ანძებს, ასე განივრად, რომ მიბაიჯებენ ველებზე და მთებში, ხედავს მოსკოვის მრავალსართულიან შენობების კარკასებს, ხედავს ტრაქტორებს, ჩაის საკრეფ მანქანებს, ხილებს და ულიმის მათ.

ივანე ყოველ თავის წარმატებას სიხარულით უზიარებს მეუღლეს — ნორჩი ქალაქის რუსთავის საშუალო სკოლის მასწავლებელს თინა მეტრეველს.

ივანე ერთი წუთითაც არ ივიწყებს თავის კოლმეურნეობას. იქ გაატარა მან თავისი ბავშვობა, იქ შეიყვარა და ისწავლა ბეჯითი შრომა, იქ ეგულება თავისი ყრობის ამხანაგები, მათ ამბავს დაწვრილებით გამოკითხავს ხოლმე სტუმრად ჩამოსულ დედას: როგორ მუშაობენ ამხანაგები, როგორ ცხოვრობენ?

— დღითიდღე იცვლება ჩვენი შრომა და ცხოვრება, — მეუბნება ივანეს დედა. — რას ვიფიქრებდი, ჩემი ვანო, ასეთი სახელგანთქმული მეფოლადე თუ გახდებოდა, ასეთ ცხოვრებას თუ მოესწრებოდა. — ელენე ახლახან ჩამოვიდა სოფლიდან და შვილს ახალ ბინაში ესტუმრა. — პირველად აქ რომ მუშაობა დაიწყო, ჩემს ვანოს, ოროთახიანი კოტაჯი მიცეს. ბინაში ერთი ძველი სამგზავრო ჩანთა და ბალტო შეიტანა მაშინ, ვანომ. ამჟამად კი ბინა სავსეა შესანიშნავი ავეჯით. მალე ეს ორი ოთახიც არ ეყოფა ჩემს შვილს. — ელენემ ოთახებს თვალი მიმოავლო, —

ცხენი გაქენდება ამ ოთახებში ამდენი ავეჯი და ბარგი წინაფეკთელ... ჩვენ გვარს არ ექნებოდა... უცნოსი საქმის და შრომის გამოჩენა ახლა იწყება. კაცს, შვილო, ჩვენ ქვეყანაში შრომითა და საქმით აფასებენ. ჰოდა, მალე ეს ბინაც არ იკმარებს ჩემი ბიჭისათვის...

გუშინ ივანე მეტრეველი რუსთავის მეტალურგებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მეფოლადეები. ისინი მაღალ შეფასებას აძლევდნენ ახალგაზრდა მეფოლადის შემოქმედებით და თავდადებულ შრომას.

ამან სახელოვანი მეფოლადე კიდევ უფრო უკეთესი საწარმოო წარმატებების მოსაპოვებლად ალაფრთოვანა და დღეს იგი განსაკუთრებული ენერგიით მუშაობდა. ფოლადის რაფინირებაში და გაკრიალებაში მან კიდევ საათი და ოცი წუთი მოიგო და ფოლადი ორი საათით და 50 წუთით ადრე გამოღწეა. ამით არ დაკმაყოფილდა, როცა ნიკოლოზ გრეჩიხინი ცვლაზე მოვიდა, ივანე მეტრეველს ჯართის ჩატირთვაში 25 წუთი ჰქონდა მოგებული.

აი, მეორე დღესვე როგორ უბასუხა ხალხის ნდობას ივანე მეტრეველმა. რადიდი ენერგია და დამაბულობა დასჭირდა ამ გამარჯვების მოსაპოვებლად. ყოველი წუთის მოგებისათვის იგი იბრძოდა მთელი თავისი ძალით, ცოდნით. მაგრამ ხალხის და გამარჯვების რწმენით და ეს იმიტომ, რომ ხედავდა რას აკეთებდა, იცოდა რისთვის აკეთებდა.

ამოუწურავია საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი ენერგია და მისი შრომითი სიმამაცე. საბჭოთა ფოლადი, მშვიდობის ფოლადი — ეს ყველაზე მტკიცე ყველაზე ურყევი და უტეხი ფოლადია.

მისი გამომდნობი ყველაზე ძლიერი და უშიშარი ადამიანია.

პაპი ბენაძე

მოსკოვი და გორი



გახედეთ, ნახეთ, ეს რამდენი სტუმარი მოდის,
რომ კრემლის თავზე მოკაშკაშე ვარსკვლავი ნახოს.
გახედეთ, ნახეთ, მოსკოვისკენ მსოფლიო მოდის,
რომ დედამიწის ნათელ გულთან მივიდეს ახლოს.
აი, მოდიან ინდოელნი თეთრი ჩალმებით,
ჩინელებს ჩვენსკენ მოუძღვება გული ხალასი.
დღეს კრემლს უმზერენ ყოველ დილით მზიან თვალებით
ვიეტნამელი, ფრანგი, ჩეხი და სხვა ათასი.
მოყვრებს ახარებს საბჭოების ნათელი დილა,
დიდი ბელადი ილიმება სტუმართა შორის.
ყველა გულკეთილს ჯერ მოსკოვი მასპინძლობს ტკბილად,
მერე მოსკოვის ყველა სტუმარს პატივობს გორი.
ჩვენს ნათელ ზეცას და ჩვენს მიწას ღიმილი შვენის,
სტუმრის სიმრავლე ახარებს და ამშვენებს მოსკოვს,
კრემლში მოსულებს სალამს აძლევს სტალინი ბრძენი,
გორში კი სტუმრებს სალამს აძლევს პატარა სოსო,
ლიახვის პირზე სუფრას უშლის სტუმრებს ქართველი,
რომ ადღეგრძელოს სიხარული ჩვენიც და სხვისაც.
აქ ახლა, გორში, გულკეთილი და გულნათელი
მსოფლიო მოდის, რომ დალოცოს აკვანი მზისა.

ბედა კახიძე

წამო, ბაღებს ვისტუმროთ!



ფრენა ვიცი ქართული,
წვიმა მხედება მასპინძლად.
ცხენის ფეხის თქარუნმა
ქვები გამოაფხიზლა.
რა გულმშვიდი იყავი,
პაწაწინა მდინარეც,
მარად დაურყავი,

მარად პირმომცინარე.
ეს რა ვიყო ავღარმა,
მთებს მოგტაცა ძალათი,
ზღვის ტალღებში ჩამდგარხარ
ყვავილების კალათით.
სად იყავი აჭამდე,
ნეტაც აღრე მენახე?

წამო, ბარში ჩაქანდეთ,
ჩაუღროთ ვენახებს.
რა ვქნა, განა მეძრახვის.
ლოდინს ვერ გავუძელი,
წინანდლიდან მეძახის
ჩვენებური ყურძენი.
იქნებ ლხენას ნაჩვევი
ებრძვის გვალვის მარწუხებს,
ანდა მარტო დარჩენილს
უჩემობა აწუხებს?!
განა დაიტვირთები?
მადლიანი ზეირთებ-
მინდორ-ველებს აკუტრე,
ბროლის წვეთის საყურე
ჩამოჰკიდე ბალახებს.

შენ რომ ახლოს იქნები,
გვალვა ხელსაც არ ახლებს
ჩვენს სიხარულს ავღრმობს
გზები გადაუკეტეს,
ბალზე უტკბეს მეგობარს
სად იპოვი უკეთესს.
წყალი გადმოაზევე,
გამიყოცხლე ბალჩები,
მერე შენს გზას გაჰყევი
ჩემთან ნუკი დარჩები.
წამო, ბარში ჩაქანდეთ,
ჩაუღროთ ვენახებს,
სად იყავი აქამდე? —
ნეტავ აღრე შენაზე!

მხარე მუხარამიანი

ვოლგა ველარ სცნობს სტალინგრადს

★

ათვალიერებს ნაპირებს გულისყურით,
ვერ გაგიგია: — მიდის თუ არ მიდის...
დაჰკრავს ნაცრისფერი...
ლივლივებს, ლივლივებს,
სიღინჯეს ვერ უცვლის ვერც ცუდი ამინდი.
დარბაისელია...
დარია თუ ავდარი,
ჩვეულებისამებრ დინჯია ვოლგა...
ათვალიერებს ნაპირებს გულისყურით,
თითქოს დღეს პირველად ხედავდეს რუსეთს,
თითქოს საიდანღაც მოსული სტუმარია,
ყველაფერს ისეთი გულდასმით უმზერს...
თავი თუ ჰგონია კალამოტშეცვლილად,
ვოლგას სტალინგრადთან...



ნაზი კილასონია

სტალინგრადელმა გოგონამ



ძე ქვეყნად შენთვის მეგულის
ცაც, ვარსკვლავების კვარიც,
შორს, წამით შეჩერებული
ჩვენი ლამაზი მტკვარი.

ჩემი ოცნება ქალური
და იისფერი მთები
ფოთლებზე წვიმის თქარუნი,
ქარის შრილა თმები.

ნეტავ სულ ჩემთვის გეცალოს,
ერთად ვიაროთ ასე.
„გაფრინდი, შაეო მერცხალო“
წამოგვეწიოს გზაზე...

წამოფრენილა მტკვარიდან,
გულში სიმღერა ბორჯავს.
ვიცი, ივანებ სტალინგრადს,
ვიცი, ივანებ ეოლგას!

როგორ შეაღე სიმღერით
კმირი ქალაქის კარი,

გიყვარდა ზეცა ცისფერი,
გიყვი, ეოლგური ქარი.

— გიყვარდა ზეცა ცისფერი,
გიყვი, ეოლგური ქარი
და ნაზი, როგორც იფანი,
ქერათმიანი ქალი.

ის, ვინც ტყვიების წვიმაში
მკერდს აფარებდა სანგრებს.
და ახლა ქვეყნის წინაშე
ახალ სტალინგრადს აგებს.

ვისი სახელიც ძვირფასი
ბრწყინავს დიდების კართან,
მე კი... ჯერ არა მითქვამს რა
ერთი სიმღერის გარდა.

სირცხვილი დამწვავს როგორი
და უკან მიმაჭებს თქმული:
სტალინგრადელმა გოგონამ
გული წაგართვა, გული!...

მაგზუ ჟილაძე

ორი სახელი



არბი აივსო ხუთი ზღვის ტალღით,
შევიღიმი ცაში დროშების ფრიალს.
ლენინის სახელს ატარებს არბი —
ეს ნიშნავს, რომ არხს მშვიდობა ჰქვია.
დიდების დღენი ზღვებმაც შეიგრძნეს
და სიხარულის ფრთები შეისხეს...
სიცოცხლის წიგნის ნათელ ბუკაროვით
ჩანს არბი, ველებს მკერდს რომ
უმშვენებს.

მის სათავესთან მზედ ღვას სტალინი
და მშვიდობისკენ ზღვებს გზას
უჩვენებს.

ორი სახელი, ძვირფასი ასე,
საუქუნეებს ესერის სინათლეს,
ჩემს სამშობლოში დიდებით საევე
ღვას კომუნიზმის დიდი წინაღვე...

შენაღმ, ძმარ.

★

გემი ამაყად ტალღებს მიარღვევს,
მის გზას სხივებს ფენს ზეცა მაღალი,
და როგორც დიდი სიცოცხლის ძარღვი
გადაქიმულა არხი ახალი.
ირგვლივ ველები სავსეა ხალხით,
სურთ გამარჯვება ახლოს იხილონ,
მოსულა მუშა,
რომელმაც არხი

დააბეტონა საშვილიშვილოდ.
ის გრძნობს —

ახლოა დიდი მიზანი,
ეტყვის მეგობარს ქერათმებთან:
— შეხედე, ძმარ,
მშვიდობისათვის
მდინარეებიც კი ერთდებიან...



ზღვამ თითქოს იგრძნო რაღაც
სიახლე —
ლონემ იმატა,
ტალღამ იმატა,
გახარებული მიწვდა სიმალღეს
და ლურჯი თვალი ცას მიანათა.

ლიმილს ვერ ფარავს ცხრაშვით
მოფენილს.
ხედავს, ოთხი ძმა სტუმრად მოვიდა,
— როგორ მომაგნეთ,
რა გზით მოხვედით?
— ეოლგა-დონითა!..

შოთა რიყვა

სამგორში სტუმრად ვიყავი

★

სამგორში სტუმრად ვიყავი,
არც ისე დიდი ხანია,
სამგორს იორი აცოცხლებს,
მოდის და მოუხარია.
ზღვა ვნახე თვალბეჭქრიალა,
მეც გავიხარე ძალიან.
ამ ველზე წამოიშლება

ჯეჯილის ლურჯი ფაფარი,
და მიხარია, რომ ცხადად
ახლა სამგორის ზღაპარი.
შინ დაბრუნებულს ხალისი
იმანაც გამიძლიერა,
რომ პაპაჩემმა სამგორის
ამბავი მკითხა პირველად.

საშუალო მოძღვრებითი

ოჯახი

★

თეთრი ლეჩაქი გაკვერია სარკმელს,
სარკმლის მახლობლად ღვივის ღუმელი,
ცხელ-ცხელი პური სიამეს აკმევს,
ღვას საამური ხილის სურნელი.

ბროლის ჭიქებში კამკამებს ღვინო,
ღვინოს აქვს მწიფე ფორთოხლის ფერა,
ოჯახი მღერის, ოჯახი ღვინობს,
ცაში მზესავით მდლდება ჭერო.

მჭედელი არის ოჯახის მამა,
 მქსოველი — მისი დიასახლისი, —
 სიცოცხლის ტრფობამ გაათამამა,
 ქალ-ვაჟთან ერთად ცეკვავს ხალისით.
 ცეკვავს.... ირწევა სახლი, ვით ტალღა,
 ბედნიერების შუქით გამთბარი,
 გარეთ თოვლი დევს და მაინც ახლა,
 ჰო, რა ტკბილია ჩვენში ზამთარიც!
 ახალი წელი მკვიდრდება სახლში
 და ლაგვარდებში იწვის ცისკარი,
 ოცნება ფრთებს შლის, ფიქრით
 ვრცელი
 მოჰყავს წარსული დაუვიწყარი.
 მოგონებები ტკბილია ისე,
 როგორც რთვლობაში მღვრიე მაქარი,
 ოჯახის ფუძის სიმღერას ისმენს,
 ვარსკვლავიანი ზეცა აჭარის:
 — როგორც მზე, კობა მოვიდა დროზე,

ხმა ამოვიღეთ, მდიდრებს შევებით,
 უფსკრულის პირას იდგნენ და
 როტშილდები და მანთაშევეები.
 ბევრს გადაეკრა თვალეზზე ბინდი,
 მაგრამ მზის შუქი არა ჰქრებოდა,
 არა გვექონოდა წარსულა დიდი,
 დიადი აწმყოც არ გვექნებოდა...
 მღერის ოჯახი საამურ ხმაზე
 და სიმღერის ხმა შუქად იშლება,
 თენდება ზღვაზე, მზე ჩნდება მთაზე.
 ზევი დატოვეს თეთრმა ნისლებმა.
 მღერის ოჯახი, სიმღერა სწვდება
 მთებს გაღმა თურქთა შავ-ბნელ
 ქობნახებს.
 რომ არ შეასხას სიცოცხლეს ქება,
 ჩვენში არ არის ერთი მოსახლეთ.

გიორგი გიბაური

კომბაინი სამგორის ველზე



თბილისის ზღვიდან ავყვები ბილიცს,
 კრძალვით დაეხედე მინდორს
 მაღლიდან.
 დღე იყო თბილი, დღე იყო ტკბილი,
 მზე ამღერებულ სხივებს მალვრიდა.
 თვალწინ გაშლილი ველი ყანების —
 გაბრწყინებული ოქროსფერადა,
 დედის მკერდით სათაყვანებში
 ქარს აბარებდა სალამს ბელადთან.
 ყანას შეება ლომი ფოლადის,
 ქართული პურიც მას თუ ელოდა,

ზღვიდან უჯარმის მზიან გორამდის
 ჭექა სიმღერა ყველა ღეროდან.
 მაღლობზე მარტოდ ველარ გავძელი,
 სამკალისაკენ დავეშვი სწრაფად,
 მახალისებდა გაზრდა ვაზების,
 კომუნისმისკენ მამულის სწრაფვა.
 გამარჯვებული კომბაინერი
 საქვსთან მდგარი ხალხთა იმედად,
 ქართველი — შრომით მუდამ პირველი —
 მოქმის ერთგული გასაკვირველი
 პურს აბარებდა სალამს ჩინელთან.

ლადო ახობაძე


 გერმანული
 ბიბლიოთეკა

ორი დედა

★

პირველი—წლობით მირწევდა აკვანს,
 მიგრძენია მისი ბაგეთა თრთოლვა,
 მეორემ—ქვეყნად ყველაზე წარმტაც
 ტრფობის უნართი დამაჯილდოვა.
 პირველმა მზარდა დაუზარელად,
 მეორემ კაცის ქელი დამხურა.
 მეორემ ისე, როგორც არავინ,
 მხურვალე სხივი შემომასხურა.
 პირველმა ძლიერ მორიდებულად
 თავისუფლება გამიზიარა,
 მეორემ დამკრა ხელი მხედრულად,
 მეორემ მომცა იგი მთლიანად.
 პირველს დღითიდღე ღონე ელევა, —
 წელთა სიმძიმეს იტანს უთქმელად,
 მეორეს წლები ველარ ერევა,
 მეორე დღითიდღე კაბუჯდება.

პირველზე მარტო მე ვამბობ „დედა“,
 მარტო მიმღერდა ღამენათევი,
 მეორემ ძუძუ აწოვა მხნედა,
 მეორემ ზარდა ყველა ქართველი!
 პირველს ჩხირები ჩემთვის უთლია
 და ლამის კრაქის ალზე დამწვარა,
 მეორეს ჩანგი გადმოუცია,
 მეორემ ჩანგზე დაკვრა მასწავლა!
 პირველმა ბევრი დღე დაალამა,
 ნატრობდა, ჩემთვის ეყიდა ეზო,
 მეორემ მომცა მთელი ქვეყანა,
 დამშვენებული ბალებით ვგზომ...
 საყვარელია ორივე დედა,
 რაც კარგი მიყვეს, როგორ დაეთვალო.
 მიტომ გავძახი: მშვიდობა თქვენდა,
 ჩემი სიცოცხლე თქვენ გენაცვალო!

ლავით კიხიანიძე

კორიელ მებობარს

★

როცა გავდივარ ბინიდან დილით,
 მივყვები ქუჩას სახემცინარი,
 შემეგებება ნიავი გრილი,
 დაუღალავი და უწყინარი.

ცა კასკასაა და გული სუფთა,
 მიწა ვარდებით გადაქარგული,
 მე ყვავილების მომესმის სუნთქვა,
 მათ შრიალს ვისმენ სულგანაბული.

მეჩურჩულება შენს ტანჯვას ცაცხვი,
 გული შენს ნაღველს გაინაწილებს,
 ვიყავი მშვიდი და აცხაბცხადი,
 მარჯვენას გიწვდით მამაც არწივებს.

იქნებ დაკრილი წევხარ ხის ძირას,
 დანქარს დაეძებ დასისხლულ ხელით,
 ასე გათენდა შენთვის ეს დილა,
 წერ და ყოველ წუთს ტყვიას მოელი.

მეც ვიყავ შენებრ მახვილდაკრული,
 მგლუჯდნენ, მართმევდნენ მიწას და
 ზეცას.
 მაგრამ ვერ მომკლეს, რადგან მამულის
 ნამდვილი ტრფობის გჯავშანი მეცვა.

სახლებს გვიწვავდა მტერი ავთვალი,
 მე მაინც ვწერდი ბრძოლის სტრიქონებს.
 დღეს ხარაჩოსთან ვღაავარ მართალი,
 ცაძღე მართალი და შენ გიგონებ.

ჩვენ დავიცავით სამშობლო მკერდით, დღეს ბედნიერებს გზას გვინათებს მზე, ის სტრიქონები, სისხლით რომ ეწერდი, გამოვიტანე მზის სინათლეზე.

ბევრი ტანჯვის და ცრემლის მნახველი ახლა დავდივარ გადაშლილ ბაღში, და ვაქაკუტრი შენი სახელი მუდამ გაისმის ჩემს დიდ ოჯახში.

ძმავ მართალო, სამშობლო შენი, მგერა, გარეკავს მომხედურ გულს, დაიხოქებენ გადამთიელნი და ვიცი, მომწერ ბრძოლის ბარათებს.

მომწერ, თუ როგორ გადურჩი სეტყვას. (ჩვენში რა არის აბა ფარული!), ვერ მოგკლეს, რადგან ჯავშანი გერტყა მამულის, ტრფობის და სიყვარულის.

გიორგი ნაკათალი

შაორი მოდის!...



გადმოგდებული რაქის მთებიდან დაჭრილ ლომივით ხერელში შევიდა. მისი ძალ-ღონე ბარშიც დაგვირდა, გამოვიყვანეთ ქედში რაქიდან: მომრწყველი ყანის, სინათლე ოდის, — შაორი მოდის! შაორი მოდის! თუ არ ესმოდათ, ჩვენ უკვე გვესმის ტყიბულის მკერდში ხმა მისი შესვლის. თუ ვერ ხედავდნენ, ჩვენ უკვე ვხედავთ სინათლის დედამ, სიუხვის დედამ. ყველა წვეთი რომ შექად გაშალა, გადანათა შორი გზაშარაც. უქმად მავალი თუ იყო ოდით.

ახლა რას სჩადის, იხილეთ, მოდით, მგერეველი შავი ნახშირის, ლოდის, სიკვდილი გვალვის, სიცოცხლე კორდის თუ მოდიოდა ამ გზით და როდის? შაორი მოდის! შაორი მოდის! აბა, ეძახის შაორი იორს, დუმილის ფარდა რომ გაარღვიოს. მტკვართან, რიონთან ფიცი რომ დადოს, და თანამგზავრად გაჰყვეს ვოლგა-ლონს... მომრწყველი ყანის, სინათლე ოდის კომუნისმისკენ შაორიც მოდის!

პაკაძე კლდიაშვილი

შინ ბნატრულობ, დაცო...



მზე მზეობას ზეიმობს, გაშლილია კალო, შენ კი სად ხარ, ზეინაბ, დარდიანო ქალო.

ვიცი, ნატრობ დარიალს, გულდამწვარი ლაზი, მოდი ჩემთან, დაია, ერთად დაერგოთ ეაზი..

მამულივით წაგართვეს მშობლიური ენა,

მამაპაპურ ქართულ რთველს არ გაღირსეს შენა.

ცოტა კიდევ, დაიკო, და ამ გაშლილ ზეცას თანატოლად გავიყოფთ ლაზებიც და ჩვენცა.

ცოტა კიდევ, დაიცა, — ნახავ ქართველ ბიძებს, ძმაცა მყავს და დაიცა, გიღობილებ, მიძმე.

დავით ნოზაძე


 ქართველთა
წიგნწერეთა

ბათუმელი პალი თბილისის ზღვაზე



ვინ დაიჯერებს, რომ ზღვა გაკვირვებს,
შავი ზღვის მხრიდან მოსულო ქალო,
შენ თბილისის ზღვას გაპყურებ დინჯად,
გსურს დასტკბე მწერით და გაიხარო.

გსურს დასტკბე მწერით... და მეც
მომიხმე
და სასაუბროდ მოვედი შენთან...
ეს ზღვა სჯობია ოკეანესაც,
ეს ზღვა სტალინის ეპოქამ შექმნა.

პახანაძე ძნაძე

პალმები ვოლგის პირას



ეს პალმები აფხაზეთის
და აჭარის შეილებია,
ვოლგის პირას გადასახლდნენ,
ვოლგას ეხმატებილებიან.

ვოლგას ეხმატებილებიან,
ამშვენიერად ვოლგისპირეთს,
სურნელებას სთავაზობენ
ბრძოლისა და შრომის გმირებს.

მისთვის ვიღწვივით, რომ სამშობლოს
უნაყოფო ქვეყ არ ჰქონდეს.
მაშ, პალმებმა იშრილონ,
მაშ, უდაბნო გაწალკოტდეს!

კომუნისმის ზეიმს ნიშნავს
ეს სიტურფე, ეს შრიალი,
ვოლგის პირას, დონის პირას
ქრის სიცოცხლე ეშხიანი.

ყური უგდეთ, რას ამბობენ
შარიშურით ეს პალმები,
— დიდი საქმის, დიდი მიზნის
გამარჯვებას ვესალმებით!

სალამს ეუძღვნით რუსულ მიწას,
ამ ჩვენს ახალ სამოსახლოს,
ეს უსაზღვრო სიხარული
რა სიმღერამ გამოსახოს!

ჩვენ ქართული ცის ქვეშ ვნახეთ
პირველი დღის გათენება,
და ვამაყოფთ, რომ აქ თავი
ისახელეს ქართველებმა.

შრომაშიაც, ბრძოლაშიაც
ქართველს იცნობს ვოლგის მხარე,
აქ სანამდე არხს გავთხრიდით,
მტერს საფლავი გავუთხარეთ.

ახლა მიწა შევებით სუნთქავს,
ნახანძრალზე ჰყვავის ვარდი
და ჩვენ გვინდა დავამშვენოთ,
მოვრთოთ გმირი სტალინგრადი.

ის დღეგრძელი იყო მარად,
ვინც სულს უდგამს სნეულ მიწას,
ვინც ყვავილთა სურნელებას
და ყანების ბიბინს იცავს.

ის დღეგრძელი გვყავდეს მარად,
ვინც მშრალ სტეპებს გვიბალნარებს,
ვინც გზას უბშობს ხაშვით სავსე
მოთარეშე გრიგალ-ქარებს.

უკვდავების ზეიმს ნიშნავს
ეს ლალადი, ეს შრიალი.
ჩვენს თვალწინდენ სამშობლოში
ქრის სიცოცხლე ეშხიანი.

მედი თეზაუმი

რუსთაველი მეფოლადი



ღელავს ღუმელთან ის გულანთებით,
ახარებს ცისფერ ცეცხლის ციმციმი
და მის თვალბში ღამენათევი
ქართულ ფოლადის შუქი იცინის...

არ უშინდება შრომაში დაღლას,
თვალს არ აშორებს ღითონს ალიანს,
რადგან ნაწრთობი ფოლადი ახლა
ხალხთა მშვიდობის ნალევრდალია.

როცა ღუმელში თუჯის ღვარია...
და გაშმაგებით გუგუნებს ცეცხლი,
მაშინ მის გულშიც ქარიშხალია
და ანთებული სიცოცხლის ეშხი...

როს გადმომსკდარი ფოლადის თქეში
საამქროს ოქროს სხივებში ახვევს,
მას კომუნიზმის სიმღერა ესმის
და უბრწყინდება ნათელი სახე.

მედი ალაღვილი

სამგორელი ბერი პაპა



სამგორელი ბერი პაპა
სამგორს ენახე, იჯდა ხის ქვეშ,
მიველ ახლოს და ამბავი
სამგორისა შევეკითხე; —

ამ ხრიოკის აყვავება
როგორ შესძლო კაცის შრომამ?
— ჰმ!.. ეს რაა, — მითხრა პაპამ, —
თუ სტალინმა მოინდომა,
ქარს დააბამს, გვალვას ჩაჰკლავს,
ქვაზე ვარდებს ამოიყვანს,
ერთს-ათასად შეასრულებს
თავის ნათქვამ ყოველ სიტყვას.
მან ჩაჰყარა საძირკველი
და რაღაა საკვირველი?!

ფანსი ბრაზედია

★

მიძღვნა

მიახლოვდებით, კვლავ აჩრდილნო, იდუმალ რხევით,
ბუნდოვან ხატად რომ ჩნდებოდით წინათ მგოსნების.
ხომ არ გაქციოთ ნათელ სახედ აწ ჩემი ხელით?
შეძლებს კი გული ისევ ძვერდეს ძველი ოცნებით?
ალარ მეშვებით? მაშ კეთილი: მობრძანდით, გელით!
თქვენ გარს მეხვევით, როგორც ნისლი, მთლად ვიმოსები
და გულს მიტოვებს ჰაბუკურად, ჩემსკენ მარები,
ფეხმარდი ქროლვა ჯადოსნური თქვენი ჯარების.
თქვენ ჩემსკენ მოგაქვთ სურათები გარდასულ დღეთა
და წინ დგებიან აჩრდილები დაუვიწყარი.
მე მაგონდება, როგორც ძველი ზღაპრების დედა,
პირველი ტრფობა, მეგობრობა დანაფიცარი,
ცხოვრების უგზო ლაბირინტზე ჩივილი, სევდა,
ყველა შეცდომა, შეფერხება, შხამი, ძირმწარი
და ხვედრი ძვირფას, უახლოეს ადამიანთა,
რომლებიც გაქრნენ, აღთქმის კარზე დააგვიანდათ.

თქვენ ვერ მოისმენთ მომავალში ჩემს ლექსთა ელერას,
ვინაც მისმენდით წინათ გრძნობით მე თავდაბრილი,
დაირღვა მჭიდრო, მეგობრული კავშირის კერა.
დადუმდა ჰანგთა პირვანდელი გამოძახილი.
ჩემს ჩივილს უსმენს უცხო ხალხი, უგულო, ყველა,
ვისი შექება გულს მიკოდავს უნდო მახვილით.
ხოლო ცოცხალნი, ვინც ჩემ ჩანგის იყო ნატრული,
ახლა ამქვეყნად დარჩენილან მიმოფანტული.

მაინც ვისწრაფი, რომ ვიხილო მყუდრო სამყარო,
აღსავსე ნაცნობ სახეებით და ჯადოქარი.
ისევ გაისმის ჩემ სიმღერის ხმა უანგარო,
ვით ეოლოსის საამური, ხმატკბილი ქნარი.
ტანში მავრეოლებს, ზღვა ცრემლები ლამის დაედვარო,
ქვაგულიც გადნა, კვლავ შეიქნა მშვიდი და წყნარი.
აწმყო შორეულ ეამით მოჩანს შემოგარსული
და სინამდვილედ მეჩვენება ახლა წარსული.

პროლოგი თეატრში

(დირექტორი. პოეტი. კომიკური აქტორი)



დირექტორი

თქვენ ორნივე რბოდით ჩემდა საშველად,
როცა ვიყავი ჭირში ჩაფლული.
აწ თქვით: გერმანულ მიწა-მამულში
ჩვენს წამოწყებას რა ვუსაშველოთ?
მსურს ხალხს ვაამო, რადგან ვიცი, ხალხს თუ ფული აქვს,
განძი, სიმდიდრე და არ უჭირს, — ჩვენც კარგად ვცხოვრობთ.
სცენა მზად არის და ხარაჩოც აღმართულია.
ხალხი მოელის თვალისეირს, სიმღერას, ხოროს.
მაყურებლები უკვე სხედან თავაწეული
და მზად არიან გაიოცონ სიტყვა გრძნეული.
თუმც კარგად ვიცი, ხალხის გრძნობას ვინ როგორ ათრობს,
მაინც არასდროს განმიცდია შიში ასეთი.
ხალხი კარგ სპექტაკლს ელოდება, ითხოვს და ნატრობს,
რადგან ის მეტად ბევრს კითხულობს, უყვარს გაზეთიც
და აბა მას რა მივაწოდოთ ახალი, კარგი,
მნიშვნელოვანი, მოსაწონი, ყველასთვის მარგი?
მე ძლიერ მომწონს, როცა ხალხი ამ ჩვენს დეჟანში
მდინარესავეთ ეშურება, ვიწრო კარებით,
ვით მოწყალების კარიბჭეში მკლე და მსუქანი,
ლანძღვა-გინებით, ოხერა-კენესით, ტანჯვით მარები.
ჯერ კიდევ დღისით, ნაშუადღევს, მინახავს ხშირად
ეგ ზედაგორი სალაროსთან, როგორც ფურნესთან,
შიმშილობის ქამს მუჯლუგუნს, ცემა და ყირა,
რომ არ ზოგავდნენ ბილეთისთვის ჯიბეს, ფულდება.
ასეთ სასწაულს ახდენს ხალხზე პოეტის ხელი,
ჩვენ იმ სასწაულს, მეგობარო, დღეს შენგან ველით.

პოეტი

ბრბოსა და ხალხზე ნურას მეტყვი. თქმული იკმარე.
მისი ხილვაც კი სულს მიშფოთებს და მეზიზღება.
სულის შემზუთველ ქაობისგან შენ დამიფარე,
რომელიც ყველას, უნებურად, შიგ გვეზიდება.
არა, ცის მყუდრო სამყოფელში შენ ამიყვანე.
სადაც პოეტის აღმაფრენა წმინდა იზრდება,
სად ტრფობა, ძმობა, ზეცის ძალა თუ მოიხმარე,
გულში სიამეს გაგიფურჩქნის და გაიხარებ.
გულის სიღრმიდან, თუმცა იჭაც, რაც იღვრებოდა,
რასაც ამბობდა ეგ მთართოლვარე ბაგე ჩურჩულით:



ხან უხეიროს, ხან ბედნიერს, გულიც ტყებოდა,
 მას ერთი წამი მიქარწყლებდა, როგორც ურჩხული
 მაგრამ წინანდელ წმინდა სახით ხშირად დგებოდა
 წელთა ფერხულში გამოვლილი და გაყუებული.
 ის, რაც ბრკევიანებს, წამიერის არის წყალობა,
 ხოლო მშვენიერს ინარჩუნებს შთამომავლობა.

კომიკური აქტორი

შთამომავლობას ნუ მომასმენ, მეტად მალონებს.
 მე რომ მის გამო მოვიმარჯვო სიტყვის ძალ-ლონე,
 ვინლა გართოს ოხუნჯობით ჩვენი თაობა?
 ხალხი გართობას მოითხოვდეს, მართებულა.
 მას ვაქებ, ვინაც ხერხიანი, გაბედულა,
 თანამედროვე თაობის ვინც იცის გართობა,
 ვით შეაყვაროს მსმენელს თავი და მოაწონოს.
 ხალხის აუგი, ახირება მიიღოს არად,
 ოღონდ ფართო წრე მოიპოვოს, რათა ასწონოს
 შთაბეჭდილება, ზეგავლენა და ნიჭის ძალა.
 მაშ, მოდით ახლა გაბედულად და ოსტატურად
 გაშალეთ თქვენი ფანტაზიის ყველა ძალები:
 გონება, ჭკუა, მგრძნობელობა, ვნება ძალუმად,
 ისე რომ ახლდეს ოხუნჯობის ნაპერწყალები.

დირექტორი

ეცადეთ, იყოს მოქმედება განუწყვეტელი
 ხალხია მრავალ სანახევთა ხარბი მკვრეტელი.
 თუ ხალხის თვალწინ გაიშალა ბევრი რამ ისე,
 რომ მისი ხილვით ის გაშტერდა შმაგი თვალებით, —
 მაშინ დიდებას და დიდ სახელს მოიხვეჭთ მყისვე
 და თან გახდებით ყველასათვის სათაყვანები.
 მასას მოხიბლავს ისევე მასა დიდი ქმნილების,
 თვალისიერის მრავალფერი წარმოსახვითა.
 ყველას თან მიაქვს ერთ მთლიანის რამ ნაწილები
 და შინ სიამით დაბრუნდება ამ ჩვენ სახლიდან.
 ნამსხვრევებიდან წარმოდგება მთლიანის სახე,
 ასეთი კერძით შემოქმედი მოიხეტქს სახელს.
 მისი შექმნა და მიწოდებაც ადვილი არის.
 რა ხეირია გამოცხობა ტანდილი ღრამის,
 თუკი მას ისევე ნამცეცხად აქცევს მნახველი?

პოეტი

ვერ გრძნობთ, ასეთი საქმოსნობა რა მდაბალია,
 რომ არ შექმერის ის კეშმარიტ, ნამდიელ ხელოვანს?
 ეხედავ, უნიჭო ხელოსნები თქვენთვის არიან
 სამაგალითო მგოსნის გვერდით მდგარი ჯეროვნად.

დირექტორი

ჩემთვის მასეთი საყვედური უვნებელია!
ვინც ფიქრობს, სწორად იმოქმედოს, წუნის მტერია,
ხელთ უნდა ეპყრას იარაღიც მას სათანადოდ.
რად წვალობთ, თუკი ხე რბილია და არ ძალადობს?
უნდა იფიქროთ, ვისთვის რას წერთ ბოლოსდაბოლოს.
ზოგი მოწყენის გამო მოდის თეატრში მხოლოდ,
ზოგიც შაძლარი, უხვ სადილის მოსანელეებლად,
რომ აღარაფერს არ დასციენის და არცა გლოვობს,
ზოგი გაზეთის ყალბ ადგილთა შესამოწმებლად,
ზოგიც ისე, ვით მასკარადზე იწყებს ხუმრობას,
ზოგის ნაბიჯებს აფრთოვანებს ჭორების გროვა.
ქალნი მოდიან, რომ გვიჩვენონ მოკაზმულობა,
უჯამაგირო თამაშობით ჩამოგვიქროლონ...
მაშ რად ოცნებობთ თქვენ პოეტურ აღმაფრენაზე?
რად ეტრფით ხალხით საესე დარბაზს დაუფეშავნი?
ხალხს დააცქერდით, შეაჩერეთ თვალი ყველაზე.
ბრბო გულცივია, ნახევარიც — მოუხეშავი,
ზოგი ოცნებობს დრამის შემდეგ კარტის თამაშზე,
ზოგს ენატრება შმაგი ღამე, მრუშ ქალის მკერდი.
მაშ რაღად გინდათ, ჩერჩეტებო, იდგეთ ძალაზე
და შეაშფოთოთ იმათ გამო მუხების ღმერთი?
ვამბობ: იცოდეთ ახალახალ ამბის არჩევა,
ამ გზით მიღწევით უსათუოდ დასახულ მიზანს,
ეცადეთ, ხალხი გააცუროთ, რადგან... მისწი,
რომ ჰგავდეთ, მაინც კმაყოფილი არვინ დაგრჩებათ.
მაგრამ რა მოგდით? გიხარიათ? რად იმანჭებთ?

პოეტი

გასწი, ეძიე სულ სხვა ვინმე მონა, ლაქია!
ნუთუ პოეტი შენ გგონია ბრიყვი, ბაქია,
რომ შეაგინოს ლეთაებრივი, წმინდა უფლება,
კაცის უფლება, ბუნებისგან მინიჭებული?
რითი აღელვებს სულს პოეტის სიტყვა გრძნეული?
რა ძალით იპყრობს ცას და მიწას მისი ბუნება?
გულიდან მავალ ჰარმონიით, რომ არ ჩლუნგდება.
როცა სიცოცხლის გრძელ ძაფს აბთავს ცივი, გულგრილი
ბუნება, ჟამი და როცა ბრბო უწესო, ავი
ბორგავს უაზროდ, უთავბოლოდ, სხვისი სურვილით, —
ვინ ცდილობს მაშინ უწესობას გაართვას თავი?
ორომტრიალი ვინ შეცვალა და დაამყარა
ყველგან წესრიგი ეს რიტმული და გაგვახარა?
ვინ შეძლო კერძო ფაქტებს შორის ხიდის გადება
და ააქდერა საზრიან და წარმტაც პანგებად?

ვინ ქმნის ვნებათა შმაგ ქარიშხალს, ძაბავს, აღვივებს? ვინ ხსნის დაისის აზრს, მშვენებას, შენაშფოთების ვინ უფენს სატრფოს გზა-ბილიკზე, ცეცხლის მოღებით, უმშვენიერეს გაზაფხულის ვარდს და ყვავილებს? ვინა თხზავს გვირგვინს დიდებისას მწვანე ფოთლებით, შუბლზე რომ ჯიღლოდ და საშვენად აქვთ დაფენილი? ვინ ქედაეს ოლიმპს? ამშობს ღმერთებს ლალი ოცნებით? კაცის ძალ-ლონე. მგოსნის სულში გამოვლენილი.

კომიკური აქტიორი

გამოიყენეთ იგი ძალა, გამოცდილება და შეგვიქმენით პოეტური კარგი ქმნილება, იმგვარად, როგორც სამიჯნურო ამბავი ხდება: ერთთრთის შეყრა, მოწონება, ტრფიალი, ქება. მერმე ნელინელ თავდათრობა და დაამება, ბედნიერება, შიგადაშიგ ტანჯვა-წამება, გარედან მოსულ ბოროტებით თქმული გლოვანი და, სანამ გმირი თვალს გაახელს, — მორჩა რომანიცი! წერეთ ამგვარად, თუ გსურთ თქვენი სულის ცხოვნება. მხოლოდ ბოლომდე ამოხაპეთ კაცის ცხოვრება, ცხოვრობენ ბევრნი, ცხოვრებას კი სცნობენ რჩეულნი. აღწერეთ იგი, ინტერესიც მოვა ჩვეული. შეჰქმენით ჭრელი, ბუნდოვანი სახეთა წყობა, ბევრი მცდარი რამ და სიმართლის ოდნავი კრთომა. აი, მასალა, რომლისგანაც დგება სასმელი, ქვეყნისთვის მარგი, სიბერისგან ხალხის დამხსნელი. თქვენი პიესა მხოლოდ ამ გზით თუ შეკრებს ტანით ახალგაზრდობას, თქვენ მიღწევის მსმენელს და გამგებს. თქვენ ქმნილებასაც ნაზი გრძნობა გამოსწოვს მაშინ მელანქოლიურ საზრდოს და მას დააცხრობს ბავეს. ყველა დაქიმულ ქნარის სიმებს თავს შეადარებს და დაინახავს ყველა, რასაც გულში ატარებს. მზად იქნებიან, ცრემლი ღვარონ, იყონ ურვეებით, ყვილას სწამს სწრაფვა, მაგრამ უფრო ხიბლავს და უნდა ზერელე ბრწყინვა, ხნიერს ნურას ნუ ეუბნებით, ხოლო ჭაბუკნი მაღლიერი დაგრჩებათ მუდამ.

პოეტი

მაშ დამიბრუნე ის დრო, ჭაბუკი, როს ცხოვრებისთვის ეეშაღებოდნი, პანგთა ნაკადი, მკერდში ნაგუბი აღმოვიდოდა და ვიმღეროდნი. ნისლში მოჩანდა ქვეყანა მთელი. კვირტში ვეძებდი სასწაულს ღმერთის.



როდესაც ათას ყვაეილებს ვკრეფდი,
რომ დაეფარა წარმტაცად ველი.
როს არაფერი მე არ შებადა,
მაინც სიმართლის პოვნა მეწადა.
მაშ დამიბრუნე სწრაფა ალური,
კაეშნით საესე წუთი ნეტარი,
ძალა ზიზლისა, ტრფობა ძალუმი
და სიჭაბუკის ჯადო ნექტარი.

კ ო მ ი კ უ რ ი ა ქ ტ ი ო რ ი

ჩემო კეთილო, სიჭაბუკე თქვენ დაგპირდებათ,
როს დაგესევათ ცხარე ომში მტრისა ლაშქარი,
ბებერ კისერზე როცა ძალად დაგეკიდებათ
ლამაზ, ეშხიან ქაბუკ ქალთა ჯარი აშარი.
როცა გვირგვინი დიდებისა, ძნელ მისალწვეი,
მოგიხმობს ღიმით თვის ჯადოსნურ და შორ კარავში,
როცა სიმთვრალის და ლოთობის შემდეგ ნარწვეი
ლამეს გაათეე თავბრულდამხვეე ცეკვა-თამაშში.
მაგრამ მომართვა ჩანგის სიმთა, ხელის შეხება
და აელერება ვაეკაცურად, ტყბილ-საამურად,
სწრაფა დასახულ მიზნისაკენ და შეფერხება,
შეება და ცრემლი, პოეტებს რომ ბედმა გარგუნათ,
თქვენი საქმეა ეს, მოხუცნო. განსაჯეთ თვითონ:
ჩვენ ხომ ამისთვის მეტად გაქებთ, არ გაძლევთ საშველს!
ვინ თქვა, ბავშვობას უბრუნდება სიბერე თითქო.
პირიქით: იგი გვეპარება ჯერ კიდევ ბავშვებს.

ღ ი რ ე ქ ტ ო რ ი

კმარა სიტყვები. ახლა მე მინდა
შეხედოთ საქმეს, მოვეშვათ ქიშხსა.
ამდენ საამო და ტყბილ ქებითა,
სასარგებლო რამ ეგების იშვას!
შთაგონებაზე ამდენს რად ჰყვირით?
მას ვერ ფლობს უფხო. უკეთესია:
თუ გსურთ გვიქროთ პოეტის სტვირი,
უნდა წარუძღვეთ წინ პოეზიას.
თქვენ კარგად იცით, ჩვენ რა გვიქირია.
გაისაჯენით, თქვენი რიგია.
ჩვენ ვეტანებთ მაგარ სასმელებს.
თავს სახვალოდ ნულარ ასვენებთ.
დღეს ნუ გააცდენთ, იყავით ქველი.
გაბედულებას შეასხით ქება.
საქმეს წაავლეთ ქოჩორში ხელი,

გადაუტეხეთ ხერხემალ-წელი
და მოიქცევა ისე, ვით გნებათ.
გერმანულ სცენას კვლავ თავს აფარებს
ყველა, ვისაც კი ტიკინა უყვარს.
ამიტომ მე დღეს დამზოგავთ ნულარ,
დეკორაციებს, ნურც ჩემს მანქანებს,
პატარა. დიდი შექი თუ სხივი
მიმოაბნინეთ უხვად მნათობიც,
წყალი და ცეცხლი, კლდე და ფართობი,
ცხოველი, ჩიტი — ნურაფერს ჩივით,
ჩასტიეთ ფიცრულ ჩემს ბალაგანში
მთელი მსოფლიოს წრე და საგანი
და გაიარეთ სწრაფად, ხელადვე
ცა, დედამიწა ჯოჯოხეთამდე.

პროლოგი ცაში

ლ ე ლ ი ც ი უ რ ნ ი ძ ა ლ ნ ი მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი ს ა მ ი მ თ ა ე რ ა ნ გ ე ლ ო ზ ე

რ ა ფ ა ე ლ ი

მზე ეამინდელი წესით და რიგით
მნათობთა შორის გუგუნებს ქებას
და მენთა გრგვინვით ამთავრებს იგი
დათქმული გზებით სელასა და რბენას.

ანგელოზთ ხიბლავს სინათლე მზისა,
უცხო სურათის დასალოერი.
როგორც პირველ დღეს საქმენი ღვთისა
შეუცნობია და მშენიერი.

გ ა ბ რ ი ე ლ ი

მიწა საოცარ და ჩქარი ბრუნვით
მიექანება გრგვინვა-ზანზარით.
სამოთხის შუქი იცვლება ბუნით
და მოდის ღამე შავი, საზარი.

კლდის ძირს აწყდება წლეა ტალღა,
ქველით,
ნაპირებს ქობავს ქაფიან ზოლად,
და ვით ზღვას, კლდესაც იტაცებს
ძალით
პლანეტის ჩქარი, სფერული სრბოლა.

მ ი ქ ე ლ

და ქარიშხალნი, ქიშპით მავალნი
ზღვიდან მიწაზე, მიწიდან ზღვაზე,
რბიან ღრიალით, დაულალავენ,
სიავის ჯაჭვით შეკრულნი ძალზე.

მეხის გავარდნას წინ უსწრებს ფრენით
ცეცხლოვან ელვის გამოჩინება,
მაგრამ, უფალო, მაცნენი შენი
ირჩევენ მყუდრო დღეთა დინებას.

ს ა მ ი ე ე

ანგელოზთ გული ივსება ღვთისთა,
თუმც გამოცნობა შენი ძნელია.

როგორც პირველ დღეს, საქმენი შენი
შეუცნობი და მშენიერი.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

რადგან შეგვეყარე სათათბიროდ ისევ, უფალო,
ჩვენ საქმის გამო, რათა უველას გვეხილა ზეცა
და რადგან წინათ შენ მიღუბდი ხშირად, უბრალოდ, —
ამიტომ მხედავ შინაყმათა შორის შენ მეცა.
ბოდიში. არ მაქვს ანგელოზთა ღამაზი ენა,
თუნდაც ამისთვის მომელოდეს მხოლოდ დაცინვა.
ჩემი პათოსი ალბათ სიცილს მოგგვრიდა შენა,
გადაჩვეული თუნდაც იყო სიცილს, მაშინაც.
მზის, მნათობთ გამო მე არა ვარ მქადაგებელი,
მე მხოლოდ კაცთა უბედობის ვარ გამგებელი.
პატარა ღმერთი დედამიწის — აღამიანი
ისევ ბრყევია, ვით გასკედე, განა ჭკვიანი!
ის ცოტა უკეთ იცხოვრებდა, ვიდრე დღეს არი,



რომ არ მიგეცა ციურ ცეცხლის შენ ნაპერწკალი.
იგი გონებას უწოდებს მას, მისი მპყრობელი,
ყველა ცხოველზე უფრო მდარე გახდა ცხოველი.
შენი ნებართვით მოგახსენებ; ის ჰგავს ძალიან
გრძელფეხებიან, სასაცილო ერთგვარ კალიას,
რომელიც მუდამ ფრენით დაბტის, ფეხში გედება
და თან იძახის ძველ სიმღერას მოსაბეზრებლად.
კარგია, მშვიდად რომ იცოდეს ჯდომა ბალახში
და ცხვირს არ ჰყოფდეს ყოველ ბინძურ ხათაბალაში.

უ ფ ა ლ ი

ეგ არის შენი სათქმელის ბოლო?
დასაბეზრებლად აქ ივლი მხოლოდ?
კარგი რამ ველარ პოვე მიწაზე?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ვერა, უფალო! მხოლოდ ცუდი, გლოვა, სიმწარე.
კაცი ისეთი საწყალია, საბრალო, გლაზა,
რომ მეც კი მიმძიმს მისი ტანჯვა, წამება ახლა.

უ ფ ა ლ ი

თუ იცნობ ფაუსტს?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

დოქტორს არა?

უ ფ ა ლ ი

ჩემს მორჩილ მონას.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ჰო, მაგრამ მონა უცნაურად გემსახურება.
მას მიწის საზრდო: ჭამა და სმა არ ესურვება.
იგი ესწრაფვის შორეულ და უცხო ქიშკრებს.
თვისი სიგიჟე სანახევროდ აქვს შეგნებული.
ცისგან მოითხოვს ყველა ვარსკვლავს უმშვენიერეს,
მიწიდან მალალ სიტკბობას და იმ გრძნეულის
მკერდს ვერ ამშვიდებს შორეულის სიცალიერე,
ვერც მახლობელი და ბედს წყველის გზააბნეული.

უ ფ ა ლ ი

აწ თუ მმსახურებს აბნეულად, წვალობს და მოთქვამს,
მაღე გავიყვან ნათელ გზაზე, რომ გმობდეს ნამყოს.

მებაღემ იცის, თუ ხე მწვანობს და შეიფოთლა,
 ის მომავალში რომ მოიხზავს ყვავილს და ნაყოფს.
 ანტონიუსი
 ბიზლინოვიჩი

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

დავდოთ ნაძლევი, რომ დაკარგავთ, ვისაც დღეს ამკობთ.
 თქვენი მსახური სულ ადვილად დასაძლევია.
 გადავიბირებ მას ჩემს გზაზე. მე არა ვლაცობ.

უ ფ ა ლ ი

სანამ მიწაზე ცხოვრობს იგი, ნება შენია.
 არ გეკრძალება გამოსცადო იგი ამჯერად.
 მისწრაფების დროს გზის დაბნევა მოკვდავს სჩვევია.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მე დიდად გმადლობთ, მაგრამ მკვდრებთან საქმის დაჭერა
 არა მჩვევია. არ მიმიძღვის მათზე ამაგი.
 მე უფრო მომწონს წითელლოყა და სისხლჭარმაგი.
 ცხედრები განა იხილავენ ჩემ ბინის კართა!
 მე მათ ვუყუარებ. ისე როგორც დამხრჩვალ თავს კატა.

უ ფ ა ლ ი

კეთილი, შენი თხოვნა არის შეწყენარებული.
 სცადე ის სული დააშორო პირველქმნილ წყაროს
 და თუ შესძელი, წაიყვანე შენ გზით რჩეულით.
 შორს გაიტაცე და აწამე, რომ ცრემლი ღვაროს.
 იყავი მართლა შერცხვენილი, თუ დარწმუნდები,
 რომ თვის შავ ეჭვთა დასაძლეველ მშვიდ კეთილ კაცთა
 ძალუბთ იპოვონ კვლავ სწორი გზა, არა ხუნდები.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

შზადა ვარ. დიდი არ სჭირდება დრო-ჟამი ამ ცდას.
 მე ჩემს ნაძლევში გაემიარჯვებ და დაებრუნდები.
 თუ მივალწიე სანაძლეოდ არჩეულ მიზანს,
 განახოთ სკამდეს მტერიან ჰაერს, ნაგავს და მიწას,
 როგორაც ჩემი ის ბიკოლა, ცნობილი გველი, —
 მაშინ ჩემს ტრიუმფს მოაწერეთ საჯაროდ ხელი.

უ ფ ა ლ ი

ნება გეძლევა, გამოცხადდე და მე შენ გაქვებ.
 მე განა მძულან შენისთანა მაწანწალები?
 მე უარმყოფელ სულებს შორის ყველაზე ნაკლებ
 მეჯავრებოდნენ გაიძვერა, მაგნე ძალები.



კაცთა სიფხიზლის მიძიხება ადვილი არის.
მათ უყვართ ძილი, მყუდროება, შლიან ქვეშაგებს,
მიტომ ვუგზავნი ამხანაგად მე მათ ეშმაკებს,
არ მოასვენონ და დაუბზონ სიმშვიდის კარი.

(მიმართავს ანგელოზებს)

თქვენ კი, კეთილო, ქვეშაირიტო შვილებო ღმერთის,
დასატკბით ცოცხალი სილამაზის შეცნების ჭკრეტით!
დაე გფარვიდეთ სიყვარულის მსუბუქი ფრთენი,
ყოველი ქმნილის დამბადები, ქმედითი ძალა.
და ის, რაც არის მოვლენაში ბუნდოვნად მჩენი,
დე გაიშალოს გონებაში, განმტკიცდეს კვალად!

(ცა იხურება. შთავარანგელოზები იწლებიან).

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

(მარტო)

ხანდახან ვხვდები ამ მშვიდ მოხუცს, ზეცის სტუმარი
და მასთან შეხლა, შესიტყვება მე მეშურება.
მომწონს ძლიერი, ყოვლისშემძლე, ბრძენი უფალი
ასე კაცურად ეშმაკსაც რომ მესაუბრება.

ნაწილი პირველი

ღამე

(ცუთერ მალაღალეზიან ვიწრო ოთახში ფაუსტი მაგიდასთან საეარძელში;
შეწფოთებული ზის)

ფ ა უ ს ტ ი

სამართალსა და ფილოსოფიას,
მედიცინასაც დიღხანს ვეწვალე
და, სავალალოდ, თეოლოგიაც
ამაო შრომით მე შევისწავლე.
თავს მივაყენე მხოლოდ ზიანი,
კვლავ დაერჩი ბეცი, განა ჭკვიანი?
მაგისტრ-დოქტორი, გმირიც დამარქვეს.
ათი წელია, რა რომ დაეთარეე
ჩემს მოწაფეებს ამოო ცდებით
და მათთან ერთად, ვხედავ, მეც ვცდები.
რადგან არ ძალგვიძს არაფრის ცოდნა.
სჯობს ამგვარ გარჯას, მართლაც,
ქვის კოდვა.
თუმც მალლა ვდგაეარ ცოდნით მე
ბევრზე:

ოქტორ-მაგისტრზე-მწერლებზე,
მღვდლებზე
და არ მაშინებს ეჭვების წვეთი,
შხამი, ეშმაკი და ჯოჯობეთი, —
მინც არა მაქვს რამ სიხარული,
ვერა ვცან ცოდნის ხე საეარგული.
ვერც რა ვასწავლე ხალხს რამე მარგი,
ვერ გაეასწორე, გავხადე კარგი.
არ გამაჩნია ქონება, ფული,
ქვეყნის სიკეთე, დიდება სრული.
ასეთ ყოფაში ძალღიე ბრალია.
მიტომ მოვკიდე ხელი მაგიას,
რომ სულთა ძალამ აღარ იდუმოს
და მე გამიხსნას აწ საიდუმლო.
არ ვამტკიცებდე, დაღლილი ჭარბად.

მას, რაიც თვითონ არ ვიცი კარგად.
 ეგების ვპოვო ხელშესახეი
 მსოფლიო სიღრმის რამ გასაღები!
 იქნებ ვიხილო ძალა ქმედური,
 რომ არა მქონდეს სიტყვა ყბედური.
 ნეტავ შეგეძლოს, აესილო მთვარევე,
 იხილო ჩემი ცრემლები ცხარე
 და განათევი ღამე ამდენი,
 ჯაფა და შრომა, ტანჯვის დამტევი.
 შენ დამნათოდი მეგობარს ჩაგრულს
 წიგნის, ქალადის გროვაში ჩაფლულს.
 ნეტავ შემეძლოს, შენით ნაშუქარ
 მთაში რონინი, როგორც აშულსა,
 ვიყო სულებთან გამოქვამულში,
 ველიდე მწუხრის ეამს მწვანე მამულში.
 დავაგდო ცოდნა ამაო, მქისე,
 ნამიან ნისლში შეეცურო ისევე.
 ნუთუ კვლავ ვეგდო მე ამ სარდაფში,
 ამ ყრუ კედლების თავშესაფარში,
 სადაც ცის შუქიც არ გახალვათებს
 და ფერად მინებს ძლივს-ღა ანათებს!
 ვიჯდე მატლ-ჩრჩილით შექმულ
 წიგნებში.

ეამით გამურულ ძველ ქალაღებით,
 სანამ გავხდები დასამიწები
 და უსახელოდ დავსამარდები!
 ვიჯდე ჯურღმულში, მამაპაპათა
 დატოვებული შუშით, ქიღებით,
 ხელსაწყობით, ძველმან ყრილებით
 გარემოცული ძალისძალადა!
 ეს არის ახლა შენი სამყარო,
 შენი ქვეყანა დაუსაბამო!!

კიდევ იკითხავ, მკერდში ეს გული,
 მარად ცხოვრებას მოწყურვებული,
 ახლა რად გიძგერს შეშინებული,
 უხილავ ძალით დასევდებული?
 აგირჩევია კაცის შემქნელი
 ღმერთის, ცოცხალი ბუნების ნაცვლად
 მკვდარ ცხოველთ ძვლები, ჭირის
 შემყარელი

და კაცთა ჩონჩხის მალეების მარცვლა.
 აღქმ, დიდ ქვეყნის ველზე გაიჭერა
 ნოსტრადამუსის ხელით ნაწერი
 ნუ გინდა წიგნი, ნულარ დაიჭერ,
 გაპგლიჯე მისი ჯადო ფაცერი.
 ამ დიდ ბუნებას თუ დაიყოლებ,

იგრძნობ სულიერ ძალას, მხნეობას,
 სულთ საუბარსაც თანეგარტუნებლ!
 და დაინახავ მნათობმ მსულელობას!
 ამაოდ მისხნის ცივი გონება
 მე მნიშენელობას წმიდა ნიშნების.
 ირგვლივ სულები, ვგრძნობ, მეფონება.
 თქვენ მიპასუხეთ, თუკი მისმენდით!
 (ვადაშლის წიგნს და ხელავს მაკროკოსმის
 ნიშანს).

ამ წარშტაც ნიშნის ხილვა ფარული
 ჩემს გრძნობებს აესებს ნეტარი წამით.
 წმინდა ცხოვრების ღრმა სიხარული
 ინთება და ჩქეფს ძარღვებში ჩქამით.
 ღმერთი თუ იყო, ვინაც მოხაზა
 ნიშანი, მე რომ აღარ მაშინებს,
 გულს სიხარულით მივსებ, მამშვიდებს
 და ბუნების კარს მიღებს მონასა!
 თუ მეც ღმერთი ვარ? სხივი, აისი?
 ნათელ ნიშნებში სულს ეცხადება
 ბუნების არსი, ძალა, ხატება
 და მესმის ბრძენის კვლავ ლაღადისი:
 „სულთა სამყაროს ღიაა კარი,
 მაგრამ შენ ბრმა ხარ, მკეოარია გულიც.
 ჩამოირიცხე რიტრაჟით წყნარით
 ბიწიერების მანკი და წყალული.
 (ათვალიერებს ნიშანს).

აქ ყოველივე ერთიანდება.
 ერთიმეორეს ცვლის, ეფარდება.
 ციურნი არსნი რარეგ დაქრიან
 და ოქროს თასებს ერთურთს აწედიან.
 თავის საამო მსუბუქი ფრთებით
 ცითგან მიწაზე ჩადიან ფრენით
 და ჰარმონიით საესეა მთელი
 ეგ დედამიწა, ზღვები და მთებიც!
 რა სურათია! სურათი მხოლოდ.
 მე როგორ ჩავწვდე დაუსაბამო
 ამ დიდ ბუნების თავსა და ბოლოს!
 ეს შეუძლია მხოლოდ საბოფს.
 სად არის ძეძე. წყარო ცხოვრების,
 ცა და მიწა რომ წოვს. ეწაფება,
 რომლის ლოდინში მკვლავდა წამება,
 დიდი წყურვილი. დაუცხრომელი!
 (უხალისოდ შლის წიგნის ფურცლებს და თვალს
 ახერებს დედამიწის სულის ნიშანზე).
 სხვაგვარად მზიბლავს მე ეს ნიშანი!
 შენ, მიწის სულო, შეგნატრი მარტო.



შენ სისხლში ჭარბად ეშვები, მათრობ,
როგორც მაჭარი შესანიშნავი
ვგრძნობ მამაცობას, მსურს, შორს გავიქრე.
მიწის შვებით და ტანჯვით დავიწვე-
გრჩვალს, ქარიშხალს შევება გულმხნედ.
არ მაშინებდეს რა გინდ რა ქუხდეს.
მაგრამ ჩამოდის ბურუსი, ნისლი
და ქრება მთვარე ბაცი და მარლი,
სხივებიც მისი...

ბა, ბოლავს ჭალი.

წითელი შექი თავზე მადგება,
შიშით ვკანკალებ, რა შემართება?
ო, ლამის გასკდე საბრალო გულო!
ვგრძნობ, რა ახლო ხარ, კეთილო სულო!
ყველა გრძნობები ილტვიან მარდად
უცხო განცდისკენ. კანკალებს ფარდა.
სულო, შენს ხილვას დიდხანს ვეცადე.
გულით მოგენდე, მე შენ გამთანგე.
მოდი, მეჩვენე, გამომეცხადე,
თუნდაც სიცოცხლე ჩემი გათავდეს!

(წიგნს იღებს და იღვწავს ხმით ამბობს ჯადო სიტყვებს. ენთება წითელი ალი.
რომელშიც ჩნდება სული).

ხ უ ლ ი

ვინ მიხმობს?

ფ ა უ ს ტ ი

(შეშინებული შეაქცევს ზურგს).

რარიგ საშინელია!

ს უ ლ ი

შენ რაინდულად აქ მომიხმობდი
და ჩემს სფეროზე დიდხანს ფიქრობდი.
ახლა...

ფ ა უ ს ტ ი

ვერ გიცქერ. ჩემთვის ძნელია!

ს უ ლ ი

ჩემთან გინდოდა შენ შეხვედრა, ჩავარდნილს ჭირში,
ჩემ ხმის მოსმენა, სახის ხილვა, ცქერა მახვილი.
მე შევისმინე შენი სულის ხვეწნა, ძახილი.
აი, მე აქ ვარ. რისთვის გზარავს სასტიკი შიში?
მითხარ, ზეკაცო, სად წარვიდა ძახილი სულის?

სად გაქრა ქვეყნის შექმნის, ტრფობის მოსურნე გული,
 გული, რომელიც ნეტარ თრთოლვით ცდილობდა წინასწარ
 გაგეტოლებოდა და სულელებთან დაედო ბინა?
 სად ხარ, ფაუსტო, მე ვისი ხმა მესმოდა წედან
 და მთელი ძალით მესწრაფოდი, რა მოგდის ეხლა?
 რა რომ შეგეხო ჩემი სუნთქვის ქროლვა ოდნავი,
 კანკალებ შიშით ახლა, როგორც ჭია მცოცავი,
 ამოგანგლული მტვერში, წვიმაში...

ფ ა უ ს ტ ი

ცეცხლის აჩრდილო, კარგად ვიცი მე შენი ფასი.
 ვერ შემაშინებ, ვარ ფაუსტი, ვარ შენი მსგავსი.

ს უ ლ ი

მე ვარ ცხოვრების დინებაში, შრომის გრიგალში,
 ყველგან, ყოველთვის დაუღალავი,
 ღამის სარანგი,
 შობა, საფლავი,
 ზღვები მარადი,
 ცხოვრების მწველი
 ჩუქურთმის მჭრელი..
 მე ასე ვშრომობ მოგრიალე დაზგაზე ეამის
 და ვქსოვ ღეთაების ცხოველ სამოსს დღითა და ღამით.

ფ ა უ ს ტ ი

რა მახლობელი ხარო შენა და შენი ხელობაც
 ჩემთვის შენ, სულო, მსოფლიოში მოძრავო მარად.

ს უ ლ ი

შენ გაეტოლე იმ სულს, რომლას ძალგამს შეცნობა,
 ზოლო მე არა.

ფ ა უ ს ტ ი

(ასოწარყვეთილი).

შენ არა?
 ვისლა?
 მე ზომ ვარ მსგავსი ღეთაებისა.
 და მაინც არა?

(ყარზე აკაუნებენ).

ვაიმე, იგი შეგირდია ჩემი, ვიცანი;
 გათავდა წუთი უდიდესი ტკბილ ნეტარების.
 შეაკრთობს ბრიყვი, მაწანწალა, ღამით მარები
 ნათელ სისრულეს ჩვენებათა, ვიცი ვინც არა.

(შეზოდის ვაგნერი გრძელ ზღადაში. ფაუსტი ზიზღით შეაქცევს ზურგს).
 თარგმანი გერმანულიდან ალმმსანდრამ მუთათმელისა

საბჭოთა არმიის 35 წლისთავი



მიმდინარე წლის 23 თებერვალს მთელი ჩვენი დიადი სამშობლო აღნიშნავს თავისი ერთგული, საიმედო გუშაგის—საბჭოთა არმიის არსებობის 35 წლისთავს.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე მტკიცედ დგანან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე.

საბჭოთა არმია ჩვენი მრავალმილიონიანი, მრავალეროვანი ხალხის ლენინ-სტალინის დიადი პარტიის პირმშოა.

საბჭოთა არმია წარმოიშვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ქარტეხილში, კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლებისაგან ჩვენი ჭეყნის მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი საყვარელი საბჭოთა არმია შექმნეს, გამოაწრთეს და აღზარდეს კომუნისტურმა პარტიამ, მისმა დიდმა ბელადებმა—ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა და იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა, რომელთაც ჩამოაყალიბეს და ყოველმხრივ დაასაბუთეს საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის პრინციპები, განსაზღვრეს საბჭოთა არმიის ისტორიული დანიშნულება და როლი, მისი, როგორც ახალი ტიპის არმიის, ხასიათი და თავისებურებანი, ჩამოაყალიბეს არმიის მართვისა და მისი მებრძოლების აღ-

ზრდის პრინციპები. საბჭოთა არმია იქმნებოდა როგორც—ახალი, მუშურ-გლეხური არმია. ჯერ კიდევ ჩვენი პარტიის VIII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი საბჭოთა რესპუბლიკის ბედს უკავშირებდა ახალი, ნამდვილი მუშურ-გლეხური არმიის შექმნას.

შემდეგში ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა მთლიანი და დამთავრებული მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ, დაასაბუთა სახელმწიფოსი და მისი არმიის შენარჩუნების აუცილებლობა კომუნისმის დროს კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, ჩამოაყალიბა საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციული მშენებლობის პრინციპები.

ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და აღზარდილი ჩვენი არმია, რომლის საბრძოლო დროშაზე წერია თავისუფლება და მშვიდობა, თავისი ორგანიზაციით, საბრძოლო ოსტატობით, მორალური სულისკვეთებით, შეიარაღებით, მეთაურთა კადრებით და, მასთან დამე, თავისი ძლიერებით აღემატება ყველა არმიას მთელ მსოფლიოში.

ამ მაღალი შეფასების მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს ჩვენი საბჭოთა არმიის მიერ განვლილი მთელი საბრძოლო გზა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ძლიერ მოწინააღმდეგესთან ომის საბრძოლო შედეგები არის ერთადერთი რეალური საზომი ყოველი არმიის ძლიერებისა და საბრძოლო თვისებებისა, იმ სამხედრო მეცნიერების ძლიერებისა,

რომელიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ არმიის მშენებლობასა და საბრძოლო მოქმედებას.

მეორე მსოფლიო ომი იყო ჩვენი შეიარაღებული ძალების, საერთოდ მთელი საბჭოთა ხალხის მკაცრი გამოცდა. პიტლერული გერმანიის კბილებამდე შეიარაღებული ურდოების წინააღმდეგ თავის სამართლიან ბრძოლაში ჩვენმა საყვარელმა საბჭოთა არმიამ ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა. იგი სამწელზე მეტი ხნის განმავლობაში მარტოდმარტო გამირულად ებრძოდა ძლიერ მოწინააღმდეგეს.

აღმოსავლეთშიც, 1945 წლის შემოდგომაზე, იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ ომის დამთავრება საბჭოთა არმიას ხედა წილად. საბჭოთა არმიის ჯაბაყვანი, აქტიური მონაწილეობის გარეშე ინგლისისა და ამერიკის ჯარებმა ვერაფრის გაკეთება ვერ შესძლეს.

ხელმძღვანელობდა რა სტალინური სამხედრო მეცნიერებით, უნარიანად იყენებდა რა ამ მეცნიერებას ბრძოლის ველზე, საბჭოთა არმია ჩვენი სამშობლოს მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოიწრთო და განმტკიცდა. მან ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა: სამოქალაქო ომში, 14 სახელმწიფოს ინტერვენციის წინააღმდეგ, თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. საბჭოთა არმიამ შემდეგშიც არაერთხელ აგემა თავისი დარტყმა ჩვენი სამშობლოს გათავხედებულ მტრებს. ამის ნათელი დადასტურებაა ბრძოლები ხასანზე, ხალხინ-გოლთან, თეთრფინელთა წინააღმდეგ. 1939 წელს ჩვენმა არმიამ დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის ხალხებს, ხოლო 1940 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნებს მოუტანა დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება.

ის გამარჯვება, რომელიც საბჭოთა არმიამ მოიპოვა 1941 — 1945 წლების ომში, წარმოადგენს ჩვენი შეიარაღებული ძალების ტრიუმფს.

დიდი სიყვარულითა და იმედით შეს-

ცქერიან მსოფლიოს ყველა ხალხები საბჭოთა არმიას. ჩვენმა მარშალმა და იმსახურა ჩეხოვსლოვაკის, კრტიმინსკის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის ხალხთა განსაკუთრებული სიყვარული, ვინაიდან მათ მოუტანა თავისუფლება და მისცა იმის შესაძლებლობა, რომ დადგომოდნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას.

თავის შრომაში „წითელი არმიის სამი თავისებურების შესახებ“ ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ საბჭოთა არმია არის განთავისუფლებულ მეშუათა და გლეხთა არმია, იგი არის ოქტომბრის რევოლუციის არმია, პროლეტარიატის დიქტატურის არმია. ჩვენი არმია წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ხალხთა მშობის არმიას, ჩვენი ქვეყნის ნაჩაგრ ხალხთა განთავისუფლების არმიას, ჩვენი ქვეყნის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის არმიას. დასასრულ, წითელი არმიის მესამე თავისებურება მდგომარეობს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებაში, ინტერნაციონალიზმის გრძნობებში, რომლებითაც გამსჭვალულია მთელი ჩვენი არმია...

ამ სამ თავისებურებას უნდა უმაღლოდეს ჩვენი არმია იმას, რომ მან იცის, თუ საით მიდის, — უნდა უმაღლოდეს იმას, რომ იგი შედგება არა კალისაგან გაკეთებულ ტიკინა ჯარისკაცებისაგან, არამედ შეგნებულ ადამიანთაგან, რომელთაც ესმით, თუ საით წავიდნენ და რისთვის იბრძოლონ.

ლაპარაკობს რა ზურაის როლის შესახებ, ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ყველაზე დიდი არმიობი, ყველაზე მეტად შეიარაღებული არმიები ირღვეოდნენ და მტკრად იქცეოდნენ, თუ მათ მგაბრი ზურგი არ ჰქონდათ, თუ მათ მხარს არ უჭერდა და თანაგრძნობით არ ეყიდებოდა ზურგი, მშრომელი მოსახლეობა. ჩვენი არმია მსოფლიოში ერთადერთია, რომალსაც თანაუგრძნობენ და მხარს უჭერენ მეშები და

გლები. ამაშია მისი ძალა, ამაშია მისი სიმამრე.

საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფო წყობილებამ მისცა ჩვენს ხალხს და არმიას დიადი, უძლეველი ძალა. ჩვენი ქვეყნის მძლავრი ინდუსტრიული ბაზა ზრდიდა საბჭოთა არმიის მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას. ჩვენი საბჭოთა არმია შეიარაღებულია მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სტალინური მეცნიერებით.

საბჭოთა არმიის ძალისა და ძლიერების მთავარ წყაროს წარმოადგენს კომუნისტური პარტიის, ჩვენი ბელადის და მასწავლებლის, გენიოსი მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი.

ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხები ამყოფებენ იმით, რომ საბჭოთა არმიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდი მხედართმთავარი და ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი, მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი სამოქალაქო ომში, კაცობრიობის ისტორიაში მანამდე არნახულ სამაშულო ომში და არა მარტო დაიცვა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ იხსნა მსოფლიოს ხალხები ფაშისტური მონობისაგან.

ამჟამად საბჭოთა არმია, გარემოსილი საბჭოთა ხალხისა და მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა სიყვარულით, გაორკეცებული ენერჯით განაგრძობს სოციალისტური სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების განმტკიცებას, მედგრად იცავს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესებს.

პირველ დღიდანვე ჩვენი არმია „იზრდება ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, სხვა ხალხებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, ყველა ქვეყნის მუშებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის სულისკვეთებით, ქვეყნებს შორის მშვიდობიანობის შენარჩუნებით-

სა და განმტკიცების სულისკვეთებით“ (ი. სტალინი, „წითელი არმიის სამოთხავისებურების შესახებ“).

საბჭოთა არმია წარმოადგენს საბჭოთა ხალხის შეიარაღებულ ნაწილს. მისთვის, როგორც ნამდვილად სახალხო არმიისათვის, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს სხვა მიზნები და ამოცანები, გარდა მთელი საბჭოთა ხალხის დაცვის ამოცანებისა და მიზნებისა. ხალხისა და არმიის ინტერესთა ასეთი ერთიანობა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში.

ჩვენმა საბჭოთა არმიამ განელო თავისი ისტორიული განვითარების დიდი და სახელოვანი გზა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიულ წლებში ძირითადი შეიარაღებული ძალა იყო წითელი გვარდია. სწორედ იგი წარმოადგენდა წითელი არმიის წინამორბედს.

ე. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ შეიარაღებული მუშები წარმოადგენდნენ ახალი არმიის ჩანასახს.

პირველი მტრული ძალა, რომელიც თავს დაესხა საბჭოთა სახელმწიფოს, იყო გერმანული იმპერიალიზმის არმია.

„ახალი არმიის — რევოლუციური ხალხის არმიის ახალგაზრდა რაზმები გმირულად იგერიებდნენ თავით ფეხამდე შეიარაღებული გერმანელი მტაცებლების შემოტევას. ნარვასა და ფსკოვთან გერმანელ ოკუპანტებს გადაწყვიტი წინააღმდეგობა გაუწიეს. მათი წინააღმდეგ პეტროგრადისაკენ შეჩერებულ იქნა. გერმანიის იმპერიალიზმის ჯარების უკუგდების დღე—23 თებერვალი — გახდა ახალგაზრდა წითელი არმიის დაბადების დღედ“ (საკ. კ. პ. ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 267 — 268. 1950 წ. ქართ. გამ.).

მაგრამ იმ გაყვითაღმა, რაც მიიღეს გერმანელმა იმპერიალისტებმა, კუთვნიერ ასწავლეს ინგლისის, ამერიკის,

საფრანგეთისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მილიტარისტებს.

ცუდად შეიარაღებულმა, ნახევრად შეშველმა, ნახევრად მშიერმა ახლად შექმნილმა წითელმა არმიამ გმირულად შეძლო დაეძლია ყოველგვარი სიმწე-
ლენი, ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა სამშობლოსა და ხალხის წინაშე, გაანადგურა როგორც უცხოელთა ინტერვენცია, ისე შინაური კონტრ-
რევოლუცია. ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების ბრწყინვალე გამარჯვებათა ორგანიზატორები და სულისჩამდგმელნი იყვნენ ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი.

მთელი სამოქალაქო ომის განმავლობაში ამხანაგი სტალინი იყო ერთადერთი აღამიანი, რომელსაც კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ვ. ი. ლენინი გზავნიდნენ ყველგან უფრო საპასუხისმგებლო და რთულ ვითარებაში მყოფ ფრონტებზე. ბრძოლის ამ უაღრესად მრისხანე და დაძაბულ უბნებზე — ცარიცინში, პერში. პეტროგრადში, — ყველგან არსებითი გარდატეხა ხდებოდა, საქმე დაუყოვნებლივ სწორ მიმართულებას იღებდა და საბჭოთა არმია ზედიზედ აღწევდა ინტერზე ბრწყინვალე გამარჯვებას.

ამხანაგმა სტალინმა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ მთელი სიღრმით, ამომწურავად გვიჩვენა სამოქალაქო ომში წითელი არმიის გამარჯვებათა მიზეზები. ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა რომ: წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა, რომლის დასაცავად იბრძოდა წითელი არმია, იყო სწორი პოლიტიკა, რაც შეესაბამებოდა ხალხის ინტერესებს, რომ საბჭოთა ჯარები თავდადებულნი და ბოლომდე ერთგულნი იყვნენ თავისი ხალხისა, რისთვისაც უყვარდა ისინი ჩვენს ხალხს და მხურვალედ უჭერდა მათ მხარს, რომ წითელარმიელებს ესმოდათ ომის

მიზნები და ამოცანები, შეგნებულ კონკრეტულ ჩვენი საქმის სიძვირფულე იმიტომ იბრძოდნენ ისინი ყველაფერადღებთ პარტის წინააღმდეგ, იმიტომ იჩენდნენ მასობრივ გმირობას და უმაგალითო მამაცობას, რომ ფრონტისა და ზურგის ხელმძღვანელ ბირთვის წარმოადგენდა კომუნისტური პარტია, მტკიცედ დარაზმული თავისი რკინისებური დისციპლინით, ძლიერი თავისი რევოლუციური სულისკვეთებით, თავისი უნარით — დაერაზმა მასები საბრძოლველად; სწორედ კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა და გამოაწრთო თავის რიგებში ახალი ტიპის სამხედრო ხელმძღვანელები და მხედართუფროსები; წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ მისი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს — კომუნისტურ პარტიას ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი. წითელი არმიის რიგებში იყვნენ ათასობათ თვალსაჩინო ორგანიზატორები და აგიტატორები, იდეურად მტკიცე კომისარები და პოლიტმუშაკები, რომლებიც განუწყვეტლივ ნერგავდნენ ჩვენს არმიამში შეგნებული დისციპლინისა და საბრძოლო მამაცობის სულისკვეთებას. თეთრგარდიელთა არმიების ზურგში წარმოებდა სასტიკი პარტიზანული ომი, რაც დიდად უწყობდა ხელს წითელი არმიის წარმატებებს. შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოური ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ქვეყანა აგრეთვე ემყარებოდა მთელი მსოფლიოს მშრომელთა თანაგრძნობასა და დახმარებას.

ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა სამოქალაქო ომი. მრისხანე ბრძოლებში გამოწრთობილი საბჭოთა არმია გადავიდა მშვედობიანი ცხოვრების რელსებზე, იგი ბეჯითად შეუდგა სწავლას.

კომუნისტურმა პარტიამ, პირადად ამხანაგმა სტალინმა, გენიალური შიორს-მჭვრეტელობით გაითვალისწინეს რა, რომ მომავალ ომში ჩვენ საქმე გვექ-

ნებოდა ძლიერ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც ეყოლებოდა გაწრთვნილი და ტექნიკურად აღჭურვილი ვეებერთელა არმია, — საბჭოთა ხალხის წინაშე დასახეს ამოცანა — უმოკლეს ვადაში მოემზადებინათ ჩვენი ქვეყანა აქტიური თავდაცვისათვის. ამ უალრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად აუცილებელი იყო ჩვენი ქვეყნის გარდაქმნა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად. ეს ამოცანაც ბრწყინვალედ იქნა გადაწყვეტილი.

სტალინური ხელწოდების მანძილზე საბჭოთა ხალხის გამორული ღონისძიებებით ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის სახე.

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციამ საშუალება მოგვცა შეგვექმნა მძლავრი სამხედრო მრეწველობა და ტექნიკურად აღგვექურვა საბჭოთა შეიარაღებული ძალები.

მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი მიდიოდა მშვიდობიანი განვითარების გზით, კაპიტალისტურ ქვეყნებში მძვინვარებდა კრიზისები, კიდევ უფრო მძაფრი ხდებოდა წინააღმდეგობანი.

საბჭოთა კავშირის წარმატებანი მოსვენებას არ აძლევდნენ ოპის გამჩაობლებს. ისინი ადგნენ სხვისი ტერიტორიების ხელში ჩაგდებისა და მძარცველური ომების პოლიტიკას. იმპერიალისტური ქვეყნების ამ რეაქციული პოლიტიკის მახვილი მომართული იყო პირველ რიგში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის იმპერიალიზმის ბინძური ხელი ერია თეთრფინილების, იაპონიის და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების მიერ ჩვენი საზღვრებზე მოწყობილ პროვოკაციებში.

განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებდა ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის იმპერიალიზმი გერმანიის ფაშისტურზე. ამის მყადიო დადასტურებას წარმოადგენს „მიუნხენის კომედია“,

რამაც ხელფეხი გაუხსნა აგრესორებს საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის.

ჰიტლერული გერმანია 1941 წლის 22 ივნისს ვერაგულად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, რითაც შეუდგა თავისი დიდხნის განზრახული ავანტიურის განხორციელებას. დაიწყო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების წინააღმდეგ.

სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულად თავდასხმას საერთაშორისო რეაქცია აშკარა სიხარულით შეხედა.

პარი ტრუმენმა, რომელიც იმ დროს სენატორი იყო, სსრ კავშირზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმიდან სამი კვირის შემდეგ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ განაცხადა: „თუ დაეინახავთ, რომ გერმანია იგებს, ჩვენ უნდა დავეხმაროთ რუსეთს, ხოლო თუ მოგების სასწორი რუსეთისაკენ გადაიხრება, მაშინ უნდა დავეხმაროთ გერმანიას. ამრიგად, დაე მათ ფლიტონ ერთმანეთი, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით“.

აი, ასეთი იყო მათი დანაშაულებრივი გეგმები.

მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი, თავისი პროგრესული პოლიტიკის ერთგული, წყვეტდა გერმანიის ფაშისტისა და იაპონიის იმპერიალიზმის განადგურების ამოცანას, რითაც ეხმარებოდა ევროპის ხალხებს განთავისუფლებულიყვნენ ფაშისტური მონობისაგან, შეექმნათ და განევითარებინათ დემოკრატიული წყობილება, — ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ვარაუდობდნენ თავი დაეღწიათ გერმანიის და იაპონიის კონკურენციისაგან მსოფლიო ბაზრებზე, დაესუსტებინათ საბჭოთა კავშირი და ამით გზა გაეკაფათ ამერიკის კაპიტალისტური მონობოლიების მსოფლიო ბატონობისათვის.

მეორე ფრონტი მათ მაშინ გახსნეს, როცა ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირი შესძლებდა ჰიტლერული გერმა-

ნის ურდოების განადგურებას და მთელი ევროპის განთავისუფლებას, როცა საბჭოთა არმია ანადგურებდა მტერს უკვე მის ტერიტორიაზე.

საერთაშორისო რეაქცია, ისევე როგორც პიტლერული გერმანია, ვარაუდობდა, რომ საბჭოთა კავშირი დიდხანს ვერ გაუძლებდა ასეთ განსაცდელს. მაგრამ მათ ვერ გაითვალისწინეს ის უდიდესი ცვლილებანი, რაც მოხდა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე, განსაკუთრებით სტალინური ხელისუფლების წლებში, ვერ გაითვალისწინეს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების და მისი შეიარაღებული ძალების ძლიერება და სიმტკიცე.

ჯერ კიდევ ომის დროს ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ახლა ომის ბედს გადაწყვეტს არა მეორეხარისხოვანი მომენტი, არამედ მუდმივ მოქმედი ფაქტორები: ზურგის სიმტკიცე, არმიის მორალური სულისკეთება, დივიზიების რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეიარაღება, არმიის უფროსთა შემადგენლობის ორგანიზატორული ნიჭი.

სინამდვილეში მთლიანად დაადასტურა დიდი სტალინის ეს გენიალური ანალიზი.

მოსკოვთან მტრის უკუადების შემდეგ საბჭოთა არმიამ გაიმარჯვა მსოფლიოში წარმოებულ ომთა ბრძოლებს შორის ყველაზე უდიდეს ბრძოლაში — სტალინგრადის ბრძოლაში. ეს გამარჯვება ფაშისტური გერმანიის ურდოებზე წარმოადგენს სამხედრო ხელოვნების ისეთ ნიმუშს, რომლის ბადალი მსოფლიოს არ ახსოვს.

სტალინგრადი გახდა ფაშისტური გერმანიის დასასრულის დასაწყისი. ზედიზედ ავიმის დარტყმა გამხევებულ მტერს ჩვენმა ჯარებმა. საბჭოთა არმია მძლავრ ნაკადით მიიწეოდა წინ დასავლეთისაკენ და მოსრს ავლობდა ფაშისტურ ჯარებს, წმენდდა საბჭოთა მიწა-

წყალს ფაშისტ აგრესორებისაგან. 1945 წლის მაისში ბერლინისკენ წაღწეულ იქნა გამარჯვებულმა მძლავრმა მსოფლიო დროშა, მტერი თავისივე ბუნაგში იქნა განადგურებული.

გერმანიის ფაშისტურ სრული გამარჯვება მიღწეულ იქნა დიდი სტალინის მიერ შემუშავებული გენიალური სტრატეგიული გეგმის განხორციელებით.

1945 წლის 9 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა, რომელიც ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი სამოკავშირო მოვალეობისა, ომის მდგომარეობაში გამოაცხადა თავი იაპონიასთან. საბჭოთა არმიამ მოკლე დროში გაანადგურა კვანტუნის არმია და აიძულა იმპერიალისტური იაპონია მოეხდინა კაპიტულაცია.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა არმიამ გვიჩვენა სამხედრო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები.

არასოდეს არ წარმოსდგება დიდება ლენინგრადის, სტალინგრადის, სევასტოპოლის, ოდესის, ჩენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის გმირი დამცველებისა. ჩენი დიადი ხალხის ისტორიაში ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი დიდი სამამულო ომის გმირთა სახელები. მათ შორის ბევრია ქართველი ხალხის შვილი.

გმირობისა და მამაცობისათვის მილიონობით საბჭოთა მეომარი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, ათასობით მეომარს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება.

საბჭოთა ხალხის გმირულ სულისკეთებაშია ჩენი საყვარელი სამშობლოს ძალა და უძლეველობა.

ყველა თავის გამარჯვებას გმირი საბჭოთა ხალხი უმადლის თანამედროვეობის უდიდეს ადამიანს, კომუნისტის გენიალურ ხეროთმოდგარს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს ამხანაგ სტალინს.

ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა არმია მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად

შეუდგა მშვიდობიან მშენებლობას.

საბჭოთა ხალხი ზედიზედ აღწევს ბრწყინვალე გამარჯვებებს მესხეთე სტალინური ხელწილედისათვის ბრძოლაში.

ომის შემდგომი წლები საბჭოთა არმიისათვის წარმოადგენს შეუპოვარი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების პერიოდს.

საბჭოთა არმიამ უდიდესი წარმატებები მოიპოვა მთელი პირადი შემადგენლობის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დარგში.

ომის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი უდიდესი დამახასიათებელი მოვლენაა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოძრაობა — ბრძოლა მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. მსოფლიოს პროგრესული ძალები, საბჭოთა კავშირის ხალხთა ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, თანმიმდევრულად, მტკიცედ იბრძვიან მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის ახალი ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ.

ახალი ომის გამჩალებლებს, მსოფლიო რეაქციის შავბნელ ძალებს სათავეში უდგას ამერიკის იმპერიალიზმი. ამერიკელი რეაქციონერები კაცობრიობას ემუქრებიან ატომური ბომბით. ისინი კორეის წინააღმდეგ უკვე იყენებენ ბაქტერიოლოგიურ საშუალებებს. ისინი უზვად აღეგუნ სესხს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მზარს უქერენ შეერთებული შტატების იმპერიალისტურ პოლიტიკას.

ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე ამ სახელმწიფოების შესახებ აღნიშნა, რომ ახლა ბურჟუაზია დოლარებზე ჰყიდის ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას. ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა გადადგებულია.

ომის გამჩალებელთა ბანაკს მკვეთრად უპირისპირდება მშვიდობისათვის

მებრძოლთა ძლევამოსილი ბანაკი. დემოკრატიული ბანაკის ძალები და ძლიერების მკაფიო ილუსტრაციებს წარმოადგენს მშვიდობის მომხრეთა სტოკჰოლმისა და ვენის კონგრესების მონაწილეთა მოწოდებანი, რომელთაც ხელი მოაწერეს მსოფლიოს პროგრესული ქვეყნების მილიონობით ადამიანებმა. მშვიდობისათვის მებრძოლებმა მკაცრი გაფრთხილება მისცეს მათ, ვინც ახალი ომის გაჩაღებას ცდილობს და მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობს.

მსოფლიოს ხალხები უკვე აღდგნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. ამ ბრძოლაში ბრწყინვალე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვეს ევროპის მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა — ჩეხოსლოვაკიამ, პოლონეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა, უნგრეთმა, ალბანეთმა, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ დემოკრატიული განვითარებისა და სოციალიზმის მშენებლობის ნათელ გზას.

უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს წარმოადგენს ჩინეთის მიერ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

უკვე მესამე წელია, რაც გმირი კორეელი ხალხი იბრძვის ამერიკელი იმპერიალისტებისა და ლისინმანელთა პირსისხლიანი აგრესიის წინააღმდეგ.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან აგრეთვე ვიეტნამელები და ფილიპინელები.

მსოფლიო იმპერიალიზმის ავაზაკებს სურთ სისხლში ჩაახრჩონ ჩაგრულ ხალხთა კეთილშობილური ბრძოლა თავისუფლებისათვის. ისინი ემზადებიან ახალი ომის გასაჩაღებლად.

ყოველივე ეს გვავალებს ვიყოთ თხიზლად, ვემზადოთ საკადრისი პასუხი გავცეთ ყველას, ვინც კი შეეცდება შეაფერხოს ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი სვლა კომუნისმისაკენ.

საბჭოთა ხალხი უდიდესი იმედით შესცქერის თავის პირმშოს — ძლევა-მოსილ საბჭოთა არმიას.

საბჭოთა სამშობლოს პირნათლად გაუმართლებს ამ იმედს ჩვენი გმირი საბჭოთა არმია. ამის თავედებია საბჭოთა არმიის მაღალი მორალური და საბრძოლო თვისებები, მისი წრთობის,

ცოდნის და საბრძოლო გამოცდილების მაღალი დონე. ამის თავედებია ჩვენი არმიის უსაზღვრო ერთგულება თავისი ხალხისადმი, თავისი ლენინ-სტალინის პარტიისადმი, უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს სტალინისადმი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის მხაგვრული პროზა



კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო ლექსებით. ამ ლექსებში წარმოდგენილი იყო სოციალისტური ღირსების და მახასიათებელი ნიშნები, მაგრამ შემოქმედების დიდი ძალა კ. ლორთქიფანიძემ გამოამჟღავნა სხვა განარში—მხატვრულ პროზაში.

აღრეულ პროზაულ ნაწარმოებებში კ. ლორთქიფანიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობის პრობლემას. შეიძლება ითქვას, რომ იმხანად შექმნილი ყველა მისი ნაწარმოები სწორედ ამ პრობლემის გარშემო ტრიალებდა. რომანში — „ხავსი“ ავტორმა ასახა წვრილბურჟუაზიული ახალგაზრდის დაბნეულობა რევოლუციის ვითარებაში. სამწუხაროდ, მწერალი ამ ნაწარმოებში ვერ არკვევდა გმირის მერყევი ბუნების საფუძველს და სოციალურ ფსიქოლოგიას. „ხავსი“ საგრძნობი იყო უსაგნო, ჰერეტიკი „ობიექტივიზმი“. ნაწარმოები დამძიმებული იყო წერილობითი, უმნიშვნელო ყოფითი დეტალებით და არც კომპოზიციურად იყო მტკიცედ შეკრული.

თავის დროზე კ. ლორთქიფანიძის მეორე ნაწარმოებმა მხატვრულ პროზაში მოთხრობა „პირველმა დედამ“ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მკითხველ საზოგადოებაში. ამ ნაწარმოებში ავტორმა გააშუქა ახალგაზრდების ცხოვრების მნიშვნელოვანი და ამავე დროს მტკივნეული საკითხი. მოთხრობის მთავარი გმირის გაიანეს ცხოვრება და მუშაობა რთულ წინააღ-

მდეგობათა გზით მიმდინარეობდა. საზოგადოებრივი მუშაობა და ოჯახური ვალდებულებანი მასში ეჯახებოდნენ ერთმანეთს. ცნობილია, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში მემამულურ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ქალი ოჯახში წარმოდგენდა „კერძო საკულტურებას“. ძველმა ოჯახმა ცოლი ქმრის მონად გადააქცია. რევოლუციამ დაღუწა ქალის მონობის ბორკილები, გამოიყვანა ის საზოგადოებრივ სარბიელზე აქტიური მოღვაწეობისათვის. მიუხედავად ამისა, ოჯახის შინაგანი გადახადისება, მისი ახალ საწყისებზე გადაყვანა ჯერ კიდევ ხანგრძლივ დროს მოითხოვდა. გაიანემ კარგად იცოდა, რომ ძველი ოჯახი საკანი იყო, რომელშიაც გამომწვევდელი იყო ქალი. ამ მოვლენის ნაშთი მაინც შემორჩა ერთხანს. „ყველამ, ვინც კი ისურვა ჩემი ქმრობა, პირველ ყოვლისა, საზღვრები დამიდვა და ტყვეობაში განმაცდევინა თავი“, — ამბობს გაიანე. იგი ებრძვის ოჯახური ურთიერთობის მახინჯ ტრადიციებს, მაგრამ მეორე უკიდურესობაში ჩაეარდება — დაივიწყებს ოჯახს, პირად ცხოვრებას. რასაკვირველია, ეს არ იყო საკითხის კომუნისტური გადაწყვეტა. ჩვენს სინამდვილეში ქალს მიეცა ფართო საზოგადოებრივი ასპარეზი, მაგრამ მის საპატიო მოწოდებად მაინც დარჩა ზრუნვა ღირსეული ოჯახის შექმნისათვის.

„პირველი დედას“ სხვა მოქმედნი პირნი, რომელნიც მსჯელობენ „მოთხრობის მასშტაბით“, ოჯახის საკითხში ჯერ კიდევ განიცდიან მახინჯი ტრა-

დიციების გავლენას. ისინი ხელს უშლიან ქალის სრულ განთავისუფლებას. მათში ჯერ კიდევ ძლიერია „კერძო საკუთრების“ ინსტიტუტი ქალისადმი დამოკიდებულებაში.

„პირველი დედას“ ძირითად იდეას წარმოადგენს ბრძოლა ახალი ოჯახისათვის, მაგრამ გზა, რომლის მიხედვითაც განვითარებულია ეს ძირითადი იდეა, მეტისმეტად ოღორთოვანია. შავი ფერებით არის მწერლის მიერ დახატული ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ფენის ცხოვრება.

„ხავსა“ და „პირველ დედაში“ იგრძნობოდა კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებითი ძიების, უკეთ რომ ვთქვათ, ლიტერატურული „მოწაფეობის“ ხანა, გავლენები და მიბაძვები. ეს ჩვეულებრივი გზაა ყოველი შემოქმედისა.



კ. ლორთქიფანიძის ყველაზე დიდი ნაწარმოებია „კოლხეთის ცისკარი“. ეს არის მისი შემოქმედებითი სახის სრულად მაჩვენებელი თხზულება.

„კოლხეთის ცისკარი“ კ. ლორთქიფანიძემ გვიჩვენა საკოლმეურნეო მშენებლობის ადრეული საფეხური. მწერალმა შექმნა ჰემარიტი რეალისტური ნაწარმოები ერთ-ერთ პირველ კოლმეურნეობაზე ჩვენში. ნაწარმოების მიხედვით ცხადი ხდება, თუ როგორი მწვავე წინააღმდეგობების გზით იბადებოდა პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელები, თუ რა დიდი სიმწელების გადალახვა უხდებოდათ სოფლად შრომის სოციალისტური ფორმების განმტკიცების პირველ ინიციატორებს. რომანში მართებულად არის გაშუქებული იმ დროის მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ფაქტები — ღარიბ და საშუალო გლეხთა ფენების მძლავრი შემობრუნება საკოლმეურნეო მშენებ-

ლობაში ჩაბმისათვის, ეკლესიური ბრძოლა სოფლად.

„კოლხეთის ცისკარში“ მოცემულია ნათელი სურათები არა მარტო სოფლის სოციალისტური გარდაქმნის გზაზე შედგომისა, არამედ ახსნილია ამ გარდაქმნის კანონზომიერება, წინაპირობები. კ. ლორთქიფანიძის მიერ სოფლის კოლექტივიზაცია ნაჩვენებია, როგორც ისეთი პროცესი, რაც გამომდინარეობდა მშრომელი მასების ინტერესებისა, მოთხოვნებისა და ოცნების კონკრეტული შინაარსისაგან.

„კოლხეთის ცისკარში“ წარმოდგენილი პრობლემის სიღრმე, სახეების სასიცოცხლო ხასიათი და თავისებურება განსაზღვრულია სინამდვილის მნიშვნელოვანი მოვლენების მართებული ასახვით. ნაწარმოების შინაარსს შეადგენს მასების მოძრაობა სოციალიზმისაკენ, ქართველი გლეხობის შეგნებასა და ყოფაში კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის დაძლევა და ფორმირება ახალი, სოციალისტური შეგნებისა და ყოფისა. მაგრამ კერძომესაკუთრული ეკონომიკისა და მის საფუძველზე კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის გარდაქმნა წარმოადგენდა უალრესად მნიშვნელოვან რევოლუციურ პრობლემას, რომლის განხორციელებაც არ შეიძლებოდა ერთის ხელის დაკვირვით. გლეხობისათვის ადვილი როდი იყო ახალი იდეის, კოლექტივიზაციის იდეის ათვისება. გლეხს არ შეეძლო ერთბაშად ჩამოსწორებოდა იმ ჩვეებს, რაც დანერგული იყო მემამულეებისა და ბურჟუაზიის მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შედეგად. წვრილი, კერძო მესაკუთრე გლეხი პრაქტიკაში უნდა დარწმუნებულიყო კოლექტიური შრომის ღირსებასა და უპირატესობაში. პარტიის პოლიტიკის, მის მიერ ჩატარებული დიდი აღმზრდელი მუშაობის შედეგად გლეხობამ შეიგნო კოლმეურნეობის მნიშვნელობა.

კ. ლორთქიფანიძე მიისწრაფის, რომ მხატვრულად გაიზაროს და გამოხატოს მთელი პროცესი მსოფლიო-ისტორიული ბრძოლისა კლასების მოსასპობად. გლეხობის უმრავლესობამ შეიგნო, რომ სოფლის ცხოვრების ჩამორჩენილობისაგან თავის დაღწევის საშუალება მხოლოდ სოციალიზმია. გლეხები გადადიან ახალ სამეურნეო წესებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ შორდებიან იმ ჩვეულებებს და წესებს, რომლებიც ბატონობდა ადამიანებს შორის მრავალი საუკუნის განმავლობაში. რომანის მთელ მანძილზე წარმოებს ბრძოლა ახალი საწარმოო ურთიერთობის დამყარებისათვის. მთელი თავისი სიმძაფრით ვხედავთ, თუ როგორ ანგრეეს სინამდვილე იმ პირობებს, რომლებმაც გლეხს თავდავიწყებით შეაყვარა თავისი მიწის ნაჭერი, ვხედავთ, თუ როგორ ინგრევა „სიბნელის სამეფო“.

კოლმეურნეობაში გლეხობა ძლევდა თავის წვრილბურჟუაზიულ ბუნებას, იზრდებოდა კოლექტივიზმის სულისკვეთებით. წარმოების ინდივიდუალური წესიდან იგი გადადის კოლექტიურზე, კერძომესაკეთრულიდან — სოციალისტურზე, წვრილი წარმოებიდან — მსხვილ წარმოებაზე, სტიქიურიდან — ჯეგმიან წარმოებაზე. ამგვარად, გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციით დაიწყო სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ისტორიული ეტაპი, რაც მიმდინარეობდა მძაფრი ბრძოლის გზით.

„კოლხეთის ცისკარში“ კ. ლორთქიფანიძე ემყარება სინამდვილის ფაქტებს, კარგად ნაცნობ მოვლენებს, სოფლის რეალურ ადამიანებს. მან ცხოვრებაში ნახა თავისი გმირების პროტოტიპები. მაგრამ ნაწარმოების დოკუმენტალურ საფუძველს არაფერი საერთო არა აქვს ფოტოგრაფიულ გადაღებასთან, ნატურალიზმთან. მიისწრაფის რა სიზუსტისა და სიმართლისაკენ, მწერალი არ ვარდება კერძოული ფაქტების

ტყვეობაში, იგი გვაძლევს ფართო განზოგადებას, რომ ამგვარად, მხატვრულად გამოსახოს ცხოვრებაში სინამდვილე, ტიპიური. კ. ლორთქიფანიძე მართებულად გამოხატავს სოფლის სოციალისტური გარდაქმნის პროცესის ტიპიურ ნიშნებს.

კ. ლორთქიფანიძე ფსიქოლოგიური ანალიზის ოსტატია. მას პირველ რიგში აინტერესებს ბრძოლა ახლისა ძველთან ცხოვრებაში, საბჭოთა ადამიანის კეთილშობილი და ამაღლებული თვისებების გამარჯვება. იგი გვიხატავს თავის გმირების გამოღვიძებას, ზრდას, მათში ახალი შეგნების გამარჯვებას. იმისათვის, რომ მხატვარმა გვიჩვენოს ხალხის წინსვლა კომუნისზმისაკენ, არ არის აუცილებელი „გამოიგონოს“ არარსებული ადამიანი მომავლისა, საკმარისია დაინახოს და გამოაყოს ჩვენს თანამედროვეობაში ის ნიშნები, რაც დამახასიათებელია ჩვენი სინამდვილისათვის, მაგრამ რაც ზოგჯერ მარტოოდენ კონტურებში მოსჩანს. ამის საფუძველზე იგი საეცებით შესძლებს მომავლის ადამიანის თვისებების გათვალისწინებას. კ. ლორთქიფანიძე ავითარებს იმ ახალ გაგებას ტიპურისა, რაც დამახასიათებელია სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისათვის. იგი ტიპიურად წარმოგვიდგენს არა მარტო იმას, რაც ჩამოყალიბებულია, განმტკიცებულია, არამედ იმ ახალსაც, მზარდსაც, რომელიც სრულად და მახვილად გამოხატავს მოცემული სოციალური მოვლენის ბუნებას, არსს და რომლისთვისაც შემთავში უზრუნველყოფილია გაძლიერება, განმტკიცება და გამარჯვება. კ. ლორთქიფანიძემ „კოლხეთის ცისკარში“ დავიხატა ადამიანები ისეთებად, როგორც ისინი ნამდვილად იყვნენ ცხოვრების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, მაგრამ იქვე გვიჩვენა მათი წამყვანი თვისებები, უმაღლესი შესაძლებლობა.

„კოლხეთის ცისკარში“ წარმოდგენილია სოფლის კოლექტივიზაციის ამ ადრეული ხანის თითქმის ყველა დამახასიათებელი, განზოგადებული სახე. მკითხველის წინაშე გაივლის მთელი გალერია პერსონაჟებისა, რომლებიც აღბეჭდილი არიან თავიანთი ადამიანური თვისებებით. ისინი გარკვეული მდგომარეობისა და შეგნების მატარებელი გამოკვეთილი ცოცხალი ადამიანებია. მათი ხასიათები ვითარდება ცხოვრების სიძნელეებთან ბრძოლაში. სინამდვილის შინაარსი „კოლხეთის ცისკარში“ რთული და მრავალფეროვანია. არტელის ცხოვრება დიდი წინააღმდეგობების გზით მიმდინარეობს. მის გარშემო მძაფრი კლასობრივი ბრძოლაა გამართული. ამავე დროს კულაკობა და მისი აგენტურა მავნებლურ, პროვოკაციულ აგიტაციას ეწევიან არტელის წინააღმდეგ. მიუხედავად ყოველივე ამისა, კოლექტიური მეურნეობის იდეა ღარიბ და საშუალო გლეხობაში თანდათან მტკიცება. კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებითი ძალა არა მარტო იმაშია, რომ მან გვიჩვენა საერთოდ კლასობრივი ბრძოლის მძაფრი მომენტები, არამედ ეს ძალა იმაშიაცაა, რომ მწერალმა დამაჯერებელ მხატვრულ სახეებში დაგვიხატა განწირულება კლასობრივი მტრებისა, განწირულება ყველა იმათი, ვინც ებრძოდა დარაზმულ მშრომელი მასების ძალას. კ. ლორთქიფანიძე ძველი ქვეყნის წარმომადგენელთა დამარცხებასთან ერთად გვიჩვენებს ახალი ცხოვრებისა და შეგნების განმტკიცების პათოსს. გლეხობის სხვადასხვა ფენის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით ხატავს მწერალი პირველი კოლექტიური მეურნეობის მოწყობის პროცესს. კომუნისმის იდეის სიღიაღე მან წარმოგვიდგინა არა რიტორიკაში, არა თეორიულ ფორმულებში, არამედ სულით ძლიერ, ერთუზიასტ, კეთილშობილ, თავდადებულ, შეგნებულ ადამიანთა სახეებში.

საკოლმეურნეო მოძრაობის მასობრივი გაშლის დროისათვის, რედაქციის წლებისათვის, „კოლხეთის ცისკარი“ უკვე მომძლავრებული იყო. მაგრამ კოლმეურნეობის ორგანიზაციით კი არ მთავრდებოდა, არამედ მხოლოდ იწყებოდა კოლმეურნე გლეხობის სოციალისტური შეგნების აღზრდა. კოლმეურნეობა წარმომადგენდა გლეხობის შეგნების სოციალისტურად გარდაქმნის მატერიალურ ბაზას, მაგრამ ამ პროცესის დაჩქარებაში, კოლმეურნე გლეხობის კოლექტივიზმის სულისკვეთებით აღზრდაში, სოციალიზმის შეგნებულ მშენებლად მის გარდაქმნაში უდიდესი როლი ეკუთვნოდა კომუნისტურ იდეოლოგიას, პარტიის პოლიტიკასა და ორგანიზატორულ მუშაობას.

„კოლხეთის ცისკარის“ დადებითი გმირი არა მარტო მებრძოლია ძველი ცხოვრების წინააღმდეგ, არამედ შემქმნელია სოციალისტური სინამდვილისა. ამ გმირის ძალა და მნიშვნელობა განსაზღვრულია იმით, რომ იგი ნაჩვენებია ისტორიის შემოქმედ ხალხთან, კოლექტივთან უწყვეტ ერთიანობაში, რევოლუციური შრომისა და ბრძოლის პრაქტიკაში. კომუნისტი ტარასი ხაზარაძე თავდადებული ერთუზიასტია, უდრეკი და ინიციატივიანი მშენებელი ახალი ცხოვრებისა. იგი სიმართლის მოყვარულია, უმწიკვლო და მხნე. მასში ჩვენ შევიცნობთ გონიერ, ენერგიულ, გულისხმიერ ორგანიზატორს, პარტიის ერთგულ შეილს და მისი დიდი იდეების პრობაგანდისტს.

ტარასი ხაზარაძე მტკიცედ მიჰყვება თავის მიზანდასახულებას. მას აქვს უნარი დიდსა და პატარაში იპოვოს მთავარი რგოლი, რომლიდანაც უნდა დაიწყოს ისტორიული საქმე. იგი საკოლმეურნეო მშენებლობაში მტკიცედ ატარებს პარტიის ხაზს—გლეხებს რაზმავს ნებაყოფლობით, დარწმუნებით და არა ადმინისტრირებით. ამ საქმისათვის მან შემოიკრიბა ღარიბთა საი-

ნიციტივო ჯგუფი. ტარასი ხაზარაძეს თავისი პირადი ცხოვრება უკანა პლანზე აქვს გადაწეული, უპირატესობას ყოველთვის საერთო ინტერესებს აკუთვნებს! რაწამს ყურს მოკრავს არტელის ქალების საყვედურს, რატომ ჩვენთან ერთად ტარასის ცოლიც არ მუშაობსო, იგი სთხოვს თავის ახლად ნაყვად-ყოფარ მეუღლეს სამუშაოზე გასვლას, რომ არავინ დასწამოს მას თავისი მდგომარეობის პირადი ინტერესებისათვის გამოყენება. ოჯახში იგი სათუთია, გულისხმიერი, მოყვარული თავისი მეუღლისა და შვილებისა.

არის მომენტი, როდესაც ტარასი „ჩავარდა“. ეს არის საერთო კრების მოქმედებელი მოწვევა, რის შედეგადაც ისარგებლეს სოფლის ბობოლებმა და პათზე აყოლილმა შეუგნებელმა გლეხებმა. მაგრამ ტარასის აქვს უნარი შეიგნოს და გამოასწოროს თავისი შეცდომა. მისი ძლიერების წყარო—პარტიაა. იგი გულდადებით უსმენს, მტკიცედ მიჰყვება მას. გაეისხენოთ ტარასი სამაზრო კონფერენციაზე, სადაც იგი მიხვდება თავის შეცდომას და ნათლად გაითვალისწინა კულაკის წინააღმდეგ თანამიმდევარი და შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობა. კულაკ ბრძანა საგანგაღობის ცდას, რომ როგორმე „საერთო ენა“ გამოიხატოს, მოათვინიეროს ახალი სოფლის მშენებელი, იგი ასე უპასუხებს: „ორი ხანჯალი ერთ ქარქაშში არ ჩაივება“. ეს გათავისუფლებული ღრმა შინაარსის გამოხატვლი იყო.

სოციალისტური სოფლისათვის ბრძოლაში იზრდება ახალი ადამიანები. გუშინდელი შევიწროებული, გათვლილი მოჯამაგირე მეჭი გახდა მოწინავე ადამიანი, თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები მან სხვის კარებზე სამსახურში გაატარა. მისი ცხოვრება მოჯამაგირეობის დროს გაბმული ტანჯვა იყო. გაყვლიფლ მდგომარეობაში ყოფნამ მეჭი დააბეჩავა. იგი სო-

ფელში მხოლოდ ზედმეტი სახელს იყო ცნობილი, მას მოსწონდა ბარბაქა საგანგაღობის თავნება ქაღალდისა და მაგრამ მისგან მხოლოდ აბუნად აგდებისა და დაცივნის მეტი არაფერი მიუღია. მეჭის ტანჯავდა ეს გატრეხული სიყვარული და ხშირად უცნაურ წარმოდგენებშიაც გადადიოდა. კერძო საკუთრების ბატონობის პირობებში აღზრდილი მეჭი თავისი ცხოვრების გაუმჯობესების გზას ხედავს მხოლოდ იქაში, რომ როგორმე დააგროვოს ფულეები და იყიდოს უღელი ხარი. იგი ყველაფერს იკლებს ამის გულისათვის. ტბა დაღებოდა, რაც მან შრომაში ოფლი დაღვარა, მაინც არაფერი გამოვიდა, მაინც ვერ განახორციელა თავისი ოცნება. მეჭი საბოლოოდ დაილუპებოდა ძველ საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში, მაგრამ თავის საბედნიეროდ იგი ცხოვრობს სხვა დროს, საბჭოთა ხელისუფლების დროს. სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლა მასაც ჩაითრევს და ერთ დროს დამცირებული მოჯამაგირე ხდება არტელის წევრი.

მოჯამაგირეობა სულიერად აბეჩავებს კაცს. მეჭი უკვე კოლექტივში იყო. მაგრამ ჯერ კიდევ თავისუფალ კაცად არ მიაჩნდა თავი. ამ ბეჩავ ხასიათს პირველ ხანებში ყოველ ნაბიჯზე აქვდა ეზება. დამახასიათებელია ერთი დეტალი: კოლექტივის წევრები შრომის შემდეგ სადილად დასხდებიან, მეჭიმ ჩუმად, ახანაგების შეუმჩნეველად ჭადი და ყველი მოიტეხა, გვერდზე მიბრუნდა და ჭამა დაიწყო. კომკავშირის მდივანმა ბაჭუა ვაშაიძემ რომ დაინახა ეს, გაუჯავრდა მეჭის, ვისი გეშინია, რომ ასე ჭურღულად სადილობო. მეჭიმ ვერაფერი უპასუხა, მხოლოდ დარცხენილად გაუღიმა და ჭამას თავი მიანება. კომკავშირის მდივანმა არ იცოდა, რომ მიკიტან ერემო პიტახიას ოჯახში მოჯამაგირე მეჭის პირში მისჩერებოდნენ, ლუკმას უთვლიდნენ. ასეთ პირობებში იგი

გადაეჩვია ადამიანურ ჭამას, საკმელს მხოლოდ მაშინ გაუწევდა ხელს, როცა მისკენ არავინ იხედებოდა. პარტიულ-კომკავშირულ გარემოცვაში მეჭი თანდათან თავისუფლდება მოჯამაგირეობის მონური შემკვიდრობისაგან. იგი კომკავშირის წევრადაც მიიღეს, წერა-კითხვა ასწავლეს. მეჭის ერთგულება კოლმეურნეობისადმი პირდაპირ თავგანწირულებამდე მიდის. იგი მზად არის შეასრულოს ყველაზე უძნელესი სამუშაოები, რასაც იგი კმაყოფილებითაც აკეთებს.

ამ ნაწარმოებში ნაჩვენებია ადამიანთა ზრდა სოციალისტური შრომის პროცესში. მაქსიმ გორკის თქმით, საბჭოთა ქვეყანაში — სოციალისტური შრომა არის ახალი ადამიანის ორგანიზატორი, ხოლო ახალი ადამიანი თავის მხრით — სოციალისტური შრომის ორგანიზატორი. ამ სიტყვებში დახასიათებულია ის ორმხრივი თვისება, რაც ნიშანდობლივია თავისუფალი შრომისა ჩვენს ქვეყანაში. მეჭის სახეში ავტორი გვიჩვენებს იმ უმაღლეს ბედნიერებას, რაც მოაქვს სასახელო შემოქმედებით შრომას და მის გამაქეთილშობილებელ ძალას. ერთგული და უანგარო შრომით მეჭიმ არტელში იმდენი პატივისცემა მოიპოვა, რომ მას ავზავნიან სატრაქტორო კურსებზე. მეჭის მოყავს პირველი ტრაქტორი სოფელში. ტრაქტორზე მხოლოდ ერთი წელი იმუშავა. შემდეგ იგი ნაეკლარის სუბტროპიკულ სადგურში გაგზავნეს პრაქტიკაზე. იქ მან შეისწავლა ხეხილის მუშობა, მცენარის შეჯვარება, ახალი თესლის გამოყვანა. ჩაისა და ნარინჯების მოვლა-მოშენებაც ასწავლეს. მეჭი თითქოს მეორედ დაიბადა. ასე გახდა იგი დამახასიათებელი წარმომადგენელი ახალი ცხოვრების მიერ სამოქმედო სარბიელზე გამოყვანილი ადამიანებისა.

განახლებული სოფლის ადამიანებს კ. ლორთქიფანიძე იძლევა უწყვეტ განვითარებაში. მაგრამ მათი ეს ზრდა არ

ხდება თავისთავად, ის დაკავშირებულია პარტიის დიდ მუშაობასთან, საკოლმეურნეო მოძრაობის აღმავლობასთან. ამგვარად, კ. ლორთქიფანიძე „კოლხეთის ცისკარში“ გვიჩვენებს კოლექტივიზაციის პირველ შედეგებს, რაც გამოიხატა ადამიანების სულიერ, კულტურულ ზრდაში და სასოფლო მეურნეობის მატერიალურ — საწარმოო აღმავლობაში.

გიორგი ჯიშკარიანი ღარიბი გლეხი. მისთვის კერძო — მესაკუთრული ინდივიდუალისტურ ცხოვრებისაგან თავის დაღწევა უკვე დღის წესრიგში დგას. მაგრამ მის შემეცნებაში მაინც არის დარჩენილი კუნძულები, სადაც ბუღობს გაურკვეველობა, იჭვიანობა. ძველი ქვეყნის სინამდვილეში აღზრდილი ჯიშკარიანი არ იყო სავსებით თავისუფალი წარსულის უარყოფითი გადაწმობისაგან. იქმნება რა ახალი, სოციალისტური საზოგადოება, ადამიანებს მაინც არ შეუძლიათ ერთი დაკვერით განთავისუფლდნენ იმ სუსტი მხარეებისაგან, რაც მეშვიდრობით მიიღეს კაპიტალისტური საზოგადოებისაგან. ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების სრული აღმოფხვრისათვის აუცილებელია ხანგრძლივი და სისტემატური მუშაობა. სოფელ ზემოციხის კომუნისტების ხელმძღვანელის რაისი ხაზარაძის დამაჯერებელი ახსნა-განმარტება ჯიშკარიანში უკვე სპობს იჭვიანობას. გიორგი ჯიშკარიანი დარწმუნდება ახალი ცხოვრების უპირატესობაში. არის მომენტები, როდესაც ზოგჯერ მასში კერძო მესაკუთრის ინსტიტუტები შემდეგშიაც იჩენენ თავს. მიუხედავად ამისა, მისი მომავალი ცხოვრების გზა უკვე გარკვეულია. იგი თავის მეზობელ ღარიბ გლეხებთან — კირილე მიქაქესთან, ლევან კინწურაშვილთან, კირილე უკლებასთან და სხვებთან ერთად გახდება საკოლმეურნეო მშენებლობის ენერგიული მოღვაწე.

ჩვენს პირობებში კონფლიქტი იქმნება იმის საფუძველზე, რომ „მე“ უკან რჩება საზოგადოებრივ მოძრაობას, განვითარებას. ახალი და ძველი ცხოვრების ტიპილი კონფლიქტს ბადებს თვით ოჯახის შიგნითაც. კომკავშირის მდივანს ბაჭუა ვაშაქიძეს უკვე თითქმის აღარაფერი აკავშირებს კერძომესაკუთრებითს მისწრაფებებთან, მაგრამ მშობლები, ოჯახი არ თანაუგრძნობს მის შედგომას ახალ გზაზე. ამ ნიადაგზე იზადება შეჯახება შეილსა და მამას შორის. ბაჭუა ვაშაქიძე მაინც არ იხვევს უკან. იგი ახალი ცხოვრების მშენებელთა მოწინავე რიგებში დგას. მისი სახე უაღრესად მიმზადველად აქვს მწერალს დახატული.

კ. ლორთქიფანიძე გვიჩვენებს საშუალო გლეხის სახეს, გლეხისა, რომელიც ჯერ კიდევ მოათრევს წარსულის ტვირთს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა კერძომესაკუთრებითი შეგნებისაგან. საშუალო გლეხს არ შეეძლო ერთბაშად განთავისუფლებულაყო ძველი წარმოდგენებისაგან, ინდივიდუალისტური შეგნებისაგან. ამიტომ ეშინოდა მას სიახლის, ეჭიდებოდა ძველს, ხშირად სრულიად მცდარი წარმოდგენა ჰქონდა საკოლმეურნეო მშენებლობაზე. კულაკურ ბურჟუაზიული ფენები ყოველნაირად ცდილობდნენ გამოეყენებინათ გლეხის წვრილმესაკუთრული ჩვეულებანი, ტრადიციები, ნერგავდნენ მასში ურწმუნობას საკოლმეურნეო ცხოვრებისადმი. მხოლოდ კომუნისტური პარტიის მტკიცე და სისტემატურმა მუშაობამ სოფლად უზრუნველყო საკოლმეურნეო გზისაკენ საშუალო გლეხის შემობრუნება, მისი სოციალისტური განვითარების გზაზე დადგომა.

საშუალო გლეხი ასლან მარგველაძე თავისი დროის შვილია, მის ბუნებაში ჯერ კიდევ საგრძნობია ძველი, უცხო წარმოდგენები, კერძო მესაკუთრის ინსტინქტები. „განა ლობე მხოლოდ

იმიტომ დაწესდა ქვეყანაზე, ეხო-გარემო საქონელმა არ მოგვითარქმუნაშ-ანა, ჩემო ბიძი, არა! კაცი რომ დინამდებდა სახელი უნდა დაერქვას, სახელი! მიწაც ვერა... ლობე მიწის სახელია! რასაც ლობე აქვს, იმას პატრონიც ჰყავს!“ ერთი ნაჭერი მიწისათვის დაუსრულებელი დავა და უთანხმოება ჰქონდა ერთმანეთთან ასლან მარგველაძესა და გიორგი ჯიშკარიანს. ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც დამყარებული იყო კერძო საკუთრებასა და ადამიანის მეორე ადამიანის ექსპლოატაციაზე, ადამიანებში ავითარებდა ყველაზე დაბალ ინსტინქტებს. მარგველაძე ბოლომდე მხოლოდ ისეთ საქმეს მიჰყვებოდა, სადაც რაიმე გამოსარჩენს ხედავდა. ცნობილია, რომ საშუალო გლეხს ყოველთვის ჰქონდა „ორი სული“, ყოველთვის იყო გაორებული. ერთი მხრით, იგი არის მშრომელი, არ უწევს ექსპლოატაციას სხვას, პირიქით, თვითონ განიცდიდა მემამულეთა, კულაკებისა და ბურჟუაზიის ექსპლოატაციას. მაგრამ, მეორე მხრით, საშუალო გლეხი — კერძო მესაკუთრე, საწარმოო იარაღების მფლობელია, რომელიც ყიდის მოხმარების საგანს. მას რომ ჰქონდეს კერძო საკუთრება, იგი ამაში დაინტერესებულია. აქედან — საშუალო გლეხის მერყეობა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. ამაში მდგომარეობს საშუალო გლეხის ორმაგი სული, ორმაგი ბუნება. ამ თვისებას სავსებით ამქლავნებს ასლან მარგველაძე. იგი რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ფსიქოლოგიის შემცველია. არტილის ჩამოყალიბებისას იგი განზე გადგა, ხოლო ტარასი ხაზარაძის თხოვნაზე, რომ კოლმეურნეობაში შესულიყო. ასე უპასუხებს: „რა ვქნა, ტარასი! ცოტახანს კიდევ მაქალი, ენახოთ, მომავალი რას გვიჩვენებს!“ ცალი თვალით იგი კულაკ ბარნაბა საგანელიძისაკენაც კი იცქირება. მაგრამ საბოლოოდ მისი გზა მაინც კოლმეურნეობისა-

ენაა. არც თუ ისე დიდი დრო დასკი-რებია ასლან მარგველაძეს, რომ დარწმუნებულიყო კოლმეურნეობის სიმტკიცესა და უპირატესობაში.

ასლან მარგველაძის სახით მწერალმა გვიჩვენა გუშინდელი კერძო მესაკუთრე საშუალო გლეხის საკოლმეურნეო მშენებლობის აქტიურ მონაწილედ გახდომის ღრმა ფსიქოლოგიური პროცესი, მისი განთავისუფლება კულაკების გავლენისაგან.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩვენში ჯერ კიდევ იყო კულაკების კლასი და პარტიის შიგნით გამძვრალი აგენტები ექსპლოატატორთა კლასისა. კ. ლორთქიფანიძემ რომანში მთელი სიმკაცრით ამხილა საბჭოთა ხალხის გაბოროტებული, ვერაგი და დაუნდობელი მტრები. ბარნაბა საგანელიძე არ არის ჩვეულებრივი საპლაკატო კულაკი — ჩასუქებული და მხეცური გამომეტყველებით. იგი უფრო „მწვიდი“ შესახედავია, უფრო სწორად, მოხერხებული, შენიღბული კლასობრივი მტერია. ბარნაბა საგანელიძე ცხოვრებიდან უბრძოლველად არ აპირებს წასვლას, პროვოკაციულ აგიტაციას ეწევა არტელის წინააღმდეგ, ცდილობს ღარიბი გლეხობის ზოგიერთი წარმომადგენელის გამოყენებას თავისი შავი ზრახვებისათვის. საგანელიძე არავითარ საშუალებას არ ერიდება გლეხობაზე თავისი გავლენის გაძლიერებისათვის. თუ განზრახულია თვითდაბეგვრით ზიდის აგება, იგი გლეხობას ჩასჩიჩინებს, თქვენ თავს ნუ შეიწუხებთ, ამას მთავრობა გაგაყვითებთო, ხოლო ჩვენ ფული არ უნდა გაგილოთ ამ საქმისათვისო, იმიტომ, რომ სულერთია, ზიდს ადიდებული მდინარე წაიღებსო და ჩვენს ფულს ბაჟილად ნუ გადაყრით წყალშიო: იმ ბალ-ვენახში, რომელიც მას ჩამორთმეოლი აქვს, თხებს მიერეკება, რომ ხალხს უთხრას: შეხედით, მოუვლელია რომელი ნადგურდება დიდი განძით. ბარნაბა საგანელიძე აქე-

ზებს შეუგნებელ გლეხებს და გლეხ ქალებს, რომ ჩამალოს კრეტულს დაარსების გამო მოწვეულმა მტრმა გლეხ ქაწინა და დეკლასირებული ახალგაზრდების წყალობით იგი ობსტრუქციას უწყობს მიტინგს.

ბარნაბა საგანელიძეს ნამდვილად სძულდა ხალხი და ამის დამალვას ვერც ახერხებდა. სოფელში არც ერთ კაცს თავის ნამდვილ სახელს არ ეძახდა, ყველას გამოუნახავდა რაღაცნაირ დამამიცირებელ ნართაულა სახელს. იგი თავისივე მსგავს ანტისაბჭოთა ელემენტებთანაა დაკავშირებული (გელოვანი, ხაქომია) და ყოველთვის იმის ცდაშია, რომ დაფარულად და მოხერხებულად ებრძოლოს ხალხს. ბარნაბა ტენწი და დაუნდობელია. მას არც ნათესაობა, არც კარგი კაცობა, არც სტუმარმასპინძლობა არ სწამდა. მისი ჩაგონებით იძიეს შური მეჭიზე, როდესაც მოყავდა სოფელში პირველი ტრაქტორი.

ბარნაბა საგანელიძესთანაა ერემო პიტახია — მიკიტანი, გაუმძლარი ექსპლოატატორი. მისი მტაცებლური ბუნება მოჩანს ყოველ საქმიანობაში, ქცევაში. ქორწილიდან გამოიქცეოდა, მომავლადი შვილის საწოლს დატოვებდა, რომ ახალ გათენებულში საბაზროდ მიმავალ გლეხებს ჩასაფრებოდა და ვაჭრობაში მოერყუებინა. მან თავის მოჯამაგირე მეჭის სიცოცხლე გაუმწარა.

„კოლხეთის ცისკარში“ ნაჩვენებია სოფლის საბჭოს თავმჯდომარის—ტუჩა დაშნიანის სახე. იგი გადაგვარებული, ზნიდაცემულია, მტრულ ელემენტებთან არის დაკავშირებული. მაგრამ ავტორმა ერთი-ორი მტრისხით მაინც ვერ შექმნა ამ პიროვნების დასამახსოვრებელი სახე. მკითხველი მას ვერ ხედავს, ვერ გრძნობს. ასევე, არაა დამთავრებული ზოგიერთი სხვა სახეც (მართა გორდაძე, დოფინა). არის რომანში არატიპური, შემთხვევითი კონფლიქტებიც.

აგრონომი გეგელია არის ძველი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის იმ ფენის წარმომადგენელი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში შეხვდა მტრულად. პირველ ხანებში იგი მანებლობასაც ეწეოდა. მაგრამ შემდეგში რწმუნდებოდა, რომ მანებლობით ვერაფერს გახდებოდა და თავისებური პროგრამით მიდის საბჭოთა ხელისუფლებასთან. როგორც სპეციალისტს, სერიოზულ დავლებებს აძლევენ ტექნიკურ კულტურათა განვითარების საქმეში.

მაინც გეგელიას საზე გამოვარდნილია რომანის ორგანული სიტუეტური ხაზიდან. ამიტომ არის, რომ ავტორს მის შესახებ უფრო მეტად უხდება საუბარი, ვიდრე ჩვენება. „კოლხეთის ცისკარში“ გმირების სიცხოველესა და რელიეფურობას დიდად უწყობს ხელს ოსტატობა ფსიქოლოგიური დახასიათებისა, რასაც საუცხოოდ ფლობს კ. ლორთქიფანიძე. მაგრამ ამ ნიშნით ვერ აქვს ნაჩვენები მას გეგელია. იგი მხოლოდ „პუბლიცისტური“ მსჯელობის გზით არის დახასიათებული ნაწარმოებში.

უდავოა, რომ მაღალიდებული შინაარსი აუცილებლად გამოთქმული უნდა იქნეს ადეკვატურ მხატვრულ ფორმაში. ეს ცხადია კ. ლორთქიფანიძისათვის. „კოლხეთის ცისკარში“ იგი ყველა თავის პოეტურ ხერხს უფარდებს საერთო-შემოქმედებით მონაფიქრს — გამოხატოს ცხოვრება მთელ თავის მრავალფეროვანებაში. ქართული სოფლის ცოდნით არის ასახული ყოფითი სცენები. რეალისტური სისრულით და რელიეფურობით არის დახატული ბაზრობის სცენა, სოფლის გამოღვიძების სურათი და სხვა.

კ. ლორთქიფანიძე მოხერხებულად იყენებს ხალხურ ლექსებსა და სიმღერებს, ენამახვილ თქმებსა და ანდაზებს. ხშირად გვაქვს ნაწარმოებში დამახასიათებელი მხატვრული დეტალი. ეს დე-

ტალები რელიეფურად ანათებენ ამბავსა თუ შემთხვევას, გმირის სულიერ მდგომარეობასა თუ მისწრაფებებს.

„კოლხეთის ცისკარში“ კ. ლორთქიფანიძე მხატვრული სიძლიერით აყალიბებს გმირის დასრულებულ პორტრეტს. ტარასი ხაზარაძის შესახებ რომანში ვკითხულობთ: „ზემოციხის კომუჯრედის მდივანი ტარასი ხაზარაძე სწორედ იმიტომ უყვარდა სოფელს, რომ ლაპარაკზე მეტად მოსმენია უყვარდა. მისი სახლის აივანზე მუდამდღე ტრიალებდნენ რჩევა-დარიგების მისაღებად მისული გლეხები. მუდამ ჩაფიქრებული, მუდამ რაღაცაზე მზრუნველი ტარასი ცოტა გულჩათხრობილი კაცი ეგონებოდა პირველად მნახველს, მაგრამ დაილაპარაკებდა თუ არა, იგი ერთბაშად შეიცვლებოდა, მაღალი, ნათელი შუბლი გაეხსნებოდა, თათლისფერ თვალებში კეთილი სხივი ჩაუდგებოდა, ტუჩების კუთხეებში თავმოყრილი ნაოჭები სადღაც გაჭკრებოდნენ და ისე შემოგხვდავდა, თითქოს დიდხნის ნაცნობს გიყურებდა. სწორედ ამიტომ იყო, იგი ადვილად პოულობდა ადამიანის გულის გასაღებს. ლამაზი კაცი იყო, პირგრძელი და ცოტა გამხდარი. თავზე სიმინდის ფოჩივით რბილი და ხასხასა თმა ჰქონდა. მხოლოდ სიცილი უფუჭებდა მაღლიან გარეგნობას. იცინოდა უხმოდ, უსიამოვნოდ, თითქოს ვისმე დასცინოდა“. ეს უკვე დასრულებული და მთლიანი პორტრეტია. ასეთი პორტრეტული ხატვა კ. ლორთქიფანიძეს საუცხოოდ ეხერხება. მის მიერ გამოძიწული პორტრეტები არ ხასიათდებიან სტატიკურობით, პერსონაჟის სულიერ მდგომარეობასთან ერთად იცვლება მათი გარეგნობაც...

კ. ლორთქიფანიძე დიალოგის ოსტატია. ეს დიალოგი ყოველთვის შეითანხმება გარემოსა და გმირის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ზოგჯერ ავტორი თვითონ მოხერხებულად და უშუა-

ლოდ ჩაერევა ამბავის განვითარებაში, დიალოგში.

კ. ლორთქიფანიძეს განვითარებული აქვს ბუნების გრძნობა. მას მკვეთრი და დაკვირვებული თვალი აქვს. აპიტომ ბუნება მნიშვნელოვანი და ორგანული სტრუქტურული ნაწილია ნაწარმოებისა. ბუნება განუყოფელია ადამიანისაგან, მისი ბედისა და ბრძოლისაგან, ის თანაუგრძნობს ადამიანს მის სიხარულსა და მწუხარებაში. ბუნების სურათი ხშირად გვიხსნის ადამიანის შინა-სამყაროს, მისი განწყობილების თავისებურებას.

„კოლხეთის ცისკარს“ მაინც ახასიათებს ზოგიერთი ნაკლი. მასში სუსტად არის ნაჩვენები პარტიული ორგანიზაცია. პარტია, როგორც ხალხის წამმართავი ძალა მთელი თავისი მოცულობით არ ჩანს ნაწარმოებში. რასაკვირველია, არ იქნება სწორი, რომ პარტო ტარასი ხაზარაძეში დაეინახოთ მთელი პარტია, რომანში ვერ ვხედავთ ვერც ქალაქისა და სოფლის ურთიერთობას, მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს სოციალისტურ მშენებლობაში.



შემდეგ ნაწარმოებებში კ. ლორთქიფანიძემ მთავარი ყურადღება მიაქცია, ერთი მხრით, სამოქალაქო ომსა და, მეორე მხრით, დიდ სამამულო ომს. ამ მასალაზე აგებულ ნაწარმოებებისაგან განსხვავებულია მხოლოდ „მოგზაური“, რომელშიაც ასახულია მაქსიმ გორკის მიერ ახალგაზრდობის წლებში ნახული შემაძრწუნებელი ეპიზოდი გორში უდანაშაულო გლეხების — ხუბულურისა და სხვების სიკვდილით დასაჯისა. მწერალი წარმოგიდგენს იმ ხალხის განწყობილებას, რომელიც აღმფოთებით და მრისხანებით შეპყრებდა მეთის ჯალათების ძალადობას ადამიანებზე. მოგზაურმა გაიგო, რომ ხუბუ-

ლურმა საცოლეს შეურაცხყოფის გამო მოკლა თავადი და ტყეში გაიქრა. მელის მთაერობის ხელში ჩაეპარდნენ ხუბულურს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტეს, მაგრამ იგი ვერ შეაკრთო ამ განაჩენმა. სიკვდილზე მაღლა იგი აყენებდა ამაღლებული და უმწიკვლო სიყვარულის შთაბეჭდილებას. ასე ნახა მოგზაურმა სიყვარულისათვის დასჯილი ვაჟკაცის გამარჯვება სიკვდილზე. ამ ამბავს დაესწრო ყრმა სტალინი, რომელიც გორის სასწავლებელში სწავლობდა.

იმხანად არის დაწერილი მ. გორკის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები „ქალიშვილი და სიკვდილი“.

კ. ლორთქიფანიძემ უდანაშაულო გლეხების სიკვდილით დასჯის შემთხვევა დაუკავშირა გორკის „ქალიშვილსა და სიკვდილს“. შესანიშნავად არის კ. ლორთქიფანიძის მიერ წარმოდგენილი თავისი მოთხრობის დასასრული: „მტკვრის პირას, მეტივეთა კარავში, მოგზაურს მებლებზე რვეული გაეშალა და წერდა... წუხელ მოგზაურს მეტივემ უამბო, რისთვის ეწამა ხუბულური, რა ვაჟკაცურად მოკვდა! მშვიდად, აუჩქარებლად ავიდა სახრჩობელაზე, როგორც დაღლილი მუშაკაცი თავის სახლის კიბეზე აღის, და როცა ჯალათი ტომრის ჩამოსაცმელად მიუხლოვდა, ხუბულურმა უღვაშებში ჩაიციინა, თითქოს მთელი ქვეყნის რალაც სამარცხეინო საიდუმლოება იცოდა... და მოგზაურიც წერდა... ადიდებდა იმ წმინდა გრძნობას, რომელიც სიკვდილზე ძლიერი იყო. ასე იწერებოდა მისი უკვდავი პოემა „ქალიშვილი და სიკვდილი“. კარგად რომ მოთენდა, მტკვრისპირას შეგირდებმა ჩაიარეს, მოგზაურმა თვალი მოჰკრა ნაცნობ ქოჩორს. „ჩამომსვი, ძია კაცო!“ — ხელახლა მოესმა თითქოს. რას იფიქრებდა მაშინ რუსი მოგზაური, რომ ეს ჩოჩორა ბიჭი, ორმოცი გრძელი წელიწათი რომ გაივლიდა, ასე წააწერდა გორში შთაგონებულ

ბოემას: „ეს ნაწარმოები უფრო ძლიერია, ვიდრე გოეთეს „ფაუსტი“ (სიკვდილს ამარცხებს სიყვარული)“.

სიყვარულის სიკვდილზე გაძარჯვების იდეა, ასეთი ბრწყინვალეობით აღბეჭდილი მ. გორკის მიერ, უფრო ღრმად და სწორად გამოხატავს ისტორიული პროგრესის არსს, ვიდრე გოეთეს „ფაუსტის“ პესიმიზტური მოტივები.

„მოგზაური“ თავისებური პოეტური სურათია, რომელიც მკითხველში იწვევს დასრულებულ და მძაფრ შთაბეჭდილებას; ამ პატარა მოთხრობაში ჩვენ ვხედავთ გმირების გარეგნობას, გვესმის მათი ამოძახილები, თუ საუბრის ხმები და ინტონაციები. ორიგინალურია ნაწარმოების კომპოზიცია. დამახასიათებელი და რელიეფურია ყოფითი ეპიზოდები.

ბელორუსი ხალხის ცხოვრების მასალაზე კ. ლორთქიფანიძემ დახატა სამოქალაქო ომის სურათები, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მოთხრობები — „ფუნდუკში“, „ცხენი“, „ისევ ცხენი“ და „უკვდავება“ — აგრძელებენ ერთიმეორეს. ასე რომ, კომპოზიციურად ამ ციკლის მოთხრობები ორგანიზულად არიან ურთიერთთან დაკავშირებული.

„ფუნდუკში“ ასახავს იმ დროს, როცა ბელორუსიის გლეხობა მთელი სიმწვავეით განიცდიდა იმპერიალისტური ომის საშინელ შედეგებს. ზავი და მიწა ენატრებოდა გლეხობას. ლატაკი გლეხობის ეს ნატვრა და ოცნება დამაჯერებლადაა გამოხატული მოთხრობაში. ფუნდუკში ზის მოხუცი ბაბუა რუხლო და დამსწრეთ უყვება ზღაპარს, რომელშიაც გამოხატულია ხალხის ნატვრა და ოცნება მიწაზე. ზღაპარში ბაბუა ლაპარაკობს ურჩ ცალთვალაზე, რომელიც ღმერთის წინაშე გაკადნიერდება და მოითხოვს — რასაც ჩემი უკანასკნელი თვალი აიწონის, იმდენი მიწა მომეცი-

თო. მოიტანეს ყანთარი, მის ერთ ჯამზე ცალთვალას უკანასკნელი ფეხი დადგედეს, მეორეზე აყრიდნენ ღრუჭრიდნენ მიწას ნიჩბებით, გოდრებით, ურმებით. ვერაფერი მოუხერხეს, მთელი ჭალის მიწა მოზიდეს. ყანთარის ისარი მაინც თვალისკენ იყო გადახრილი. მოხუცი თავის ზღაპარს ასე ამთავრებს: „იმ პატარა თვალში იმდენი ცრემლი იყო, იმდენი დარდი და უძილო ღამე, მთელი პოლესიეს მიწაც რომ მოეტანათ, მას მაინც ვერ გადაწონიდნენ“.

ასეთ მხატვრულ ხერხს მიმართავს მწერალი უმიწაწყლო ბელორუსი გლეხების მდგომარეობისა და მისწრაფების გამოსახატავად. იქვე, ფუნდუკშივე, გრაბკო ჩაფიქრებული ამბობს: „კარგი ზღაპარია“, თანაც ოცნებობს — ნეტავ იგი დასვა ცალთვალას ადგილზე. „ეს ჩუმი ნატვრა შინაგანი სიხარულით ანათებს გრაბკოს გამოხუნებულ პირისახეს და თითქოს მიწაში ჩაფლული განძი რამ ენახოს, ხარბად იცქირება ზღაპარში, გონების თვალთ უკვე ხედავს, როგორ მოუწონიან ღარიბ ჩალვადარს პან სნედეკის უღვეველ მინდვრებს“. მეორე მოთხრობაში — „ცხენი“ გამოჩნდება მოხუცი რუხლოს შვილი მიხასი, რომელიც ომში იყო გაწვეული, დაიჭრა და ლაზარეთში იწვა. მთავარი აქაც ისევ ნატვრაა და ოცნება ცხენზე, მიწაზე. მიხასი გამოიქცევა ლაზარეთიდან, მოიტაცებს ცხენს და პოლისიეში დაბრუნდება; „ისევ ცხენი“ გამოხატავს ბელორუსელ პარტიზანთა ბრძოლას სამოქალაქო ომის წლებში. მათი დამახასიათებელი წარმომადგენლებია გრაბკო, პისკუნნი. პისკუნის მამა გაიდამაცებმა აწამეს. მისი სახლკარი გადასწევს და ახლა „ობოლი ყმაწვილი გრაბკოს დაჰყავს მკვლელების კვალზე მამის წმინდა სისხლის გასაქვითებლად“; „უკვდავებაში“ დახატულია ის დიადი გრძნობა, რომელსაც ვერაფერითარი სიყვდილი ვერ მოერევა. ეს არის საშობ-

ლოსადმი სიყვარულის გრძნობა, რაც უკვდავებას ანიჭებს ადამიანს.

„ბელორუსული მოთხრობები“ მიუთითებს კ. ლორთქიფანიძის შემოქმედების ფართო დიპაზონზე. მოთხრობების ამ ციკლის უმთავრესი ღირსება ის არის, რომ მწერალმა შექმნა მოქმე ხალხის ცხოვრების რეალისტური დახატვა, ადამიანების ბუნების, ფსიქოლოგიისა და შეგნების თავისებურებათა და წინააღმდეგობათა მართებული ასახვა. ამ ნაწარმოებების გაცნობის შედეგად მკითხველი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ბელორუსი ხალხი მძიმე გამოცდისა და ბრძოლებით გამოვიდა სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე.

სამამულო ომის თემაზე დაწერილი ნაწარმოებების ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ვიგრძნოთ საბჭოთა ხალხის გმირული სული, მისი განუსაზღვრელი სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი. „მაისის დღეაში“ მოთხრობილია ორი ძმის — ჯარისკაცების მოულოდნელი შეხვედრა ბრძოლის ველზე. ძმების ეს შეხვედრა შეპირობებული იყო საბელოვანი ბრძოლებით, რაც მათ გადაიხადეს სამშობლოს თავისუფლებისათვის. მხოლოდ პატრიოტულმა მგზნებარებამ დააკავშირა გასაჭირის დროს ერთმანეთთან მძაფრ ომში მყოფი ძმები. სურათი მკაფიო და დასრულებულია. ასეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს მოთხრობა „როგორ მოკვდა მოხუცი მებადურის“ მთავარი გმირი ვასილი ჟიგა, რომელმაც თავისი სიცოცხლე გასწირა, რომ ამით სამშობლოსთვის სამსახური გაეწია. იგი გმირულად შეხვდა სიკვდილს. სწორედ ასეთმა ახალგაზრდა და მოხუცმა პატრიოტებმა თავიანთი თავდადებით მოუტანეს საბჭოთა სამშობლოს ძლიერება და გამარჯვება ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„უსახელო მაღლობზე“ — გვიამბობს ქართველი ჯარისკაცის თავგადასავალს.

მებრძოლ ლაღო ვაშალომიძეს დავალებული აქვს პატარა მაღლობის დაცვა, რომელსაც სტრატეგიულად დიდ მნიშვნელობა აქვს. ამ მაღლობისაკენ მისწრაფის მტერიც. ბრძოლაში ჩაბმულ ვაშალომიძეს შემოეცალა თანამებრძოლი, ყველანი დაიღუპნენ. თქმონი მძიმედ დაპრილი ვაშალომიძე სანგარში მარტო დარჩა, იგი მაინც იბრძვის თავგამოდებით, სისხლისაგან იცლება, გონება ეკარგება, მაგრამ იმის გრძნობა კი შერჩა, რომ მაღლობზე მტერი არ შემოუშვას, იქნებ მალე ჩვენებმა მოუსწრონ. ებრძვის ვაშალომიძე სიკვდილს... ეჩვენება—თითქოს მის წინ უზარმაზარი რუკა გაშლილი! „რუკაზე სტალინი დახრილიყო, ხელში წითელი ფანქარი ეჭირა და გენერალ ლესელიძეს დინჯად ეუბნებოდა:

„— ეს მდინარე გადავლახეთ, ხვალ ამ ქალაქს დაეიბრუნებო, — და იმ ადგილს წითელი ხაზი შემოავლო სტალინმა, მერე მარცხნივ გახედა რუკას და წარბი აზიდა...

„— ამ გორაკს კი, ეტყობა, ვეღარ შეინარჩუნებო. — მკაფიოდ ჩაესმა ლადოს მთავარსარდლის ხმა და თვალი შეასწრო, რომ ეხლა სტალინმა ფანქარი შეაბრონა და გორაკს ლურჯი წვერი დაუმიზნა...“

„...მართლა გაახილა თვალები ვაშალომიძემ. ისევ შეერთდა თითქმის გათიშული სული და ხორცი და ერთის წამით ჯარისკაცი სიკვდილს გამოეჭია.

„ნელა გამართა მარჯვენა ხელი. მზეზე გახურებულ ფოლადს ცივი თითები შეახო და იმ თითებში დაუგროვდა, თუ რამ ძალა კიდევ დარჩენოდა.

„სასხლიტი მოზიდა და, როგორც გამოუტანელ სიზმარში, ბუნდოდ დაინახა: გორაკზე ამოსული გირმანლი უცერად წელში გაიმართა, შეტრიალდა და თავდაყირა დაეცა“.

მომაკვდავი ვაშალომიძე ბელადის განზრახულობაზე ფიქრობს. მისი უანასკნელი სიტყვებია:

„— ხომ აღარ დასკირდა... ლურჯი ფანქარი!“

კ. ლორთქიფანიძემ ამ მოთხრობაში გვიჩვენა, რომ საბჭოთა ადამიანისათვის არ არსებობს პირადი ინტერესი საბჭოთა ხალხის ინტერესების გარეშე, რომ საშობლოს ბედნიერების გარეშე წარმოუდგენელია საბჭოთა ადამიანის პირადი ბედნიერება.

ფსიქოლოგიური ანალიზის დიდი ძალით არის დახატული საბჭოთა პეტროლის სახელოვანი თავგადასავალი.

კ. ლორთქიფანიძე არ გვიხატავს ლადო ვაშლომიძეს ზღაპრული გოლიათობის მატარებლად, იგი ჩვეულებრივი რიგითი საბჭოთა ადამიანია. ავტორი არ გაურბის ისეთ მომენტების აღწერასაც, როდესაც ვაშლომიძეს თითქოს სისუსტე შეეპარება. პირველ ხანებში, მართლაც „შიშმა დაურიდებლად ხელი ჩაჰკიდა და სწრაფად წამოიწია“, რის გამოც მოეჩვენა, რომ გერმანელები მოხობავენ და „ზედოზედ უსროლა ფერდობზე დაყრილ მოკლულებს“, შემდეგ „ერთხელ თოფი კინალამ შემოაბრუნა, რომ გაუგონარ წამებას ბოლო მოღებოდა“. ეს ჩვეულებრივი ადამიანური ნიშნებია. მაგრამ საბოლოოდ მას ერთი აზრი ამოძრავებს, რომ ცოტახნით მაინც შეაჩეროს მტერი.

ვაშლომიძის სიკვდილი ნამდვილად უკვდავების ბრწყინვალე და ამაღლებელი ჰიმნია.

* * *

ენა მწერლისათვის დაახლოებით იგივეა, რაც მხატვრისათვის საღებავები. რამდენად მდიდარია მხატვრის პალიტრა, მით უფრო მეტი შესაძლებლობაა მის განკარგულებაში თავისი მონაფიქრის გამოთქმისთვის; რამდენად მდიდარია მწერლის სიტყვიერი მარაგი, მით უფრო ბრწყინვალე.

კ. „მოთხრობა“ № 2

ფერადოვანია მისი ნაწარმოები. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ სიტყვიერი სიმდიდრე, რამდენად დიდიც არ უნდა იყოს, ჯერ კიდევ წინასწარ არ განსაზღვრავს მწერლის მხატვრულ ოსტატობას. „ლექსიკური შემადგენლობა, თავისთავად აღებული, როდი შეადგენს ენას, — იგი უფრო ენის საშენ მასალას წარმოადგენს“ (ი. სტალინი). მწერალს უნდა შეეძლოს ლექსიკური სიმდიდრის აზრიანი, სწორი განაწილება—დაუმორჩილოს გრამატიკულ წყობას და ამ სიმდიდრისაგან ისე შექმნას მხატვრული ფორმები. ენის ლექსიკური შემადგენლობა განუწყვეტლივ იცვლება „სოციალური წყობილების შეცვლასთან, წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით“ (ი. სტალინი). მწერლებს ცხოვრებისაგან შემოაქვთ ლიტერატურაში ახალი სიტყვები, და თუ ეს ახალი სიტყვები აუცილებლობით არის გამოწვეული, მაშინ მკვიდრდებიან ენაში. მაგრამ ხალხისათვის საჭირო ახალ სიტყვებთან ერთად ზოგჯერ მწერლებს ნაწარმოებებში შემოაქვთ შემთხვევითი, უსარგებლო სიტყვები, რომლებიც ანაგვიანებენ ენას და ამიტომ არა აქვთ არსებობის უფლება. ეს არის ე. წ. დიალექტაზმები და ნეოლოგიზმები.

კ. ლორთქიფანიძე მთელი თავისი შემოქმედებითი განვითარების გზაზე სრულყოფდა თავის მხატვრულ ოსტატობას. ნათელი და გამკვირვალე გახდა მისი ენა. ადრინდელი მისი მოთხრობები („ხავსი“, „პირველი დედა“) დაწერილია ყალბად გაგებული „ნოვატორობის“ ნიშნით, ხელოვნური ენით. „კოლხეთის ცისკარი“ და შემდეგორინდელი მოთხრობები კი დაწერილია მდიდარი, სუფთა და დახვეწილი ენით, თუმცა ზოგჯერ პერსონაჟების მეტყველებაში მაინც უადგილოდ არის ნახმარი სპეციფიკური იმერული სიტყვები და გამოთქმები.

კ. ლორთქიფანიძეს აქვს მდიდარი და მკაფიო პოეტური საღებავები, მრავალფეროვანი მხატვრული ხერხები, უხვი და მოქნილია ლექსიკური ინტონაციები, რომლებიც სრულად გადმოგვცემენ ადამიანების შინაგან თვისებებს. ნაწარ-

მოებებში კ. ლორთქიფანიძეს გააოყენებული აქვს ხალხური ენის ფორმები თავისი ნიუანსებით და განსაზღვრული ენობრივი თავისებურებანი განსაზღვრულია იმით, რომ იგი არის მწერალი რეალისტი.

პოლიკარვე კაკაბაძის ღრამაგურში



პოლიკარვე კაკაბაძე სულ ორიოდ კომედიით მტკიცედ შევიდა ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიაში. მან სამართლიანად დაიმკვიდრა ქართული საბჭოთა ნაციონალური კომედიოგრაფის საპატიო სახელი. პ. კაკაბაძემ განვლო თავისებური შემოქმედებითი გზა, რის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მწერლის დრამატურგიული შემოქმედების კრიტიკული შესწავლა.



პ. კაკაბაძის პირველ ნაწარმოებს — ლირიკულ დრამას — „სამი ასული“ გვერდს ვერ აუვლის დრამატურგის ბიოგრაფი და მისი შემოქმედების მკვლევარი; გარდა იმისა, რომ ამ ნაწარმოებს აქვს გარკვეული ლიტერატურული მნიშვნელობა, მისი განხილვა ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს დრამატურგის შემოქმედების ანალიზისათვის.

უდაბური მთებისა და, შესაძლოა, საუკუნეების სიღრმეს ეკუთვნოდეს ეს ამბავი (იხ. დაწყებითი რემარკა). სხედან და ოცნებობენ ასულნი და ამ ოცნების მეტი, ერთი შეხედვით, არაფერია ამ დრამაში. ოცნებობენ და ელიან თავიანთ ბედს, ოცნებობენ და ეშინიათ ბოროტი მოხუცი დედაკაცისა, რომელიც ლაპარაკსაც კი უკრძალავს მათ.

რა არის მათი სიცოცხლე? სევდითა და ცრემლებით აღსავსე! მათ შეგნებულნი აქვთ სიკეთის მშვენიერება. სწამთ, რომ მათი უბედურების მიზეზს უმოქმედობა, პასიურობა წარმოადგენს. შესაძლოა აი აქ, კარების იქით, არის ბედ-

ნიერება, მაგრამ სად არის ამ კარების გაღებისათვის საჭირო გაშვებდაობა?!

იღება კარები და ნაწარმოების კვანძიც გახსნილია — კარებს იქით სული დაუღვევია ლამაზ ქაბუქს, რომელიც პირველი ასულის უცნობი სატრფო ყოფილა — „ბაგეშეკრული, უმოძრაო და გაფითრებული“. მოსულა იგი ამ კოშკში ჩაკეტილ სატრფოსთან და გაწოლია მის წინ. და იზიარებენ საბრალო ასულნი დობილის სევდას, ისევე როგორც ერთმანეთის ოცნებასა და იმედებს იზიარებდნენ, ჯოჯოხეთური და უპერსპექტივო შრომით ქანცმილეულნი, მოწყვეტილნი საზოგადოებასა და მთელს სამყაროს.

აღსანიშნავია ის მომენტი, რომ ნაწარმოების ფინალში ახალი მოტივი იჩენს თავს — გამოიღვიძებს პირველი ასულის ნებისყოფა. აქედან შესაძლებელი გახდება მისი მობრუნება ცხოვრებისაკენ, რადგან მას ამ საშინელ წუთშიც სწამს, რომ ნათელია დიდი ქვეყანა. აქ ალევორიულად მოცემულია თვითშეგნების-გამოღვიძების მომენტი. და ეს რწმენა, რომ იქ, ნათელ ქვეყანაზე, ადამიანები ოდესმე ბედნიერად იცხოვრებენ, იმოქმედებენ და იოცნებებენ მხოლოდ სასიცოცხლო ინტერესებით, აიყვანს სწორედ ახალგაზრდა ქალს — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად — რევოლუციურ ბარიკადაზე პ. კაკაბაძის სხვა დრამაში „გზაჯვარედინზე“.

ლირიზმის სიჭარბემ უკიდურესობამდე მიიყვანა დრამატურგია. ლირიკული დრამის შექმნა სიმბოლისტურ დრამა-

ტურგიაში მოქმედების მოსაპოვისაკენ გაიმიზნა, ქვეშაირიტი დრამის კვდომის მომასწავებელი გახდა. ლირიზმი სიმბოლისტური დრამის არსად გადაიქცა. ლირიზმმა სიმბოლიზმის სამოსელში დაკარგა ადამიანურობის მაღალი და წმინდა დანიშნულება, პირობითობის, არაბუნებრიობის საშუალებად გადაიქცა. აქედანაც გამომდინარეობდა სიმბოლიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის, არაკონკრეტული ხასიათი, მისი მსოფლმხედველობრივი უსუსურობა. მაგრამ პ. კაკაბაძის ლირიკულ დრამაში სიმბოლიზმის ელემენტები შემთხვევით ხასიათს ატარებენ და, ამდენად, ამ მიმდინარეობის გავლენა დამწყებ მწერალზე გარეგნული ხასიათისაა. ლირიზმი, პოეზიის საერთო ელემენტი, კაცობრიობის სულის საერთო ელემენტი პ. კაკაბაძის პოეტური სულის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, დღემდე რომ ასაზრდოებს ამ დრამატურგის შემოქმედებას. აღნიშნულ დრამაში ლირიზმი არსებული მდგომარეობის ალგორითული აღქმის საშუალებას წარმოადგენს. მეტი თვალსაჩინოებისთვის ზედმეტი არ იქნება პარალელის გავლება. როდესაც პ. კაკაბაძის „სამ ასულს“ ვკითხულობთ, უნებლიეთ გვაგონდება მეტერლინიკის „ბრძემბი“. მაგრამ საკმარისია უფრო ღრმად დავუკვირდეთ პ. კაკაბაძის ლირიკულ დრამას, და აშკარა გახდება ის ფაქტი, რომ პ. კაკაბაძისთვის, მისი შემოქმედების ჩასახვის მომენტშიც კი უცხოა საერთოდ სიმბოლიზმი, კერძოდ, მეტერლინიკის ფანტასტიკური სამყარო, მისი მსოფლმხედველობა, მისი დუმილის ფილოსოფია, მხატვრული წერის დაუმთავრებელი მანერა. პ. კაკაბაძეს თავიდანვე ახასიათებს ნათელი აზროვნება, ოპტიმიზმი, სადა და გასაგები დიალოგი.

უგზო-უკვლოდ დარჩენილ, განწირულ არსებათა — სამი ასულის — უმოქმედობაში იგრძნობა მოქმედების სურვი-

ლი. სადაც უდაბურ ტყეში გამოიწყვდეულთ გაქცევაც უნდათ, მაგრამ გზის მჩვენებელი სჭირდებათ. ასევე გზაბნეული იყო რეაქციის პერიოდში დეკადანსის ქაობში ჩაფლული წვრილბურჯუაზიული ინტელიგენციის დიდი ნაწილი. გაქცევა სურდათ. ოცნება რჩებოდათ მხოლოდ და ოცნებობდნენ კიდევ განწირული, დეკლასირებული ინტელიგენციის წარმომადგენელნი, როგორც პ. კაკაბაძის სამი ასული. ამრიგად, პ. კაკაბაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, როგორც პოეტი-ლირიკოსი.

პროტესტი ცარიზმის წინააღმდეგ, ქართველი ხალხის დამონებული, კოლონიური ყოფის წინააღმდეგ „სამი ასულის“ იდეურ ლეიტმ-ტივს წარმოადგენს. ოღონდ პროტესტი წინააღმდეგობის პასიური ფორმაა. ლირიკული დრამა „სამი ასული“ უფრო ლირიკული ლექსების ციკლია, ვიდრე დრამატურგიული ნაწარმოები თავისი ენარული თავისებურებებით. პ. კაკაბაძის, როგორც მოქალაქის, წინაშე დგება ახალი ამოცანა — პასიური პროტესტის აქტიური ბრძოლით შეცვლის ამოცანა; პ. კაკაბაძეს, როგორც დრამატურგს, აღარ აკმაყოფილებს თავისი პირველი ქმნილების ფორმა: ლირიზმის ადგილი უნდა დაიკავოს მოქმედებამ — დრამატურგიული ენარის სპეციფიკამ.

დრამა „სისხლი სინათლემდე“, რომლის მოქმედება იშლება პირველი მსოფლიო ომის ფონზე, წარმოადგენს აქტიურ პროტესტს მტაცებლური ომის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის მსახურის — დროებითი მთავრობის უგუნური პოლიტიკის წინააღმდეგ.

პ. კაკაბაძის მეორე დრამაში ვხვდებით იკაფავენ მის პირველ პოეტურ ნაწარმოებში საგრძნობლად გამოხატული რეალისტური ტენდენციები.

1918 წ. პ. კაკაბაძე წერს ახალ დრამას „გზაჯვარედინზე“; საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ პიესა იმავე წელს დადგა რეჟისორმა ალ. წუწუნავამ ბაქოში (რუსულ ენაზე). სპექტაკლს დაესწრნენ ბაქოს კომუნარები.

დრამაში „გზაჯვარედინზე“ მოხუცი ქალის შვილები მებრძოლ რევოლუციონერებად გვევლინებიან. უფროს ვაჟი-შვილს თვითმპყრობელობამ მუდმივი კატორღა გადაუწყვიტა. უმცროსი ძმა არალეგარულად იბრძვის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. მაგრამ რევოლუციურ სულსკვეთებას, მშრომელი, მებრძოლი ადამიანების ურყევ ნებისყოფას ვერ გატეხს ვერავითარი რეპრესია. სასიკვდილოდ დაჭრილი უფროსი ვაჟი-შვილი ეცემა რევოლუციის ბარიკადებზე იქ, სადაც იბრძვის მისი ერთადერთი და.

ნაწარმოები გამსჭვალულია რევოლუციური პათოსით, მასში იგრძნობა პროეტარული რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისადმი ურყევი რწმენა.

ამავე დროს, დრამაში ორი სამყაროს — ძველი, მომავლადე და ახალი, მხარ-დი სამყაროს მძაფრი დაპირისპირების ფონზე ისახება ერთი საყურადღებო კონფლიქტი, რომელიც სიყვარულის მოტივშია გამოხატული. მდიდარ ფაბრიკანტს უყვარს რევოლუციური ოჯახის ქალიშვილი. გარდა იმისა, რომ ქალიშვილი არ თანაუგრძნობს გამოიჯნურებულ ფაბრიკანტს, ეს სიყვარული ოჯახის შეურაცხმყოფელიცაა. იქ, სად ჰუმანიტატი შრომაა, ძველი, მომავლადე კლასის წარმომადგენელს ადგილი არა აქვს; იქ, სადაც რევოლუციური ბრძოლა წარმოადგენს ადამიანების სიცოცხლის მიზანს, იქ, სადაც თავისუფლებისაკენ სწრაფვა განსაზღვრავს ადამიანების მოქმედებას, თვით უდიდესი გასაჭირის ემსაც შეუძლებელია ფიქრი დროებით ბედნიერებაზე. ფაბრიკანტის წინადადება მოხუცი დედის მიერაც ზიზ-ლით არის უარყოფილი!

ნაწარმოების თემა აქტუალურია. დრამატურგი გაბედულად წყნარს რევოლუციურ თემას. მიუხედავად ამისა, მხატვრულ-დრამატურგიული თვალსაზრისით თემა არ არის სრულყოფილად დამუშავებული. ეს გასაგებიცაა, რადგან დამწყები დრამატურგისათვის ადვილი არ უნდა ყოფილიყო ამ დიდი საკითხის სრულყოფილად გადაწყვეტა. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ დრამაში მოქმედება შესუსტებულია მოქმედების შედეგის გადმოცემით, დიდი საკითხი, პრობლემატურად სწორად დასმული, მცირე ფორმაში ექცევა, გმირული დრამა კამერულ გადაწყვეტას იღებს. ამასთანავე, ნაწარმოების მოქმედი პირები უფრო იდეათა სქემებს წარმოადგენენ, ვიდრე ხასიათებს; ნაწარმოების ენა შეფერადებულია პროვინციალიზმებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დრამა აგებულია შედარებით ნათელ და, რაც მთავარია, ლაკონიურ დიალოგზე. უკვე პირველსავე პიესებში იგრძნობა დიალოგის მომავალი ოსტატი!

ქართული საბჭოთა დრამატურგიის გენეზისის დროს შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ პ. კაკაბაძის ამ რევოლუციური დრამის მნიშვნელობა.



1921 წლიდან ქართული ლიტერატურის ისტორიაში გადაიშალა ახალი ფურცელი, იწყება ახალი ეპოქა.

ამ დროისათვის პ. კაკაბაძე წერს ახალ დრამას — „ლისაბონის ტუსაღები“.

რევოლუციურ მისტერიას „ლისაბონის ტუსაღებს“ თავისი სცენური ისტორიაც აქვს. 1924 წელს აღნიშნული პიესა რუსთაველის სახელობის თეატრში დადგა გამოჩენილმა ქართველმა რეჟისორმა კ. მარჯანიშვილმა.

პ. კაკაბაძის შემოქმედებაში „ლისაბონის ტუსაღები“ თუ, ერთი მხრით, გარკვეული ნაბიჯის გადადგმად კვებ-

ლინება, მეორე მხრით, ის უკან დახე-
ვაცაა. აქ დრამატურგის შემოქმედებაში
განვითარებული რეალისტური ელემენ-
ტები არც ისე იშვიათად უხეში ნატუ-
რალისტური ფერებით იღებებიან. მწერ-
ლის იდეური მიზანდასახულება, კონ-
კრეტულობა ხშირად შეცვლილია ბუნ-
დოვანი ზოგადობით. პიესაში არეულია
კონფლიქტები, სიტუაციები, მოქმე-
დება.

„ლისაბონის ტულაღები“, რომლითაც
პ. კაკაბაძემ სცადა დიდი ფორმის დრამატურგიული ნაწარმოების შექმნა, ავტორის შემოქმედების პირველი პერიოდის დასასრულად უნდა ჩაითვალოს. ამ ნაწარმოებით დამთავრდა მწერლის შემოქმედებითი ძიების საყურადღებო პერიოდი.



სოციალიზმის გამარჯვებამ, ჩვენი ქვეყნის უდიდესმა წარმატებებმა ეკონომიკისა და კულტურის სფეროში ახალი პერსპექტივები გადაუშალა ქართულ საბჭოთა დრამატურგიასაც.

პ. კაკაბაძის შემოქმედებაში ეპოქის დამახასიათებელმა მოტივებმა იჩინეს თავი. დრამატურგის ყურადღება მიიპყრო ახალმა თემატიკამ, მისი შემოქმედება გაიმსჭვალა სოციალისტური სამშობლოს სასიციოცხო ინტერესებით. პ. კაკაბაძის შემოქმედების ადრეულ ეტაპზე მკვეთრად გამოსახულმა ოპტიმისტური მსოფლშეგარწმობის ელემენტებმა და ნათელმა რეალისტურმა ტენდენციებმა, სოციალისტური ეპოქის პირობებში საბოლოოდ განსაზღვრეს დრამატურგის შემოქმედების თავისებურებანი. პ. კაკაბაძე, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი, მტკიცედ მივიდა სოციალისტური რეალიზმის გზამდგ. ქართული დრამატურგიის საგანძურში შევიდა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე შექმნილი „კოლმეურნეს ქორწინება“ — ნამდვილი საბჭოთა, ქარ-

თული კომედია — შინაარსით სოციალისტური, ფორმით ნატურალური. ამ მაღალმატერული კომედიის შექმნით პ. კაკაბაძემ ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში ერთმა პირველთაგანმა მნიშვნელოვნად გააფართოვა კომედიური სიტუაციების სფერო, ახალ სიმაღლეზე აიყვანა კომედიის იდეური და მხატვრული გადაწყვეტის საკითხი. მაგრამ დრამატურგმა ამ კომედიის შექმნამდე განვლო მნიშვნელოვანი მოსამზადებელი საფეხური.

1927-28 წ. წ. პ. კაკაბაძემ დაწერა თავისი პირველი კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“. ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი არა მარტო „კოლმეურნეს ქორწინებისაკენ“, არამედ საერთოდ ქართულ საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაშიც. პ. კაკაბაძის ამ კომედიამ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ქართულ დრამატურგიასა და თეატრში. კ. მარჯანიშვილის რეჟისორულმა ჩანაფიქრმა ქართველ საზოგადოებას მისცა ბრწყინვალე სპექტაკლი, ხოლო უშ. ჩხეიძის მიდლიანმა ნიჟმა — დაუფიქსარი სცენური სახე. მაგრამ პ. კაკაბაძის კომედიის მნიშვნელობა იზრდება კიდევ იმით, რომ მას სცენურობასთან ერთად აქვს ლიტერატურულ-მხატვრული ღირსება. ნაწარმოების ღირებულებას აღიღებს მისი სოციალური და საზოგადოებრივი ელერადობა. მისი პოლიტიკური სიმაჩვილე.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ პ. კაკაბაძეს თავისი პირველი კომედიის მთავარი პერსონაჟი ჩაყენებული ჰყავს განსაკუთრებულ ისტორიულ სიტუაციაში. ავტორმა ქარდელი ხალხის მიერ შემუშავებულ ზღაპრულ პერსონაჟს, ქართულ ხალხურ ნიღაბს კონკრეტულ ისტორიულ ვითარებიდან გამომდინარე რეალური ხორცი შეასხა, შექმნა არა განყენებული სიმბოლო, არამედ ნამდვილი ცოცხალი ადამიანის სახე, ტიპურ გარემოცვაში წარმოშობილი მეტად კოლორიტული ტიპი.

საუკუნეების განმავლობაში იცინოდა ქართველი ხალხი ნაცარქექიას კომიკურ თავგადასავალზე. ნაცარქექია სატირაა უქნარა, ზარმაც, მოლაყებ მშიშარა ადამიანზე, რომელსაც შემთხვევითობამ გმირის პოზა არგუნა ბედად; ეს იყო რეალური სინამდვილიდან ამოგლეჯილი ადამიანის უარყოფითი თვისებების პერსონიფიცირებული სახე, ქართველი ხალხის ჯანსაღი ჰუმორის მიერ განზოგადებული.

ქართველი ხალხი კიდევ დიდხანს იცინებს ყვარყვარე თუთაბერზე, განდიდებულ ნაცარქექიაზე, რომელიც პ. კაკაბაძემ დიდი მხატვრული გაქანებით შეიყვანა ქართული რეალისტური კომიკური ტიპების გალერეაში.

კომედიის მოქმედება იწყება სოფლის წისქვილში, რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის ზაზთან. ყვარყვარე თუთაბერი მოხუც მეწისქვილეს შეჰყვებოდა და სიცოცხლეს უმწარებს. ზის ყვარყვარე და იქექება ნაცარში: მას „ღრმად“ სწამს, რომ უვიცი ვერ გაუგებენ დიდბუნებოვან კაცს; მათ არ ესმით ის უბრალო ამბავი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბებრას, თუნდაც ნაცარში მოქარგულს. მაგრამ ყვარყვარე თვალს აუხვებს „უხეირო ინჟინრებსაც“, რომლებსაც ფქვრადც კი არ მოსვლიათ ის, რომ მატარებელი ვერ გადააფრინდება მთას, რომ იქ გვირაბის გაყვანაა საჭირო. ოცნებით სულდგმულობს თუთაბერი, სიზარმაცის საუკეთესო ნიმუში, ფუჰ ოცნებაში დიდად ბეჯითი; ოცნება არ ეხარება ყვარყვარეს. აი, გახდება იგი დიდი მოიჯარადრე, დიდკაცობაში ქრთამს მიაბნ-მოაბნეეს ქერივით! „თვალი დაგიბრმავდება — რომ გაავიცი და არ შემოგხედავ“ — გულახდილობს მეწისქვილესთან, რომელსაც მხოლოდ ის-ღა დარჩენია საფიქრებლად, თუ რა საშუალებით მოიშოროს თავიდან ეს ზარმაცი, თავხედი და აბეზარი სტუმარი, მასპინძლობასაც რომ ჩემულობს.

„სულს ამოგაცი, თუთაბერი ვარ, სულძალი!“

„ყვარყვარე ვარ, ყვარყვარე! ძველებური ეპეკაციის სახელი მქვია“ — ბოზოქრობს ყვარყვარე.

მეწისქვილეს ლამაზი ქალიშვილი ჰყავს, სადაცაა უნდა მოვიდეს კიდეც თუთაბერში ილეიძებს ბილწი ეროტიკული გრძნობა: „რაო, დღეს მოვა შენი ქალიშვილი? მერე, მერე მაგ კარებში, კაცო, თავს რად იცივებ? შემოდი, არ გრცხვენია, ავად რომ გახდე?“. ფუნჯის ერთი მოსმით პიესაში დახატულია შესანიშნავი ტიპი გაიძვერა მაწანწალისა.

პირველსავე მოქმედებაში, გულთამხეა და სევასტისთან შეხვედრის სცენაში, მთლიანად მკლავდება ყვარყვარეს შინაგანი ბუნება. მას მოქმედების სურვილი აღედრება, მაგრამ სევასტი დაბრკოლებდა მისი სიყვარულის გზაზე. „გათავდა, ყვარყვარე, შენთვის თბილი ნაცრის ქექვა. ერთხელ დაბადებულხარ და ერთხელ უნდა მოკვდე!“ თბილი ნაცრის მიტოვების გააზრებაც უდიდესი ტრაგედიაა მისთვის. მაგრამ ცეტიც არ არის თუთაბერი: „ჰკუთ ყვარყვარე თუთაბერო, მართალია, ერთხელ დაიბადე, მაგრამ... მეორეჯერ კი არ დაიბადები... მოითმინე, ფეხის ერთი გაკვრით ბურთი ლელოზე ვის გაუტანია“. ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითაა მოცემული ეს მერყეობის მომენტი უნებისყოფო ნაცარქექიაში, რომელიც ანტიპატურად არის განწყობილი ყოველგვარი მოქმედების მიმართ. ამასთანავე, ყვარყვარესთვის მნიშვნელობას მოკლებული არ არის სევასტის ვინაობის გამოკვლევა ვინ უნდა იყოს სევასტი, ყაჩაღი თუ ქურდი... იქნებ სოციალისტიცაა? ეს კითხვები აწვალებენ ყვარყვარეს: „მე სოციალისტი უფრო მიყვარს, — მსჯელობს თუთაბერი, ისინი რომ ქადაგობენ, სწორედ ჩემი საქმეა. რომელ სახლშიც გინდა, შედი და მოირთხე ფეხი, სმაჰამა სულ მუქთი იქნება. მე რომ მკითხონ, სოციალისტების სურათებს

ეკლესიაში დავკიდებდი. სულ წმინდანებით წვალობენ ხალხისათვის, მეც ხალხისათვის ვწვალობ ამ ქვეყანაზე და, ჩემი არ იყოს, შენც სოციალისტი ხარ?" — მიმართავს იგი სევასტის.

ამ მომენტიდან იწყება ყვარყვარე თუთაბერის კომიკური თავგადასავალი. მეფის აგენტებისაგან დევნის დროს რევოლუციონერმა სევასტიმ გულთამზეს დახმარებით თავი შეაფარა წისქვილს, შემოჭრილი მეფის აგენტები რევოლუციონერად მიიჩნევენ ოსმალის ტანსაცმელში გამოწყობილ ნაცარქეჩიას და დააპატიმრებენ.

პ. კაკაბაძე იუენებს კლასიკური კომედიის ხერხს მთავარი მოქმედი პირის „სხვადენობისას“. ყვარყვარეს მიიღებენ რევოლუციონერად, ისევე როგორც ხლესტაკოვს რევიზორად. მაგრამ ხლესტაკოვის რევიზორად მიღება რევიზორის მოლოდინისაგან გამოწვეული შიშის შედეგია, ხოლო პ. კაკაბაძის ყვარყვარეს დააპატიმრება რევოლუციონერი სევასტის მაგივრად შემთხვევითი ხასიათისაა. პ. კაკაბაძეს თავისებურად აქვს გამოყენებული გადაცმის ხერხი. ეს მომენტი ორგანულად არის დაკავშირებული კომედიის მოქმედების განვითარებასა და გამირის ხასიათის ბუნებასთან.

პ. კაკაბაძის კომედიის ექსპოზიციაში იქმნება ძირითადი პირობა კომედიის მოქმედების განვითარებისათვის, კომედიური სიტუაციებისა და ინტრიგის დრამატურგიული მთლიანობისათვის. სამხედრო მოხელეებთან შეხვედრის სცენაში იკვრება ნაწარმოების კვანძი, იქმნება ბაზა ახალი კომიკური კონფლიქტებისათვის. ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის ნაცარქეჩიას დაკითხვა, რომ პეტერბურგიდან მოდის ცნობა მეფის თვითმპყრობელობის დამხობისა და რევოლუციის გამარჯვების შესახებ. აქ გამომჟღავნდება ყვარყვარე თუთაბერისა და ჯონ ფალსტაფის სულიერი ნათესაობა. ფალსტაფის შედიდური განცხა-

დება რობინისადმი, რომ „ფალსტაფი დროის სულს სწრადღად შეიფიცებდა“, ყვარყვარე თუთაბერში საქმედ იქცა. ყვარყვარეში თავი იჩინა კიდევ ერთმა ფალსტაფისებურმა თვისებამ, — ყვარყვარეს ავანტურისტულმა ბუნებამ. შემთხვევით დაპატიმრებული ნაცარქეჩია მდგომარეობამ, გზადანეული თვითმპყრობელობის სამხედრო წრეების სოსულელემ პოლიტიკურ ზედაპირზე ამოატივტივა და მანაც შეიფერა რევოლუციონერის სახელი და შემდეგ მთავარსარდლის მოვალეობაც.

მენშევიკური წყობილების პირობებში ხანმოკლე აღმოჩნდება „მთავარსარდალ“ ყვარყვარეს კარიერა. ყვარყვარე თუთაბერი, რომელიც არ არის მოკლებული ერთგვარ პრაქტიკულ ქუთას, ჩქარა იგრძნობს, რომ ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებასთან ერთად ბოლო მოეღება მისი და მისებრი აღამიანების არსებობას. კომედიის ფინალში ნილაბჩამოვლენილი ნაცარქეჩიას უკანასკნელი და დამახასიათებელი რებლიკა, „ეპ, გათავდა შენი ჩალიჩი, ყვარყვარე თუთაბერო!“ საუკეთესოდ ვადმოგვეცემს თუთაბერის ხასიათის თავისებურებას მის წარმავლობას, მართლაც და, „ჩალიჩი“ იყო მისი არსებობა; თვით ყვარყვარესთვისაც უმტიკინეული იყო თავისივე კატასტროფა, რადგან მისთვის უცხოა ღრმა განცდიანი თავგადასავალი, მისი განდიდება და დაცემა, მისი „ჩალიჩი“.

პ. კაკაბაძის ეს კომედია არ არის ზოგიერთ ნაკლს მოკლებული. მკრთალია და ხორცშეუსხმელი პიესის დადებითი პერსონაჟი — სევასტი. სქემატურობით ხასიათდება გულთამზეს სახეც. კომედიის მოქმედების განვითარების თვალსაზრისით პასიურნი არიან ქაქუტასა და ქუჩარას პერსონაჟები; მაგრამ ისინი ერთგვარ ფონს უქმნიან ნაწარმოების ცენტრალური ფიგურის, ყვარყვარეს, ხასიათის სრულყოფილად ჩვენებას. კომედიის მთელი კოლიზია, მთელი სიუჟე-



ტური ხაზი ყვარყვარე თუთაბერის კომიკური თავგადასავლის გარშემო მიემართება და ხშირად ძირითადი ხაზის ყოველმხრივი განვითარების ხარჯზე იჩრდილებიან სიუჟეტის დამხმარე ხაზები, დაუსრულებელი რჩებიან კომედიაში მოქმედი სახეები. მაგრამ ეს ნაკლი იჩრდილება ნაწარმოების სხვა, ძირითადი ღირსებებით.

რაც მთავარია, მხატვრულ-დრამატურგიული თვალსაზრისით პიესაში მოცემული ეპიზოდები, ცალკეული სცენები ორგანულად არიან დაკავშირებული, მოქმედების განვითარება ძირითადად მთლიანობით ხასიათდება და ნათელი დიალოგები ბუნებრივად გამომდინარეობენ ხასიათებიდან და მოქმედებიდან.

„ყვარყვარე თუთაბერი“ ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში. ყვარყვარეს სახე ერთადერთი სრულყოფილი სახეა ქართულ რეალისტურ დრამატურგიაში.



პ. კაკაბაძის კომედია „კოლმეურნის ქორწინება“ საუკეთესო ნიმუშია ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ერთიანობისა, ნაწარმოების იდეური მხარისა და მხატვრული საშუალებების მთლიანობის თვალსაზრისით. „კოლმეურნის ქორწინება“ სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე შექმნილი მაღალიდეური და მაღალმხატვრული საბჭოთა კომედიაა. ეს კომედია დამყარებულია ახალ კომიკურ კოლიზიაზე, ახალ კონფლიქტებზე.

კომედის ფონია ჯანსაღი სოციალისტური სოფლის სინამდვილე, მთავარი მოქმედი პირები, დადებითი პერსონაჟები არიან. კომედის გმირი, სოციალისტური ეპოქის მშრომელი, მოწინავე ადამიანია მთელი თავისი დამახასიათებელი თვისებებით. ნაწარმოების მთელ კომიზმს ქმნის არა მთავარი პერსონა-

ჟის მოქმედების ალოგიზმი, არამედ მოქმედებასა და მოვლენების უწყვეტ განვითარებაში არსებული დამატებითი ბანი, ცხოვრების კონფლიქტები ძველ თაობის წარმომადგენლებისა და ყალბი ადამიანების სახით არსებული უარყოფითი ტიპები, რომლებიც ჯერ კიდევ შერჩენიან ჩვენს სინამდვილეს. ამგვარად, პ. კაკაბაძის ამ პიესის მამოძრავებელ ძალას დადებითი გმირები წარმოადგენენ, ხოლო მოქმედების ფონს, რომელზედაც კომიკური კონფლიქტები იქმნება, — საბჭოთა სოფლის უმაგალითო შრომის აღმავლობა.

ნაწარმოების ძირითად მოტივებად გვევლინება შემოქმედებითი შრომისა და სიყვარულის მოტივები. კომედის მთავარი სიუჟეტური ხაზით ვითარდებიან, ერთი მხრივ, მშრომელი ადამიანების ხასიათები (გვირისტინე, ჯამლეტი, მირიანე და სხვა), ხოლო, მეორე მხრით, უქნარა და ყალბი ადამიანების სახეები (მანუჩარი, ხარიტონი, ლომკაცა, ვატა და სხვ), რომლებიც კომედიაში მკვეთრი და მძაფრი მხატვრული ფერებით არიან ასახული.

ყოფილი აზნაურის მანუჩარის შერღვევილი უყვარს ახალგაზრდა კოლმეურნე ქალი ირინე, ხოლო ხილობანელი გლეხის, მანუჩარის ნამოჯამავიარალი ხახულის ქალიშვილს გვირისტინესა და შეძლებულ კოლმეურნე მირიანესაც ერთმანეთი უყვართ.

აღნიშნული სიუჟეტური ხაზი, ერთგვარი გაუგებრობითა და დაბრკოლებებით წარმართული, ორგანულად უკავშირდება კომედიაში ასახული მოვლენების მეორე მხარეს, ორი კოლმეურნეობის შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას. პ. კაკაბაძე ამ ორი კოლმეურნეობის—ხილობანის მოწინავე კოლმეურნეობისა და ბუქუნარის ჩამორჩენილი კოლმეურნეობის — ჩვენებით, ორი თავმჯდომარის — ჯანსაღი სოციალისტური სულისკვეთების ადამიანის, ხილობანის კოლმეურნეობის თავ-

მჯდომარის ჯამლეთსა და ბიუროკრატი „საქმოსნის“ ხარიტონის — დაპირისპირებით, ნამდვილი შრომის გმირებისა და უსაქმო მოლაყბეთა დაპირისპირებით, სოციალისტური სოფლის ნათელი და ჩრდილოვანი მხარეების დაპირისპირებით, მხატვრული სიციხოველით ხატავს სოციალისტური სოფლის მხარდ კულტურულ-სამეურნეო აღმავლობას, საბჭოთა მშრომელი ადამიანების იდეურ და მორალურ სიძლიერეს.

კომედიის ცენტრალური გმირია მოწინავე სტახანოველი ქალი, სტახანოვერი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი გვირისტინე, დიდი მხატვრული უშუალობითა და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით შექმნილი.

ნაწარმოების ცენტრალური ადგილია გვირისტინეს მოსკოვიდან დაბრუნების სცენა, მის ჩამოსვლასთან დაკავშირებული შიტინგი, გვირისტინეს უშუალო და ამალელებელი სიტყვა, ბელადთან შეხვედრის დაუეწიყარი წუთების მოგონება. პ. კაკაბაძე თანდათანობით, კომედიის განვითარების ასპექტში, გვისახავს გვირისტინეს ხასიათის ნიშანდობილებას, გონიერებას, თავმდაბლობას, უშუალობას, შრომისადმი უსაზღვრო სიყვარულს. გვირისტინესათვის საზოგადოებრივი ინტერესები განსაზღვრავენ ადამიანის პირად ცხოვრებას.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დრამატურგიულ — მხატვრული თვალსაზრისით შედარებით ნაკლები სრულყოფილობით ხასიათდებიან ზოგიერთი დადებითი პერსონაჟები. მაგალითად, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯამლეთის ხასიათი არ არის ნაჩვენები მოქმედებაში საკმარისი ძალით, მირიანეს სახე ერთგვარი სქემატურობის ნიშანს ატარებს, და ა. შ., მაშინ როდესაც ამას ვერ ვიტყვით უარყოფითი ტიპების მიმართ. პ. კაკაბაძე ნამდვილი დრამატურგიული ოსტატობით ახერხებს ყოველი პერსონაჟის მოქმედების დაკავში-

რებას ნაწარმოების ძირითად მოქმედებასთან, ნაწარმოების ყველა გულუხვების მთავარი მიზნისადმი დასწორებულობას, კომედიაში დასმული კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისაკენ წარმართვას.

პ. კაკაბაძე ამხილებს შრომის მოძულე ადამიანებს. შრომის გარეშე დარჩენილი ადამიანი — აი კომიკურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი პ. კაკაბაძის კომედიებში. ყვარყვარე თუთაბერის კომიზმის ძირითადი წყარო სიზარმაციდან, შრომისადმი სიძულვილიდან გამომდინარეობს. პ. კაკაბაძე დაუნდობლად ამთარახებს უქნარა, შრომისმოძულე ნახანურალ მანუჩარს. პ. კაკაბაძე იბრძვის განარმაცებულ, შრომაზე გულაცრუებულ გიგოს („ბედნიერი სამკედლო“) გამოსწორებისათვის.

„ჩვენ შრომით ვოჯავშნებით, აყვავებულ სამშობლოს დასაცავად, დიდი ბელადის თაობა ვართ“, — სიამაყის გრძნობით აცხადებს შუშანა („შეხვედრა მშენებლობაზე“):

„ნახვამდის, — გასძახის შუშანას მამა მიელინებაში ვაგზავნილ ახალგაზრდებს, — ისწავლეთ, მშრომელი ახალგაზრდობა სამშობლოს დიდებაა!“ — სოციალისტური შრომა — აი, უმაღლესი დანიშნულება ადამიანისა! ასეთია პ. კაკაბაძის შეხედულებით ადამიანის მორალური სიძლიერის საყრდენი, რომლის გამოცლა კომიკურის ჩასახვის მომასწავებელი ფაქტორია, ადამიანის ხასიათის დაშლისა და მოღუნების პირობაა.

მანუჩარს ყვარყვარესავით სძულს შრომა. იგი გამოუსადეგარი პიროვნებაა, ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი ელემენტია. გარდასული თაობის მთელი ამორალიზმით რომ შერჩენია ჯერ კიდევ ახალ საზოგადოებას. მას შეგუებაც უცდია ახალ გარემოსთან. ორჯერ შესულა და გამოსულა კოლმეურნეობიდან. კომედიაში ნათლად არის ნაჩვენები მანუჩარისა და მისი ნამოჯამაგირალის — ხახულის ურთიერთობა: ხახულიშიც ცოცხლობენ ძველი გადმო-

ნაშთები, ისიც ძველებურად უყურებს ცხოვრებას. ხახულის ვერ გაუგია, თუ რატომ გაემგზავრა მისი ქალიშვილი მოსკოვში, — რა ქალის საქმეა ხეტიანი? — ფიქრობს მოხუცი. მისთვის ტკბილია, სამოთხესავით ლამაზია მანუჩარის ძველი ოჯახის სითბოსა და ბუხარის მოგონება. მას გული ეხუთება, როცა იგონებს, თუ როგორ შექაპა მისი მერიტიფიკობის დროს მანუჩარმა უკანასკნელ ხუთ წელიწადში მთელი ქონება. მაგრამ აქ არ ეთანხმება ხახულის მანუჩარის აზრი!.. მანუჩარის ქვამ აჯობა, ვინც ბევრი შეინახა, რევოლუციამ ჩამოართვა, მას კი აღარაფერი ჰქონდა ჩამოსართმევი, — ასე მსჯელობს მანუჩარი, ამით ბედნიერი მანუჩარის უბედურება ის-ღაა, რომ „მამინ დალეული ღვინო დღეს აღარ ათრობს“. რაღა დარჩენია მანუჩარს?... ეკ, ქეიფში და სიტყვა-პასუხში ტოლს არავის დაუდებს მანუჩარი, „მაგრამ მუშაობაში შეჯიბრი გაგონილა?“ ან სად გაგონილა კოლექტივში სულ წესიერად ყოფნა, ეკლესია ხომ არაა?! „ხახულისაც მხოლოდ ის აწუხებს, რომ მისი ქალიშვილი მხოლოდ თავისთვის არ მუშაობს და კოლექტივში „დასობილა სარკით“. მანუჩარს ერთი იმედიც დარჩენია ამქვეყნად: ჯიბილო მდიდარ ქალს ითხოვს ცოლადო.

მანუჩარი ჩქარა გამოფხიზლდება მოვლენების ახლებურად წარმართვის შედეგად. დაწინაურებული კოლმეურნე ქალის — გვირისტინეს რძალად მოყვანა — აი მისი არსებობის შენარჩუნების საშუალება. ეს აზრი იტაცებს ბექუნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ხარიტონსაც. რომელსაც სტახანოველი ქალის გვირისტინეს თავის სოფელში გადასვლით სურს მიჩქმალოს თავისი უნიათო მუშაობით გამოწვეული ჩამორჩენა და თვალები დაუბრმავოს ხიდობანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ჯამლეთს.

მანუჩარი მოქმედებაზე გადადის. სწორედ იჩენს თავს კონფლიქტი მასა და

ხახულის შორის. ხახულიში, თავისი ბუნებით ინდივიდუალისტ გლეხმანუჩარისთვის დრო-ჟამის სუსტობა მისთვის ბული თვითშეგნება. კომედიაში ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითა და მხატვრული სისადავით არის ნაჩვენები ხახულის შეგნებაში მომხდარი გარდატეხა.

„შენ, თუ ჩემთვის თავს დებდი, მე ხომ ეხლაც მე ვარ“, — გულისწყრომით მიმართავს ძველი ნაბატონარი ხახულის, რომელსაც უკვე ორდენოსანი გვირისტინე აღარ ემეტება ჯიბილოსათვის, რადგან იგი სტახანოველიც კი არ არის.

„მართალი ხარ, რომ ვაკვირდები, მანუჩარს კი არა დროს ვემსახურებოდი“. ასეთია ხახულის პასუხი. კომედიის დასაწყისში კი იგივე ხახული მანუჩარის შესახებ ისეთი აზრის იყო, რომ მისი სახელი, ცარიელ გუდაზეც დაწერილი, პარტიკაციში უნდა ყოფილიყო, „ოღონდ სირცხვილი ამ დროებას, რომელმაც ვის არ უმტყუნა“, რომ მანუჩარისათვის არ ემტყუნა? აქვე უნდა შეგნიშნოთ, რომ ხახულის მანუჩარისადმი დამოკიდებულებაში თავიდანვე იგრძნობოდა მისადმი ერთგვარი ირონია, რომელიც მას არასოდეს საამჟიროზე არ გამოჰქონდა.

კონფლიქტი მთავრდება სრული განხეთქილებით:

ხ ა ხ უ ლ ე: „მე ხომ მთელი სიცოცხლე გემსახურე, ახლა კიდევ შეჩვეულ ვზოს მოაკითხე — ძველი ვირი გვიციითაო, იფიქრე და ახლა გვირისტინესთვის გინდოდა ნალი დაგერტყა და გიპენებია, მაგრამ ძალიან უკაცრავად, შეგნებულნი შევიქენით, შეგნებულნი!“ მაგრამ არც მანუჩარი დალატობს თავის კუდაბზიკურ ტრადიციებს. „ვის უნდა შენი გვირისტინე, რა მანუჩარის საქმეა გლახისა და ქურდის შვილი“. ეს მომენტიც ძალზე დამახასიათებელია თავმოყვარეობა შელახული ნაბატონარისათვის.

3. კავბაძის, როგორც დრამატურგისა და მხატვრის, დამსახურება ისაა, რომ იგი არ ამიშვლებს თავის დამოკიდებულებას უარყოფითი პერსონაჟებისადმი.

ამდენად ირონია და სარკაზმი მის კომედიებში სინთეზურად არის მოცემული. ზოლო ყვარყვარე თუთაბერის ხასიათის, მისი მთელი მოქმედების ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ პ. კაკაბაძის დამოკიდებულება აღნიშნული პერსონაჟისადმი არა მარტო ჰუმორისტულია. ეს კომედია პრინციპში სატირაა არა მარტო ყვარყვარე თუთაბერზე. ამგვარ დამოკიდებულებას ვგრძნობთ, აგრეთვე, ხარტონთან დაკავშირებით „კოლმეურნის ქორწინებაში“.

პ. კაკაბაძის, როგორც დრამატურგის, დამსახურება ისიც არის, რომ იგი ერიდება ყოველგვარ გადახვევას დროის მხრივ. „კოლმეურნის ქორწინებაში“, ისევე როგორც „ყვარყვარე თუთაბერში“, მწერალი მინიმალურად ამცირებს თხრობის ელემენტს. იშვიათად ჩერდება კომედიაში მომხდარი ამბების გარეშე შემთხვევებზე. და თუ თხრობითი ელემენტი გვხვდება მის კომედიებში, იგი ორგანულად არის დაკავშირებული პიესის მოქმედების ძირითად ხაზთან (მაგ. გვირისტინეს სიტყვა მოსკოვიდან დაბრუნების დროს და სხვ.). პ. კაკაბაძე აღწევს მოქმედების კონცენტრაციასა და მოქმედების დინამიკურ განვითარებას.



პ. კაკაბაძის შემოქმედების განვითარების პროცესში თანდათანობით მტკიცდება არა მარტო იდეური ხაზი, არამედ თანდათანობით იხვეწება მისი შესატყვისი ფორმა. ამასთან ერთად, მის მიერ შექმნილი ყოველი პერსონაჟი განაგრძობს არსებობას მომდევნო ნაწარმოებში. პ. კაკაბაძის მიერ ხორცშესხმული ყოველი ხასიათი ვითარდება, ცოცხლობს ახალ სიტუაციაში თავისებური სახით. მისი შემოქმედების ძირითადი თემა თანდათანობით სრულყოფილი ხდება, მისი იდეური ტენდენცია იძენს სიახლეს, სინათლეს და მხატვრულ სიძლიერეს. პ. კაკაბაძეს თითქოს ეძნელება თავის ვმირებთან განშორება, იგი ცდილობს

ყოველგვარ მდგომარეობაში გამოკალის დრამატურგიული პერსონაჟებს. კაკაბაძეს თავის პიესებში ხშირად მოხუცების მამისა და ქალიშვილის პერსონაჟები. მაგ. „ყვარყვარე თუთაბერი“ მეწისქვილე და მისი ქალიშვილი გულთაშზე, „კოლმეურნის ქორწინებაში“ — ხახული და გვირისტინე, პიესაში „შეხედრა მშენებლობაზე“ — დათა და შუშანა. დრამატურგი აღნიშნულ პერსონაჟებს გვიჩვენებს განვითარებაში, ახალ პირობებსა და ურთიერთობაში: „ყვარყვარე თუთაბერის“ დადებითი პერსონაჟები, ეერძოდ, მეწისქვილე და გულთაშზე „კოლმეურნის ქორწინებაში“, შემდეგ განვითარებას პოულობენ ხახულისა და გვირისტინეს სახეებში. პირველ კომედიაში ჩანასახის სახით მოცემული მამა-შვილის ურთიერთობა მეორე კომედიაში ღრმავდება და მხატვრულ დასრულებას აღწევს. ასევე, „ყვარყვარე თუთაბერში“ უქნარა, ზარმაცი, ტრაბახა ადამიანის ერთი მდგომარეობიდან, — მისთვის ჩვეული მდგომარეობიდან და პირობებიდან, — მისთვის უჩვეულო გარემოში და პირობებში მოქცევა, მისი ხასიათის სხვა თავისებურებებთან ერთად ავლენს მისი ხასიათის რეაქციულ ბუნებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ კონკრეტულ დასკვნის განზოგადება არ იქნებოდა მართებული, რადგან პ. კაკაბაძე სხვა პირობებში, სხვა სიტუაციაში ზარმაცი კაცის გამოსწორების შესაძლებლობაზე, მისი ხასიათის კეთილშობილებაზე მიგვითითებს (ღიბილო „კოლმეურნის ქორწინებაში“, გიგი „ბედნიერ სამკვდლოში“ და ა. შ.). მაშასადამე, პ. კაკაბაძე ღრმად იჭრება ხასიათის ბუნებაში და გვაძლევს მისი ფსიქოლოგიური დეტალებისა და ნიშნების, ეძებს და არკვევს ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბების, გარდაქმნის მიზეზებს. პ. კაკაბაძე მთელი თავისი შემოქმედებით იბრძვის ადამიანის არსებაში ამ მაყნე გადმონაშთის აღმოსაფხვრელად, შემოქმედებთა შრომის ჩეყვების დანერგვისათვის.

სანამ პ. კაკაბაძის ორ უკანასკნელ ნაწარმოებს შევეხებოდეთ, უნდა განვიხილოთ მისი ტრაგედია „დიმიტრი თავდადებული“. ამ ნაწარმოების თემად არჩეულია დიმიტრი მეორის მეფობის პერიოდი.

დიმიტრი მეორეს მძიმე ისტორიულ პირობებში მოუხდა თავისი მისიის შესრულება. მისი სახელი თავდადებულის სახით შევიდა ქართველი ხალხის ისტორიაში, რადგან მან თავი შესწირა სამშობლოს ინტერესებს. იგი წარდგა მონღოლთა ყაენის წინაშე და მიიღო მისგან სიკვდილი საქართველოს აოხრებისაგან გადარჩენის მიზნით. აირჩია რა „ხალხის გადარჩენის მიზნით. რაინდული სიმამაცით მტრის წინაშე წარმდგარიყო, დემეტრე II-ის პატიოსანი ბუნება და მაღალი ადამიანური თვისებები სრული სიცხადით გამოჰქადაგდა. მის ნაბიჯს, უეჭველია, პირადი პასუხისმგებლობის დრმა ზნეობრივი შეგნება და თავგანწირულების მომხიბლველობა ასხივოსნებს“, — წერდა აკად. ივ. ჯავახიშვილი.

აღნიშნული ეპოქა და დიმიტრი თავდადებულის ტრაგიკული ბედი, მისი პიროვნების სიდიადე, ცხადია, საუკეთესო მასალა უნდა ყოფილიყო ტრაგედიის შესაქმნელად. სამწუხაროდ, პ. კაკაბაძემ ბოლომდე არ მიიყვანა ეს განზრახვა.

პ. კაკაბაძის შემოქმედების განვითარების ხაზი წყდება „კოლომეურნის ქორწინების“ შემდეგ. მისი პიესები — „შეხვედრა მშენებლობაზე“ და „ბედნიერი სამკედლო“ — მხატვრულ-დრამატურგიული თვალსაზრისით გაცილებით დაბალ დონეზე დგანან ზემოგანხილულ ორ კომედიასთან შედარებით. განსაკუთრებით ეს ითქმის პიესის „შეხვედრა მშენებლობაზე“ შესახებ. პიესის სიუჟეტი ხე-

ლოვნურად არის დახლოებული. ნაწარმოებში მოქმედებენ მხოლოდ დედობითი პერსონაჟები, რომელთა შორის მხოლოდ ერთი ნაწილი სქემატურობით ხასიათდება. ხელოვნურად გამოწვეული წინააღმდეგობანი დამყარებულია ყოველგვარი მიკერძოების გარეშე არსებულ შინაგან კონფლიქტებზე. პ. კაკაბაძე ცდილობს გეიჩენოს მხოლოდ და მხოლოდ იდეალური ადამიანები, ჩვენი ცხოვრების მხოლოდ იდეალური მხარე, სოციალისტური შრომის პროცესის პარამონია, სადაც მოხსნილია ყოველგვარი დაბრკოლებანი, სადაც არსებობენ მხოლოდ კონფლიქტები კარგსა და უკეთესს შორის, უკეთესსა და საუკეთესოს შორის.

ამგვარად, „შეხვედრა მშენებლობაზე“ სუსტი პიესაა არა მხოლოდ დრამატურგიული თვალსაზრისით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პიესაში გვხვდება ძლიერი მხატვრული ადგილებიც, მძაფრად დახატული სცენები, ზოგიერთი სახე ტიპიურობამდეა აყვანილი და, რაც მთავარია, ნაწარმოები გამსჭვალულია სოციალისტური შრომის პათოსით.

პ. კაკაბაძის უკანასკნელი პიესა „ბედნიერი სამკედლო“, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე დაიდგა, პიესის — „შეხვედრა მშენებლობაზე“ გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს. დრამატურგმა აღნიშნული პიესის დამუშავების დროს შეძლო ახალი ნაწარმოების შექმნა, რომელსაც თავის ჩრდილოვან მხარეებთან ერთად ახასიათებს გარკვეული ღირსებებიც.

პიესის ძირითადი სიუჟეტური ხაზია მურმანისა და გაიანეს სიყვარული და მურმანზე გადაკიდებული ქერივი პეროქავრა, მურმანის ხელში ჩაგდების სურვილით შეპყრობილი, კონფლიქტი მურმანსა და გაიანეს შორის: მურმანი მისწრაფის ქალაქისაკენ. საქარხნო სკოლის ყოფილ მოწაფეს ქარხანაში მუშაობა

იტაცებს, სოფელი არ აკმაყოფილებს მის სულიერ მოთხოვნებებს, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია თავისი ოცნების განხორციელება, რადგან აქ, სოფლად, მისი საყვარელი გაიანე ეგულება. სტახანოველი ქალიშვილი გაიანე, რომელსაც გულწრფელად უყვარს მურმანი, იჩაგრება მურმანის უსაქმურობით. მურმანი გადაწყვიტა დატოვოს სოფელი. მან სიტყვა საქმედ აქცია და მის წინ გადაიწალა მოქმედების ფართო ასპარეზი, გამოძეა და მისი ნიჭი და უნარი. მოიხსნა ყოველგვარი დაბრკოლება, ყოველგვარი წინააღმდეგობა და ამისათვის საკმარისი ვახდა მხოლოდ გადაწყვეტილება. გაიანეს დედა ივლითი, რომელიც აქამდე წინააღმდეგი იყო გაიანესა და მურმანის შეუღლების, აღფრთოვანებულია მურმანის წარმატებით. სიყვარულმა გაიმარჯვა შრომის მეშვეობით.

„არ გრცხვენია, ბიჭო!“ — მიმართავს გაიანე მურმანს. „თუ ამდენი შეგეძლო, დროზე ვერ გამოიმასხი ფრთები? რას მაწითლებდი იმ სოფელში?“

მურმანს მართლაც ბევრი საქმის გაკეთება შეეძლო; ამას სოფელშიც გრძნობდნენ, იცოდნენ, რომ მას ყოველგვარი საქმე ეხერხებოდა.

პიესის მეორე პარალელური სიუჟეტური ხაზი გიგის გარშემო ვითარდება. გიგიმ, სოფელ ტაბაკარის ყოფილმა მექანიზატორმა, რომელმაც თავის საქმეს ზურგი აქცია და ცხოვრების „იოლი“ გზა გამოიხატა (გიგიმ მეველეობა აირჩია, მაგრამ არც აქ აკეთებს არაფერს, მეინახებთან ერთად ეწევა უდარდელ ცხოვრებას, დროს ატარებს), გულა აიკრუა ოჯახზე. გიგის უმსგავსო მოქმედებამ გამოიწვია კონფლიქტი მასა და თავის მუშულე მაგულის შორის. მაგრამ არც ეს კონფლიქტი აღმოჩნდა მძაფრი. ხდება გიგის უეცარი გარდაქმნა; ამისათვის კი საკმარისია გიგის პირობა, რომ იგი დაუბრუნდება თავის სამუშაოს და ჩადგება მშრომელთა რიგებში. ისპობა ყოველგვარი გაუგებრობა ცოლქმარს

შორის, უფრო მეტიც, უცებ მიჩქმალდება გიგის ხასიათის მიუღებელი ცვლილებები. საერთოდ კი, ამ ხასიათის ცვლილებები შემოიფარგლება ცოლქმარის უპრალო უთანხმოებით, რაც არ არის ნაჩვენები პიესის განვითარებასთან კავშირში, და დრამატურგის ის მიზანიც, რომ გვიჩვენოს ოჯახური უთანხმოების მავნე ხასიათი, ჩვენს საზოგადოებრივ სინამდვილეში, მიუღწევად მიზნად რჩება.

ასე, სიტუაციების შეცვლასთან ერთად, თითქმის მექანიკურად იცვლებიან მოქმედ პირთა ურთიერთობანი, მათი ხასიათის დამახასიათებელი თავისებურებანი, ქრებიან კონფლიქტები.

უკვე ამ მსჯელობიდანაც ცხადია, რომ პ. კაკაბაძის უკანასკნელ პიესას ახასიათებს სუსტად განვითარებული კონფლიქტები, რომლებიც იხსნებიან უმტკივნეულოდ. კონფლიქტის მოხსნასთან ერთად ეშვება, დუნდება მოქმედება, სუსტდება სიუჟეტის ხაზი. მოქმედ პირთა ცხოვრების წინააღმდეგობებთან ბრძოლა შეცვლილია ცხოვრებისა და შრომის იდილით. ხოლო მოხსნილი მძაფრი წინააღმდეგობანი ხელს უშლიან ხასიათების მოქმედებაში ჩამოყალიბების რთულ დრამატურგიულ პროცესს. მთელი რიგი პერსონაჟები (მაგ. გოდერძი, მაგული, რუსუდანი, ჯუშუბერი, ელიზბარი) უბრალო სქემებს წარმოადგენენ.

რამ გამოიწვია სიუჟეტის ხელოვნურობა პიესაში „შეხვედრა მშენებლობაზე“, ხოლო სიუჟეტის მოდუნებულობა პიესაში „ბედნიერი სამკედლო?“ პირველ პიესაში ამის მიზეზად გვევლინება კონფლიქტის არაბუნებრიობა, ხოლო მეორე პიესაში — ბუნებრივი კონფლიქტების ნიველირება, მათი შერბილება, მწვავე კონფლიქტის მიჩქმალვის ტენდენცია. რა თქმა უნდა, აღნიშნულმა გარემოებამ იქონია გავლენა პიესის მთლიანობაზე, მოქმედების ლოგიკურ განვითარებაზე, დრამატურგიულ ნაწარმოების სპეციფიკურ მხარეზე, დაარღვია კავშირი პიესის შემადგენელ ნაწილებს

შორის, და მაშინ როდესაც საჭირო იყო მოქმედების გაშლა, დრამატურგმა დაამთავრა პიესა, გახსნა ნაწარმოების კენჭი. მაგრამ პიესა ამით არ დამთავრებულა. დრამატურგიული ნაწარმოების ელემენტარული მოთხოვნებისათვის შეგნებულად გვერდის ახვევამ, კონფლიქტის მოულოდნელად მოხსნამ პიესას დაუკარგა სიცოცხლე, ხასიათების განვითარება შეწყდა პიესის დამთავრებამდე და დამყარდა შრომისა და ადამიანთა ურთიერთობის უჩვეულო ჰარმონია. მესამე მოქმედებიდან დაიწყო მოქმედების შესუსტება და პიესაში ამავე მოქმედებიდან დამყარდა საზეიმო განწყობილება, შრომის ჩვენება, ადამიანების ხასიათების ჩვენება სხარტ, მოხდენილ დიალოგებში, რომლებიც ზშირად გამიზნულია იმისათვის, რომ პანტომიმად არ გადაიქცეს შრომისა და ბედნიერების ეს აპოთეოზი, რომ შეივსოს მოქმედების სიცარიელე. ნაწარმოების იდეური მხარე მოსწყდა პიესის ფორმას.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმულს არ გვაძლევს უფლებას მივჩქმალთ ნაწარმოების ის ღირსებანი, რომლებიც პ. კაკაბაძის აღნიშნულ პიესას უკანასკნელ ხანებში დაწერილ მთელ რიგ დრამატურგიულ ნაწარმოებებზე მაღლა აყენებს.

პ. კაკაბაძე „ბედნიერ სამქედლონი“ ამუშავებს აქტუალურ თემას და სოციალისტური სოფლისა და ქალაქის ფონზე ცდილობს გვიჩვენოს სოციალისტური შემოქმედებითი შრომის პროცესის უდიდესი გარდამქმნელი ძალა. პ. კაკაბაძის მიზანია, ასახოს ჩვენი ადამიანების ღრმა, მდიდარი სულიერი სამყარო, მშრომელი ადამიანების შესანიშნავი პოლიტიკურ-მორალური ძლიერება და ერთიანობა. შემოქმედებითი შრომა — აი, ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ქალაქსა და სოფელს შორის განმასხვავებელი ზღვარის მოსპობას, ქალაქსა და სოფლის მკიდრო ურთიერთობის

ბის ნიადაგზე. ასეთია ნაწარმოების იდეური მხარე.

პიესაში განსაკუთრებულად ნიჭიერი ელთა და ლირიზმით არის დახატული მოწინავე კოლმეურნე ქალიშვილის გაიანეს სახე. პ. კაკაბაძემ ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გამოყვეთა ახალგაზრდა მშენებლების, ჯიბილოსა და გოგიტას სიცოცხლით აღსავსე, ჯანსაღი ქაბუცების სახეები.

პ. კაკაბაძემ მისთვის ჩვეული ოსტატობით ააგო მთელი რიგი სცენები და, რაც მთავარია, პიესის მხატვრული სიტყვიერი ქსოვილი, აღსავსე ლაღი ჰუმორით, ნათელი და სხარტი დიალოგებით, კონკრეტული მიზანდასახულობის მქონე რეპლიკებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მწერალმა თავის დრამატურგიაში პირველად გამოიყვანა შედარებით რელიეფურად დახატული უარყოფითი პერსონაჟი — ქალის სახით. მაგრამ, სამწუხაროდ, პეროეაგრას სახე ჩქარა აშოვარდა სიუჟეტიდან, მისი ხასიათი არ განვითარდა. პიესაში პეროეაგრას არსებობის დასრულებისათვის საკმარისი გახდა მურმანის ქალაქში გამგზავრება. ან საღ უნდა ეჩვენებინა დრამატურგის ეს სახე? მოქმედება მესამე და მეოთხე მოქმედებაში ქალაქში, ქარხანაში მიმდინარეობს, ხოლო პეროეაგრას ქალაქში ჩამოყვანას რაღაც გამართლება სჭირდება!

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პ. კაკაბაძე თავისი შემოქმედების ყოველ საფეხურზე განსაკუთრებულ ფაქიზ დამოკიდებულებას ამკლავებს ქალთა სახეებისა და ხასიათებისადმი. თავის ლირიკულ დრამაში სამი ასულის სახით არის მოკემული ავტორის სულისკვეთება, ასულთა ფორმაშია გახვეული დაჩაგრული, დაბეჩავებული ადამიანების შინაგანი გრძნობები და განცდები. დრამაში „გზაჯვარედინზე“ ნაწარმოების ცენტრში დგას ახალგაზრდა ქალი, კაპიტალისტური ურთიერთობის მსხვერპლი, რომელსაც გამოაფხიზლებს რევოლუციის ქარიშხა-

ლი. საბჭოთა პერიოდის პიესებშიც ცენტრალური ადგილი ქალთა სახეებს უკავია და ისინი თითქოს ყოველთვის დადებითი პერსონაჟები არიან.

პეროჟაერა პ. კაკაბაძის დრამატურგიაში შემოსული ახლი სახეა და ის გარემოება, რომ ნაწარმოებში მისი შემდგომი ბედი გაურკვეველია, რომ მისი ხასიათის განვითარება ჩქარა წყდება, არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მისი სახის ანალიზიდან გამომდინარე ზოგადი დასკვნა გამოვიტანოთ.

საერთოდ ეს პიესა, ისევე როგორც პ. კაკაბაძის სხვა ნაწარმოებები, დაწერილია გამართული ლიტერატურული ენით, თავისუფალია ყოველგვარი დიალექტებისა და ქარგონისაგან, ვულგარული გამოთქმებისა და პროვინციალიზმებისაგან. პ. კაკაბაძე უამისოდაც ახერხებს დამახასიათებელი კოლორიტის შექმნას.

• • •

რა არის იმის მიზეზი, რომ მოქმედების ოსტატი, დრამატურგიული ტექნოლოგიის ნაცადი არქიტექტორი მის ორ უკანასკნელ პიესაში (რა თქმა უნდა, პეტნაკლებად) ამაოდ ცდილობს საუბრის ორგანულად აგებას, ხასიათების სრულყოფილად დახატვას, მათ ამოქმედებას, ნაწარმოების თემისა და იდეის ადეკვატურ მხატვრულ ფორმაში ჩამოყალიბებას? (ამავე დროს, მის უკანასკნელ პიესებში, განსაკუთრებით „ბედნიერ სამჭედლოში,“ ნათლად ჩანს დია-

ლოგის უებრო ოსტატი, მის უკანასკნელ პიესაში უხვდაა ჰუმორის ძლიერი, მხატვრული გოძობა) რა გავითქვია ის გარემოება, რომ ნამდვილი საბჭოთა ქართველი კომედიოგრაფის ნაწარმოებებში ქმედითი სიუჟეტი, ბუნებრივი კონფლიქტები, ნაწარმოებთა მხატვრულ-იდეური მთლიანობა, სრულყოფილი ხასიათები შეცვალა ხელოვნურმა კოლიზიებმა, სქემატურმა სახეებმა, მოქმედების აქტიური განვითარება-დინამიზმი — სტატიკურობამ?

ამის მიზეზია კონფლიქტების ქრობის ვულგარული თეორია, რომლის გავლენაშიც მოექცა ჩვენი დრამატურგი.

პ. კაკაბაძის ნათელი გონება და მახვილი თვალი ყოველი ფეხის ნახევარზე ამჩნევდა უარყოფით, ყალბ ადამიანებს, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ ჩვენს სინამდვილეში, მწერალი ხედავდა ცხოვრების კონფლიქტებს, მაგრამ ცდილობდა გვერდი აეხვია მათთვის, ცდილობდა შეექმნა ნაწარმოები მძაფრი კონფლიქტებისა და უარყოფითი პერსონაჟების გარეშე, ჩქმალავდა ცხოვრების დაბრკოლებებსა და წინააღმდეგობებს, რომლებიც გეხვდება კომუნიზმის მშენებელთა გზაზე და „რომელთა დაძლევა მოითხოვს დიდ ღონისძიებებს, პატრიოტული მოვალეობის მაღალ შეგნებას. ახალის ბრძოლა ძველთან იწვევს უაღრესად მრავალნაირ კონფლიქტებს, რომელთა გარეშე ცხოვრება არ არის და, მაშასადამე, არც ხელოვნება“ („პრავდა“).

ერევის ჩამოყალიბებაზე ხალხების მიერ შექმნილი კულტურის ეთნიკური ფორმის საკითხისათვის



კულტურა კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი ხასიათისაა; კულტურის შინაარსს განსაზღვრავს წარმოების გაბატონებული წესი. ი. სტალინი გვაწავლის, რომ „კულტურა თავისი შინაარსით იცვლება საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ პერიოდში“.

თუ კულტურის შინაარსს განსაზღვრავს კლასები, კლასთა ბრძოლა, ეროვნული ფორმის (ეროვნული სპეციფიკის) განსაზღვრაში მონაწილეობას იღებენ სულ სხვა ელემენტები. კულტურის ეროვნული ფორმა ძირითადად განისაზღვრება საყოველთაო-სახალხო ეროვნული ენით. მაგრამ ეროვნული ენით როდი ამოიწურება კულტურის ეროვნული სპეციფიკა. კულტურის სპეციფიკის განსაზღვრაში ეროვნული ენის გარდა მონაწილეობს აგრეთვე ერის თავისებური ყოფა და ერის ის ტრადიციები, ადათები, ზნეჩვეულებანი, რომლებიც ერის ფსიქიკურ წყობას შეედარდება. ეროვნული ენა, ერის ფსიქიკური წყობა და თავისებური ყოფა ერთად, როგორც ცნობილია, ერის ისეთ თვისობრივ თავისებურებას, სპეციფიკას წარმოადგენს, რომელიც ახასიათებს მხოლოდ მას, სხვა ერს არა აქვს და განსაზღვრავს კულტურის ეროვნულ თავისებურებას, ე. ი. კულტურის ეროვნულ ფორმას.

„საბჭოთა ადამიანები ფიქრობენ, — მიუთითებდა ი. სტალინი 1948 წლას 7 აპრილს ფინეთის მთავრობის დელეგაციის მიღებაზე, — რომ ყოველ ერს. — სულერთია — დიდსა თუ მცირეს,

თავისი თვისობრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ მოეპოვებათ. ეს თავისებურებანი ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს და ავსებს, ამდიდრებს ამ საგანძურს“.¹

ეროვნული ფორმა კულტურისა, როგორც ერის თვისობრივ თავისებურებათა გამოხმატველი, ისტორიული კატეგორიაა, რომელსაც აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული. იგი ისტორიული კატეგორიაა იმიტომ, რომ თვით ერი, რომელიც ქმნის მას, ისტორიულ კატეგორიას წარმოადგენს.

კულტურის ეროვნული ფორმა, ამ ცნების ფართო მნიშვნელობით, წარმოიშვა კაპიტალიზმის აღმავლობის ეპოქაში, როდესაც ჩამოყალიბდნენ ერები (ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნულ კულტურათა ისტორია ერების ჩამოყალიბების დღიდან იწყება).

იბადება კითხვა: თუ კულტურის ეროვნული ფორმა მნიშვნელოვანია კულტურისათვის; რომელსაც ერები ქმნიან, მაშინ რა ეთნიკურ ფორმაში ვლინდება წინაკაპიტალისტურ ეპოქაში შექმნილი კულტურა, ვინ აძლევს ამ კულტურის შინაარსს გარკვეულ ეთნიკურ ფორმას, რა ტერმინი უნდა ვიხმაროთ მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის ეპოქებში შექმნილი

1 „ბოლშევიკი“, № 4. 1948 წ., გვ. 2.

კულტურის ეთნიკური ფორმის აღსანიშნავად?

ერების წარმოქმნამდე ხალხებმა შექმნეს მაღალი და მრავალფეროვანი კულტურა, რომელსაც გააჩნია მონათმფლობელური ან ფეოდალური შინაარსი, იმისდამიხედვით, თუ რომელ ეპოქაშია შექმნილი და რომელი კლასის ინტერესებს გამოხატავს იგი, ამ კულტურას გააჩნია თავისი გარკვეული ეთნიკური ფორმა, რადგანაც, როგორც ცნობილია, კოსმოპოლიტური კულტურა, როგორც ასეთი, ბუნებაში არ არსებობს.

ცხადია, რომ წინაკაპიტალისტური კულტურა არ იქმნებოდა რაღაც ამორფულ, კოსმოპოლიტურ, ანარქიულ მასაში, რომ მას ქმნიდა გარკვეულ ურთიერთობაზე აგებული ადამიანთა მეტეკულებად მყარი ისტორიული ერთობა.

წინაკაპიტალისტურ ეპოქებში შექმნილი კულტურების ეთნიკურ-სპეციფიკური ფორმის საკითხის გარკვევისთვის ჩვენ ზოგადად შეეჩერდებით იმ ისტორიულ ერთობებზე, რომლებიც კულტურის კლასობრივ შინაარსს თვისობრივად განსხვავებულ ფორმას აძლევინ. ადამიანთა ერთობა, რომელიც წინ უძღვის ერს, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, ხალხის („народность“) ¹ ერთობაა.

ხალხი ისტორიულ-ეთნიკურ ერთობათა განვითარების ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს. იგი ერის წინამორბედი, მაგრამ, მეორე მხრით, მას წინ უძღვის ისეთი ეთნიკური ერთობანი, როგორიც არიან გვარა და ტომი.

გვარი პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში წარმოიშვა. მას მოსდევს ტომობრივი ეთნიკური ერთობა, რომლის წარმოქმნა ისტორიული განვითარების შედარებით უფრო მაღალ საფე-

ხურზე ხდება, თუმცა ესეც, ისევე როგორც გვარი, პირველყოფილ თემური საზოგადოების ეპოქაში ბუნებრივად ვითარდება.

ტომობრივ ეთნიკურ ერთობას გააჩნდა თავისი „საკუთარი ტერიტორია და საკუთარი სახელწოდება“. ² გვარები და ტომები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, აგრეთვე, საერთო, კოლექტივის ყველა წევრისათვის ერთიანი გვაროვნული ან ტომობრივი ენით.

ტომობრივი ეთნიკური ერთობის წევრთათვის დამახასიათებელია ერთ-გვარი ეთნიკური შეგნება, ტრადიცია, ზნე-ჩვეულება. „სხვადასხვა ტომს თავისი რელიგიური დღესასწაული ჰქონდა, კულტის გარკვეული ფორმით, სახელდობრ, ცეკვითა და თამაშით... ყველა ტომი თავის დღესასწაულს ცალკე აწყობდა“. ²

საზოგადოების განვითარების ამ საფეხურზე ჯერ კიდევ წარმოდგენა არა აქვთ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებაზე, — აქ არ არის ექსპლოატაცია, კლასები, ამიტომ საზოგადოებრივი შეგნებაც არ ატარებს კლასობრივ ხასიათს. ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები ეთნიკურია, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ისინი საერთოა საზოგადოების ყველა წევრთათვის. რაც შეეხება კულტურას (გონებრივი განვითარების დაბალი დონის გამო „სულიერი წარმოება“ გადახლართულია მატერიალურ წარმოებაში), იგი ეთნიკურია როგორც შინაარსით, ისევე თავისი ფორმით.

საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე ტომობრივი ერთობანი აღვიღს უთმობენ ხალხის ერთობებს.

ხალხის ერთობის წარმოშობა ძირ-

¹ ქართულ ენაში დღემდე არ მოგვეპოვება „народность“-ის იდენტური ტერმინი. იგი თარგმნება როგორც „ხალხი“, „ხალხს“ კი, როგორც ცნობილია, შეეფარდება ტერმინი „народ“.

1. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეულ ნაწერები, თბილისი, 1950 წ., ტომი 10, გვ. 291.

2. იქვე, გვ. 292.

ფესვიანად ცვლიდა ადამიანთა გავრთიანების ხასიათს. ადამიანთა გარკვეულ ისტორიულ ერთობათა შექმნას უკვე საფუძვლად ედებოდა არა სისხლით მონათესავე გვარების გაერთიანება, როგორც ეს წინათ ხდებოდა, არამედ სხვადასხვა ტომისა და გვარის ერთმანეთში შერწყმა, შერევა.

როდის ხდება ხალხის, როგორც მყარი ისტორიული ერთობის, წარმოშობა?

ამ საკითხზე პასუხის გაცემა აუცილებელია, რამდენადაც ჩვენს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ხალხების წარმოშობის საკითხის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. ეს კი იწვევს თვალსაზრისთა სხვადასხვაობას ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო.

პროფ. პ. კუშნერი (ენიშევი), მაგალითად, თვლის, რომ ხალხი, როგორც გარკვეული მყარი ისტორიული ერთობა, შეიძლება წარმოშობილიყო მხოლოდ ფეოდალიზმის აღმავლობის ეპოქაში, თუმცა „ფეოდალიზმის, როგორც საზოგადოებრივი ფორმაციის მიმართაც სრულიად გადაწყვეტილად არ შეიძლება ჩაითვალოს ეთნიკური ერთობის ფორმის საკითხი.“¹

პროფესორ კუშნერის ამ კონცეფციის უსაფუძვლოება ნათლად ჩანს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების სინათლეზე.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ, რადგანაც ადამიანი უძლურია იარსებოს საზოგადოებისაგან იზოლირებულ ერთეულის სახით, ამიტომ კაცობრიობის ისტორიის პირველდღიდანვე ადამიანები ერთიანდებიან გარკვეულ ჯგუფებად, კოლექტივებად და ერთად ეწევიან საარსებო საშუალებათა მოპოვებას.

„ადამიანები აწარმოებენ ბრძოლას

ბუნებასთან და იყენებენ ბუნებას მატერიალური დოვლათის დასაცავად. ბუნება არა ერთმანეთისაგან იზოლირებულია, არა ერთმანეთისაგან მოწყვეტილი ერთეულების სახით, არამედ ერთად, ჯგუფებად, საზოგადოებებად.“¹

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პირველყოფილ თემურ წყობილებაში ადამიანთა ასეთი კოლექტივები ჯერ გვაროვნულ, ხოლო შემდგომ ტომობრივ ერთობებს წარმოადგენენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე გვაროვნული ან ტომობრივი ერთობანი, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შეეფარდებიან გვაროვნულ ან ტომობრივ ერთობებს, როგორც ეთნიკურ ორგანიზაციებს. გვარი ან ტომი იყო არა მარტო საზოგადოებრივი წარმოების წესის არსი, არამედ ადამიანების გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფებში გაერთიანების ფორმაც; მაგრამ ადამიანთა ასეთი კოლექტივები არ შეიძლება არ დამორჩილებოდა ისტორიული განვითარების კანონზომიერებას — მათი არსი, ხასიათი, მოცულობა, შემადგენლობა, დამახასიათებელი ნიშნები იცვლებოდა, ვითარდებოდა საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად. ადამიანთა ერთობანი საზოგადოების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარად ყალიბდებიან.

თუ პირველყოფილ თემურ წყობილებაში ადამიანთა ეთნიკური ერთობა სისხლით მონათესავე ოჯახებისა და გვარების შეერთებით ყალიბდებოდა, შემდგომში ვაჭრობის, მიწათმოქმედების, საზღვაო ტრანსპორტის განვითარებისა და კერძო საკუთრების, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად სხვადასხვა გვარი და ტომი აირია ერთმანეთში, რის გამოც ნათესა-

¹ „Советская Этнография“ № 4, 1949 წ. 83. ²

¹ ი. ს. ტალინი, საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 156.

ური ეთნიკური ჯგუფები ადგილს უთმობენ „ტერიტორიული ბინადრობის მიხედვით“ ჩამოყალიბებულ ხალხთა ერთობებს.

ხალხის, როგორც გარკვეული მყარი ისტორიული ერთობის, წარმოშობის პროცესი, რასაკვირველია, ყველგან ერთნაირად, ერთსადაიმევე დროს არ მიმდინარეობდა, მაგრამ ისტორიული კანონზომიერება ამ პროცესისა ყველგან საერთო იყო.

ხალხის, როგორც გარკვეული ისტორიული ერთობის, წარმოშობა დაკავშირებულია საზოგადოების კლასებად დაყოფის ეპოქასთან. კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა სობებს ტომობრივ კარჩაკეტილობას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ტომს.

ერთიან ხალხში შედღეობული ტომები იმთავითვე არ კარგავენ თავიანთ დამოუკიდებელ არსებობას, ისინი ჭრებიან, ილუპებინან როგორც ერთობანი, თუმცა მათი გადმონაშთები დიდხანს რჩება ხალხის შეგნებაში.

ძველ საბერძნეთში, გვაროვნული წყობილების დროს, ათინელთა ოთხ ტომს ატიკის განცალკევებული ტერიტორიები ეკირა. ამ ტომებს გააჩნდათ დამოუკიდებელი მმართველობა: სახალხო კრება, სახალხო საბჭო, ბასილიეისი. კერძო საკუთრების ელემენტების წარმოშობასთან ერთად იწყება ტომობრივი კარჩაკეტილობის რღვევა. ეკონომიკის შემდგომმა განვითარებამ, რამაც გამოიწვია კერძო საკუთრების ინსტიტუტების განმტკიცება, ხელი შეუწყო ამ ტომების ერთურობთან შერევას. „მიწათმფლობელობათა ყიდვა-გაყიდვის შემწობით, მიწათმოქმედებასა და ხელოსნობასა, ვაჭრობასა და ნაოსნობას შორის შრომის დანაწილების შემდგომი განვითარების შემწობით, — წერს ფრ. ენგელსი, — გვართა, ფრატრიათა და ტომთა წივრები სულ მალე უნდა შერეულიყვნენ ერთმანეთში. ფრატ-

რიისა და ტომის ტერიტორიაზე უნდა დასახლებულიყვნენ ისეთი მცხოვრებლები, რომელნიც, მართალია, თანამემამულენი იყვნენ, მაგრამ მაინც ამ კორპორაციებს არ ეკუთვნოდნენ, მაშასადამე, თავიანთ საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე უცხოელებად ითვლებოდნენ“.¹

თეზვევის კონსტიტუციით, რომელმაც იურიდიულად ასახა ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებები, ათენში დაწესდა ცენტრალური მმართველობა. ტომების დამოუკიდებელი მმართველობის უფლებები შეიკვეცა. ათენის მოსახლეობა, განურჩევლად ტომებისა, დაიყო სამ კლასად: ევბატრიდებად (კეთილშობილნი), გეომორებად (მიწათმოქმედნი) და დემიურგებად (ხელოსნები).

ამით „ერთმანეთის გვერდით მცხოვრები ტომების უბრალო კავშირის ნაცვლად მოხდა მათი ერთიან ხალხად შედღეობა“.² მაგრამ ეს იყო მხოლოდ დასაწყისი. შემდგომ „თაობიდან თაობაში სულ უფრო და უფრო ირეოდნენ ერთმანეთში სხვადასხვა გვარებისა და ფრატრიების წევრები ატიკის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით თვით ქალაქ ათენში“.³

ახლა ატიკის მოსახლეობა იყოფოდა უკვე არა „ნათესაური ჯგუფების, არამედ ტერიტორიული ბინადრობის მიხედვით“.⁴ ეს გარემოება კი იმას ნიშნავდა, რომ ოდესღაც ატიკაში დასახლებული ოთხი ტომის მაგივრად წარმოიშენნენ ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები და ერთიან ენაზე მოლაპარაკე ელინელები.

ამრიგად, საზოგადოების კლასებად დაყოფა შლის ტომებს, წარმოიშობიან ხალხები. რადგანაც პირველი კლასობ-

¹ ქ. მარქსი, ფრ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტომი II, გვ. 312.

² იქვე, გვ. 313.

³ იქვე, გვ. 317.

⁴ იქვე, გვ. 318.

ჩივი საზოგადოება მონათმფლობელობა იყო, ამიტომ პირველად ხალხების წარმოშობა სწორედ მონათმფლობელური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის წიაღში მოხდა.

მაგრამ არიან ერები, რომლებსაც არ გაუვლიათ ისტორიული განვითარების მონათმფლობელური საფეხური. ხალხების ჩამოყალიბება აქ ფეოდალიზმთან არის დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ფეოდალიზმი ხასიათდება სამთავროების წარმოშობით, ტერიტორიული კავშირების შეწყვეტით. საინტერესოა, ხომ არ ხდება განვითარების ამ საფეხურზე უკვე არსებული ხალხების ერთობათა დაშლა, ან ხომ არ შეიძლება საექვოდ ჩაითვალოს ფეოდალიზმის ეპოქაში ხალხთა ისტორიულ ერთობათა არსებობა?

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, განსაკუთრებით ლენინისა და სტალინის, ნაშრომებში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ხალხები, როგორც ისტორიული ერთობანი, არსებობენ დავითარდებიან ფეოდალიზმის ეპოქაში.

მაგალითისათვის ავიღოთ კიევის რუსეთი, რომელიც, როგორც ცნობილია, ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების და განვითარების ეპოქაში არსებობდა. რუსი ხალხის („народности“), როგორც მყარი ისტორიული ერთობის, ჩამოყალიბება სწორედ კიევის რუსეთის ეპოქაში მოხდა. ამის შესახებ ვ. ლენინი წერს: „თუ შეიძლება ლაპარაკი ძველი რუსეთის გვაროვნულ წყობილებაზე, უმკველია, რომ შუა საუკუნეებში... ეს გვაროვნული კავშირები უკვე აღარ არსებობდა, ე. ი. სახელმწიფო დამყარებული იყო სრულიად არა გვაროვნულ, არამედ ადგილობრივ კავშირებზე: მემამულეები და მონასტრები გლეხებს სხვადასხვა ადგილებიდან ლეზულობდნენ, და თემები, რომელნიც ამრიგად იქმნებო-

დნენ, წმინდა-ტერიტორიულ კავშირებს წარმოადგენენ“.¹

ვ. ლენინის ეს სიტყვებში მითითებული ლიხსშესანიშნავია იმით, რომ ისინი აშუქებენ რუსი ხალხის, როგორც გარკვეული მყარი ისტორიული ერთობის, ჩამოყალიბების საკითხს, მიუთითებენ, რომ შუასაუკუნეებში, კერძოდ კიევის რუსეთის ეპოქიდან მოყოლებული, საქმე გვაქვს ერთიან რუს ხალხთან.

ვ. ლენინის ამ სიტყვებიდან ჩვენ შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ხალხის წარმოშობა ძველ რუსეთში ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესში მოხდა. საქმე ისაა, რომ პირველყოფილი თემური წყობილების რღვევას, რაც აღმოსავლეთ სლავთა ტომებში VIII-IX საუკუნეებში დაიწყო, თან მოჰყვა არა მონათმფლობელური, არამედ ფეოდალური ფორმაციის დამკვიდრება. მართალია, ძველი რუსეთი, ისევე როგორც ვერძის სხვა ხალხები, იცნობდა მონათმფლობელობას, მაგრამ მონათმფლობელობა ძველ რუსეთში ვერ განვითარდა სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციამდე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ საბერძნეთში და რომში. მონათმფლობელობამ ამ მხრივ რუსეთში თავისებური როლი შეასრულა. მან დააჩქარა თემური საზოგადოების რღვევა, ფეოდალურ ურთიერთობათა გამარჯვება.

ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებამ რუსეთში გამოიწვია გვაროვნული თემის (Семейная община, „Вервь“) დაშლა. მის ადგილს იკავებს სოფლის თემი (Сельская община). მართალია, სოფლის თემის წარმოშობას და განვითარებას არ გამოუწვევია გვაროვნული თემის საბოლოო ლიკვიდაცია (იგი განაგრძობდა არსებობას სოფლის, ტერიტორიული თემის შიგ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. I, გვ. 169.

ნით), მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეკონომიკაში მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვიეს გვარის წევრთა ერთმანეთში შერევა და შედუღება. ამას მოჰყვა საერთო ყოფის, ზნე-ჩვეულებების, წესების, ადათებისა და ტრადიციების თანდათანობითი გამოკვეთვა. კრივიჩების, ვიატიჩების, სევერიანებისა და სხვა სლავი ტომების ნაცვლად უკვე საქმე გვაქვს ნოვგოროდელებთან, ჩერნიგოველებთან, სმოლენსკელებთან, რიაზანელებთან და სხვა. კიევის სახელმწიფომ დააჩქარა აღმოსავლეთ სლავთა ტომების ერთიან რუს ხალხში შერწყმა. ამ ხალხმა ძლიერ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაზე დაყრდნობით შეინარჩუნა დამოუკიდებლობა გარეშე მტრებთან ბრძოლაში, — შექმნა მაღალი და მრავალფეროვანი კულტურა.

კიევის ეპოქის კულტურამ შეიწოვა სლავთა ტომების ძველი კულტურული ტრადიციები. ამ ეპოქაში შექმნილი კულტურა: მეურნეობა, ხელოვნება, მუსიკა, ფოლკლორი, ლიტერატურა და სხვა ორგანულადაა დაკავშირებული მის წინამორბედ სლავთა ტომების კულტურასთან. ეს გარემოება ნათელს ფენს რუსი ხალხის კულტურული პროგრესის საკვანძო საკითხებს, მიუთითებს იმ კოსმოპოლიტური, რეაქციული „თეორიის“ უსაფუძვლობაზე, რომელიც ძველი რუსეთის კულტურულ პროგრესს სკანდინავიელების დამსახურებად თვლიდა.

კიევის ეპოქიდან იწყება ახალი პერიოდი რუსული კულტურის ისტორიაში. კიევის ეპოქაში კულტურამ იცვალა თავისი ხასიათი. ერთიანი კულტურის ადგილს იკავებს შინაარსით ორი, მოწინააღმდეგე, კულტურა, კულტურა თავადთა არისტოკრატიისა და კულტურა ქალაქისა და სოფლის დაჩაგრული მასებისა.

თუ პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში რუსი ხალხის წინაპრებს გააჩნდათ შინაარსითაც და ფორმითაც ერთიანი ეთნიკური კულტურა, ახლა, ფეოდალურ ურთიერთობათა დაშვების შემდეგ კულტურა გაიყო ორ ნაწილად.

გაბატონებული და ექსპლოატრებული კლასების კულტურებს შორის მიმდინარეობს შეურიგებელი ბრძოლა. ჩაგრული კლასის კულტურული შემოქმედება წინააღმდეგობას ხდევდა გაბატონებული კლასის მხრივ. ამიტომ ექსპლოატრებულთა კულტურის განვითარება გაბატონებული კლასის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში მიმდინარეობს.

მაგალითისათვის ავიღოთ ლიტერატურა. ფეოდალური ეპოქის ლიტერატურა ძლიერი, აქტიური ძალაა, რომელიც ფეოდალური სახელმწიფოს გამაგრების საქმეს ემსახურებოდა. ამ ლიტერატურის კლასობრივობა ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ იგი ფეოდალთა კლასის სამსახურში იყო.

გლეხთა კლასს ფეოდალიზმის ეპოქაში არ შეუქმნია თავისი დამწერლობითი ლიტერატურა. მაგრამ, სამაგიეროდ, მან შექმნა „ზეპირი ლიტერატურა“, რომელშიც უფრო ნაკლებად გამოვლინდა გაბატონებული კლასის იდეოლოგია, ვიდრე გლეხობის იდეოლოგიაა გამოხატული გაბატონებული კლასის წერილობით ლიტერატურაში. როგორც ცნობილია, რუსული ქრისტიანული ეკლესია, გამოხატავდა რა გაბატონებული კლასების ინტერესებს, თავისი არსებობის პირველსავე დღიდან ებრძოდა ფოლკლორს. ამ ბრძოლას ღრმა კლასობრივი ხასიათი ჰქონდა, თემცა იგი ხშირად რელიგიური (ქრისტიანობასა და წარმართობას შორის) ბრძოლის ფორმასღებულობდა. ეკლესია ხედავდა რა ფოლკლორში დაჩაგრული მასების თვითშეგნების ზრდის საშუალებას, დევნიდა მას.

ამრიგად, კიევის რუსეთში საფუძველი ეყრება და წარმოიშობა რუსი ხალხი (Народность) როგორც მყარი ისტო-

რიული ერთობა. რადგანაც კიევის ეპოქიდან რუსეთში ვითარდება ფეოდალიზმი, ამიტომ რუსი ხალხის არსებობა ფეოდალურ სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციასთანაა დაკავშირებული.

ხალხი, როგორც მყარი ისტორიული ერთობა, ხალხი, როგორც ისტორიულ-ეთნიკურ ერთობათა განვითარების ერთ-ერთი საფეხური, არსებობს და ვითარდება მონათმფლობელური და ფეოდალური სოციალურ-ეკონომიური ფორმაციების ეპოქაში.

აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ნ. მარის მცდარ დებულებაზე ხალხების წარმოშობის შესახებ.

როგორც ცნობილია, ნ. მარის ე. წ. „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ ენათა შეჯვარდინებისა და სტადიურობის პრობლემას ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამ პრობლემის არასწორმა დაყენებამ და გადაწყვეტამ ნ. მარს წამოაყენებინა სხვა ბევრი მცდარი, არამარქსისტული დებულება. კერძოდ, ნ. მარი ფიქრობდა, რომ საზოგადოების გარკვეულ საფეხურზე წინაპარი ტომების შეჯვარდინების შედეგად წარმოიშობა თვისობრივად ახალი ეთნიკური ერთობა. სლავები, მაგალითად, მარის აზრით, არის თვისობრივად სრულიად ახალი ერთობა, წარმოშობილი ვენელების, ლუგილების, სკვითების, თრაკილების, ილირიელებისა და სხვა უცნობ ტომთა შეჯვარდინების გზით.

ი. სტალინმა თავის გენიალურ საენათმეცნიერო შრომებში აშხილა მარის ამ დებულების მეცნიერული უსაფუძვლობა.

ამხანაგმა სტალინმა ნათელყო, რომ ხალხების ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ტომი, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებენ ეთნოგენეზურ პროცესში. მაგრამ ამ ტომთა შეჯვარდინების შედეგად წარმოიშობა თვისობრივად არა

ახალი ისტორიულ-ეთნიკური ერთობა, არამედ ასეთი ერთობა, რეალურად შექმნილია ერთ-ერთი ძირითადი ტომიდან წინაპარი. მიუხედავად იმისა, რომ სლავთა წარმოშობაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ტომმა, სლავებს გააჩნდათ ისეთი ძირითადი ტომი — წინაპარი, რომელიც სლავთა ეთნიკურ თვისებათა (პირველ რიგში, ენის) მატარებელი იყო.

რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება ხალხი, როგორც მყარი ისტორიული ერთობა?

ხალხი (Народность), უპირველესყოვლისა, ისტორიული და არა რასობრივი ერთობაა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს არა ერთი რომელიმე რასა ან ტომი, არამედ სხვადასხვა რასა და ტომი. განსაზღვრავს რა ერს, ამხანაგი სტალინი მიუთითებს, რომ ერების ჩამოყალიბებაში, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ტომმა და რასამ, რომ ერების წარმოშობა რასებისა და ტომების შერწყმის შედეგია. მაგრამ, რადგანაც ერის ელემენტები, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, ციდან კი არ ვარდებიან, არამედ საუკუნეების მანძილზე იქმნებიან, ამიტომ გასაგებია, რომ ტომებისა და რასების გარკვეულ ერთობაში შერწყმის პროცესიც უძველესი დროიდან დაიწყო.

იტალიელების, როგორც ერის, ჩამოყალიბებაში, მაგალითად, მონაწილეობა მიიღეს რომაელებმა, გერმანელებმა, ეტრუსკებმა, ბერძნებმა და სხვ. აღნიშნული ტომებისა და რასების ერთმანეთში შედღეობა ძირითადად სწორედ ძველ რომში მოხდა. ძველ რომში, ერთი მხრით, ტომობრივი ეთნიკური ერთობის დაშლისა და, მეორე მხრით, მონათმფლობელური რომის მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლამ ერთმანეთში არია ევროპისა და აფრიკის სანაპიროებზე მცხოვრები ტომები. ფ. ენგელსი

პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ პერიოდში „გალეზი, იბერიელები, ლიგურიელები, ნორიკელები — ყველანი რომაელებად იქცნენ“, რომ რომში თავი მოიყარა იმდენმა სხვადასხვა რასისა და ტომის ადამიანმა, რომ პირველ ხანებში „ახლად გამომცხვარი რომაული მოქალაქეობა“ არავითარი „ეროვნების“ გამომხატველი არ იყო.¹

აქედან გამომდინარეობს, რომ, განსხვავებით ტომისაგან, რომელიც ეთნოგრაფიულ კატეგორიას წარმოადგენს, ხალხი ისტორიული კატეგორიაა. ხალხი არა მარტო ისტორიული, არამედ გარკვეულ პირობებში მყარი ისტორიული ერთობაა.

ი. სტალინი თავის გენიალურ ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ გვასწავლის, რომ ერები განირჩევიან უალრესი გამძლეობით და ასიმილაციის პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის კოლოსალური ძალით.

„... ცნობილია, რომ ერები და ეროვნული ენები, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — განირჩევიან უალრესი გამძლეობით და ასიმილაციის პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის კოლოსალური ძალით. თურქი ასიმილატორები, — ყველაზე სასტიკი ასიმილატორები, — ასეული წლების მანძილზე ფლეთდნენ და ასახირებდნენ ბალკანეთის ერებს, მაგრამ არა თუ ვერ მიაღწიეს მათს მოსპობას, არამედ იძულებული გახდნენ კაპიტულაცია მოეხდინათ. მეფის დამქაში რუსი რუსიფიკატორები და გერმანელ-პრუსიელი გერმანიზატორები, რომლებიც დიდად როდი ჩამოუვარდებოდნენ სისასტიკეში თურქ ასიმილატორებს, ას წელიწადზე მეტ ხანს ფლეთდნენ და აწამებდნენ პოლონელ ერს, ისევე როგორც სპარ-

სელი და თურქი ასიმილატორები/ ასეული წლების განმავლობაში ფლეთდნენ, აწამებდნენ და ელფლეთებოდნენ სომეხს და ქართველ ერებს, მაგრამ არა თუ ვერ მიაღწიეს ამ ერების მოსპობას, არამედ პირიქით — იძულებული გახდნენ აგრეთვე კაპიტულაცია მოეხდინათ.“¹

როგორც ვხედავთ, ამხანაგ სტალინს მოჰყავს მაგალითი ქართველი ხალხის XV—XVIII საუკუნეების ისტორიიდან. ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა სპარსელი და თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ სწორედ ამ ეპოქაში მიმდინარეობდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ XV—XVIII საუკუნეებში საქმე გვაქვს ქართველ ხალხთან, მაშინ გასაგები გახდება, რომ ი. სტალინის დებულება ერის ისტორიულად მყარი ერთობის შესახებ ხალხზეც ვრცელდება.

და მართლაც, განა ცხადი არ არის, რომ ქართველი ხალხი (ისევე როგორც სხვა ხალხები) მყარი ისტორიული ერთობა რომ არ ყოფილიყო, სპარსელ და თურქ ასიმილატორებს ისეთ ძლიერ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, როგორც სინამდვილეში გაუწია?

ცნობილია, რომ სწორედ ამ ეპოქაში საქართველო უკვე დაშლილი იყო რამდენიმე ფეოდალურ სამთავროდ და სამეფოდ, რომ არ არსებობდა პოლიტიკური და ადმინისტრაციული მთლიანობა. და თუ სახელმწიფოებრივი ერთობის დაცემისა და დაქუცმაცების ასეთ პირობებში ხალხი გარკვეული მყარი ერთობის ნიშნებს ამჟღავნებს, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ: ხალხი ისტორიულად არსებულ მყარ ერთობას წარმოადგენს.

ხალხის ერთ-ერთ დამახასიათებელ

¹ კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 357.

¹ ი. სტალინი, თხ., ტ. II, გვ. 384 — 385

ნიშნის ხალხის ყველა წევრთათვის საყოველთაო-სახალხო ენა წარმოადგენს.

ყველა ხალხს გააჩნია თავისი ენა. ამ შემთხვევაში ხალხის ენა ტომობრივი ენის განვითარების შედეგს წარმოადგენს, ხოლო თავის მხრივ ხალხის ენა კაპიტალიზმის აღმავლობის ეპოქაში, მაშინ როდესაც ყალიბდებიან ერები, ეროვნულ ენად ვითარდება.

ენის ერთობა ხალხის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. მაგრამ ერთიანი ენა არ ამოწურავს ხალხის დამახასიათებელ ნიშნებს. ხალხს ჩანასახის სახით გააჩნია ტერიტორიული ერთობა.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ ქართველებს ტერიტორიული ერთობა რეფორმის წინანდელ ხანაშიც გააჩნდა. „აეილოთ თუნდაც ქართველები, — წერს ამხანაგი სტალინი, — რეფორმამდელ ხანაში ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ!“. ¹ ამრიგად, ერისთვის დამახასიათებელი ეს ნიშანი — ტერიტორიული ერთობა ქართველებს მანამდე ჰქონდათ, სანამ მათი ერად ჩამოყალიბების პროცესი დამთავრდებოდა.

დავიმოწყოთ რამდენიმე მაგალითი. გერ კიდევ იმ ხანაში, როცა აღმოსავლეთ და დასავლეთ ტომებს ცალკე სახელმწიფოებრივი გაერთიანება ჰქონდათ, ძველი ქართველი ისტორიკოსის (VII საუკუნისა) წარმოდგენით, საქართველო ტერიტორიულად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენდა. „ქართლის მოქცევის“ ავტორი წერს: „თანა ჰყავდა აღექსანდრეს მეფესა აზოიძე არიან ქართლისა მეფისა და მას მიუბოძა მცხეთაი საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთაი ცროლისა და წარვიდა... ესე იყო პირველი მეფე მცხეთასა შინა აზოიძე არიან ქართველთა მეფისაი“. ² აქ ჩამოთვლი-

ლი საზღვრები საცხებით ნათელყოფს, რომ აქ მთელი საქართველო (აღმოსავლეთი და დასავლეთი) იმდროინდელი ამრიგად, ისტორიკოსი, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებამდე ცხოვრობდა, მცხეთის მეფეს მთელი საქართველოს, აღმოსავლელ და დასავლელ ქართველთა, ერთიანი ტერიტორიის მეფედ მიიჩნევდა.

რაკი უძველესი დროიდან ქართველ ტომთა ტერიტორიული ერთობა არსებობდა, ისტორიკოსები, რომლებიც წარმოშობით აღმოსავლეთ საქართველოდან იყვნენ და პოლიტიკურადაც აღმოსავლეთ სამეფოს ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, ქართლის სამეფოს ისტორიის მოთხრობით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ მთელ საქართველოს ისტორიას, ქართლისა და ეგრისის ისტორიასაც ვხეობდნენ. ასე მოიქცა ლეონტი მროველი, XI საუკუნის ისტორიკოსი, როცა თავის „მეფეთა ცხოვრებას“ წერდა. ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს ქართველ ტომთა ტერიტორიული ერთობა შეადგენდა.

მართალია, დროთა ვითარებაში ქართველთა მიწა-წყლის ვრცელი ტერიტორია ზოგ შემთხვევაში იზღუდებოდა სამხრეთიდან, თუ სხვა მხრიდანაც, მაგრამ არასოდეს საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა ხანა (უდიდესი განსაცდელის დროსაც კი), როცა ქართველ ტომებს თავიანთი ძირითადი ტერიტორია დაეკარგათ და ტერიტორიული ერთობის შეგნება არა ჰქონოდათ. ჩვენ ამჟამად არაფერს ვაშობთ საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაზე (XI — XIII ს. ს.), როცა ქართველ ტომთა ტერიტორიული მთლიანობა განმტკიცებული იყო პოლიტიკური ერთიანობით. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ დროიდან (XI საუკუნე), ე. ი. მას შემდეგ, რაც ქართველთა ერთიანი ტერიტორია პოლიტიკურადაც გაერთიანდა, წარმოიშვა საერთო

¹ ი. სტალინი, თხზ., ტ. II, გვ. 317.

² Е. Т а к а н ш в и л и, Опись рукописей. Т. II. вып. 4, стр. 709.

სახელწოდება „საქართველო“. ეს იყო ახალი ტერმინი, ახალი ფორმა, რომელიც გამოხატავდა ძველი დროიდანვე არსებულ ფაქტიურ მდგომარეობას — ქართველთა ტერიტორიულ ერთობას.

„საქართველო“ რომ, მართლაც, ქართველი ხალხის ტერიტორიულ ერთობას უფრო გამოხატავდა, ვიდრე პოლიტიკურ მთლიანობას, ეს კარგად ჩანს შემდეგი დროის მოვლენებიდანაც.

XV საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკურ მთლიანობას ბოლო ედება. წარმოიშვა ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოები; ამასთან ერთად ჩნდება ცალკე სამთავროებიც (აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, სამცხე-საათაბაგო და სხვ.), მაგრამ ტერიტორიული ერთობის შეგნება მაინც არ იშლება. ყველა ამ პოლიტიკურ ერთეულს ცალ-ცალკე და ერთადვე „საქართველო“ ეწოდება. საგულისხმოა, რომ ამ ხანისათვის ამ ცალკეულ ერთეულებს — „საქართველოებს“ უწოდებენ. ტერმინი „საქართველოები“ — საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის მაუწყებელია (ქვეყანა ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად — პატარა „საქართველოებად“ არის დაშლილი), მაგრამ იგი ამავე დროს ტერიტორიული ერთობის ელემენტებზეც მიუთითებს. ეს „საქართველოები“ — ცალკე ერთეულები — მაინც ერთ საქართველოს ტერიტორიაზეა და ამიტომაც იწოდება „საქართველოდ“. ამას გარდა, ამ „საქართველოების“ გვერდით მოუშლელად არსებობს ტერმინი „საქართველო“, რაც ამ დროს (ე. ი. დაშლის შემდეგ) მხოლოდ ტერიტორიულ მთლიანობაზე შეიძლება მიუთითებდეს.

პოლიტიკური დაშლილობის ხანაში „საქართველო“ რომ ტერიტორიული ერთიანობის გამოხატველი ცნებაა, ეს კარგად ჩანს მე-17 საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის შემდეგი მოთხრობიდან: „ხონთქარი და ყაენი მაჰმადის რჯულზედ

იყენენ, დიდრონი მრავალი ქვეყანანი მამულად ჰქონდათ და ფრთვე მრავალი მეფენი ყმათ ჰყავდათ და საქართველო თავად ცოტა და მერმე მრავლად გაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშპნი მტერნი... ხონთქარმან და ყაენმან საქართველო შუა გაიყვეს: სამცხე და ქართლი და კახეთი ყაენსა. იმერეთი, ოდიში და აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა ხონთქარსა“.¹

როგორც ვხედავთ, საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის დროის ისტორიკოსის წარმოდგენით, პოლიტიკურად დანაწილებული საქართველო მთლიანი ტერიტორიულ ერთეულია. საქართველოში, ამ ტერიტორიაზე, მისი წარმოდგენით, არსებობდა რამდენიმე პოლიტიკურად ცალკე გამოყოფილი ერთეული სამცხე, ქართლი, კახეთი, იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია, ლაზის ქვეყანა. ყველა ესენი ერთად საქართველოა, ერთიანი ტერიტორიულ ერთეული.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ფარსადან გორგიჯანიძის წარმოდგენით, საქართველოს ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილზე უცხო მოძალადის დიდი ხნით ბატონობა არ ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის დაკარგვას. „ლაზის ქვეყანა“, რომელიც უძველესი დროიდან ქართულ პოლიტიკურ გაერთიანებებში დიდი ხანია არ შედიოდა (ქანეთი ანუ ლაზეთი არ შესულა მე-4 საუკუნეში წარმოშობილ ლაზიკის ანუ ეგრისის სამეფოში), ფარსადანის წარმოდგენით, საქართველოს ტერიტორიაში, ტერიტორიულ ერთიანობაში იგარაუდებოდა.

როგორც ვხედავთ, პოლიტიკური დაშლილობა არ სპობს ტერიტორიულ ერთიანობის შეგნებას. პოლიტიკურად დაშლილი ქართველობა გვიანფორმულ ხანაში ტერიტორიულ მთლიანობას ისევ ინარჩუნებს.

¹ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 215.

ამას სხვა მაგალითიც ადასტურებს. 1790 წ. ქართველმა მეფეებმა და მთავრებმა დასაღეს ერთობის „საუკუნო პირობა“: „ტრაქტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღმერილი სამეფოსა ჭილაქსა თბილისს, 1790 წელსა. ვინაიდგან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქესთ ერთმორწმუნეობა, არიან ძენი ერთის კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქესთ შავასხელობითაცა (ე. ი. საურთიერთო) სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისათვის ჩვენ ზემოხსენებულნი ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი... აღვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობისა“...¹

ჩვენ არ ვეჩხებით ამ ამონაწერის მრავალ საინტერესო მხარეს, ამჟამად მხოლოდ ტერიტორიული ერთობის საკითხი გვაინტერესებს. როგორც ვხედავთ, „ივერიის“ (რაც, ცხადია, ამ შემთხვევაში „საქართველოს“ უდრის) ქვეყანაში ივარაუდება რამდენიმე ცალკე პოლიტიკური ერთეული: ქართლი, კახეთი, იმერეთი, ოდიში, გურია; მიუხედავად პოლიტიკური დანაწილებისა, ამ ერთეულების მეფე-მთავრები არიან „ივერიელთა მეფე-მთავრები“, ე. ი. პოლიტიკურად დაშლილი, მაგრამ ტერიტორიულად ერთიანი ივერიის ანუ საქართველოს მეფე-მთავრები.

ასე მოიტანეს თავი ქართველებმა 1801 წლამდე. როგორც ვხედავთ, მათ ამ ხნის განმავლობაში ტერიტორიული ერთობის შეგნება ჰქონდათ. საქართველოში რუსეთის ზღლისუფლების დამყარებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანებას, ტერიტორიული ერთობის კიდევ უფრო განმტკიცებას...

ამრიგად, უძველესი დროიდან მოკლებული „ქართველები სავრცულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ“² მისსადგმე, მათ ერისათვის დამახასიათებელი ეს ნიშანი გააჩნდათ, მაგრამ ეს და სხვა ნიშნებიც ჯერ კიდევ ჩანასახის სახით იყვნენ წარმოდგენილი, რაც არ იყო საქმარისი იმისათვის, რომ ქართველ ხალხს ერად ჩამოყალიბების პროცესი დაესრულებინა.

ხალხი ხასიათდება, აგრეთვე, კულტურის ერთობით, რომელშიც ამ ხალხის გარკვეული „ფსიქიკური წყობა“, ხალხის ეთნიკურ-ისტორიული ერთობის თვითშეგნება ვლინდება. ი. სტალინი პირდაპირ მიუთითებს, რომ კულტურული ერთობა ციდან კი არ ვარდება, არამედ ხალხის მიერ იქმნება საუკუნეების მანძილზე წინაკაპიტალისტურ პერიოდში.

ხალხს გააჩნია თავისი ეკონომიური საფუძველიც.

ი. სტალინი თავის გენიალურ შრომაში „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“, ეხება რა მონობისა და შუასაუკუნეების პერიოდის იმპერიებს (იროსის, ალექსანდრე დიდის, კეისრისა და კარლოს დიდის იმპერიები), წერს, რომ ამ იმპერიებს, რომლებიც „გგუფთა შემთხვევითი და ნაკლებად შეკავშირებული კონგლომერატები“ იყვნენ, არ გააჩნდათ გამაერთიანებელი ეკონომიური საფუძველი. სამაგიეროდ, — მიუთითებს ამხანაგი სტალინი, — იმ ხალხებს, რომლებიც იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ, „ჰქონდათ თავიანთი ეკონომიური ბაზა“.¹

მაგრამ ეკონომიური ბაზა არსებობდა პოტენციის სახით, რადგანაც, ჯერ ერთი, იგი მხოლოდ პატარა ხალხების ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენდა, მეორეც, რაც მთავარია, ეკონომიკის ვაჭრობის და მიმოსვლის საშუალებათა განვითარების დაბალი დონე არ

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950 წ., გვ. 10.

¹ საქართველოს ისტორია, ნაწილი I, გვ. 11.

ქმნიდა იმის საშუალებას, რომ არსებულყოფილი ისეთი „შინაგანი კავშირი, რომელიც ერის ცალკეულ ნაწილებს ერთმთლიანად აერთიანებს“.¹

ვ. ი. ლენინი თავის ლექციაში „სახელმწიფოს შესახებ“ მიუთითებდა, რომ განვითარების ამ საფეხურზე საზოგადოებაც და სახელმწიფოც გაცილებით უფრო პატარა იყო, ვიდრე ახლა, მის განკარგულებაში კავშირურობის ბევრად უფრო სუსტი აპარატი იყო, — მაშინ არ იყო მიმოსვლის ახლანდელი საშუალებები. მთები, მდინარეები და ზღვები განუზომლად უფრო დიდ დამბკოლებებს წარმოადგენდნენ, ვიდრე ახლა, და სახელმწიფოც გაცილებით უფრო ვიწრო გეოგრაფიული საზღვრების ფარგლებში ყალიბდებოდა.

ი. სტალინი მიუთითებს ორი ერის — ბურჟუაზიულის და სოციალისტურის — არსებობის შესახებ. ბურჟუაზიული ერის ეკონომიკური საფუძველი წარმოების კაპიტალისტური წესია, მაშინ როდესაც სოციალისტურ ერებს ეკონომიურ საფუძველად წარმოების სოციალისტური წესი უდევს.

ერის (ბურჟუაზიული ერის) საფუძველს ისეთი მყარი ეკონომიური ცხოვრების ერთობა წარმოადგენს, რომელიც ქმნის ერთიან ნაციონალურ ბაზარს, ამყარებს და აწესრიგებს სასტრატეგულ ეკონომიურ ურთიერთობას ერის ნაწილებს შორის, ეკონომიურ ერთობაში აერთიანებს მათ. ხალხს ასეთი ეკონომიური კავშირი არ გააჩნია. ეს იმიტომ, რომ წინაკაპიტალისტური მეურნეობის კარჩაკეტილობა არ იძლეოდა ამის საშუალებას, ე. ი. ხალხს არ გააჩნდა ერთიანი ეკონომიური საფუძველი, ხალხი ეკონომიური კედლებით, კარიდორებითაა დაშორებული ერთმანეთისაგან. ნაცვლად ერთიანი

ეკონომიური ცხოვრების ერთობისა, რომელიც ერს გააჩნია, ხალხი ეკონომიური დაქვემდებარებას განიცდიდა. ხალხის ერთობის წარმოშობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კერძო საკუთრების, კლასებისა და სახელმწიფოების წარმოშობა დაედო საფუძველად. ხალხი ისტორიულად არსებული ისეთი მყარი ერთობაა, რომელსაც ეკონომიურ საფუძველად მონათმფლობელური ან ფეოდალური ფორმაციების წარმოების წესი უდევს. ამაში მდგომარეობს ის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც ხალხს განასხვავებს ერისაგან.

ხალხის ერთობა, ისევე როგორც ეროვნული ერთობა, ისტორიულ კატეგორიას წარმოადგენს. ხალხი, ისევე როგორც ერი, საზოგადოებრივი კავშირის გარკვეული ფორმაა. მხოლოდ იგი საზოგადოების შედარებით დაბალ საფეხურზე არსებული ერთობაა.

ერის ყველა ნიშანი სწორედ ხალხის ერთობაში იქმნება საუკუნეების მანძილზე.

აქედან, გასაგებია, რომ, თუ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ეპოქებში კულტურა ეროვნულ ფორმაში გვევლინება, წინაკაპიტალისტურ კლასობრივ საზოგადოებებში კულტურას ერის წინამორბედი ხალხი ქმნის და ამიტომ იგი ხალხის თვისობრივ თავისებურებებით განსაზღვრულ ეთნიკურ ფორმაში ვლინდება.

ხოლო რადგანაც ხალხი, როგორც ისტორიული ერთობა, თვისობრივად განსხვავდება ერისაგან, რომელიც წარმოიქმნა ფეოდალიზმის ნგრევისა და კაპიტალიზმის აღმავლობის ეპოქაში, ამიტომ მონათმფლობელური და ფეოდალური ფორმაციების ეპოქაში შექმნილი კულტურის აღსანიშნავად ჩვენს ლიტერატურაში ტერმინი „ეროვნული კულტურის“ მაკვირად საჭიროა გამოვიყენოთ ტერმინი „ხალხის კულტურა“.

¹ ი. სტალინი, თხზ., ტ. 11, გვ. 317.

ბიბლიოგრაფია



ფრანგი ხალხის ერთგული შვილი

მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა თავის მისალმებაში მორის ტორეზის დაბადებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით ფრანგი ხალხის ერთგული შვილის გმირული ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამომწურავი შეფასება მოგვცა: „მათელიოს ყველა ხალხი, ყველა ქვეყნის მემუბი თქვენ გიცნობენ და გაფასებენ, როგორც საფრანგეთის კომუნისტების ნაცად ზელმძღვანელს, როგორც საფრანგეთის მემუბისა და მშრომელი გლეხობის ბელაჟს, როგორც მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, დემოკრატისა და სოციალისმის გამარჯვებისათვის მამაც მებრძოლს.“

საბჭოთა აღმამანები, გარდა ამისა, თქვენ გიცნობენ და უყვარხართ, როგორც თავიანთი მეგობარი და საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობისა და კავშირისათვის შეუდარეველი მებრძოლი“.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდიანის ამხანაგ მორის ტორეზის ცხოვრების ისტორია საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. უკვე 30 წელზე მეტია, რაც საფრანგეთის კომუნისტური პარტია რევოლუციურ ბრძოლებს აწარმოებს ფრანგი მშრომელების სასოცილხო ინტერესებისა და დემოკრატიული უფლებებისათვის, ერთგული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტისათვის ყველა ჯერის იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ახლახან ქართულ ენაზე გამოცემული მორის ტორეზის ავტობიოგრაფიული ხასიათის წიგნი „ხალხის შვილი“ ნათლად და ამაღლებულად მოგვითხრობს ამ ბრძოლების შესახებ. „ხალხის შვილი“ პირველად პარიზში 1937 წელს გამოვიდა, ხოლო მისი მეორე, წვეცებული გამოცემა — 1949 წელს. ამ წიგნს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საფრანგეთის კომუნისტებისა და ყველა დემოკრატიული ძალების

იდეოლოგიურად მომზადებისათვის, არამედ ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის.

წიგნის პირველივე ფურცლები გვიხატავენ ჩრდილოეთ საფრანგეთის შემსახტეთა ცხოვრების მიმე სურათებს მესამე ბერეუნიული რესპუბლიკის დროს. „შესახტის შვილსა და შვილიშვილს, რამდენადაც წემი შორეული ბავშვობა მავონდება, თვალწინ მიდვას მემის მიმე ცხოვრება: ბეერი მწუხარება და ცოტა სიხარული. შესახტეთა უფარული დამა: გვირახებში ჩასასვლელი, რამდენიმე ას მებრე მიწაში უკვათი მუშაობით ქანცაწვევტილ შესახტეთა რიგები“ (გვ. 1). მორის ტორეზის მიერ დახატული 1906 წლის ფრანგი მემსახტეთა ცხოვრების შემაძრწუნებელი სურათები თითქმის არაფრით განსხვავდებიან იმ სურათებისაგან, რომლებიც დახატა გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა ემილ ზოლამ თავის შესანიშნავ რომანში „ეერმინალი“. ცნობილია, რომ ამ რომანში აღწერილი მონსეს მემსახტეთა გაფიცვის პაროტიხად ზოლას აღებული აქვს 1884 წელში ანჟენში მომხდარი მემსახტეთა ნამდვილი გაფიცვა. ამიტომ გასაკვირველი არაა, თუ „ეერმინალი“ ტორეზისათვის ერთ-ერთ საყვარელ წიგნად იქცა.

ტორეზის, როგორც რევოლუციონერის, აღზრდის საქმეში გარკვეული როლი შეასრულა მისმა პამამ კლემან ბოდრიმ. „გმირობას, რასაც იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში მუშათა კლასის იდეალებისადმი სამახტერში იწინდა“, განციფრებაში მოყავდა რომენ როლანი, რომელიც მანში ზედადა თავისი რომანის გმირის კოლა ბრიუნირის მონათესავე აღამიანს. კლემან ბოდრი იყო გონებამახვილი აღამიანი, თავისუფლებისათვის შეუპოვარი მებრძოლი, იგი თავის შვილებსა და შვილიშვილებს ჰწირად უამბობდა ხოლმე მუშათა ყოფა-ცხოვრებისა და ბრძოლების ამალღებულ ამბებს.

პირველმა იმპერიალისტურმა ომმა ტორეზს 14 წლისს მოესწრო. იგი აგვიწერს იმ ხანის ნელ მდგომარეობას, რომელშიაც გერმანიის მილიტარისტებმა ფრანგი ხალხი ჩაადგეს. „სახარელი, აღამიანის მშობინთქავი, ძრწოლისა და

სიკვდილის მოთხველი ომია“, — წერს ტორეზი. და უკვე მაშინ ახალგაზრდა ტორეზმა დიდი დიდი „მთელი ძალ-ღონით მებრძოლა ომის, ამ საბრძოლველს, წინააღმდეგ, მებრძოლა იმთა წინააღმდეგ, ვინც მას ამხადებს და ცხოვრობს იმით, დამეცა ომის მდღეში მსხვერპლი — ხალხი“. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროს 1916 წელს გამოდის ანრი ბარბუსის ანტი-ამერიკალისტური და ანტი-იმპერიალისტური წიგნი „უცხოელი“, რომლითაც აღტაცებული იყო დიდი ლენინი.

ამერიკალისტური ომის დროს ევანჯელიზმული ტორეზი პაპასთან ერთად საფრანგეთის შავალ ჭალაქსა და სოფელს მოივლის. სოფელ კლიუნიაში (დემარტამენტი კრეზი) ტორეზი ახლოს ეცნობა გლეხთა ცხოვრებას.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში ახალ ერას მისცა დსაბამი, მთელი მსოფლიოს მშრომელები აღფრთოვანა და მქალაქი სტიმული მისცა მათ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ოქტომბრის რევოლუციამ უღადესი გავლენა მოახდინა ტორეზზე.

ომის დამთავრების შემდეგ მშობლიურ მხარეში დაბრუნებული ტორეზი იწყებს პროფკავშირულ და პოლიტიკურ მოღვაწეობას. 1919 წელს იგი შედის სოციალისტურ პარტიაში. სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა ბრძოლა მესამე ინტერნაციონალში შესვლის გამო. ჭ. ტორეზი გაიხსნა ყრილობა. უმრავლესობა მარსელ კაშენის მეთაურობით შეეერთდა კომინტერნს, ამ უმრავლესობას მიემხრო პროფკავშირის მოღვაწეები ფრანკონი და მონმესო, ფრონტზე ნამყოფი მკერდები ვიან კეტოურე და რაიმონ ლეფერე, აგრეთვე ახალგაზრდა ენთელისტი მორის ტორეზი, რომელმაც პარტიაში შეიტანა ოპორტუნისტული რევოლუციური მკვლევარება. უმცირესობა გასევა ლენინ ბლიუმსა და პოლ ფორს. ამრიგად, 1920 წლის 29 დეკემბერს დაარსდა საფრანგეთის კომუნისტური პარტია.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია და მისი ხელმძღვანელები იმთავითვე უაღრესად რთულ და სერიოზულ ამოცანების წინაშე აღმოჩნდნენ. მუშებს შორის ერთგვარი ვაგლენით სარგებლობდა სხვადასხვა ოპორტუნისტული მიმდინარეობა და ჯგუფი. საჭირო იყო ყველა ჯერის კონტრარევოლუციური ძალის იზოლაცია და მუშებსა და გლეხებს შორის რევოლუციური ერთიანობის განმტკიცება. ვარდა ამისა, უფრო და უფრო ფართო მასშტაბით იზრდებოდა მეშათა ვაჭრობები, ამიტომ საჭირო იყო მათთვის შეგნებული პოლიტიკური ხასიათის მიცემა. პენსიონის მოთხოვნამ სასტიკი რეპრესიები გააჩაღა მეშათა კლასისა და მისი პარტიის მა-

მართ. მან დააპატიმრა შავალი რევოლუციონერი, მათ შორის კომპარტიის რამდენიმე ხელმძღვანელი — კამუზი, მონმესო და სხვანი. ხოლო კომპარტიის მდივანმა ფრისარმა თავისი პოსტი დენერტორიით მიატოვა. შორის ტორეზის სახელგანთქანი ცხოვრება თავიდანვე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებისათვის იყო დაკავშირებული. 1924 წელს ტორეზი არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, 1925 წელს — პოლიტბიუროს წევრად და 1930 წელს — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანად.

შორის ტორეზი რევოლუციური ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკას სწავლობდა ლენინისა და სტალინისაგან. „როგორც ჩემი თაობის ყველა მებრძოლი, დიდად ვარ დავაღებული ლენინისაგან, — წერს ტორეზი, — ლენინის ობზელებანი ისეთი სავანძურია, რომ მებრძოლი პოეზიას იქ ახალ-ახალ თემს მსჯელობისათვის, პოლიტიკური პრობლემების ახალ გაშეკვებას... ლენინიში რევოლუციური კონცეფცია, რომელიც ნიღბს ხდის წერილ-ბუჩყუნიელ უნდაებს, ებრძვის ოპორტუნისტულ ანარქო-სოციალიზმს... ლენინიში არის პარტია, რევოლუციური პარტია, რომელიც გამოიკვება დიდ კლასობრივ ბრძოლებში, ეს არის მოწინავე თეორიით შეიარაღებული მოწინავე პარტია, რომელსაც გამარჯვებისათვის მიჰყავს მეშათა კლასი“ (გვ. 35 — 37).

1925 წელს შორის ტორეზმა პირველად იწახელა საბჭოთა კავშირი. მოსკოვში ყოფნას დროს ტორეზს წილად ხედა დიდი ბედნიერება ენახა ამხანაგი სტალინი. „მისმა სიტყვებმა, რომლებიც ესოდენ სადა და ამავე დროს ღრმა აზრით სავსეა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. — წერს ტორეზი, — განსაკუთრებით აღმებეჭდა სხოვენაში ერთი აზრი, რომელიც სტალინიმ იმ დღეს გამოთქვა: „პარტიის ნამდვილი გავლენა განიზომება იმ მოქმედებით, რომლის მოწყობისა და წარმართვის უნარი მს აქვს“ (გვ. 39 — 40).

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა 1930 წელს, როცა პარტიას სათავეში ჩაუდგა შორის ტორეზი. როგორც იყო საფრანგეთის კომუნისტური პარტია ფროსარებისა და ბარბუსელოკების დროს! „ეს იყო პარტიის კარიკატურა, — წერს ტორეზი, — დაუძლეველი, ცოცხალ-მკვდარი, კარჩაკეტილი პარტია, ნაცვლად იმისა, რომ უფილიყო მეშათა კლასის შეგნებულა და ატეხური ავანგარდი“ (გვ. 57). ტორეზი ამბობს, რომ „უვალდებური თავიდან უნდა დაეწეყო“ და მართლაც, მხოლოდ ბერყუნიულ და წერილ-ბუჩყუნიულ იდეოლოგიასთან გა-

დამწყვეტ ბრძოლაში, ორ ფრონტზე — ოპორტუნისებისა და შემარცხენე ვადაბრის წინააღმდეგ — ბრძოლაში კომუნისტურმა პარტიამ შეძლო იდეურად და ორგანიზაციულად გაერთიანებულყო.

1933 წლის დსაწყისში გერმანიაში პიტლერმა ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო. ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVII ყრილობაზე გენიალურად განასაზღვრა გერმანიაში ფაშისმის გამარჯვების მიზეზი: „ფაშისმის გამარჯვება გერმანიაში უნდა განვიხილოთ არა მარტო როგორც ნიშანი შემათა კლასის სისუსტისა... უნდა განვიხილოთ აგრეთვე როგორც ნიშანი ბურჟუაზიის სისუსტის“. 1934 წლის 8 თებერვალს ფრანგმა ფაშისტებმა განიზახეს კონტრრევოლუციური გადატრიალების მოხდენა. მაგრამ ერთიანი მისწრაფებით დაირაზმა მთელი ხალხი, რომელმაც გადაწყვიტა არ დაეშვა საფრანგეთში ფაშისმის საწინეღმა და სისაძაღვე-მშრომელთა საფრანგეთი, პატიოსან ადამიანთა საფრანგეთი გამოდიოდა ფაშისმის წინააღმდეგ სიღატაკის წინააღმდეგ, ომის წინააღმდეგ“ (გვ. 67). ოთხხავეარმა მილიონმა მეშამ მიატოვა მშობა, კომუნისტები ბრძოლაში ჩაებნენ და საფრეულათ გაფიცვა წარმატებით დამთარდა. კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებს შორის დაიღო შეთანხმება მოქმედების ერთიანობის შესახებ. შეიქმნა სახალხო ანტიფაშისტურთა ფრონტი, რომელმაც 1936 წელს დებუტატთა პალატის არჩევებში დიდი გამარჯვება მოიპოვა. მიუხედავად ამ გამარჯვებისა, სახალხო ფრონტის პროგრამა არ ტარდებოდა ცხოვრებაში სოციალისტური და რადიკალური პარტიების ზელმძღვენელობის საბოტაჟის გამო.

საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას, რომელაც ფრანგი პროგრესული ეურნალიტის რაყე ვაროდის სიტყვით, ამორის ტარჯებმა ლენინისა და სტალინის სკოლაში გამოაწროა, განსაკუთრებელი ბრძოლების წარმოება მოეხდა მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში. ტორენი სასტიკად აზიილებდა ჩემპერლენ-პლიემის „ჩაერეულობის პოლიტიკას“ 1936 — 1939 წლების ესწანეთის რეკოლეციის მიმართ, რაც ხელს უწყობდა პიტლერის აგრესიული გეგმების განხორციელებას. 1938 წლის 28 სექტემბერს მკუნენის სამარცხენო კონფერენციასე ჩემპერლენი და დალაღე „ნაციტების ურდოებს უჩვენებდნენ ეურაინის გზს და ვერ ხედავდნენ, რომ ეს გზა პარიზზე გადიოდა“ (გვ. 124). ვარდა ამისა, მიუხედავმა „ხელი შეეწყო სახალხო ფრონტის დარღვევას“. პოლონეთზე პიტლერის თავდასხმის შემდეგ დსაყელეთის ფრონტზე დაიწყო ვერტეწობებულა „უენიერი ომი“ (1939 — 1940 წ.წ.). დალაღეს მთავრობას და-

ვისი არმია უმომაროდ ჰყავდა „მაყინოს ხეხის“ კაზმატებში. საფრანგეთის 120 და ინგლისის 10 დივიზია არაეფარ სერიოზულ მშეშეშებს არ ეწეოდა გერმანიის 23 მტეზის წინააღმდეგ. „საფრანგეთის მთავრობა, რომელიც ვერმანიის ეომეოდა, ნამდვილად მხოლოდ ოენე-ბობდა ომზე... საბჭოთა კეწირის წინააღმდეგ“. (გვ. 137).

საბჭოთა კეწირზე თავდასხმის შემდეგ, ფრანგმა პარტიოტებმა ოქვეს: „ჩვენ მარტო არა ვართ; ისეთ მოკეწირესთან ერთად, როგორაც საბჭოთა ხალხია, ჩვენ შეგეიძლია მოეიოოთ თავისუფლება, შეგეიძლია გევიმარჯვოთ“ (გვ. 157). მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კეწირის გამარჯვებამ ოხსნა კაცობრიობის ცივილიზაცია. ტორენი წერს: „რა მოუეიღოდა საფრანგეთს და მთელ მსოფლიოს, საბჭოთა კეწირი და მისი სახელეგანი არმია რომ არ ყოფილიყო, რა მოუეიღოდა, სტალინი რომ არ ყოფილიყო?“ (გვ. 141).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაბიტალიზმის სისტემა სერიოზული კრახი განიცადა, მის ჩამომორდა ვეროზისა და აზიის მრავალი ქვეყანა. კოლონურ ქვეყნებში გაიზარდა ფრეწულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. „დაეზსოვდეთ ეს იტორიული გეყვეილები იმართ, — წერს ტორენი, — ეინე მოისტრეებს გაიმეორის მსოფლიოს დაპურობის პიტლერული ედა“. მეორე მსოფლიო ომიდან ფრანგული იმპერიალიზმი დაესტებული გამოვიდა. ფინანსიერი ოლიგარხიის პოზიციები საგრძნობლად შეირყა. 1946 წელს მემარჯვენე სოციალისტების მეთაურმა ლეონ ბლიემმა საფრანგეთი ამერიკელ იმპერიალისტებს მიყიდა. ჩამდეგე ამერიკელების კარნახით მთავრობის მემადგენლობიდან გამოიყვანა კომუნისტები — საფრანგეთის ნამდვილი პარტიოტები. ამერიკელ იმპერიალისტებს სურთ თავიანთი ლაქების, ფრანგი მემარჯვენე სოციალისტების დახმარებით, საფრანგეთი საბჭოთა კეწირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საწინააღმდეგე საშეღრო მუღე ვადაეკიონ. 1950 წლის სექტემბერში ბეფალის სტალიონზე ხალხმრავალ მიტინგზე ტორენმა განაცხადა, რომ „ფრანგი ხალხი არ იომებს, არასოდეს არ იომებს საბჭოთა კეწირის წინააღმდეგ!“.

ტორენმა დიდი როლი ითამაშა აგრეთვე თანამედროვე ფრანგული ლიტერატურისა და ხელოვნების პროგრესულ პოზიციებზე გადაკენის საქმეში. ტორენი ყოველთვის ამბობდა რომ „ჩვენ XVIII საუკუნის ენციკლოპედისტთა რეკლუციური აზრის, დიკოსის, პელერესის, ჰოლბახის ფილოსოფიური მატერიალიზმის კ-

წინერი მექვიდრეები ვართ. ჩვენ განავაძრობთ იმთ საქმეს, ვინც კაცობრიობის პირველ რიგებში იბრძოდა". საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XII ყრილობაზე ტორეზმა მოუწოდა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს ჩამდგარიყვნენ ხალხის სამსახურში. 1932 წლის აპრილში ანრი ბარბუსთან საუბარში ტორეზმა აღნიშნავდა, რომ მისი წიგნი ზოლას შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა მოწინავე ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში, რადგან ამ წიგნში ბარბუსმა გამოიყვანა ზოლა, როგორც „ფაშისტების წინამორბედთა ბუნების მოციქულობისა, სიცრუის, რასიული სიძულვილის“ მამილალებელი მწერალი. ტორეზმა გაუხიარა ბარბუსს მშვიდობის კონგრესის მოწვევის დიდი იდეა, რაც შემდეგში ბარბუსმა განახორციელა კიდევაც ამსტერდამსა და პარიზში. ერთხელ ბარბუსთან საუბარში ტორეზმა ჰკითხა მას: „პარტიმ არ დაწერო წიგნს სტილიზე? თქვენ დაეშვით ადამიანის ტანჯვის უფსკრულებში, როდესაც წერდით „ციცხლს“. თქვენ შევიძლიათ ახედოთ მწვერვალებზე, საიდანაც მიმოიხილავთ საუკუნეებს“. ამ საუბრის შედეგად ბარბუსმა დაწერა თავისი შესანიშნავი წიგნი „სტილინი“.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე ტორეზმა დღე არავინა „სამშობლოს პოეტი“ უწოდა. თითონ არაგონი ერთ-ერთი თავის ლექსში წერს, რომ „პარტიამ დამიბრუნა მზედღეობა და მესხიერება“. კომუნისტების დიდი იდეებით შთაფრთხილდა პოეტმა შესანიშნავი ლირიული ციკლი შექმნა სამშობლოსა და მშვიდობაზე. ცნობილია, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა ანდრე სტილზე 1945 წლის ივლისში ვაზიერის მემარადროელთა მიტინგზე ტორეზის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ. ანდრე სტილი წერს: „ვაზიერის მიტინგის შემდეგ ჩემთვის განსაკუთრებით ნათელი გახდა, რომ მწერლობა უნდა ემსახურებოდეს ხალხს, რომ უნდა წერო ისე, როგორც ასრულებენ პარტიულ დავალებას, და მონაწილეობას უნდა იღებდნენ შენი ნაწარმოებით მუშაბტეთა გმირულ ბრძოლაში და მშვიდობისათვის ბრძოლაში“. ტორეზის სიტყვით აღფრთოვანებულმა 24 წლის სტილმა დაწერა პირველი ციკლი ზოთხრობებისა მუშაბტეთა ცხოვრებიდან, რომელიც არავინმა 1948 წელს გამოსცა.

1950 წლის აპრილში პარტიის XII ყრილობაზე ტორეზი მოუწოდებდა საფრანგეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, აბტო-

რად ჩაებან მუშათა კლასის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ბრძოლაში. ბერყევაზიული ესთეტიკის დეკადენტურ ნაწარმოებს, მხატვრების ფორმალისტებს... ჩვენ უნდა დავუპირისპირდეთ ხელოვნება, რომელიც შთაბეჭებს პოელომს სოციალისტურ რეალიზმში, ხელოვნება, რომელიც მუშათა კლასისათვის ვასაგებია, ხელოვნება. რომელიც ეხმარება მუშათა კლასს მისი ვანთავისუფლებისათვის ბრძოლაში“. ტორეზის ამ მოწოდებას გამოეხმაურა საფრანგეთის პროგრესულ მოღვაწეთა უმრავლესობა, მათ შორის დიდი მეცნიერი ფოლოკიერი, პოეტები არაგონი და ელუარი, მხატვარი ანდრე ფეერონი და სხვები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე ტორეზმა განაცხადა, რომ „ფრანგული ბერყევაზის მმართველი წრეები ეარს აცხადებენ უოველვარ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე, ისინი ჩვენს ქვეყანას ამერიკულ სამხედრო ბაზად აქცევენ სანბოთა კავშირისა და სხალხო დემოკრატიის ქვეყნების საწინააღმდეგოდ. ფრანგ იმპერიალისტებს სძულთ ჩვენი ხალხი. იმისათვის, რომ შეინარჩუნონ თავიანთი მოგვანი მზად არიან დამორჩილონ ამერიკულ იმპერიალისტებს. ისინი უარყოფენ ერის სასიცოცხლო ინტერესებს, მის სუერენიტეტს, მის ღირსებას“. ტორეზმა სიტყვა XIX ყრილობაზე წარმოადგენს მზისხანე ბრალდებას იმათ წინააღმდეგ ვინც დოლარებზე ჰყიდის ფრანგი ხალხის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

ამხანაგი სტილინი თავის ისტორიულ სიტყვაში XIX ყრილობაზე აღნიშნავს, რომ ბერყევაზის მიერ ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუერენიტეტის დროში გადაგდებულა. ვებს ვარყვება, რომ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, მოვიხდებთ ამ დროის აღმართვა და მისი წინ წაღება, თუ გსურთ ერის ხელმძღვანელი ძალა გახდეთ. თქვენს მეტი ვერაინ აღმართავს მას“.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წინაშე დგას ამოცანა — აღმართოს დემოკრატიულ თავისუფლებათა და ეროვნული დამოუკიდებლობის დიდი დროშა, დარაშმის ხალხთა ფართო მასები თავიანთ უფლებათა დასაცავად. მშვიდობისათვის, მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის საბრძოლველად.

ილ. ფეიჩრიშვილი

ახლის გრძობა კოლხურ შემოქმედებაში


 ქართველი
ბიბლიოთეკა

★

რევაზ მარგინის პოეტური შემოქმედება საბჭოთა სინამდვილის პირშეა. საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომა ყოველთვის ახლის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. და პოეტის გამსკეპაღელვია ამ ახლის გრძობით, იგია მისთვის სიხარულისა და შემოქმედების დაუშრეტელი წყარო:

მსერს, რომ ყოველთვის ვუმღერდე ახალს,
და არც ვაკლებდე სტრიქონებს მარისს,
თუ ჩემს სიმღერას ნექტარიც ახლავს,
მეც ფუტკარივით მოვტაცე ყვავილს.

პარტია ისწავლის პოეტს, რომ „ხალხის გულს უნდა მიენდო მხოლოდ, თუ გინდა, რომ თქვა ძლიერი სიტყვა“. სამშობლოს სიყვარულით და ლენინ-სტალინის პარტიის იდეებით შთაგონებული პოეტისათვის ახლობელი და გასაგებია ხალხის გულწრფელი სურვილები. „ხალხს ეხლა უნდა ძლიერად ვღერდეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის ლექსი“; ხალხი თხოულობს ისეთ სიმღერას „რომელიც ცაში აჰყვება ცათამბჯენების გამარჯვებულს“ და „ყოღმურნეებს ახალი სოფლის ყანაში ტკბილად აილიანებს“.

პოეტის სიმღერა მართლაც გამოირჩევა სიხილთა და თანამედროვეობის გრძობათ. მისი ლექსები მიძღვნილია საბჭოთა ადამიანების პარტიოტული საქმეებისადმი, მათი ხასიათის საუკეთესო თვისებათა გამოვლინებისადმი. თავის ლექსებში პოეტი აღიღებს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომას, მათს თავდადებულ ბრძოლას მშვიდობისათვის, ამხილებს მშვიდობისა და დემოკრატიის წინააღმდეგ შეთქმულთ — ახალი ომის გამწალებელ იმპერიალისტ აგრესორებს.

რ. მარგინის ლექსთა კრებულის მაგისტრალური თემა ხალხთა დიდი ბელადის სახე. ეს თემა წიგნის სახელწოდებშიდაც ჩანს. ამიტომ არის, რომ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს კრებულში მოთავსებული ლექსები ერთ მთლიან სიუჟეტზე იყოს აგებული. აქ მრავალი მხატვრული ვარიაციით პოულობს ხორცშესხმას ის აზრი, რომ საბჭოთა ხალხის და მსოფლიოს უბრალო ადამიანებსა კეთილი ნება და სურვილი, ხალხთა უკეთესი მერმისისათვის

მებრძოლი პროგრესული კაცობრიობის ფიქრი და ოცნება მიმართულია საყვარელი ბელადისადმი:

ბელადზე ვაშობ პოეტო სიტყვას,
მშით მიშუქდება ყოველი პყვარი,
შე თუ რამ კარგი სიმღერა მითქვამს, —
პარტიისაგან ნასწავლი არი“.

წიგნში თვალსაჩინო ადგილი უკავია თავისუფალი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომას. ამ თემისადმი მიძღვნილ ლექსებში ახალი და საინტერესო ისაა, რომ პოეტი გვიჩვენებს საბჭოთა ადამიანების შრომისადმი დამოკიდებულებას და თვით შრომის კომუნისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე.

საბჭოთა ადამიანი ნამდვილი შემოქმედია, იგი თავისი გვირუკი შემოქმედებითი შრომით წინ უსწრებს წლებს:

თბილისში ბევრი მეშაობს დაზგა,
დღისით და ღამით გუფუნს არ იშლის.
ბევრი მათგანი მეშაობს ახლა
ცხრასა სამოცე წლის ანჯარიშში.

პოეტმა კარგად იცის, რომ კომუნისტისათვის ბრძოლა ნიშნავს ხალხთა მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლასაც; არის საბჭოთა ადამიანების სინდისისა და ღირსების საქმე:

ვინც შრომით აძლევს მშვიდობას დასტურს,
აღალი შრომით სისწულეს ახდენს,
ხალხი მას აძლევს კრემლისკენ საგზურს,
კრემლისკენ მიჰყავს ბელადის სახელს.
კრებულში ყურადღებას იპყრობს სამკარის თემაზე დაწერილი ბალადა „მშვიდობისა“. ამ პოეტურ ნაწარმოებში ერთმანეთს ენაცვლება ლირიკული და ეპიკური ელემენტო. მოცემულია მომავალი სამკარის რეალისტური სურათი, საბჭოთა ადამიანების მისწრაფება მშვიდობისაკენ. პოეტი დამაჯერებლად ხატავს სტალინური ეპოქის სიდიადეს, სადაც ადამიანის საუკეთესო ოცნება ორგანულად არის შეთავსებული ცხოვრების სინამდვილესთან და სადაც თვით ცხოვრების სინამდვილე წარმოადგენს ადამიანის საუკეთესო ფიქრისა და ოცნების განსახიერებას. აღნიშნული ნაწარმოების ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ პოეტი ერთი კონკრეტული თემის ფარგლებში იძლევა ჩვენი ცხოვ-

რ. მარგინი. მისალმებთა ნაკადი. სახელგამი. 1952.

რების დამახასიათებელ მოვლენათა მაღალ-
ადეურ განზოგადებას, მათი შინაარსის მხატვ-
რულ გახსნას მართალ პოეტურ სახეებში.

ლექსებში „რაიმონდა დიენ“ და „პაქ დენ აი“
პოეტი გადმოგვცემს ჩვენს სამშობლოში ჩამო-
ყვანილ მშვიდობისათვის მებრძოლი ადამიანების
ჭელვარე კეთილშობილურ განცდებს. პაქ
დენ აი რომელიც „კორეისათვის ცოცხლობს და
ფიქრობს“, უშუალო მოწმეა, როგორი ბარბა-
როსული გაფთხებით ესხმის თავს ამერიკელთა
ავიაცია კორეის მშვიდობიან ქალაქებს და
სოფლებს, როგორ ზოცავენ ისინი უმწუო ბავშ-
ვებს, მოხუცებს და ქალებს. განაწამები კორეე-
ლი ქალი ჩამოდის დიდ საბჭოთა ქვეყანაში, სა-
დაც მას ზეღუბიან ბედნიერი და თავისუფალი
ადამიანები, რომლებიც დიდი სტალინის წინამძ-
ღოლობით თავადებით იბრძვიან მთელს მსოფ-
ლიოში ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათ-
ვის. კორეელებს დედამ კარგად იცის, თუ რას
ნიშნავს ტანჯული კორეელი ბავშვებისათვის
მშვიდობა... და პაქ დენ აი მოეშურება გორში,
რათა თავყანი სეეს ხალხთა დიდი ბელადის
აქვანს.

დღეობით იღვა სახემა დედის —

პაქ დენ აი —

კორეელი ქალი,

სუნთქავდა მშიმედ, უთრთოდა მყერდი

და მისი სუნთქვა ესმოდა სტალინს.

წიგნის მეორე კარში „აქა მშვიდობა“ პოეტის
შემოქმედების მიზანდასახულებას შეადგენს
გვირგვინის საბჭოთა ქვეყნის ავანგარდული რო-
ლი, კომუნისტური პარტიის წარმმართველი ძალა
მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მოძრაო-
ბაში. პოეტი ამაყობს ლენინ-სტალინის პარტიის
წევრის საამაყო სახელით. იგი დაწმენებულია,
რომ მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, რადგან ხალხ-
თა მშვიდობისათვის ბრძოლას სათავეში უდგას
დიდი სტალინის გარშემო დარაზმული, მრავალ
ბრძოლაში უძლეველი კომუნისტური პარტია
(„ჩვენს კომუნისტებში“).

ამ თემატურ რეალში მოთავსებულ ლექ-
სებში პოეტი პატრიოტული შთაგონებით უმღერ-
ის მშვიდობისათვის ბრძოლაში უძლეველ ძა-
ლას — ხალხთა სტალინურ მეგობრობას („ვევლა
გზა მოსკოვში მიღის“, „უქრაინელ პოეტებს“,
„ახლა სენაეთი სადღაც შორს არი“); რიგი ლექ-
სები ასახავს პოლიტიკურ-მორალურ ერთიანობას
მშვიდობისათვის მებრძოლ საბჭოთა ადამიანე-
ბისას, რომელთაც საერთო თავზე გადაიტანეს
მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული საშინელე-
ზანი („დედის თვალები“, „უღუნე კომეჯია —
ოღვეის დედა“); ზოგ ლექსში პოეტი ცდილობს

დაევიხატოს საბჭოთა ხალხის გულთბილი თა-
ნამეგობრობა სახალხო დემოკრატიულ ქვეყნე-
ბის ხალხებთან, რომლებიც ტყვენი დიდმა სამ-
შობლოს მხრუნველობით უძღვებიან და მხარეობენ
ამენებენ ახალ ცხოვრებას, იბრძვიან მშვი-
დობისათვის („ძვირფასი არის ზემთვის ჩი-
ნეთი“).

ლექსში „მშვიდობის დაცვის კანონი“ პოეტი
ზიზღით და აღშფოთებით ლაპარაკობს კაპიტა-
ლისტური წყობილების რეაქციულ კანონმდებ-
ლობაზე, რომელიც ამართლებს ადამიანის მიერ
ადამიანის დამონებას, ქადაგებს კაცთმოძღვეო-
ბას, მკვლელობას, მძარცველობას, ხალხთა შო-
რის შუღლას და მტრობას:

ბევრი კანონი არსებობს დღესაც
ისევე რომ შერჩა ძალა ბინძური,
ხალხის ვარაში და ხალხის კენესა
სისხლიან ზღლით აქვთ აიწმენდილი.

პოეტი უმღერის სტალინურ კანონმდებლობას,
რომელიც ასახავს თავისუფალი საბჭოთა ხალ-
ხის ცხოვრების შინაარსს, მათს კეთილშობილ
მისწრაფებას ხალხთა შორის მშვიდობისა და
მეგობრობისადმი:

მე ჩემი ქვეყნის კანონზე ვმღერ
ქართლის ყველა სიმაღლის სტრიქონს,
არც შეიძლება ასე გულწრფელი
საღმე ამგვარი კანონი იყოს.

კრებულის შესაბამე კარი „თავისუფლების აყ-
ვანი“ მიემდინება ხალხთა დიდი ბელადის სამ-
შობლო გორს. აქ წარმოდგენილ ლექსებში ჩაქ-
სოელია მხერგადე სიყვარულისა და მოწიწე-
ბის გრძობა, რომელსაც ბაღებს ჩვენი ქვეყნის
ეს წმინდა ალაგი. პოეტი გატაცებით უმღერის
ქართლის უქვირფასეს პატარა ქალაქს, სადაც
გაატარა ხალხთა დიდმა ბელადმა თავისი ბავშ-
ვობისა და ყრობის წლები:

დღევრძელი იყოს ეს კერა,
მამულის წმინდა ალაგი,
ბაღებში გაშენებული
ქართლის პატარა ქალაქი...

დღევრძელი იყოს ეს კერა,
მუღამ სინათლის მთოველი.
ხალხთა მსწენელის და ნუგეზის
დიდი სტალინის მშობელი!

პოეტი მიმზიდველი ფერებით გეხატავს გა-
ნახლებულ გორს, საკოლმეურნეო სოფლის
გარდაქმნილი ბუნების პეიზაჟს. იგი ზოგჯერ
პეიზაჟს იყენებს არა მარტო როგორც ლექსის



კომპოზიციურ ელემენტს, არამედ წარმოვედგენს ბუნების დამოუკიდებელ სურათებსაც. ამავე დროს, ბუნების ეს სურათები სოციალურ ფუნქციასაც ატარებენ, რადგან ვეცხატავენ ჩვენი ბუნების უხე მოსავლიანობას.

რ. მარგანი საბავშვო ლექსის ცნობილი ოსტატია. კრებულში წარმოდგენილია რამდენიმე ლექსი, სადაც პოეტს ამბავებს ღრმა, გულთბილ სიყვარულს წირაში თაობისადმი. მაგრამ ეს ლექსები საბავშვო ლექსები როდია. ისინი განკუთვნილი არიან უფროსი თაობისათვის და პოეტის შემოქმედების ორგანულ ნაწილს შეადგენს.

წიგნის მეოთხე კარი „სიმღერა კომუნისმისა“ წარმოდგენილია ერთ მთლიან სიუჟეტზე აგებული ლექსების ციკლით. აქ მოცემულია ოქტომბრის რევოლუციიდან დღემდე ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხს მიერ განვლული დიდი ისტორიული გზის ასახვის საინტერესო და თავისებური ცდა. ამ ციკლის თითოეული ლექსი პოლიტიკური სიმახილით და მხატვრული ოსტატობით არის დაწერილი.

უნდა აღინიშნოს, რომ რ. მარგანის ლექსები ხასიათდება ცხოვრების ამაღლი მოვლენებისადმი დროული გამოხატულებით, ფაქტების მხატვრული განზოგადებით და იდეურ გააზრების სიღრმით. რ. მარგანს საერთოდ არ ახასიათებს შინაარსისაგან დამოუკიდებელი, ფორმის განვითარებული ნოვატორობა. მას უყვარს ნათელი და შინაარსიანი სიტყვა, პოეტური ფრაზის მკაფიო გამოყვეთილობა. ლექსთა წყობის მხრივ მას გამოუმუშავებული აქვს მისთვის დამახასიათებელი წერის მანერა. ამ მხრივ საინტერესოა ტერცინისებური წყობა ლექსისა, რომელსაც ბევრი არაფერი აქვს საერთო ევრეთოშოდებელი ტრადიციულ ტერცინასთან.

მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რ. მარგანის წიგნი საცესებით დაზღვეულია ნაკლისაგან. პოეტს ზოგჯერ ღალატობს მხატვრული ადღუ. ლექსში „მოსავლის ამბავი“ ასეა დახატული გორელ კოლმეურნეთა შრომისა და განახლებული სოფლის სურათი:

გახარებულნი იმედით —
შობაუბაუბებენ ზეინები,
„ქა, ჰეო, — ისმის ყანდებში,
მოჭრაილებენ ბორბლები.

მხარზე გადებულ ცელებით,
ნამვალანი ხელებით,
შოლიან კოლმეურანენი.
ფეხზე დგებიან სოფლები.

ან და:

მაგრამ სულ სხვაა წისქვილი
მღინარის პირას დამდგარი,
ჩარხზე სულ წყალი ესხმება,
ისმის ბორბლების დვანდგარი.

ბელღებზე გაუმძაღარი,
კალოსკენ გაწვილ ხელებით
წისქვილში — ყალზე დამდგარი
კივან საჩეკელები.

მამაპატური ურმები, ცელები, ნამვლები, წყლის წისქვილები, — ამ როგორი სახეებით გამოიყურება ამ ლექსში თანამედროვე საყოლმეურნეო სოფელი.

საერთოდ წიგნში საყოლმეურნეო სოფლის სახე ვერ პოულობს სრულყოფილ გამოსახულებას თავისი ტიპური დამახასიათებელი ნიშნებით. ამ თემაზე დაწერილი ლექსების საერთო ნაწილს ავლია ერთგვარი სახალის ვრცობა.

პოეტს უნდა ვესაყვედუროთ ცალკეული ლექსების შერალო, რიტორიკული ტონი. ლექსი „უშმა-შხელდის ვიორებს“ მოკლემდელია ღირიკულ სიღრმესა და უშელო პოეტურ განცდას.

ვერ არის კარგი ქაჭთელით დაწერილი შემდეგი სტრიქონები: „შე ვიცი მხოლოდ შწამსა და მიყვარს“; „შე მათ შესახებ არა ვიცი რა, მხოლოდ წიგნით თუ რამე ვიკრა“. გვარდება სუსტი რითმიკით. მავალითად: ზეინები — ბორბლები; ხელებით — სოფლები და ა. შ.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა მიუხედავად კრებული „მისალმებათა ნაკალი“ რ. მარგანის იდეური და პოეტური ოსტატობის ზრდის უდავო მარეწეებელია.

რ. მარგანიძე

საკოლმეურნეო სოფლის აღამიანთა პორტრეტები



ილიო იდამის მოთხრობების კრებული ექვს მოთხრობას შეიცავს. ერთი მათგანი — „მთავარი ქება“ ქართული ფოლადის ქალაქის, — რუს-

თავის, — მწეწებლობა ეგება, დანარჩენი ხუთი მოთხრობის სოფეტი ჩვენი სოფლის საყოლმეურნეო ცხოვრების მასალაზეა აგებული. მოთხრობა „მთავარი ქება“, რომლითაც იხსნება კრებული, მცირე მოცულობის ნაწარმოებია. ყველაზე ღამაშსა და განიერ ქებას

ა. იდამია. დილა მტყერის ხეობაში. საბჭოთა მწერალი 1952

მთავარ ქუჩას, ჯერ კიდევ რუსთავის ქალაქის საბჭოს გადწყვეტილებამდე ხალხმა სტალინის სახელი მიანიჭა. ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ეს შეტად დამახასიათებელი მოვლენა ავტორის მიერ კარგად არის მიგნებული. ამხანაგი სტალინი ჩვენი ყოველი გამარჯვების სელის-ჩამდგმელი და ორგანიზატორია, ამიტომ საბჭოთა ხალხი თავის ყოველ წარმატებას სამეურნეო თუ კულტურულ ფრონტზე დადი სტალინის სახელს უკავშირებს. ეს არის ამ ნაწარმოების მთავარი თემა.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ეს თემა ვერ არის გახსნილი მთელი ნაწარმოების სიუჟეტურ განვითარებაში, ვერ არის გახსნილი ადამიანთა ხასიათებში. ინჟინერ-მეტალურგის ალექსი თეოდოსიის და ექიმი—ქალის ლეილა ინჟინერის ამხანაგი სტალინის დაკავშირებული მოთხრობის მთავარ თემასთან. მართალია, ავტორი მოთხრობის ბოლოში გვამცნობს, რომ ინჟინერი და ექიმი—ქალი მთავარ ქუჩაზე ცხოვრობენ. მაგრამ ეს ხომ არაა საჭირო სიუჟეტის განვითარებისათვის. ამრიგად, კარგად მიგნებული თემა მხატვრულად დაუქუთავებული დარჩა, ინჟინერის და ექიმი—ქალის ურთიერთობა კი დამოუკიდებელ სიუჟეტურ სიტუაციად იქცა.

მოთხრობაში დასმულია ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი საკითხი. ალექსი თეოდოსიის, რომელზეც დამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, მუშაობს იქვე რუსთავში. ახალგაზრდა ინჟინერისათვის ეს შეტად საბატო საქმეა. ალექსი ამ ტალახთან ქუჩებში მომავალი ქალაქის პრასპექტებს ზედანს მოსფალტებულს. ზეგნობა და ნაირფერადი ყუავილებით დამშენებულს; ამ პატარა, დროებით ამშენებულ ერთსართულიან სახლებში სასახლებს კვრებს, ქართული ჩექმრთებით შეკვლს". მაგრამ ასე როდი ფიქრობს და მსჯელობს მისი საკოლე ექიმი ლეილა ინჟინერული. მას არ სერს რუსთავში ცხოვრება და მუშაობა. „მას თვალწინ ედგა მისი მომავალი ცხოვრება რუსთავში: პატარა, დაბალჭირანი ოთახი, ტალახიანი ქუჩები. ალექსი მთელი დღე ქარხანაში ტრიალებს, ლეილა მარტოა წინ და ქმარს ელოდება. მაგრამ სადღე კრება ვაიპარაობა და ალექსი გვიან დამეღე ვერ მოვა"... ლეილას სახით შეერადს გამოყავს ისეთი ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ შეიგნა თაობის საზოგადოებრივი მოვლენა სამშობლოს წინაშე. ასეთი ადამიანება, როგორც ლეილა ინჟინერულია, საწინააღმდეგოდ, ჯერ კიდევ არსებობენ ჩვენს სინამდვილეში.

ავტორი კარგად გვიჩვენებს ამ ორი ადამიანის ერთმეორის საწინააღმდეგო ხასიათებს. მაგრამ, სიუჟეტურად გაუგებარი რჩება მკითხველისათვის, თუ როგორ დათანხმდა ლეილა რუს-

თავში მუშაობაზე, როცა, როგორც თვითონ ავტორი წერს, „მათი გზები სამუდამოდ შორდებოდნენ ერთმანეთსაო“?

მოთხრობა „სურათი“ იმ მხრივ არის საინტერესო, რომ აქ მოცემულია ძველი, რევოლუციური და ახალი, საბჭოთა ყოფიარებების დაპირისპირება. ავტორის სახალხლოდ უნდა ითქვას, რომ იგი ამ საკითხის გადაწყვეტის დროს არ იყენებს განყენებულ, თეორიულ მსჯელობებს, არამედ ორიგინალურ სიუჟეტურ ზერხს მიმართავს. ძველი ყოფიარებება დაბასიათებულია ალგორითმად მოგზაური — მხატვარი მიერ დახატული სურათით, რომელიც ვერა და ყუღველი მენაეის გიორგი ოდიშარის სახლში. ამ სურათზე გამიხატულია ამოუქრებელი ზღვა და ტალღისაგან დასაღვსავად განწირული მენაე — ყუღველი გიორგი ოდიშარია. ასე გატარებული იყო მშრომელი ადამიანის ცხოვრება საბჭოთა ზელისუფლების დამყარებამდე.

გავიდა დრო. ყუღველი მენაე გიორგი ოდიშარია კოლმურწნობის თავიჯდომარე გახდა, მისი შვილი ვახტანგი კი — მხატვარი. „ვახტანგის ყოველ სურათში შვიი ზღვის სანაპირო, შავნაბადა, ყუღვეი და მათი საყვარელი ქალაქი ფოთი იყო გამოსახული. მისს გამო „ზღვის მხატვარი“ კი შეარქვეს ვახტანგს ამხანაგებმა“. ახალგაზრდა მხატვარი ზღვას ხატავს, მაგრამ რა დიდი ვანსხევაებაა ვახტანგისა და რევოლუციამდელი მხატვრის მიერ დახატულ ზღვას შორის. ძველ მხატვარს „არ შეეძლო იმდროინდელი გულსკაცის ცხოვრება დაეხატა დამშენებელი და დეკორატივი ზღვის ფონზე, რადგან მხატვრისა და გულსკაცის ცხოვრება იყო აწიოცებული, ჩრდილიანი და ბნელი“. ვახტანგის მიერ დახატულ სურათში კი ალღევებულ შავ ზღვას ისეთი სინათლე დაკრავს, რომ რწმენასა და იმედს ალღეძებს ადამიანის გულში.

მუხედევად მოთხრობის მეორე მოცულობისა, ავტორმა შეძლო ძველი მენაეის გიორგი ოდიშარის სახის ზოკმესხმულად და ცოკრულად დახატვა. საერთოდ, შეერადს ეხერხება ცალკეული პერსონაჟის პორტრეტის დახატვა, მაგრამ ადამიანის ხასიათს იგი იძლევა არა განვითარებაში, არამედ სტატუტრად. მისს აკოია, რომ მოთხველი ვერ ზედანს, თუ როგორ გახდა ძველი მენაეი კოლმურწნობის თავიჯდომარე. მოთხრობაში ახალი ყოფა მოცემულია, ავრთვე. სტატუტრად, ყოველგვარი განვითარების, ახალის ძველთან ბრძოლის გარეშე.

არაკლი ჯინორიძე მოთხრობა „ქოლგის ჩრდილას“ მთავარი მოქმედი პარია. მისი სახით ავტორს გამოყავს ჩვენი დღევანდელი ცხოვრებიდან ალღეველი უარყოფითი ტემა.

არაკი შეიდი წელთაღია, რაც კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, იგი გატაცებულია გარეგნული ვეფექტებით, მოჩვენებითი წარმატებებით. ნაცლად იბნისა, რომ კოლმეურნეობის ძირითად საქმეებს გაეძღვეს, არაკადი თავის კოლმეურნეობაში კარესელი გააწყო! „საქვენიოდ გაუთქვამს სახელს ჩვენს სოფელსა“, გაიძახის ეს ვაი-ხელმძღვანელი. სოფელი სკოლის შენობა ინგრევა, სკოლას ელექტრონი არა აქვს, არაკი კი ელექტრო-ენერჯის კარესელისათვის ხარჯავს. ამიტომაც, რომ კოლმეურნეები სამართლიანად აღმოფხვნილი არიან: სკოლა უფრო საჭიროა, თუ ეს რაღაც გასართობი ქოლგაო. ეს ამბავი რაიკომის მდივანამდე აღწევს, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მიღებულია გადაამტკიცებელი ზომები და კოლმეურნეობის მანკიერი ხელმძღვანელი გადაყენებულია.

სამწუხაროდ, აეტორი არ გვიჩვენებს თუ როგორ გარდაიქმნა მუშაობა კოლმეურნეობაში არაკის მოხსნის შემდეგ. აეტორი წერს „შრი-ალბის აქონარლი აკაია, ვერხვი, შადარი, ილვის ხე და ეს შრიალი სიმღერად ჩაესმით კოლმეურნეებს. ამიერიდან ქარი ვერაფერს დააკლებს მათ ყანებს, ბალსა და ვენასს! ცუცყალა მიჩიხჩიხებს არხში და ეს ჩიხჩიხი სიმღერად ჩაესმით კოლმეურნეებს. ამიერიდან გვალვა ვერ დახტოვებს კორძიანს მიწას! არა, ასეთი ლამაზი და შრიანი არასოდეს ყოფილა კორძიანი... და ხალხი, ხალხი განსაკუთრებით ღამაში ჩანს, ამყარა, სიხარული აღამაზებს აღამაინს!“ ცხადია, ასეთი ლირიკული დეკლამაცია ვერ მისცემს მკითხველს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ გარდაიქმნა მუშაობა კოლმეურნეობაში ცუდი ხელმძღვანელის მოხსნის შემდეგ.

კარგად არის აღწერილი მოთხრობაში ფეხბურთის თამაში ორ საკოლმეურნეო გუნდს შორის, აგრეთვე, ისიც, თუ როგორ ვანიცდის არაკი ჯინორიძე ფეხბურთის თამაშის შესვლაობას. მაგრამ, თავისთავად ფეხბურთი ჩართული ემიზონის შთაბეჭდილებას ტოვებს. არაკიდს ვაწყობენ კი ობიექტურად მეტად სიმამათურად ზღის მას მკითხველის წინაშე, რაც, უნდა ვიფიქროთ, არ შედიოდა მწერლის იდეურ ამოცანაში. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ არაკი ჯინორიძის სახით აეტორმა შეძლო სატირული ფერებით დახატა უწინაა, მკვებაზა და სესტი ხელმძღვანელის ტიპი.

ყველაზე დიდი მოცულობის ნაწარმოები კრებულში მოთხრობა „ვაზისედი“ საუბრადადგება თავისი იდეური მიზანდასახულობით. აქ ლაკონურად და სხარტად მოთხრობილია სოფელ ხემალის და ერთი უბრალო ადამიანის ლექსო კენიკაძის შრომისა და ბრძოლის ისტორია საქართველოში საბჭოთა ხელის-

ფულების დამყარებიდან, ვიდრე 1948 წლამდე. მწერალი გვიჩვენებს სოციალისტურ კოლმეურნეობას, ასახავს შრომისმომადგენელ კოლმეურნე გლეხობის დამოკიდებულებას. ნაწარმოებში თქმულ სულად, ნაჩვენებია ბრძოლა ახალსა და ძველს შორის. კოლმეურნეობაში ეს ბრძოლა ელენდება ნამუშვი ვაზის ვაშენების საკითხთან დაკავშირებით. პარტიული ორგანიზაციის მდივანი სერგო ბარბაქაძე, ლექსო კენიკაძე და სოფლის სხვა მოწინავე ადამიანები მხარს უჭერენ ხემალისში ნამუშვი ვაზის გაშენებას. ბესარიონ გორგოლაძე კი ამის წინააღმდეგია. მოხუც კოლმეურნეს არა აქვს წარმოდგენილი, თუ როგორი ფართო გაქმნა მოცა ადამიანის მიერ ბუნების გარდაქმნის საქმეს. კოლმეურნეობის საერთო კრების გადაწყვეტულებით ხემალისში შეუდგებიან ვაზის გაშენებას.

ამს. ა. ი. მეგლაძე თავის მოხსენებაში მევენახეობის თათბირზე აღნიშნავდა, რომ „ჩვენ მუდამ უნდა ვცახსოვდეს, რომ საქართველო ძველთაგანვე წარმოადგენდა ვაზის კულტურის ერთ-ერთ მთავარ მსოფლიო კერას და მის სამშობლოსაც კი, რომ მან უმდიდრესი ტრადიციები შექმნა მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში. ეს ჩვენ ბევრ რამეს გვაუღლებს. ჩვენ იმის ყველა შესაძლებლობა გვაქვს, რომ საქართველო გადავაქციოთ ლამობატორიად, სკოლად საბჭოთა კავშირის მევენახეობის სხვა რაიონებისათვის“. სოფელ ხემალისში გაჩაღებული მუშაობა, მევენახეობის უმდიდრესი ტრადიციების ახალ რაიონებში დაქველავების საქმეს ემსახურება. აქ კოლმეურნეობა თავის პრაქტიკულ საქმიანობაში მეცნიერების მიღწევებს ემყარება. ნანასა და ლევანს საქაბის საკლდევი ინსტიტუტში ქართული შამპანურის ახალი გემები გამოკვავთ.

საკოლმეურნეო წყობილებამ მთლიანად გარდაქმნა სოფელი ხემალისი, შექმნა პირობები მევენახეობის განვითარებისათვის. ვენახი გახდა ხემალისის სიმდიდრის წყარო, პირველზე მოსავალა გამართა კოლმეურნი წელში. კოლმეურნეობის გაძლიერებასთან ერთად შეძლებული გახდა კოლმეურნე გლეხობის ცხოვრება. აშენდა ახალი სკოლა, ელსადგური მდინარე ხერგიაზზე, მთავარი გზოდან ფართო გზატკეცილი გაიყვანეს სოფლის საბჭომდე და სხვ.

აეტორი გულმოდით და სიყვარულით გვიხატავს მთავარი მოქმედ პირობის ლექსო კენიკაძის და ნანას ისტორიას. ნაწარმოებში ბევრი პერსონაჟი მოქმედებს. ამიტომაც მწერალი ვერ ახერხებს ყველა სახე თანაბარი სიძლიერით დახატოს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი გელაშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი სერგო ბარბაქაძე, ნიკო თხელიძე, აშაკო კენიკაძე მკრთალად გამოიყურებიან. ნა-

წარმოების ერთ-ერთი ნაედი ისაა, რომ მას არა აქვს მტკიცედ შეკრული სიფეხები.

ბუნების გარდაქმნის თემა უდევს საფუძვლად მეორე ვრცელ მოთხრობასაც — «ილა მტკიცის ხეობაში». ნაწარმოებში მოქმედება მიმდინარეობს საკოლმეურნეო წყობილების განვითარების პირველ ეტაპზე, როცა მიწურინული მეკონიერების გამოყენებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფართო ხ.სითი მიღებები. ამიტომაც ვასაკვირია არ არის, რომ მოთხრობის მთავარ პერსონაჟს — გიორგის მეშობის დაწვევა უხდება უოველგვარი დახმარების გარეშე. მალე რაიკომი დაინტერესდება გიორგის საქმიანობით, მას გაგზავნიან მიხურინთანაც კი.

გიორგი გამორჩევა დიდი სიყვარულით საქმიანობი, მტკიცე ნებისყოფით და ხასიათით. მიუხედავად მოხეტო ბიძია კონსტანტინეს წინააღმდეგობისა, გიორგი ხელს არ იღებს თავის განზრახვაზე გამოიყვანოს ყინვაგამძლე ხეხილის ახალი ჯიშები.

მოთხრობაში საქმოდ არის ნაჩვენები გიორგის დამოკიდებულება სპეტაკი, კეთილშობილი, რუსი ქალიშვილისადმი — მარისადმი. კარგად არის მოფიქრებული მოთხრობის ფინალი. გიორგი და მარია მოგზაურობენ საქართველოს სამხრეთ რაიონებში. გიორგის ცნობიერებაში ცოც-

ხლებმა ქართველი ხალხის მძიმე წარსული. იგი უყვება მარისა თერქი დამპყრობლების მხეცობაზე, ქართველი ხალხის გმირული შრომუბზე. ამ სენით მწერალი ეხმარება დღევანდელ ხალხს, როდესაც თერქეთის მესვეურები ამერიკელი იმპერიალისტების აგრესიად პოლიტიკას ემსახურებია.

მოთხრობაში «რაიკომის ინსტრუქტორი» ავტორი გვიხატავს პარტიული მეშაის სახეს. იგი არ ერიდება და კრიტიკულად აფასებს რაიონის ხელმძღვანელობის მეშაობას. რაიკომის ინსტრუქტორი რვეთ კაბუეიანი რაიკომის ბიუროს ხდომიანზე გაბედულად აკრიტიკებს რაიკომის მდივანს ლონგინოს ქიმიერტეს სოფელ განახლებაში კლუბის მშენებლობის გაქიანტრების, პირმოთენობისა და მლქვენლობისათვის. უნდა ითქვას, რომ მოთხრობა მხატვრულად დაუმუშავებელია.

ა. აღამიას მოთხრობები ჩვენი ცხოვრების აქტუალურ საკითხებს ეხება. მწერლისათვის დამახასიათებელია თემის ფართოდ დაყენება, მნიშვნელოვანი იდეის ღრმად გახრება, ოღონდ ნაწარმოების სრულყოფისათვის ავტორს მართებს მეტი უურადლება მაქციოს მოთხრობების მხატვრულ მხარეს.

6. კუპარავა

გიორგი კაპახიძის საგავეშო ლექსები

★

ბელადის სახლი გორში პოეტური შთაგონების დაუმრეტელი წყაროა. არა ერთი და ორი ნაწარმოებია შექმნილი იმ სახლზე, სადაც დაიბადა პროგრესული კაცობრიობის იმედი და მასწავლებელი, — საყვარელი ბელადი ი. ბ. სტალინი. ასეთ ნაწარმოებთა რიცხეს მიეკუთვნება პოეტი გ. კაპახიძის ლექსი «ბელადის სახლი გორში». ლექსის ყველა სტრიქონი ბელადისადმი გულწრფელ სიყვარულს გამოხატავს:

ეს ქვა, მიწა თითქოს იყოს
მოტანილი მერცხლის ფრთებში;
რა პატარა სახლი არის,
რა უბრალოდ ნაეებები!
მაგრამ რომელ ქართულ დარბაზს
გაუთბია ასე გული?
აქ ბელადი დაიბადა,
ხალხთა შვემა, სიხარული!

ჩვენი ნორჩი თაობის უსაზღვრო სიყვარული დიდი სტალინისადმი მალა პოეტური სახეებშია გამოხატული აგრეთვე ლექსებში «ფიქროთ, გულთ მოსკოვშია» და «მოსკოვი». ამ ლექსებში გამოთქმული სურვილები და განცდები წრფელი და წმინდაა, შესანიშნავად გამოხატავს ჩვენი ბავშვების შინაგან ბუნებას, მათ შვევნებას. ლექსში «ლენინის ნახვა მეზობლებში» პოეტი მალა პოეტური ოსტატობას ავლავებს. ეს ლექსიც კეთილშობილური გრძობებით არის გამოხარო და იმ სიყვარულს გამოხატავს, რომელსაც საბჭოთა ადამიანი დიდი ლენინისადმი გულის სიღრმეში ატარებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ გ. კაპახიძის ბელადისადმი მოძღვრული ლექსებში ცოცხალ პოეტური სახეებშია გამოხატული საბჭოთა ადამიანების ფიქრი და აზრი, მათა გულმხურავლ სიყვარული იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც შექმნეს უძლეველი კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო — ხალხთა მშვიდობის კრა.

გ. კაპახიძე, «საბავშვო ლექსები», საბლიტგაზი, 1952 წ.

თუ რა ღრმად უყვარს თავისი სამშობლო საბჭოთა ბავშვებს, ეს კარგად ჩანს ლექსში „სიმღერა საბჭოთა არმიას“. ლექსი გამსჭვალულია პატრიოტული გრძობით და სულისკვეთებით. სამშობლოს თემზე დაწერილი პოეტის ლექსები მუსიკალური და ლაყონიურია.

საბჭოთა ბავშვების მისწრაფებანი კარგად იგარჩნობა პოემაში „ნინო მასწავლებელი“. ამ პოემის შთაქარი იდეა სიყვარული სწავლისა და შრომისადმი. ნინო მასწავლებლის სტრუქტურა ჩამორჩენილი მოსწავლე კოტე სწორ გზაზე დაყენოს, ამხანაგებს გაეტოლოს. კოტე რეალური სახეა. ჩვენს მოსწავლეებში ჯერ კიდევ გვხვდებით ისეთი ბავშვები, რომლებიც დაღ დროს კარგავენ ვარათისა-თამაშში, რის გამოც ამხანაგებს სწავლაში ჩამორჩებიან. პოეტმა პოემის ასეთ უჩვეულო გმირს მეორე ტაბი დაუბრძოლია, ეს არის კოტეს ძმა შოთა. შოთამ წარმატებით დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და დღეს იგი ინჟინერია. ის თავისი სასახელი შრომით ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილი გახდა — რუსთავეს ქარხნის ერთერთი მშენებელთაგანი. ასეთი ერთმანეთის სპირიტუალური ხასიათის გმირების მოქმედებაში ვითარდება პოემის სიუჟეტი. საბოლოოდ პოემაში დადებითი გმირის ხასიათი იმარჯვებს, კოტე კი შეიგნებს თავის შეუღობას და სწავლისა და შრომის სწორ გზაზე დგება. უნდა ითქვას, რომ ზემოქმედება, რომელიც მოახდინა ნინო მასწავლებელმა კოტეზე, მხატვრულად დამაჯერებელია. საერთოდ ნინო მასწავლებლის სახე მიმზიდველი და კეთილშობილურია.

ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას, მის მორალურ-ესთეტიკურ აღზრდას, ხასიათის ჩამოყალიბებას ყველაზე უფრო მეტად ისეთი ნაწარმოები შეუწყობს ხელს, რომელშიც გამოხატულია საბჭოთა ადამიანის, ჩვენი ნორმის თაობის მრავალფეროვანი და შინაარსიანი ცხოვრება და ტიპური სახე. გ. კაჭხიძის ლექსებში „მარტი“, „ია“, „წეროები“, „მერცხლები მოფრინდნენ“, „შემოდგომა“, „აღუბლები ყვავიან“, „ქაღრები“, „ნაქვის ხე“, „ზამთარი“, „ზამთრის პირი“, „წესი საოცელი“ ბავშვთათვის ცხოვრებით, ხასიათით, მოქმედებით და მისწრაფებებით არა ჩანს. ამ ლექსებში უმთავრესად ბუნების სურათებია დახატული. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვს ბუნების სურათები არ იზიდავდეს და მასზე შთაბეჭდილებას არ ახდენდეს. პეიზაჟს საბავშვო პოეზიაში საპატიო ადგილი უკავია, მაგრამ შთაქარი მაინც ადამიანი, მისი მოქმედება და ხასიათია.

გ. კაჭხიძის ლექსებში დახატული ბუნების სურათები ბავშვს აზიდავს და ხიბლავს, სამშობლოს მთა-მარისადმი სიყვარულს უღვიძებს

და უძლიერებს. ლექსში „იჩქარიან მალხაზები“ დახატულ ბუნების სურათებში ჩვენი პატრიოტების სახეც მოჩანს:

ბიზელმირთაში

თოვს და ბარდნის, თოვს და ბარდნის, აფხსია ნაწიერს გზებზე, ამ თოვში სკოლისავენი იჩქარიან მალხაზები.

შინაარსა და მიზანდასახულებას მოკლებული არაა აგრეთვე ლექსი „ნორჩი მებაღე“. ამ ლექსში გამოხატულია, თუ როგორ იმარჯვებს ადამიანი ბუნებაზე.

მაგრამ ბუნების სურათები გ. კაჭხიძის პოეზიაში ყოველთვის როდია ერთნაირი სიმღერისა. ზოგიერთ მის ლექსში პეიზაჟი მართალი და კონკრეტულ სახეს მოკლებულია. მაგალითად, ლექსი „მერცხლები მოფრინდნენ“ მკითხველზე ვერ ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც „იჩქარიან მალხაზები“ და „ნორჩი მებაღე“.

ჩვენს პატრიოტებზე კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს ლექსები „თუქერი და გეში“, „საქანელა“, „ანტონთან მიდიან“, „პირველ კლასელი მეგობრები“ და სხვა. ეს ლექსები უმთავრესად უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის არის გათვალისწინებული. ლექსში „პირველ კლასელი მეგობრები“ მხატვრული სიმართლით არის გაღმოცხეული ორი ბიჭუნას მეგობრობის ამბავი.

ერთად ვზიჯართ კოტა მერაზე
თახებუქვა ორი ბიჭი,
გოგიც მკიცხელი ბიჭუნაა,
მაგრამ კოტა ჩემზე ღიწკა.

სკოლას ერთად წელს ვეწყოთ,
ერთმანეთი ძლიერ გვიყვარს
და გვახარებს მასწავლებლის
ღაიჯება, ტყვილი სიტყვა.

ლექსის შთაქარი ღირსება იმაშია, რომ მკითხველი დარწმუნებულია თახებუქვა ბიჭის გულწრფელობაში. ლექსის სტრუქტურები ნორჩ მკითხველს უღვიძებს კარგად წერის სურვილს, და „ღედა-ენის“ სიყვარულს. გოგის მეგობარი თახებუქვა ბიჭი უპირატესობას ყოველთვის გოგის ანიჭებს, თუმცა ისიც გოგისათვის სკოლაში ადრე მიდის და კოტად წერს. რეალისტურად არის დაწერილი აგრეთვე ლექსი „ონჯარი“. აგრეთვე ამ მოთხრობებში იჩენს გოლას მიმართ, რაც საყვებით მოსაწონია. გოლას ტრამვაის საფეხებზე აბტოვის დროს გაუსხლტა ფეხი და ძირს დაეარდა. ლექსის დინამიკა ასეთია:

დღეს ქუჩაში დაეინახე
 ონავარი გოლა ჩვენი,
 თვალი აღარ უციხოდა
 განაურნებულს, გადარჩენილს, —
 მარჯვენა ფეხს ვულსაკლავად
 მიათრევდა ვაჟარჯენით.

გოლას მსგავსი ონავარები, რომლებიც ჯერ
 კიდევ აქა-იქ გვხვდებოდნენ, ამ ლექსით გარკვეულ
 რჩევა-დარიგებას მიიღებენ.

სტალინური ეპოქის დიდი მწერალი მაქსიმ
 გორკი მიმართავდა რა ზოგიერთ საბჭოთა მწე-
 რალს, ამბობდა, რომ მათი ლექსები „გვაოცე-
 ბენ ბრიტანოვისებური ცივი რიტორიკით ან
 სისხლნაკლული „რევოლუციური ლირიკის“
 სიუხვით, მათში სრულად არა ჩანს ფანარი,
 ფაქტო, არა ჩანს მოქმედი ადამიანი“. სოცია-
 ლისტური რეალიზმის ფუძემდებლის მაქსიმ
 გორკის ამ მითითებიდან სათანადო დასვენა
 უნდა გამოიტანონ საბავშვო მწერლებმაც,
 რადგან საბავშვო მწერლობა ვერ იტანს რიტო-
 რიკის და არც შეიძლება წარმოადგინოს მოქ-
 მედი ადამიანის გარეშე. გ. კაჭხიძის პეზნაში

რიტორიკის სიუხვის შესახებ ჩვენ ვერაფერს
 ვიტყვი. არც იმის თქმა შეგვიძლია, თითქოს
 მის ლექსების უმრავლესობაში მოქმედი ად-
 მიანი არ ჩანდეს, მაგრამ ზოგიერთ მის ლექსში
 ხავეშის ხასიათი არ არის გახსნილი. ასეთია,
 მაგალითად, ლექსი „სიმინდს ტეხენ“. ამ რო-
 გორი სახეებშია მოცემული ამ ლექსში ადამი-
 ანის მოქმედება:

მინდვრად ოჭრო დღეები აქვთ
 კოლმეურნე მამაც გლეხებს,
 ტეხენ სიმინდს და მამაცი
 მოსაყლენიც სიმინდს ტეხენ.

ვინც არ უნდა ჩაგვეწერა აქ მოსწავლეების
 ნაცვლად, ლექსი ოდნეადაც არ შეიცვლებო-
 და. ასეთი ზოგადი ხასიათის ლექსები ხშირად
 ერთმანეთს პეჯანან.

მოუხედავად აღნიშნული ნაკლისა მოწინავე
 საბჭოთა პოეტის გ. კაჭხიძის ახალი წიგნი
 საბავშვო პოეზიის ყარგი შენაქმნია.

ვლ. ჯიბუტი

სოციალისტური რეალიზმის პრობლემები

სოციალისტური ესთეტიკის საკითხების სა-
 თანადო სიღრმით განხილვა, მსთან დაკავში-
 რებული აქტუალური შემოქმედებით პრობლე-
 მების დაყენება და მარქსისტულ-ლენინური
 თეორიისათვის გადაწყვეტა ჩვენი ლიტერა-
 ტურათმცოდნეობის უმოთხრეს მიზანს და ქვა-
 კეთხედს წარმოადგენს. მართალია, ბევრი საყუ-
 რადღებო შრომა გამოქვეყნდა ამ დარგში, უმ-
 თავრესად რუსულ ენაზე, მაგრამ ჯერ კიდევ
 მრავალი საყურადღებო მხარეა ვასარკვევი, შე-
 სისწაველი და დასადგენი. განსაკუთრებით ეს
 თქმის ქართული ლიტერატურათმცოდნეობის
 შესახებ, სადაც არ მოგვეპოვება რაიმე თვალსა-
 ჩინო შრომა, რომელიც შემოქმედებითი პრაქ-
 ტიკის ნიშნებზე დაყრდნობით იმყოფდეს პა-
 სუსს სოციალისტური რეალიზმის, ტიპიურო-
 ბის, მხატვრული სახეებისა და ხასიათების,
 სიუჟეტის, მწერლის თვალსაზრისის, ინტონა-
 ციის თავისებურებისა და სხვა თეორიულ სა-
 კითხებზე.

ეს მოვლენები იმიტომ დგას ჩვენი მხატვრუ-
 ლი აზროვნების ყურადღების ცენტრში, რომ

გ. ლომიძე. სოციალისტური რეალიზმისათვის
 ლიტერატურაში. საბჭოთა მწერალი, 1952.

★

სოციალისტური რეალიზმ-ის ლიტერატურა ახ-
 ხავს ცხოვრების ღრმა კონფლიქტებს, იმ შეუ-
 პოვარ ბრძოლას ახალსა და ძველს შორის, რომ-
 ლის დარჯაკში იწრთობა ახალი, სოციალისტის,
 განვითარების უნარმქონე, ისპობა ძველი, უოც-
 ლივე ის, რაც ლობადია და გახრწნას განი-
 დის, ისახება განვითარების ახალი გზები და
 პირიზონტი.

ამ მოვლენებით სისხლზორციელად არის და-
 ინტერესებული ჩვენი თანამედროვეობა, ვინა-
 დან კომუნისმის მშენებლობის დიდი ეპოქის
 შემოქმედი არ შეიძლება იდგეს განზე ცხოვრე-
 ბის აქტუალური პრობლემებისაგან. იგი არა მარ-
 ტო უნდა ასახავდეს ბრძოლას ახალსა და ძველს
 შორის, იმ ღრმა კონფლიქტებს, რაც წარმოა-
 შობა ამ ბრძოლის საფუძველზე, არამედ იგი
 თავისი შემოქმედებით უნდა იყოს ახალი ცხოვ-
 რების აქტიური მშენებელიც; მან უნდა შეამჩ-
 ნიოს და მხატვრულ სახეებში გამოავლინოს
 ახალი ტიპის ადამიანები, ტიპიური მოვლენები,
 ტიპიური გარემო.

ამხანაგმა გ. მ. მაღლენკომა თავის მოხსენება-
 ში ლენინ-სტალინის პარტიის მე-19 ყრილობა-
 ზე აღნიშნა: „ჩვენ მხატვრებს, ლიტერატორებს,

ბელონების შემკაებს მხატვრული სახეების შესაქმნელად თავიანთ შემოქმედებითს შემოიღონ. მდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ტიპიურია არა მარტო ის, რასაც ყველაზე ხშირად ვხვდებით, არამედ ის, რაც ყველაზე მეტა სისრულითა და სიმავლით გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს. მარქსისტულ-ლენინური გაგებით ტიპიური სრულიად არ ნიშნავს რაღაც სტატისტიკურ საშუალოს. ტიპიურობა შეესაბამება მოცემული სოციალურ-ისტორიული მოვლენის არსს, და მხოლოდ იმას როდი წარმოადგენს. რაც ყველაზე ვარცხნილია, ხშირად მკორდება, ზვედლებრივია. სახის შეგნებულად უპირი ფურებით დახატვა, გამხვილება კი არ გამოირჩევა ტიპიურობას, არამედ უფრო სრულად, უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს მას. ტიპიურობა რეალისტურ ბელონებაში პარტიულობის გამოვლინების ძირითადი სფეროა. ტიპიურობის პრობლემა ყოველთვის პოლიტიკური პრობლემაა.

აქედან ნათლად ჩანს, თუ რა განუსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური თვალსაზრისით მხატვრულ შემოქმედებას, მწერლის სწორ თვალსაზრისს საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ. ზოლო ამ თვალსაზრისის გამოშვებაში ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის თეორიული პრობლემების დაყენების, მათი სწორად გაშუქებისა და გადამწვევრის საქმეს.

გორაკი ლომიძის წიგნი „სოციალისტური რეალისმისათვის ლიტერატურაში“ საყურადღებო ნაშრომებს შეიცავს. ისინი განიხილვენ მხატვრული შემოქმედების აქტუალურ პრობლემებს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის მოძღვრების საფუძველზე.

რა თქმა უნდა, ამ მოძღვრების საფუძვლები ყალიბდებოდა მტრულ იდეოლოგიათა წინააღმდეგ შეერიგებული ბრძოლის მკაცრ ეთარებაში, და ყველა ჯერის იდეალისტებთან ამ ბრძოლით ეფუძლებოდა მარქსისტული ესთეტიკა ბელონების თეორიის განვითარების ახალ, უმაღლეს საფეხურს. გ. ლომიძე თავის წიგნში დეტალურად განიხილავს დიდი რუსი რანონიონილების, რევოლუციური დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლინოვის დავილს რეალისტური ესთეტიკის საფუძვლების შესაქმნელად. მაგრამ როგორც ეს წიგნიც სამართლიანად არის აღნიშნული, მათ, ცხადია, არ შეეძლო ბელონების შესახებ თანმიმდევრული რევოლუციური მოძღვრების შექმნა, ეს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა ვაღიუყობტეს მარქსიზმის კლასიკოსებმა. მარქსისა და ენგელსის ესთეტიკური შეხედულებანი შემდგომ განვითარებს და გამაღვიდრებს თავიანთი გენია-

ლური ნაშრომებით ლენინმა და სტალინმა ახალი სოციალურ-პოლიტიკური ეთარების წესაბამისად, იმპერიალიზმისა და მარქსისტული რევოლუციების ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად. ლენინისა და სტალინის უყვადვი იდეებით შთაგონებული და შეიარაღებული კომუნისტური პარტია განმანდგურებელი ბრძოლით აქარწყლებდა სხვადასხვა ჯერის დეკადენტების, ფორმალისტების, პოლიტიკურად გაბრწილი რენეგატების, წმინდა ბელონების მქადაგებელთა და ყველა ყაიდის ლიკვიდატორთა, ლიბერალთა შეხედულებებს. ამ ბრძოლის ცხოველ-მყოფელი ზეგავლენით ყალიბდებოდა რეალისტური, მხვე გამწყობილების დამწერავი, ჯანსაღი, ოპტიმისტური, პარტიული სელისყვეთებით აღსავსე მებრძოლი ლიტერატურა.

დიდი ოპტომზრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ გამოიწვია მტრული რეპრესიული კლასების შეხედულებათა გამოშატვრული, მათი ინტერესების დამცული ლიტერატორების — იმპიონისტების, ექსპრესიონისტების, ფეგისტების, ნეკლასიციტების ნაბოლარების გაფორმებული განგაში. არანაკლებ მენებლური იყო ე. წ. „პროლეტარულტოლა“ თეორიული ნაყოფილარი და პრაქტიკული საქმიანობა. კომუნისტრმა პარტიამ ლენინისა და სტალინის ბელმწიგნელობით განმანდგურებელი დარტყმა აემა ამ ანტიპროლეტარულ, რეპრესიულ შეხედულებათა მტარებელ ლიტერატურულ ჯგუფებს, სეკულესსა და მიმდინარეობებს.

დამთავრდა სამხედრო კომენიზმის ხანა. მშვიდობიან შრომისა და აღდგენითს მშენებლობაზე გადასვლის პერიოდი ხასიათდება ლიტერატურის დარტყმა კლასობრივი ბრძოლის თავისებური, განსეყოფრებული ფორმით. აღმოცენდნენ ახალი ლიტერატურული დაჯგუფებანი: „სერაპიონელი მება“, „პერეალი“, „კონსტრუქტავისტები“. ამ ჯგუფებისადმი დაპირისპირებულ ლიტერატურულ ორგანიზაციას წარმოადგენდა „მაპი“, რომელიც შემდგომი „რაპად“ (რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია) იწოდებოდა. სოციალისტური კულტურის ყალიბების სათავეებთან კანონზომიერ მოვლენად ითვლებოდა კომუნისტური მწერლების ეს ვიკითიანება. პარტიაც მხარს უჭერდა ამ ვიკითიანებას. პროლეტარულ მწერალთა ამ ორგანიზაციას ამ მიზნით, რათა უფრო ქმედითი და ნაყოფიერი ყოფილიყო ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რათა აღზრდილიყო მწერალთა ახალი კატრები, მაგრამ „რაპის“ ბელმწიგნელობა უხეშად არღვედა პარტიის პოლიტიკის მხატვრული ლიტერატურის დარტყმა. სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული „რაპის“ ბელმწიგნელობის მიერ ლიტერატურის კლას-

კოსებისადმი დამოკიდებულების, საბჭოთა ლიტერატურის თანამგზავრ მწერლებთან ერთობის დაზღვი, პარტიული კრიტიკისა და თეოკრიტიკის გაშლის, პროლეტარული და გლეხური ლიტერატურის ზრდისა და განვითარების ნამდვილად უზრუნველყოფის საქმეში.

კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1925 წლის 18 ივნისის თავისი ისტორიული დადგენილებით „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში“ ფაღვრის სიხუსტით დასახა ეს გზები და მეთოდები, რომელთა საშუალებით შეიძლება უნდა განვითარებულყო მშარბიული მსახების კულტურული დონე, ლიტერატურის სწორი განვითარების საფუძველზე. ეს ისტორიული რეზოლუცია იყო მკაფიო გამოხატული დენინური პრინციპისა ლიტერატურისა და ზელოვნების პარტიული შესახებ; ეს ისტორიული რეზოლუცია იყო მკაფიო გამოხატულება ამხანაგ სტალინის გენიალური დებულებისა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურის შესახებ.

ოცდაათიან წლებში საბჭოთა ლიტერატურისათვის რამდენიმე უაღრესად ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა ადვილი. პირველი და უმთავრესი მათ შორის იყო და რჩება მთელი ისტორიის მანძილზე ამხანაგ სტალინის სტუმრად მისეა — ამხანაგ კ. ვოროშილოვის თანხლებით — მაქამ გორკის ბინაზე, ეს მოხდა 1931 წელს. სწორედ ამ დღეფიყარ დღეს ამხანაგმა სტალინმა ფანქრით წააწერა გორკის ნაწარმოებს „ქალიშვილი და სიყვდილი“; ეს ნაწარმოებმა უფრო ძლიერა, ვიდრე გოეთეს „ფაუსტა“ („სიყვდილს ამარცხებს სიყვარული“). ზელოდის ამ პროგრამულ დებულებაში მოცემული და გაშეკებულა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებასთან დაკავშირებული ბევრი კარდინალური საკითხი.

გ. ლომიძე დრმა ანალიზს უყუბებს რთვო კ მაქსიმ გორკის ნაწარმოებს „ქალიშვილი და სიყვდილი“, ისე გოეთეს „ფაუსტს“, განიზილავს მათ იდურ მნიშვნელობას, მათ პოეტურ მხარეს. აეტორი აყენებს დიდმნიშვნელოვან საკითხს: რატომ დააყენა ამხანაგმა სტალინმა გორკის ნაწარმოები მთელი თავით შალა გოეთეს „ფაუსტზე“? სად არის „ფაუსტის“ და გორკის ზღაპრის შებების, მათი განშორების კეთხე? ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიღებული ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილება „ლიტერატურულ-სამხატვრო ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“ შეპირობებული იყო შემდეგი ვარშობებით: „რაპი“ უქანასწერლ ხანებში იქცა ისეა ლიტერატურულ ორგანიზაციად,

რამელიც აფერხებდა მხატვრული შემოქმედების გაშლას. ამიტომ პარტიამ საქმეფრედ დაიწახა პროლეტარულ მწერალთა „სოციალისტური კლუბები“, „რაპი“) ლიკვიდაცია და მწერალთა ერთიანი კავშირის დაარსება. ამ ღონისძიებამ განვითარების ფართო პერსპექტივები დაუსახა საბჭოთა მწერლობას.

ამხანაგმა სტალინმა იმავე წელს გორკის ბინაზე სასაუბროდ მიიღო მწერალთა ჯგუფი. სწორედ ამ შეხვედრის დროს უწოდა ამხანაგმა სტალინმა მწერლებს ადამიანის სულის ინტინაზები. ეს გენიალური ფორშელა სიცხადით ჰყენს შექს მწერლის საზოგადოებრივ ფუნქციას და მის უფიდეგ რაღს ხალხის იდეურად წრთობის საქმეში. ზოლო საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითს მეთოდს, ამხანაგ სტალინის ბრძნული განსაზღვრათ, სოციალისტური რეალიზმი წარმოადგენს. ეს სტალინური ფორშელა იმს. ა. ედნოვემ გააცნო მწერლებს საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე, რომელიც 1934 წლის 17 აგვისტოს შედგა. ამ ისტორიულმა ყრილობამ მოახდინა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მკვეთრი ლენინური სტალინური ანალიზი და დასახა ფართო გზა შეზღოში მძლავრი შემოქმედებითი აღმავლობისათვის.

წიგნში საქმათ სიხუსტით და დამაჯერებლად არის განზილული სოციალისტური რეალიზმის არსი, მასთან დაკავშირებული მხატვრული ისტორიის პრობლემები. სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ჩასახვა საეგებით სამართლანად არის დაკავშირებული მაქსიმ გორკის სახელთან, მის შესანიშნავ ნაწარმოებთან „დედა“. წიგნის აეტორი საინტერესოდ ასაბუთებს დებულებას იმის შესახებ, რომ „სოციალისტური რეალიზმი ცხოვრების შემეცნების და გარდაქმნის იარაღია“.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამოყენება თელს. ზიხისათა განზილული ქართული მხატვრული ლიტერატურის რამდენიმე თელსაჩინო ნიმეში. მაგალითად, ლეო ქიაჩელის რთმანი „გვადი ბიგვა“, გიორგი ლონიძის ცნობილი ემოუა „სტალინი“, გრიგოლ აბაშიძის პოემა „ზარზმის ზმანება“, კარლო კალაძის „სივე შობილურ სოფელში“, სერგო კლდიაშვილას ნოველა „სერაფიტა“, ოთარ ჩხეიძის ნოველა „შემოზამთრება“, სანდრო შანშიაშვილის დრამა „არსიანი“, კონსტანტინე გამსახურდიას რთმანი „აღვით აღმამენებელი“.

აღნიშნულ ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი გარჩეულია მთელი სიხუსტითა და სიღრმით. საეგებით სწორად არის ხაზგასმული მათი ღირსება-ნაელოვანებანი, იდეური და მხატვრული

ღირსებები, ის შემოქმედებითი მეთოდი, რომლითაც ქმნიდა თითოეულ მათგანს ავტორი.

ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება არ დავუთანაზმოთ წიგნის ავტორს ნაწარმოებისაღმე ზედშეტი სიმკაცრით დამოკიდებულების გამო. ეს უნდა ითქვას მაგალითად, იმ ადგილების შესახებ, სადაც განხილულია სერგო კლდიაშვილის ნოველა „სერაფიტა“ და ოთარ ჩხეიძის ნოველა „შემოხაშორება“. ვფიქრობთ, ამ უკანასკნელ ნოველის ავტორს სრულიად არ ჰქონია მიზნად მიუყვანადამიანის მისწრაფებათა განუხორციელებლობის ტრაგედია, მიხეცი საბჭოთა მასშავლებლის განმარტოება, ტრაგიკული გაორება. მორიგით, როგორც ამას საესებით სამართლიანად შეინიშნავს ერთ ადგილას თვით ვ. ლომიძე, „იგრძნო მოხეცმა, რომ ის ჯერ კიდევ სჭირდება ხალხს, მას ჯერ კიდევ ძალუმა თურმე თავისი სუსტი და აბრთოლებული ხელებით მოიტანოს ზატარა ავური ჩვენი ქვეყნის შმენებლობაზე“ (გვ. 78). ეს არის საბჭოთა სინამდვილის გარდუვილი კანონი და ამისათვის ხაზგასმა იყო როგორც წანს, ნოველის ავტორის მიზანი.

თვალსაჩინო ადგილი აქვს სარეცენზიო წიგნში დამოზილი რევილუციის მგნებაზე მომღერლის ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეზიის ანალიზს კომუნისტური იდეურობის, პარტიულაზის პრინციპის, სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი პრინციპის თვალსაზრისით.

წიგნის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად შეიძლება ჩაითვალოს მონაკვეთი, სადაც ავტორი განიხილავს კომუნისტური პარტიის ბრძოლას ფორმალისმის, უიდეობის, მახანჯი და ხალხისათვის გაუგებარი ხელოვნების წინააღმდეგ, ბრძოლას ნამდვილად რევილუციური, ხალხურ, მაღალმატარული ლიტერატურისა და ხელოვნების შესაქმნელად. ამ მხრივ უდიდესი როლი შეასრულეს პარტიის ცენტრალური ორგანოს „პრადის“ მიერ 1936 წლის 28 იანვრის გამოქვეყნებულმა სტატიამ „სემზური მესიკის ნაცვლად“, ამხანაგ ა. ვლანოვის სახელმძღვანელო შიითიებებმა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებამ ეტრნალის „ზეზღისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ, იმავე წლის 26 აგვისტოს დადგენილებამ „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძაებათა შესახებ“, აგრეთვე იმავე წლის 4 სექტემბრის დადგენილებამ „კონკრეტულ დიდი ცხოვრების“ შესახებ.

ამ ისტორიული დოკუმენტებისა და ამ. ა. ვლანოვის გამოხილების შექმნე განხილულია კრათული მწერალთა და კრიტიკოსთა მუშაობის პრაქტიკა. სამართლიანად არის გაყარტიკებული პროფესორ ს. დანელიას წიგნი „ნარკვევები 19

საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან“, გ. ქიქოძის წიგნი „ქართული ლიტერატურის ისტორია. XIX საუკუნე“, სოფიკოვსკის წიგნი „ლიტერატურის ისტორია. XIX საუკუნე“, სოფიკოვსკის წიგნი „ლიტერატურის ისტორია. XIX საუკუნე“, სოფიკოვსკის წიგნი „ლიტერატურის ისტორია. XIX საუკუნე“ და სხვა. ამ წიგნების მიერ დაშვებულია ფართო ლისტური შეკლომები, აგრეთვე იმ ქართულ შეკლოვართა მანკიერი მენსობა, რომლებიც აღმოჩნდნენ ბერევაზიელი იდეოლოგიის მამღევრები.

უთუოდ საყრადღებოა სარეცენზიო წიგნში შიითავსებული შრომა „ენამეცნიერების ზოგიერთი საკითხი ი. ბ. სტალინის მოძღვრებას თვალსაზრისით“. მასში განსაუტრებებით გამახვილებულია კრიტიკა ა. ბოგდანოვის, ა. გორნფელის, ვ. მომანის მარისტული, უხეში ვულგარისატორული შეკლომების, მათი ანტიმარქსისტული დებულებების მიმართ.

ცხოვრებაზე საბჭოთა ლიტერატურის ზემოქმედების უპირველესი ფუნქციის მეტად საინტერესო საკითხებია განხილული ნაშრომში „ახლის გრძნობა“. დაბირისპირებულთა ბრძოლა, ახალსა და ძველს შორის, დაბირისპირებულ ტენდენციათა ბრძოლა, წინააღმდეგობათა გახსნა ცხოვრების მოვლენათა უწყვეტი განვითარების საფუძველია. ამ ბრძოლაში უველაფერი, რაც კი წარსულად არის ქცეული, მომავლად, — ისმობა, ხოლო მის ადგილს იჭერს ახალწარმოზობილი, მზარდი, განვითარების პერსპექტივის მქონე მოვლენა. ასეთთა დალაქტიკის ურღვევი კანონი. საბჭოთა ლიტერატურის უპირველესი მოვალეობაა, მხატვრულ სახეებში გვიჩვენოს ეს ბრძოლა, ცხოვრების მოვლენათა განუწყვეტელი მოძრაობა, შეუნერებელი განვითარების პროცესში მათი სახეცვალებაღობა, გვიჩვენოს ძველის, დროშოქმულის განადგურება, ახლის ზეიმი, განმტკიცობს მომავლის ნათელი პერსპექტივა.

ამ თვალსაზრისით არის განხილული ა. კორნეიჩუკის პეისა „ფრონტი“. ამ ნაწარმოებში გაბედული, შორიღებელი, ღრმა პრინციპული კრიტიკით მოცემულია ნოვატორული სამხედრო აზრის ბრწყინვალე გამარჯვება მოშველებულ, ჩამორჩენილ, გეშინდელ დღედ ქცეულ სამხედრო თეორიისა და ტაქტიკაზე. გორლოვისა და ოგნევის დაბირისპირებით დრამატურგმა მწვავე კონფლიქტებით, მთაფრი სიტუაციებით ასახა ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, ჩამორჩენილობასა და ნოვატორობას, რუტინასა და ნათელ აზროვნებას შორის.

გაყავს რა პარალელი კრიმოვის მოთხრობა „ტანკერი დერბენტსა“ და ვ. ავეიუს რომანს შორის — „მოსკოვიდან დამორებით“, გ. ლომიძე

ამტყეებს იმ სახეცვალბადობას, რასაც განიცადის შინაარსი ბრძოლისა ახალსა და ძველს შორის, მათი კონფლიქტურ შეჯახებათა მიმართულება.

ამავე თვალსაზრისით არის აგრეთვე გარჩეული ს. შაბაევსკის რომანი „ოქროს ვარსკვლავის კავალერი“, პ. პავლენკოს რომანი „ბედნიერება“, ე. პოპოვის მოთხრობა „ფილადი და წიდა“, ბ. რომაშოვის პიესა „დიდი ძალა“, მათი დიდი აღშრბდლობით — შეშეცნებითა და პროზაგანდისტული მნიშვნელობა.

აქვეა მკაცრად გაკრიტიკებული პოეტ ვ. სოსლოვას ნაეიონალისტური, ანტისაბჭოური ლექსი „გუყვარდეს უკრაინა“. მისდამი და პოეტ ა. პრიოკოფიევის ზოგიერთი არაჯანსაღი ნაწარმოებისადმი მკვეთრად არის დაპირისპირებული ელდინერ შაიაკოვსკის ჯანსაღი, საბჭოთა პარტიტიზმის სულისკვთებით გამსჭვალული შემოქმედების საუკეთესო ნიმუში „ვლადიკავკასიდან თბილისამდე“, ნამდვილი გამოშატეული სოციალისტური საშობლოსადმი სიყვარულისა.

ასეთივე პრინციული კრიტიკის თვალსაზრისითაა გარჩეული რეაქციული, პანთურქისტული, ანტიბალხური ნაწარმოები „დედუ კორკუტი“.

წიგნის ავტორს ქართული მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებად, სადაც დიდი მხატვრული შთავონებით არის ასახული ბრძოლა ახალსა და ძველს შორის, ძველის გარდევალი დაღუპვა და ახლის გარდუვალი გამარჯვება, მიჩნეული აქვს ლეო ქიანელის რომანი „გვადი ბიგვა“ და ალ. ქუიშვილის რომანი „ლეო“.

ნაშრომში ამ საკითხებთან დაკავშირებით მოცემულია სწორი ანალიზი გიორგი გულის მოთხრობისა „გაზაფხული საყენში“.

ქართული პროზის ზოგიერთ დამახასიათებელ ნიმუშში სამამულო ომის თემატიკის საკითხების გაშუქებისადმი მიძღვნილი შენიშვნები

„გმირი და სინამდვილე“. ცხოვრების ღრმა ცოდნა, გამოცდილების, დაჭირვებათა, შთაბეჭდილებათა უმდიდრესი მარაგის თანამედროვეობის ცხოველყოფილ იდეათა ნიშანდღეზე ღრმა — საბჭოთა შემოქმედის შთავონების წყარო, მისი იდეურ — მხატვრული გამარჯვების საწინდარია. ამ თვალსაზრისით წიგნში განხილულია ქართული მხატვრული პროზის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნაწარმოებები მთელი მათი ავტარგანობის, ღირსებისა და ნაკლებანების გათვალისწინებით.

ვინაიდან წიგნი გაცილებით უფრო აღრე გამოვიდა ჩვენი პარტიის მეცხრამეტე ყრილობის მოწვევამდე, რა თქმა უნდა, წიგნის ავტორს არ ჰქონდა საშუალება მოგმარჯვებინა ამხ. გ. პავლენკოს საპროგრამო მითითებანი ტიპიერობის პრობლემის შესახებ.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის თეორიულ მოსაზრებათა განხილვა წიგნში შეიძლება დაკავშირებული საანალიზო ნაწარმოებთა გმირების იდეურ-ემოციური სამყაროს შესწავლასთან.

უკანასკნელ თავში — „ორი რომანი“ სწორი მოსაზრებაა გამოთქმული ალ. ქუიშვილის რომანის „ლეოსა“ და კონსტანტინე ლორთქიანიძის რომან „კოლხეთის ცისკარის“ შესახებ. აქ განხილულია ამ ნაწარმოებთა როგორც იდეოლოგიური მხარე, ისე მათი მხატვრული ღირებულება.

გიორგი ლომიძის წიგნი „სოციალისტური რეალიზმისათვის ლიტერატურაში“ ცხადყოფს ავტორის უღაგო ერთდციას, ყოველგვარი სქემატიზმისა და ტრადარტის დაძლევის მხატვრული ლიტერატურის პრობლემებზე მსჯელობაში. ეს ღირსებება — ავტორის მებრძოლ პოზიციებთან ერთად — წიგნს მნიშვნელოვან მოვლენად ხდიან ჩვენი კრიტიკული აზროვნების შემდგომი განვითარების საქმისათვის.

გ. თუშიუვილი.

